2017 წლის იანვარ-ივლისში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ 3,978,657 შეადგინა, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან 16.8%-ია. მთლიანი რაოდენობიდან 24 საათი და მეტი დროით (ტურისტი) 1,829,331 (+30.2%) ვიზიტი განხორციელდა, ხოლო ტრანზიტის მიზნით 842,691, დანარჩენი ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობამ 1,306,635 შეადგინა.




# ღიჯლოვატია დჲ სჲპარტალი

საერთაშორისო შემოსვლები წლების მიხედვით (ივლისი)



ევროპელი ტურისტებისათვის მნიშვნელოვან მონახულებად ადგილებს წარმოადგენს შემდეგი ტოპ-ათეული ქალაქი:

## Top 10 European Cities Total Number of Bednights by International Tourists



**Notes:**

Bednights in all paid forms of accommodation establishments: Berlin, Budapest, London, Prague, and Vienna.  
 Bednights in hotels and similar establishments: Amsterdam, Barcelona, Madrid, Paris, and Rome.  
 Data covers city area only, except for London, Paris, and Vienna (greater area). London excl. VFR (predicted).  
 Data includes forecasts for: Amsterdam (X-XII/2016), Budapest (IX-XII/2016), London (X-XII/2016), Madrid (IV-XII/2016); Berlin, Paris, and Vienna (all XII/2016).

@www.europeanitiesmarketing.com | preliminary results



აქედან გამომდინარეობს, რომ ევროპელი ტურისტების რიცხი საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ მცირე, თუმცა 2%-დან 10% მდე გაიზარდა:



Source: The Ministry of Internal Affairs of Georgia

მიუხედავად ამისა, 2017 წელს პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-აგვისტოშიც გამოირჩეოდნენ: **გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, ლიტვა, იტალია და საბერძნეთი** (შესაბამისად 32%, 31%, 29%, 20%, 17%, 16% და 14%), ახლო აღმოსავლეთიდან – **ისრაელი** (40%), შუა აზიის ქვეყნებიდან – **ყაზახეთი**(17%), **უზბეკეთი** (11%). აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან – **ბელორუსია** (31%). აქვე აღსანიშნავია **ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 27%-იანი ზრდა**.

თუმცა, ევროპელი ტურისტების მოზიდვა არ არის ადვილი. ამისათვის, საჭიროა ზუსტად ვიცოდეთ მათი სამომხმარებლო ქცევა და პრეფერენციები მოგზაურობასთან მიმართებაში. ეს დაგვეხმარება სწორად დავგეგმოთ მათთვის ტურისტული პროდუქტები და მომსახურებები. ზემოთაღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით, წარმოგიდგინებთ ევროპელი ტურისტების 10 მნიშვნელოვან მახასიათებელს:

**1. ევროპელი ტურისტების 53% მოგზაურობს თვითმფრინავით. მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გასამგზავრებელ ქვეყანაში პირდაპირი რეისის არსებობას და ავიაბილეთის ფასს. საქართველოში ახალი აეროპორტების გახსნამ ხელი შეუწყო დაბალბიუჯეტის ავიახაზების შემოსვლა-**



სა და ჩარტერული ფრენების გამრავალფეროვნებას. თუმცა, ამ ფაქტორს ჯერჯერობით დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია დასავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ ევროპელი ტურისტების ნაკადის ზრდაზე, რაც ალბათ ინფორმაციის გავრცელების არხების სიმწირეზე მიუთითებს.

**2. ევროპელების შვებულება შეადგენს 5-6 კვირას, მაგრამ მათ არ უყვართ დიდხანს ერთ ადგილზე გაჩერება.** ისინი უპირატესობას ანიჭებენ ბევრი ადგილის მონახულებას დროის მცირე მონაკვეთში. ქართველმა კომპანიებმა დაიწყეს „ქროს-ტურის“ შეთავაზება, რომელიც სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მონახულებას მოიცავს.

**3. ევროპელები მოგზაურობენ ზაფხულის პერიოდში.** შესაბამისად, საზაფხულო (საზღვაო და სამთო) კურორტები მათ შორის ყველაზე პოპულარულია.

**4. ევროპელ ტურისტს ურჩევნია თავად დაგეგმოს მოგზაურობა.** ეს მიუთითებს, რომ არ ღირს მათთვის წინასწარმომზადებული ინკლუზივ ტურისტული პაკეტების შეთავაზება. საჭიროა, ვიყოთ მოქნილები მათი ინდივიდუალური მოთხოვნების მიმართ და შევთავაზოთ მრავალფეროვანი და მიმზიდველი ტურისტული პროდუქტების არჩევანი.

**5. მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ზეგავლენას ახდენს ევროპელი ტურისტის არჩევანზე: 1) კულტურა და ადგილობრივი მოსახლეობა, 2) სისუფთავე, 3) აქტიური დასვენების შესაძლებლობები, 4) შოპინგის შესაძლებლობა, 5) ადგილობრივი სამზარეულო და სარესტორნო მომსახურებები.** ის რომ, ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ინტერესი პირველ ადგილზეა, ძალიან ხელსაყრელია საქართველოსთვის; ქართული სტუმარმასპინძლობის ტრადიცია არის ჩვენი ქვეყნის ძლიერი მხარე ქართულ სამზარეულოსთან და ღვინოსთან ერთად.

**6. ევროპელ ტურისტებს აინტერესებს ახალი, განსხვავებული ტურისტული სანახაობები.** ნაკლებად აინტერესებთ თანამედროვე ნაგებობები და ზოგადად ნაგებობები; ევროპას თავად აქვს ამ მხრივ საოცარი სანახაობები. მათი ინტერესი ველური ბუნების, ადგილობრივი მოსახლეობის ყოფის, სოფლის ავთენტური იერ-სახის და სხვა მსგავსი განსხვავებული სანახაობების მიმართ არის მაღალი.

**7. ყურადღებას აქცევენ ქალაქის ტურებს.** ქალაქის ტურების მიმართ მაღალ ინტერესს ადასტურებს ყველაზე პოპულარული ტურისტული ადგილების 2016 წლის სტატისტიკა: საერთაშორისო ვიზიტების 46% თბილისში განხორციელდა, 41% ბათუმში. მათ შორის, გართობა/დასვენება/რეკრეაციამ ორიენტირებული ტურისტებისთვის პოპულარული ადგილები იყო: ბათუმი – 70%, თბილისი – 39%, მცხეთა – 9%. რატომღაც, ტურისტულ საინფორმაციო მასალებში საქართველო წარმოდგენილია ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი ძეგლებით; მასში ნაკლებად ჩანს საქართველოს ქალაქების ორიგინალური იერ-სახე და მათი მოსახლეობის ღირსებები.

**8. ევროპულ ტურისტულ ბაზარზე 3 მნიშვნელოვანი ტურისტული სეგმენტია: 1) ოჯახები ბავშვებით, 2) წყვილები შვილების გარეშე, 3) მოხეტიალე წყვილები.** საჭიროა მოვახდინოთ ტურისტული შეთავაზებების დივერსიფიცირება; ეს მნიშვნელოვანია სხვადასხვა მიზნობრივ ბაზრებზე პოზიციონირებისთვის.

**9. ევროპელისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სავარაუდო დანახარჯების მოცულობას.** რამდენადაც არ უნდა მოგვენოთ, ფაქტია, რომ ევროპელები საქართველოში ვიზიტის სავარაუდო და-





ნახარჯებს ადარებენ თურქეთში მოგზაურობის დანახარჯებს. ამ ეტაპზე, ჩვენი ტურისტული მომსახურებების ხარისხითა და ფასებით თურქეთისთვის კონკურენციის განწევა ძალიან რთულია. ეს ორი ქვეყანა მეტ-ნაკლებად შედარებადია, რადგან ორივეს აქვს საზღვაო კურორტებისა და კულტურული ტურიზმის რესურსები.

**10. ევროპელისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მომსახურებების შესაბამისობას ფასთან.** ეს არ ნიშნავს, რომ ის დაბალბიუჯეტური ტურისტია; უბრალოდ ის მთელი წლის განმავლობაში დაუზარლად შრომობს, რომ ზაფხულში იმოგზაუროს. რატომ განწევს ხარჯს, თუ ის არ შეესაბამება პროდუქტით მიღებულ ეკონომიკურ თუ ემოციურ სარგებელს. სწორედ ეს უკანასკნელი გახლავთ ევროპელი ტურისტების მოხიზვლის ყველაზე ეფექტური გზა – შესაბამისობა, პროდუქტების/მომსახურებების ხარისხის შესაბამისობა ფასთან.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ევროპელი ტურისტების მოსაზიდად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი მომსახურების სფეროში.

კერძოდ, ჯერ კიდევ მოსაგვარებელია აზიურ-მუსულმანური პრობლემა, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, რომ აზიელების მიერ გახსნილ კაფეებში საკმაოდ ძვირ ფასს ახდენენ ევროპელ ტურისტებს; სასტუმროებსა და რესტორნებში მომსახურე პერსონალის კვალიფიციური დონე – უშუალოდ მომსახურების ხარისხზე გავლენას ახდენს ენების არცდონა, ძირითადად ინგლისურის უცოდინარი პერსონალი ჰყავთ სასტუმროებს, ჰოსტელებს, გესტჰაუსებსა და საკვებობიექტებს, რაც უდიდეს პრობლემას უქმნის ტურისტს; უზარისხო საკვები პროდუქტები და საკვების სიძვირე რესტორნებსა და კაფე-ბარებში.

საერთაშორისო ტუროპერატორების პროგნოზით ტურისტული ბაზრის 35% პაკეტური ტურებისა თურქეთის რესპუბლიკაზე მოდის. ვარაუდობენ, რომ 2018 წელს 8 მლნ. ევროპელ ტურისტს უმასპინძლებენ (არაზღვისპირა) ქვეყნებიდან, ასევე აღსანიშნავია რუსული ბაზრის წილის ზრდა თურქეთის ზღვისპირა კურორტებზე, რასაც ხელს უწყობს რუბლის კურსის გამყარება, ეს ფაქტორი ხელს უწყობს ტუროპერატორების საფასო პოლიტიკის გამყარებას.

რაც შეეხება ეგვიპტეს, იგი კვლავ რჩება საქართველოს კონკურენტ ქვეყნად ევროპის ბაზარზე.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ევროპელი ტურისტების რაოდენობა შედარებით შემცირებულია კაიროს აეროპორტის გამო, რადგანაც აეროპორტიდან კურორტებამდე მისვლას სჭირდება 6-7 საათი. იმ შემთხვევაში თუ დაინიშნება პირდაპირი რეისები ხურგანდასა და შარმ-ელ შეიხში, ეს კიდევ უფრო გაზრდის კონკურენციას. ამას ემატება ისიც, რომ ეგვიპტეში სეზონი მთელი წელია (ივლისის შუა რიცხვებიდან აგვისტოს ბოლომდე).

2018 წლის პროგნოზით ლიდერად კვლავ დარჩება თურქეთი, ეგვიპტეს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს მხოლოდ მცირე პერიოდში – ოქტომბრის თვეში. ბაზარზე კვლავ დარჩებიან მსხვილი ტუროპერატორები, კერძოდ: „ბიბლიო-გლობუსი“, „ანექ-ტური“, „პეგასი“, „ქორალი“.

მაინც რა აინტერესებთ ევროპელ ტურისტებს საქართველოში?

ევროპელების აზრით, ვიზიტის საუკეთესო დროა ივნისი-სექტემბერი, ოქტომბერი გამოირჩევა ჭირისიგული ნაკადების შემცირებით, კერძოდ, სეზონთაშორისი პერიოდი განთავსების სექ-



ტორისათვის ფასდაკლების პერიოდი, ხოლო ხელმოკლე ტურისტებისათვის კი ასეთი პერიოდი ხელმისაწვდომია.

ევროპელებისათვის ძირითად მონახულებად ადგილებად კვლავ დარჩება: ძველი თბილისი-კალა უბანი, ევროპული მოდერნისტული არქიტექტურული შენობები, ძველი ეკლესია-მონასტრები, რუსთაველისა და აღმაშენებლის ხეივანები; ბათუმი-ბოტანიკური ბაღი, სადაც თავმოყრილია მრავალი ევროპული ჯიშის ნარგავი; ქუთაისი-გელათის და ბაგრატიის ტაძრები.

ევროპელი ტურისტების მოზიდვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება ახალი ავიაკომპანიის გამოჩენა ქართულ ავიაბაზარზე, კერძოდ, Wizzair-ის პირდაპირმა რეისებმა ხელი შეუწყო ტურისტების დაინტერესებას.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ტურიზმის სფეროში დასაქმებული გიდების, ტუროპერატორებისა და მძღოლების კვალიფიკაცია.

დღეს საქართველოში ბევრი რამ კეთდება პროფესიული კადრების მომზადება/გადაამზადების საკითხებში. პროფესიულ სასწავლებლებში შეისწავლება გიდის, სასტუმრო და სარესტორნე საქმის მწარმოებელის, ტუროპერატორის პროფესიები. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ლიცენზირებისა და სერთიფიცირების შემოღება, რაც მოხსნიდა ტურიზმის სფეროში მომსახურე მაღალკვალიფიცირებული კადრებით უზრუნველყოფას, რასაც აღნიშნული პროფესიული სასწავლებლები იძლევიან.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში პროფესიული სასწავლებლებისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით არაერთი პროექტი მიმდინარეობს, რომელთა დანიშნულებას პროფესიული განათლების სექტორის რეფორმირება და განვითარება წარმოადგენს. პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში მრავალი ინიციატივა ხორციელდება, რომელიც საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ სისტემასთან გათანაბრებას უწყობს ხელს, ეს კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართულ ტურისტულ ბაზარზე ევროპელი ტურისტების მოზიდვას.

## გამოყენებული ინტერნეტ-რესურსები:

1. [www.unwto.org](http://www.unwto.org)
2. [www.gnta.ge](http://www.gnta.ge)
3. WTTC Travel and Tourism. World economic impact 2015
4. <http://works.doklad.ru>
5. <http://izmailonline.com>



**ეთერ ნარიმანიშვილი**  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## ადგილის როლი სოციალურ მარკეტინგში

### ანოტაცია

სტატიაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისათვის სოციალური მარკეტინგის რეალიზაციის ადგილი წარმოადგენს საზოგადოების სოციალური ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ ელემენტს, რომლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი განვითარების მაჩვენებლები წარმოადგენს უქმნიან ხელისუფლებას იმის შესახებ, თუ რამდენად უზრუნველყოფილია საზოგადოება. განანილების არხი უნდა მოიცავდეს მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ სასარგებლო ფუნქციებს როგორც კომერციული პროდუქტის შემთხვევაში, ასევე სოციალური პროდუქტის განანილების დროს. მოქმედი არხის ელემენტებით იქმნება გუნდი, რომელიც ოპტიმალურად აწვდის სოციალურ პროდუქტს მიზნობრივ ბაზარს.

**საკვანძო სიტყვები:** მარკეტინგი, სადისტრიბუციო, საცალო, საბითუმო, შუამავალი, სუპერ-მარკეტი.

**Eter Narimanishvili**  
Samtskhe-Javakheti State  
University Associate Professor

## THE ROLE OF THE PLACE IN SOCIAL MARKETING

### Abstract

The article notes that the realization of social marketing for the state government is one of the elements of social infrastructure of society, whose quantitative and qualitative development indicators represent the government about how well the society is provided. The distribution channel should include only those organizations that perform useful functions. In the case of commercial products as well as social products, the channel elements are created by a team that optimizes the social product to the target market.

**Key words:** marketing, distribution, retail, wholesale, mediator, supermarket



## ადგილის როლი სოციალურ მარკეტინგში

პროდუქტისა და მომსახურების განაწილების არხები წარმოადგენენ იმ ორგანიზაციების ერთობლიობას, რომელთა საშუალებით სოციალური პროდუქტი ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისათვის გარკვეული დროისა და ადგილის პირობებში. დისტრიბუციის არხების მიზანს სოციალურ მარკეტინგში წარმოადგენს ხელშეწყობი ქცევის ცვლილებები. ტიპიურად სოციალური მარკეტოლოგები არ ფლობენ დისტრიბუციის არხებს ამის ნაცვლად, სოციალური მარკეტინგის როლია მაქსიმალურად გაზარდოს არსებული არხების გამოყენება სოციალური მარკეტინგის პროდუქტის სხვადასხვა ელემენტების მიწოდებაში. განაწილების არხი უნდა მოიცავდეს მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ სასარგებლო ფუნქციებს. როგორც ჩვეულებრივი პროდუქტის შემთხვევაში, შეთანხმებულად მოქმედი არხის ელემენტები ქმნიან გუნდს, რომელიც ოპტიმალურად აწვდის სოციალურ პროდუქტს მიზნობრივ ბაზარს. მომხმარებლისათვის არაკომერციული გაცვლის ადგილი წარმოადგენს ფიზიკურ ადგილს, სადაც იგი შეიძენს მისთვის სასურველ პროდუქტს გაცვლის გზით და უზრუნველყოფენ მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, მოქალაქეობრივი მოვალეობების შესრულებას.

სოციალური მარკეტინგის გაცვლის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია ისეთი მარკეტინგული ინსტრუმენტი, როგორიცაა ადგილი. ადგილი /PLACE/ სოციალური მარკეტინგული კომპლექსის მესამე კომპონენტია, რომელიც აღწერს თუ როგორ უნდა მიაღწიოს პროდუქტმა მიზნობრივ აუდიტორიამდე სოციალური პროდუქტის განაწილება და გავრცელება მნიშვნელოვანია, რადგან პროდუქტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს პოტენციური მყიდველისათვის. პროდუქტისა და მომსახურების განაწილების არხები წარმოადგენენ იმ ორგანიზაციების ერთობლიობას, რომელთა საშუალებით სოციალური პროდუქტი ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისათვის გარკვეული დროით და ადგილის პირობებში. კომერციული მარკეტინგის შემთხვევაში ასეთი ორგანიზაციების როლს ასრულებენ საბითუმო და საცალო ვაჭრობის რგოლები, აგენტები, დილერები, სავაჭრო შუამავლები, ბირჟები აუქციონები და სხვა. არაკომერციული მარკეტინგის პირობებში კი დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ სოციალური პროდუქტის შექმნა რომელ ადგილას მოხდება. ადგილი მომხმარებლისათვის კომფორტული და მოსახერხებელი უნდა იყოს. ეს შეიძლება იყოს ადგილები, სადაც ხდება მომსახურება, ხელშესახები პროდუქტების დისტრიბუცია, ადგილები, სადაც ორგანიზაციები და ინდივიდები ახდენენ სასურველი ქცევის ფორმირებას. ასევე ადგილი, რომელიც აღწერს თუ როგორ უნდა მიაღწიოს პროდუქტმა მიზნობრივ აუდიტორიას. სოციალური მარკეტინგის რეალიზაციის ადგილი წარმოადგენს საზოგადოების სოციალური ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ ელემენტს, რომლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი განვითარების მაჩვენებლები



ნარმოადგენას უქმნიან ხელისუფლებას იმის შესახებ, თუ რამდენად უზრუნველყოფილია საზოგადოება ასეთი „ადგილებით“. ადგილის შერჩევას პროგრამის ან განსაზღვრული ღონისძიებების ჩასატარებლად დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მხედველობაშია მისაღები, რომ იგი თავისი მონაცემებით მაქსიმალურად პასუხობდეს მომხმარებელთა აუცილებელ მოთხოვნებს. თუ როგორია პროდუქტისა და მომსახურების ურთიერთშესაბამისობა, დამოკიდებულია აუდიტორიის განწყობასა და შეფასებაზე. ამიტომ ყველა კატეგორიის მომხმარებელს (მათ შორის ინვალიდებს) უნდა შეეძლოთ ღონისძიებებში მონაწილეობა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. სოციალური მარკეტინგის რეალიზაციის არხებში კომერციული მარკეტინგის ანალოგიურად შეუძლებელია ჩართული იქნენ საცალო და საბითუმო ვაჭრობის შუამავლები, აგენტები, დილერები და სხვა.

სოციალურ მარკეტინგში ნარმოადგენილი არიან განსხვავებული მონაწილეები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ გაცვლის პროცესს ისეთ ადგილას, სადაც ფიქსირდება მომხმარებელთა მყისიერი რეაქცია. როგორც წესი, სოციალური მარკეტინგის არხები ხანმოკლეა. როდესაც სოციალური მარკეტინგის კამპანია საზოგადოებას სთავაზობს ფიზიკურ პროდუქტს, მაშინ პროდუქტის დისტრიბუცია უნდა განხორციელდეს შესაბამის ადგილას. ეს ადგილი შეიძლება გულისხმობდეს საწყობს, მწარმოებლის ოფისს ან კლინიკას, საცალო ვაჭრობის ნერტილებს, საზოგადოებრივ ღონისძიებებს და ა.შ. ხოლო არამატერიალური პროდუქტებისთვის არსებობს მრავალი ადგილი: ინტერნეტი, ტელევიზია, რადიო, სამსახური თუ სკოლა, ავტობუსი, ან ექიმის კაბინეტი, მაღაზია და სხვა. მიზნობრივი აუდიტორიის ქცევის, მომხმარებელთა გამოცდილებისა და არსებული მინოდების სისტემით კმაყოფილების დონის განსაზღვრით, მარკეტოლოგები იგებენ, როგორი უნდა იყოს შეთავაზებული პროდუქტის საუკეთესო დისტრიბუციის ფორმა და ადგილი. რადგანაც სოციალური პროდუქტი ფიზიკურად ხელშესახები არ არის, იგი უფრო კონცეპტუალურია და ადგილზე მისი მიტანა პრობლემატურია. სოციალურ მარკეტინგში მარკეტინგული კომპლექსის ეს ელემენტი ხშირად უარყოფილია, თუმცა ეფექტიანი დისტრიბუციის გარეშე წარმატების მიღწევა შეუძლებელია. იმის გამო, რომ სოციალური პროდუქტები არახელშესახები და ხშირად აბსტრაქტულია, ადგილის ან დისტრიბუციის როლი პრობლემატურია. იდეების გავრცელებას ხშირად შთანქავს ხოლმე სტიმულირება და ის განიხილება, როგორც სტიმულირების ერთ-ერთი ასპექტი. როდესაც მთავარი სოციალური პროდუქტი არის იდეის დონეზე, მისი ბაზრისთვის მიწოდება უნდა შემომწოდეს მარკეტინგული კომპლექსის საშუალებით. სოციალურ მარკეტინგში ადგილი მარკეტინგული კომპლექსის ტრადიციულად ყველაზე უგულვებელყოფილი ელემენტია. გარდა ამისა, ეფექტური სადისტრიბუციო არხის გარეშე, რომელიც გაამარტივებს ქცევის ცვლილებას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კამპანიამ წარმატებას მიაღწიოს. იმისათვის რომ სოციალური პროდუქტის გავრცელება რეალური იყოს, აუცილებელია ახალი ქცევის აღქმა მომხმარებლის მიერ. მისი გავრცელება შინაარსობრივად ისეთივეა, როგორიც ნებისმიერი კომერციული პროდუქტის დისტრიბუცია. თითქმის შეუმჩნეველი განსხვავებები წარმოიშობა საცალო ვაჭრობის ობიექტების



შემთხვევაში, სადაც მომხმარებელს შეუძლია პროდუქტის შექმნა ან მიღება. სოციალური კამპანიები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ სამთავრობო ორგანიზაციებზე, სკოლებზე, ფარმაცევტულ და ჯანდაცვის დაწესებულებებზე. მაგალითად, შიდსის ვირუსის გავრცელებასთან ერთად ვირუსის თავდაცვის საშუალებების სადისტრიბუციო არხები სწრაფად ფართოვდება. იგი მოიცავს სავაჭრო ობიექტებს, სუპერმარკეტებსა და სხვა მომსახურების ადგილებს, რათა მოსახლეობას ხელმისაწვდომობის საშუალება გაეზარდოთ. როდესაც პროდუქტი სოციალური იდეაა, ხოლო სადისტრიბუციო არხები ზოგჯერ მედია საშუალებებია, მაშინ ერთ-ერთი მოსახერხებელი ასპექტი იდეებზე დაფუძნებული კამპანიისა არის ის, რომ იდეა შეიძლება გავრცელდეს მასტიმულირებელი პროგრამის დახმარებით. იდეა სოციალური კომუნიკაციების საშუალებითაც შესაძლებელია ზეპირად გავრცელდეს სპონსორი სააგენტოს დაფინანსების გარეშე. ტრადიციული კომუნიკაციის საშუალებების გარდა, განსაკუთრებული აქცენტი სოციალურ მარკეტინგში კეთდება გაყიდვებში მედიკოსს პროფესიონალების როლზე და მოხალისეებზე, განსაკუთრებით ჯანდაცვის სექტორში. დისტრიბუციის არხების მიზანს სოციალურ მარკეტინგში წარმოადგენს ხელშემწყობი ქცევის ცვლილებები. სოციალური მარკეტოლოგები არ ფლობენ დისტრიბუციის არხებს, ამიტომ სოციალური მარკეტინგის როლია მაქსიმალურად გაზარდოს არსებული არხების გამოყენება სოციალური მარკეტინგის პროდუქტის სხვადასხვა ელემენტების მიწოდებაში. სოციალური მარკეტინგი ეყრდნობა პარტნიორებისა და შუამავლების ეფექტიან ურთიერთობებს როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სექტორშიც.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ამსტრონგი, ფ. კოტლერი, მარკეტინგის საფუძვლები, ინგლისურიდან თარგმანი, თბ., 2006.
2. თ. გიგაური, ქართული ხასიათი მარკეტერთა ობიექტივში, რ. თ ფსიქოგრაფია – ქართველი მომხმარებელს სემენტაციის უნიკალური ინსტრუმენტი, თბ., 2007.
3. თ. ზურაბიშვილი, თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევებში, სოციალურ მეცნიერებათა სერია, თბ., 2006.
4. საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებისა და მოლოდინის კვლევა, გაეროს განვითარების პროგრამა, თბ., 2007.
6. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბ., გაეროს განვითარების პროგრამა, 2007.
7. ქ. მარშავა, მ. მინდორაშვილი, სტატისტიკის თანამედროვე პრობლემები, თბ., 2012
8. მ. მაცაბერიძე, პოლიტიკური მარკეტინგის საფუძვლები, თბი., 2003.



**ივანე სეხნიაშვილი**  
ფილოლოგიის დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი

**დეზინფორმაციის ძალა და მისი გავრცელების თავისებურებანი  
თანამედროვე სოციალურ მედიაში**

**ანოტაცია**

ნინამდებარე სტატიაში „დეზინფორმაციის ძალა და მისი გავრცელების თავისებურებანი თანამედროვე სოციალურ მედიაში“, საუბარია თუ რა როლი აკისრია სოციალურ მედიას 21-ე საუკუნის ადამიანის ცხოვრებაში და არის თუ არა დეზინფორმაცია პროპაგანდა. ცნობისმოყვარე საზოგადოების უმეტესობა უახლეს ინფორმაციას მიმდინარე მოვლენების შესახებ სწორედ სოციალური მედიის საშუალებით იღებს. ჩვენთვის ცნობილია, რომ სოციალური მედია სათავეს 2000 წლიდან იღებს. სოციალურ მედიაში ინფორმაცია ვრცელდება ოპერატიულად ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით. ეს კი ძალიან განსხვავდება ტრადიციული მედიისაგან.

დეზინფორმაცია ხშირად ვრცელდება საინფორმაციო სააგენტოების საშუალებითაც. თუმცა მართებულია, ზოგადად მედიაში, ორივე დაპირისპირებული მხარის არგუმენტების მოტანა, რაც მედიის, კონკრეტულ შემთხვევაში კი სააგენტოს მიუკერძოებლობაზე იმეტყველებს. ჩვენ ზოგადად ავხსენით პროპაგანდის, ცრუ ინფორმაციის, ჭორის ბუნება. კონკრეტულად კი ვისაუბრეთ, თუ რას წარმოადგენენ ეს მოვლენები, რა პროცესები იწვევს მათ გაჩენას და რა ფუნქციებს ასრულებენ ისინი. თუმცა საკითხი ამით არ ამოვწურეთ.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ ყველაზე სერიოზული პრობლემის დროსაც კი ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას, ასევე ყველაზე ოპერატიულად, სწორედ სოციალური მედია ავრცელებს. თუმცა არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ სწორედ სოციალური ქსელები ავრცელებს დეზინფორმაციას, რომელიც აიძულებს მოსახლეობის უმეტესობას ნაჩქარევი დასკვნები გამოიტანოს და გაავრცელოს ცრუ ინფორმაცია, რომელიც თავის მხრივ ადამიანში შიშს და დაბნეულობას იწვევს. სამწუხაროა, რომ ცრუ ინფორმაცია ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.



**Ivane Sekhniashvili**

*Doctor of Philology, Professor  
New Higher Education Institute*

**THE POWER OF MISINFORMATION AND THE CHARACTERISTICS  
OF ITS SPREADING IN THE FREE SOCIAL MEDIA**

**Abstract**

The given article „The Power of Misinformation and the Characteristics of its Spreading in the Free Social Media“ discusses what kind of roles the social media has in the life of a person of the 21<sup>st</sup> century and if spreading misinformation is propaganda or not. The majority of the curious society receive information with the help of the social media. The social media has started existing since 2000. The information is spread in the social media in dispatch with the help of digital technologies. It is different from the traditional media.

Misinformation is often spread with the help of informative agencies. Although it is right to have the arguments of both sides in the media and that will show the detachment of the media, to be more concrete the detachment of the agency. Misinformation is also spread through social webs. This makes the majority of the population make quick conclusions and spread false information. All this make people scared and confused.

The experience has shown that with the help of the social media the most important information is spread in dispatch. Although we must not forget that misinformation is also spread with the help of the social webs. This makes the majority of the population make quick conclusions and spread false information. Unfortunately misinformation has become an inseparable part of everyday life.





## დეზინფორმაციის ქალა და მისი გავრცელების თავისებურებანი თანამედროვე სოციალურ მედიაში

დეზინფორმაცია – ეს არის პროპაგანდა თუ სიმართლის დადგენის მიზნით სხვადასხვა მედია-საშუალებებით სპეციალურად გავრცელებული ცრუ ინფორმაცია? ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, დეზინფორმაცია (ფრ.) ყალბი ინფორმაციით ადამიანების შეცდომაში შეყვანას ნიშნავს („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, 1986. 211).

რა არის სოციალური მედია? ეს არის ონლაინკომუნიკაციის უწყვეტი ფორმა, რომელიც სხვადასხვა არხის დახმარებით საშუალებას აძლევს მომხმარებელს, მუდმივად იყვენ ჩართული მათთვის საინტერესო პროცესების შეფასებასა და განახლებაში.

რა როლი უჭირავს სოციალურ მედიას 21-ე საუკუნის ადამიანის ცხოვრებაში? ცნობისმოყვარე საზოგადოების უმეტესობა უახლეს ინფორმაციას მიმდინარე მოვლენების შესახებ სწორედ სოციალური მედიის საშუალებით იღებს. ჩვენთვის ცნობილია, რომ სოციალური მედია სათავეს 2000 წლიდან იღებს. სოციალურ მედიაში ინფორმაცია ვრცელდება ოპერატიულად ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით. ეს კი ძალიან განსხვავდება ტრადიციული მედიისაგან, ვგულისხმობთ პრესას, რადიოსა და ტელევიზიას, სადაც ნიუსი მკითხველამდე, მსმენელსა და მაყურებელამდე რამდენიმე ეტაპს გადის. ბოლო პერიოდში საქართველოში სოციალური მედიის მიმართ ინტერესი ძალიან გაიზარდა.

ყურადღებას გავამახვილებთ ბლოგებზე, რომლებიც ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი, უფასო ინფორმაციის მიღების წყაროა და ასევე დიდ როლს თამაშობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესში. სოციალური მედიის მნიშვნელობა ყოველდღე იზრდება. მაგალითად, ვიდრე ადამიანი სახლიდან გავა და დროს დახარჯავს გაზეთის ყიდვისას, უფრო მარტივია სახლის პირობებში, უმოკლეს დროში, ინტერნეტის მეშვეობით გაეცნოს ამა თუ იმ ბლოგს, რომელიც მას მიაჩნია საინტერესოდ და მიიღოს უახლესი ინფორმაცია მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან.

ახლა რაც შეეხება ინფორმაციას და მისი გავრცელების პროცესს. ყველა სახის ინფორმაცია (პოლიტიკური, კულტურული, სპორტული, სოციალური, რელიგიური და ა.შ.) მასმედიით და ახლა უკვე სოციალური მედიის მეშვეობითაც ვრცელდება. პროპაგანდა იყო და რჩება ერთ-ერთი მთავარი იარაღი საინფორმაციო ომის დროს. საბოტაჟი, ტყუილი, დეზინფორმაცია, მითები – ვინ და როგორი ფორმით აწარმოებს საინფორმაციო ომს ამა თუ იმ ქვეყნის, პირის თუ ზოგადად საზოგადოების წინააღმდეგ? ჩვენთვის ცნობილია, რომ დეზინფორმაცია ერთ-ერთი მთავარი მეთოდია, რომელსაც ავტორიტარული რეჟიმები მიმართავენ მოსახლეობაზე გავლენის მოსაპოვებლად. ბო-



ლო პერიოდის საქართველოში ეს უფროდაუფრო მკაფიოდ შესამჩნევი ხდება, თუ გადავავლებთ თვალს ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებას, მაგრამ ამაზე ამჯერად არ გავამახვილებთ ყურადღებას.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ ყველაზე სერიოზული პრობლემის დროსაც კი ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას, ასევე ყველაზე ოპერატიულად, სწორედ სოციალური მედია ავრცელებს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ სოციალური ქსელები ავრცელებს დეზინფორმაციას, რომელიც აიძულებს მოსახლეობის უმეტესობას ნაჩქარევი დასკვნები გამოიტანოს და გაავრცელოს ცრუ ინფორმაცია, რომელიც თავის მხრივ ადამიანში შიშს და დაბნეულობას იწვევს.

დეზინფორმაცია ხშირად ვრცელდება საინფორმაციო სააგენტოების საშუალებითაც. თუმცა მართებულია, ზოგადად მედიაში, ორივე დაპირისპირებული მხარის არგუმენტების მოტანა, რაც მედიის, კონკრეტულ შემთხვევაში კი სააგენტოს მიუკერძოებლობაზე იმეტყველებს. მაგალითად, 2014 წლის 22 მაისს საინფორმაციო სააგენტომ „ნიუს.ჯიმ“ გამოაქვეყნა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ სპეციალური განცხადება თბილისში წყლის ხარისხთან დაკავშირებით გავრცელებულ დეზინფორმაციასთან დაკავშირებით, თითქოს მოსახლეობის ონკანებში დაბინძურებული წყალი მოედინება და ის საფრთხეს უქმნიდა თბილისელების ჯანმრთელობას. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ თბილისის მოსახლეობისათვის მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხი სრულად შეესაბამება ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს, რაც გულისხმობს იმას, რომ დედაქალაქის ნებისმიერ უბანში, თბილისელებისათვის მიწოდებული სასმელი წყალი ერთნაირად ხარისხიანია. წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებით გავრცელებულია შეგნებული და, შესაძლოა, ორგანიზებული დეზინფორმაცია, რომელსაც არანაირი საფუძველი არ გააჩნია. უცნობი პირებისაგან შემდგარი ჯგუფი რეკავს საინფორმაციო სააგენტოებში, ტელეკომპანიებში, ცალკეულ მოქალაქეებთან და უცხადებენ, რომ ონკანის წყალი საშიშია სასმელად. ეს არის ისეთივე და, შესაძლოა, უფრო დიდი დანაშაული, როგორც უკვე არაერთხელ გავრცელდა, მაგალითად, სხვადასხვა დაწესებულებებში ასაფეთქებელი ნივთიერებების შესაძლო არსებობასთან დაკავშირებით ([www. news.ge](http://www.news.ge)). განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომპანია მიმართავს სამართალდამცველებს დადგინდეს დეზინფორმაციის წყარო. მათი აზრით, ის რაც ხდება, არის დანაშაული და ამით ზარალდება არა მხოლოდ კომპანიის ავტორიტეტი, არამედ პირველ რიგში თბილისის მოსახლეობა, რომელიც შეგნებულად შეიყვანეს შეცდომაში. კომპანია ასევე აპირებს მოითხოვოს სანქციების გამკაცრება იმ პირების მიმართ, ვინც მსგავს დეზინფორმაციას ავრცელებს. აქვე შეიძლება დავსვათ შემდეგი შეკითხვა: წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით გავრცელებული „ცრუ“ ინფორმაცია დაეხმარება თუ არა კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ხელმძღვანელობას გააძლიეროს კონტროლი საკუთარი კომპანიის თანამშრომელთა საქმიანობის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებასა და დახვეწაში? თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენ ერთი ნუთითაც არ გვეპარება ეჭვი აღნიშნული კომპანიის თანამშრომელთა კომპეტენციაში.



კიდევ ერთი მაგალითი გვინდა მოვიყვანოთ საინფორმაციო სააგენტოების მიერ დეზინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით. 2017 წლის 11 ივლისს საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ აქვეყნებს ინფორმაციას შემდეგი სათაურით: „კახა კახიშვილი დეზინფორმაციის გავრცელების გამო გიორგი ბაჯელიძის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს“. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა ორგანიზაცია „შეაჩერე კორუფციის“ დამფუძნებელი დეზინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა. კახა კახიშვილი პრესკონფერენციაზე გიორგი ბაჯელიძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომელიც სამინისტროში გამართულ ტენდერებს ეხებოდა. „საუბარი იყო იმაზე, რომ სამ კომპანიას გამართივებული წესით გაუფორმეთ ხელშეკრულება. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროს პრიორიტეტია პატიმრების დასაქმება, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ბიზნესნახალისებები კეთდება იმისათვის, რომ ბიზნესმა გახსნას და სანარმოებში დაასაქმოს პატიმრები“ – განაცხადა მინისტრმა კახიშვილმა და ამის მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის ქვეყნები დაასახელა. მისივე თქმით, ეს არის ევროკავშირის რეკომენდაციები სასჯელაღსრულების უწყებისათვის, რათა მოხდეს ბიზნესის ინტერესების დაცვა, რათა შეიძლება მეტი სანარმო გაიხსნას სამინისტროში და პატიმრები დასაქმდნენ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის განცხადებით, სწორედ დეზინფორმაციის გავრცელების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანა იგეგმება. „მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელება და საზოგადოების შეგნებულად შეცდომაში შეყვანა აუცილებლად დასრულდება გიორგი ბაჯელიძის სასამართლოში გამოცხადებით. ჩვენ ვგეგმავთ, რომ სარჩელი შევიტანოთ მისი და მისი ორგანიზაციის წინააღმდეგ. ვინაიდან გაკეთდა განცხადება კორუფციულ სქემებთან დაკავშირებით. მივმართავ პროკურატურას, რომ დაიწყოს გამოძიება ამ ფაქტზე, გამოიძახონ ბატონი ბაჯელიძე მოწმის სახით, გააფრთხილონ ცრუ დასმენაზე პასუხისმგებლობის შესახებ და თუ მისი განცხადებები არ დასრულდება ბრალის დადასტურებით, მაშინ მას მოუწევს ბრალის აღიარება. სხვათა შორის სანქცია არის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და იმედს ვიტოვებ, რომ ზოგიერთი ამის შემდეგ გამოსწორდება“ – აღნიშნა კახა კახიშვილმა ([www.ipn.ge](http://www.ipn.ge)).

რა ხდება მაშინ, როდესაც სოციალური მედია პროპაგანდისა და ცრუ ინფორმაციის გავრცელების საშუალება ხდება? ამ შეკითხვაზე პასუხად საინტერესოდ მიგვაჩნია „ნეტგაზეთში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ სოციალური მედიის ექსპერტთან ამერიკის შეერთებული შტატებიდან. გლენ გილმორი აღნიშნავს, რომ „სოციალური მედია არ არის ცალკე გამოყოფილი სივრცე, ის არ არსებობს დამოუკიდებლად, მასში ყველა აქტორი არის მნიშვნელოვანი. იმისათვის, რომ პროპაგანდას დაუპირისპირდე, არა მხოლოდ სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს, რომ გავრცელებული ფაქტები არასწორია, არამედ თავად საზოგადოება უნდა იყოს ეჭვიანი მიღებული ინფორმაციის მიმართ. მათ თავად უნდა ჰქონდეთ სურვილი გაავრცელონ კონტრინფორმაცია – ფოტო, ვიდეო, მიმართვა. როდესაც ვცდილობთ ცრუ ცნობებს, პროპაგანდას და მსგავს კამპანიებს დაუპირის-



პირდეთ, ჩვენ ვავრცელებთ რეალურ ინფორმაციას და იმ ადამიანების დახმარებით, რომლებიც ჩვენ უკვე გვენდობიან, მიგვაქვს ის უფრო დიდ აუდიტორიასთან ([www.netgazeti.ge](http://www.netgazeti.ge)).

ცნობილია, რომ ქორი, ანუ დღევანდელი გაგებით იგივე დეზინფორმაცია არის დაუფიქრებელი ან განზრახული საუბარი ადამიანის პირად და ზოგად საქმეზე. ქორი შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც სიმართლეს, თუმცა ეს, ჩვენი აზრით, იშვიათობაა, ისევე სრულიად აბსურდულ და შელამაზებულ ამბებს. როდესაც ქორს ვახსენებთ, უმეტესობას არასასიამოვნო განწყობა ეუფლება. თუმცა, რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ის ხმის გავრცელების ერთ-ერთი სწრაფი და უძველესი მეთოდია.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ვიდრე მსოფლიო კომპიუტერიზაცია დაიწყებოდა და გლობალიზმი მთელ ქვეყანას მოედებოდა, აკაკი წერეთელი თავის პუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილში ქორის შესახებ შემდეგს წერდა: „ასე მოხდება ხოლმე ხშირად: შენი დაბარებული, შენი გატანებული სიტყვა, გადასხვაფერებულად მიდის და თავიც ვეღარ გიმართლება. ძნელი გასარჩევია ტყუილი და მართალი!.. სოლომონ ბრძენსა ჰკითხეს: „მართალი ტყუილიდამ რამ სიმორეზეაო? – ერთ ხელის დადებაზეო!“ მიუგო პასუხად... „აი თუ არ გჯერათ, აბა შეხედეთო! და დაიდვა ხელი თვალსა და ყურს შუა, ყვრიმალზე, რომელიც სწორედ ერთი ხელის დადება გამოდგა. „თვალთ რასაც ნახავს კაცი, ის მართალია და ყურით რასაც გაიგონებსო, ის კი ტყუილიაო!“ ვინ არ დაეთანხმება ამ ჭეშმარიტებაზე? ვინ არა ჰგრძნობს, რომ ქორს აყოლა სისულელეა და მეჭორობა სულის სიგლახაკე, მაგრამ, ვაი, რომ ერთსა და მეორესაც ბევრი მუშტარი ჰყავს; დიახ, ჰყავთ და ეყოლებათ კიდევაც, სანამ მაზანდა არ დაინევს!..“ (აკაკი წერეთელი, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები, 1990. 401). და ისევ აკაკის იმავე წერილიდან მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც ასევე საინტერესოდ მიგვაჩნია, რადგან ის ერთი საუკუნის წინანდელ და დღევანდელ რეალობას ერთი ერთში ასახავს. „ზოგიერთმა მაინც ნამეტანი იცის. აი, მაგალითად, ვინ არ იცნობს პეპელაანთ ჩიხტიკოპას?.. სტამბაა ის შეჩვენებული, დღიური გაზეთთა სწორედ, მრავალ-ნომრებიანი. არც რედაქტორი ეჭირვება, არც გამომცემი, არც ცენზორი, არც მესტამბე და არც სხვა ვინმე. ყველა თვითონვე არის. ნამოადებს ენას და გაუსვ გამოუსვამს ჭიანურივით. ბევრჯელ მომსვლია აზრათ, წინიდან მიმეჭირებია ტუჩებზე ხელი, რომ ენა დამემწყვდია, მაგრამ რა გამოვიდოდა, გამქცევს რომ წინ კარები დაუკეტოთ, უკანიდან გავარდება და მაინც ვერ დააკავებ?...“ (აკაკი წერეთელი, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები, 1990. 402). სამწუხარო კი ის არის, რომ აკაკის წერილში მოყვანილ „ჩიხტიკოპას“ უამრავი თანამოაზრე ჰყავს, რასაც მწერალი ნუხილით აღნიშნავს: „თამარ დედოფალს იმდენი ამაღლა არ ჰყოლია, რამდენი დამქაშიც ამ ჩიხტიკოპას ახვევია გარს და ვისაც ისინი ყბად აიღებენ, ვაი მისი ბრალი“ (იქვე, 402).

ამ ეტაპზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენ ზოგადად ავხსენით პროპაგანდის, ცრუ ინფორმაციის, ქორის ბუნება. კონკრეტულად კი ვისაუბრეთ, თუ რას წარმოადგენენ ეს მოვლენები, რა



პროცესები იწვევს მათ გაჩენას და რა ფუნქციებს ასრულებენ ისინი. თუმცა საკითხი ამით არ ამოვსურეთ.

და ბოლოს გვინდა ისევ დავუბრუნდეთ ცრუ ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც ჩვენი მუშაობის პერიოდს ემთხვევა. 90-იანი წლების დასასრულს, თბილისში, მ. კოსტავას ქუჩის ნომერ 68-ში მდებარე საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის შენობაში „ღამის მოამბის“ დაწყებამდე დაახლოებით ერთი საათით ადრე, გაისმა სატელეფონო ზარი. ანონიმური ხმა შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ იტყობინებოდა. ვინაიდან სამუშაო დღე თითქმის ბევრი თანამშრომლისათვის უკვე დასრულებული იყო და ტელევიზიის პირველ კორპუსში მხოლოდ მორიგე ჯგუფი ვმუშაობდით, მომხდარის შესახებ დიდი პანიკა არ შექმნილა. რა თქმა უნდა, სპეციალურმა სამსახურების წარმომადგენლებმა, რომლებიც ადგილზე ოპერატიულად გამოცხადდნენ, ტელევიზიის ხელმძღვანელობასთან ერთად, შემოქმედებით ჯგუფს დაგვატოვებინეს შენობა და სპეცტექნიკისა და კარგად განვრთნილი ძალების მეშვეობით დაიწყეს შენობის საფუძვლიანი შესწავლა. რამდენიმე საათიანი ძებნის შემდეგ ტელევიზიის შენობაში, საბედნიეროდ, არავითარი ნაღმი არ აღმოჩნდა. სპეციალური სამუშაოები ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, რომ ჩვენი ყოველდღიური ღამის საინფორმაციო გამოშვებაც წარმატებით გავიდა ეთერში, მიუხედავად იმისა რომ ჩვენ საეთერო ღელვას, რომელიც ბუნებრივად თან ახლავს პირდაპირ ეთერში მუშაობას, დამერწმუნეთ ძალზედ უსიამოვნო ინფორმაციის გავრცელებით გამოწვეული ღელვაც დაემატა, თუმცა ტელემყურებელს ეს საერთოდ არ უგრძენია, რაც ჩვენი კოლეგების პროფესიონალიზმზე მიუთითებს (ავტ).

ამრიგად, დეზინფორმაციის გავრცელება თანამედროვე სოციალურ თუ ტრადიციულ ქართულ მედიაში მიგვაჩნია, რომ არის ზეპირსიტყვიერი არაფორმალური მასობრივი კომუნიკაციური პროცესი. ჩვენი აზრით, დეზინფორმაციას და მის გავრცელებას პრესაში, რადიოს, ტელევიზიასა და ახლა უკვე სოციალურ მედიაში აქვს მხოლოდ უარყოფითი მხარე. ვფიქრობთ, „მოგებულები“ ამით არავინ რჩება. სამწუხაროა, რომ ცრუ ინფორმაცია ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. როგორც ვნახეთ ის სათავეს ჯერ კიდევ ძველი დროიდან იღებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986. გვ. 211.
2. იხ. <http://www.for.ge>
3. იხ. <http://www.news.ge>
4. იხ. <http://www.ipn.ge>
5. იხ. <http://www.netgazeti.ge>
6. აკაკი წერეთელი, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად., თბ., ტ. IV, 1990. გვ. 401-402.



ია ხარაზი

სამართლის დოქტორი,  
აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის  
მონვეული პროფესორი

## საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმციული მეთოდების გამოყენების შესახებ

### ანოტაცია

საგადასახადო-სამართლებრივ რეგულირებაში განიხილება ფაქტიური პრეზუმციების გამოყენება, კერძოდ, საგადასახადო სამართლის ისეთი ინსტიტუტების ფორმირებაში, როგორცაა, საავანსო გადასახადები, საგადასახადო ბაზის განსაზღვრის გამოთვლითი მეთოდი, საგადასახადო დაბეგვრის ხარჯების ნორმატივები, სპეციალური საგადასახადო რეჟიმები.

სტატიაში განხილულია სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინის საფუძველზე პრეზუმციური მეთოდების შესაძლო გამოყენებაზე საგადასახადო სამართალში, კერძოდ, არა მარტო საგადასახადო ბაზის განსაზღვრაში (შემოსავალი, მოგება), არამედ გადამხდელის დანახარჯის მიმართაც.

„პრეზუმციური დაბეგვრა“ მოიცავს პროცედურების მთელ რიგს, რომელთა შესაბამისად საგადასახადო ბაზა არ იზომება, მაგრამ გამომდინარეობს ზოგიერთი მარტივი მონაცემებიდან, რომელთა გამოთვლა უფრო ადვილია, როგორც თვით ბაზისის. დღეისათვის ამდაგვარი მეთოდები აქტიურად გამოიყენება მთელ მსოფლიოში. თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც პრეზუმპტიულმა გადასახადებმა ვერ მიიღეს ფართო გავრცელება, უკანასკნელ წლებში მსჯელობენ შესაძლო ზოგიერთი პრეზუმპტიული რეჟიმების ჩართულობაზე, ამერიკულ საგადასახადო სისტემაში და ა. შ.

**საკვანძო სიტყვები:** საგადასახადო სამართალი, გადასახადი, პრეზუმპცია, პრეზუმპციული მეთოდი, სპეციალური საგადასახადო რეჟიმი.



**Ia Kharazi***Akaki Tsereteli State University,  
Professor***ABOUT THE USE OF PRESUMPTIVE METHODS IN TAX REGULATION****Abstract**

In tax regulation it's discussed the issue of use of factual presumptions in the formation of such institutions as it is prepayment taxes, calculation method for determining tax base, taxation expense standard, special tax regimes.

The article discusses the issue of the use of presumptive methods in tax law based on court practice and doctrine. This applies not only the determination of tax base (income, profit) but also payer's expenses.

Presumptive taxation covers a wide range of procedures. According to them the tax base should not be measured, but follows from some simple data, which calculation is easy, as the base itself. Today such methods are actively used throughout the world. Even in the US, presumptive taxes have not been widely spread, in recent years discussing professionals about involvement some presumptive regimes in USA tax system.

*Keywords: tax law, tax, presumption, presumption method, special tax regime.*

## **საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმციული მეთოდების გამოყენების შესახებ**

საგადასახადო-სამართლებრივ რეგულირებაში განიხილება ფაქტიური პრეზუმციების გამოყენება, კერძოდ, საგადასახადო სამართლის ისეთი ინსტიტუტების ფორმირებაში, როგორცაა, საავანსო გადასახადები, საგადასახადო ბაზის განსაზღვრის გამოთვლითი მეთოდი, საგადასახადო დაბეგვრის ხარჯების ნორმატივები, სპეციალური საგადასახადო რეჟიმები.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო სამართალი, გადასახადი, პრეზუმცია, პრეზუმციული მეთოდი, სპეციალური საგადასახადო რეჟიმი.

პრეზუმცია: 1. ვარაუდზე დამყარებული მოსაზრება; 2. პრეზუმციები – სავარაუდო დასკვნებია, რომლებიც „ფაქტების ან მოვლენების ნამდვილობას ადგენენ მათი არსებობის სრული დასაბუთების გარეშე. ამგვარი განმარტების ავტორები პრეზუმციებს ყოფენ **ფაქტობრივ (pa-**



**esumptionez facti seu hominis**) და **სამართლებრივ (paesumptionez iuris)** პრეზუმფციებად, ხოლო **სამართლებრივ პრეზუმფციებს** შორის ანსხვავებენ ე.წ. ჩვეულებრივ პრეზუმფციებს, რომელთა უარყოფას დასაშვებად მიიჩნევენ (**paesumptionez iuris tantum**) და **სამართლებრივ პრეზუმფციებს**, რომლებიც გამორიცხავენ საწინააღმდეგოს დამტკიცების (პრეზუმფციების უარყოფის) შესაძლებლობას (**paesumptionez iuris de iure**). ამ უკანასკნელთ, ფაქტობრივად, სამართლის ნორმებთან – კანონებთან აიგივებდნენ. პრეზუმფციები, ძირითად შემთხვევაში, სამართლის ნორმების მსგავსად საკანონმდებლო პოლიტიკის სპეციალურ წესებს წარმოადგენენ და არა ვარაუდს, როგორც მას მიიჩნევენ. ამასთან, რიგი იურისტები სამართლებრივი პრეზუმფციებიდან საერთოდ გამორიცხავენ იმ ზოგად წესებს, რომლებიც მოსამართლეთა საქმიანობის საერთო პრინციპებს წარმოადგენენ. მაგ. დებულებას, რომ ადამიანი ივარაუდება კეთილსინდისიერად და შერაცხადად, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო. რიგი იურისტები საერთოდ უარყოფენ სამართლებრივი პრეზუმფციების შემოტანის საჭიროებას მათი „ფორმალური“ შინაარსის გამო. პრეზუმფციული დასკვნით ერთი ფაქტი ან მოვლენა არსებულად, დადგენილად ითვლება არაერთგზის მომხდარი ანალოგიური ფაქტებისა თუ მოვლენების საფუძველზე<sup>1</sup>.

ფილოსოფიური ენციკლოპედიის მიხედვით, პრეზუმფცია, გულისხმობს სინამდვილის, რეალობის ვარაუდს<sup>2</sup>. „პრეზუმფციის, როგორც სამართლებრივი კატეგორიის უკეთესად აღქმის მიზნებისათვის, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ვარაუდი და პრეზუმფცია. ვარაუდი არის ფაქტისადმი დამოკიდებულება, რომელიც დროებით, მტკიცებულების მოპოვებამდე ითვლება ნამდვილად, ხოლო პრეზუმფცია, ე. წ. დადასტურებული ვარაუდია და არსებობს იქამდე, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება, პრეზუმფცია თავისი ლოგიკური არსით, ინდუქციურ დასკვნას ემყარება, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული წარმოადგენს კონკრეტული შემთხვევების (ფაქტების) განზოგადებულ დასკვნას“<sup>3</sup>. ინდუქციური დასკვნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფაქტის განმეორებადობას პრაქტიკაში, რასაც ლოგიკურ შედეგამდე მიყვავართ. მაგალითისათვის, ერთი და იგივე ფაქტი, თუ დიდი ხნის განმავლობაში ერთსა და იმავე შედეგს იძლევა, აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ფაქტს ლოგიკურად აღნიშნული შედეგი მოყვება<sup>4</sup>. პრაქტიკაში განმეორებადი ფაქტები იმ კონკრეტული შედეგის პრეზუმფციას იძლევიან, რა შედეგიც აღნიშნულ ფაქტს სდევდა პრაქტიკაში. საგადასახადო სამართალში ზოგადი ნაწილის ნორმების დისპოზიცია ხშირად ემყარება პრეზუმფციებს, ე. ი. ფაქტების ნორმალური განვითარების ლოგიკურ შედეგს. მაგალითისათვის შეიძლება განხილულ იქნეს კონკრეტული რამდენიმე

<sup>1</sup> ბიზნესი და კანონმდებლობა – [რედ. იური პაპასქუა], ნოემბერი, 2009. ბიზნესი და კანონმდებლობა – [რედ. იური პაპასქუა], ნოემბერი, 2009.

<sup>2</sup> Краткая Философская Энциклопедия, Москва, 1994, стр. 362.

<sup>3</sup> ქეთევან მესხიშვილი, პრეზუმფციის არსი და მისი გაქარწყლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, გვ. 1. <http://www.library.court.ge/login.php?geo&authorisation>.

<sup>4</sup> იქვე.





ნორმა საგადასახადო კოდექსისა, კერძოდ, მ. 37, „გადასახადის გადამხდელის წარმომადგენელი“, რომლის მე-3 ნაწილის თანახმად, „გადასახადის გადამხდელის კანონიერი წარმომადგენლის ქმედება, რომელიც დაკავშირებულია საგადასახადო ურთიერთობებში ზემოაღნიშნული პირის მონაწილეობასთან, ითვლება თვით ამ პირის ქმედებად“. გამოდის, რომ, გადასახადის გადამხდელის წარმომადგენელი ინფორმირებულია, რომ იგი მხოლოდ წარმოდგენილი პირის რწმუნებით მოქმედებს და მის მითითებებს იგი ვერ გადაუხვევს; ან კიდევ, მ. 57, „გარდაცვლილი პირის საგადასახადო ვალდებულების შესრულება“, სადაც საუბარია იმის შესახებ, რომ გარდაცვლილი პირის საგადასახადო ვალდებულება მისმა მემკვიდრემ უნდა შეასრულოს, თუ იგი მემკვიდრეების ბიზნესს ჩაიბარებს, აქ მოქმედებს საგადასახადო პრეზუმფცია, გარდაცვლილი ვალდებული პირის ნაცვლად სახელმწიფოს წინაშე მის ვალდებულებებს მისი მემკვიდრე შეასრულებს, რომელიც მისი ბიზნესმემკვიდრეა. საინტერესოა მოგების გადასახადის ახალი ესტონური მოდელის დანერგვა საქართველოში, რომელიც საუკეთესო მაგალითია პრეზუმფციული მეთოდისა მოგების დაბეგრის სიტუმაში, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუკი საწარმოს რამდენიმე დამფუძნებელი ჰყავს და ერთ-ერთი მათგანი მოგებას „შინ“ წაიღებს (გაიტანს საწარმოდან), ხოლო დანარჩენები საწარმოში დატოვებენ და მის რეინვესტირებას მოახდენენ, მაინც ყველა მათგანი დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი რეჟიმით.

საინტერესოა ამ კუთხით სასამართლო პრაქტიკაც. საგადასახადო სამართლიდან შეიძლება განხილულ იქნეს სასამართლო პრაქტიკის მაგალითი, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად<sup>1</sup> შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შესაბამისად სხვა იურიდიული პირების) დირექტორსა და მართვით საქმიანობაში ჩართულ პარტნიორს შეიძლება დაეკისროთ პირდაპირ და უშუალოდ, მთელი თავისი ქონებით პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადო დავალიანებისათვის (მ.შ. საგადასახადო შემონმების აქტით დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებისათვის) იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი წინაპირობა: საზოგადოების პარტნიორის შემთხვევაში: 1. საზოგადოებას გააჩნია საგადასახადო დავალიანება (მ. შ. საგადასახადო შემონმების აქტით დარიცხული საგადასახადო ვალდებულებების) და არ შესწევს უნარი თავისი ქონებით დაფაროს აღნიშნული დავალიანება; 2. ხსენებული საგადასახადო დავალიანება გამონვეულია პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის (იცის რა, რომ იურიდიული პირი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარი ქონებით – მენ. შეს. კანონი, მ.44) ბოროტად გამოყენებით (მენ. შეს. კანონის მ.3.6.), რასაც ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა ის ფაქტობრივად მართავს საზოგადოებას და მისი საქმიანობა მიმართულია გადასახადების თავის არიდების სქემების შექმნისაკენ, ე. ი. როცა საზოგადოება გამოიყენება როგორც საგადასახადო ვალდებულებებისაგან თავის არიდების „ინსტრუმენტი“ (პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენების მტკიცების ტვირთი ეკისრება საგადასახადო ორგანოს).



საზოგადოების დირექტორის შემთხვევაში: 1. საზოგადოებას გააჩნია საგადასახადო დავალიანება (მ.შ. საგადასახადო შემონმების აქტით დარიცხული საგადასახადო ვალდებულებების) და მას არ შესწევს ხსენებული დავალიანების გადახდის უნარი, 2. ხსენებული საგადასახადო დავალიანება გამონვეულია საზოგადოების დირექტორის მიერ საზოგადოებაზე „ზრუნვის ვალდებულების“ შეუსრულებლობით, რასაც ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოების დირექტორის საქმიანობა მიმართულია გადასახადების თავის არიდების სქემების შექმნისაკენ. მოცემულ შემთხვევაში სანარმოს პარტნიორის მიერ ადგილი ჰქონდა შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენებას, ხოლო სანარმოს დირექტორის მიერ – სანარმოზე „ზრუნვის ვალდებულების“ დარღვევას, სწორედ ამიტომ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს (სასამართლოს გზით) საგადასახადო დავალიანების დაფარვა მოითხოვოს სანარმოს დამფუძნებლისაგან ან/და სანარმოს დირექტორისგან (ისინი სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად). საზოგადოების დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა მთელი თავისი ქონებით გამორიცხულია, თუ ის კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული გადაწყვეტილება შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელი ან სულაც მცდარი, რომელმაც საზოგადოებისათვის არასასურველი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს („ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმცია“). ან კიდევ, მენუალი: მხატვარმა დავით ქემოკლიძემ (შემდეგში – მმართველი დირექტორი) დააარსა შპს „გალერეა“ (შემდეგში – სანარმო), რომლის დირექტორიც თავად გახდა. ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით მან ბუღალტრად აიყვანა სტუდენტი გოგონა – ინგა თავაძე (შემდეგში – ბუღალტერი), რომელსაც საბუღალტრო კუთხით შესაბამისი სერტიფიკატების არსებობის მიუხედავად მუშაობის დიდი სამუშაო გამოცდილება არ გააჩნდა. 2014 წლის მოგების დეკლარაციაში გადასახადების გაანგარიშებაში დაშვებული შეცდომის გამო საგადასახადო ორგანოს საგადასახადო შემონმების შედეგად სანარმოს დაარიცხა ძირითადი გადასახადის თანხა 41 000 ლარის ოდენობით, ხოლო საგადასახადო ჯარიმა 20 500 ლარი, რომლის გადახდისათვის საჭირო სახსრები და ქონება სანარმოს ბოლო პერიოდში განცდილი ზარალების გამო არ გააჩნია.

მოცემულ შემთხვევაში სანარმოს დირექტორის პირადი, მთელი თავისი ქონებით პასუხისმგებლობა გამორიცხულია (მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა საზოგადოებაზე გამონვეულია მისი სარისკო გადაწყვეტილებით), რადგან ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით გამოუცდელი ბუღალტრის სამუშაოზე აყვანა არ წარმოადგენს მისი (დირექტორის) მხრიდან „სანარმოზე ზრუნვის“ ვალდებულების (მენ.შეს.მ.9.6.) დარღვევას.

წინამდებარე გადაწყვეტილებით, საქართველო შეუერთდა იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებ-



შიც საგადასახადო ვალდებულების განზრახ თავის არიდებისათვის (და შესაბამისი წინაპირობების არსებობისას) საწარმოს პარტნიორი და საწარმოს დირექტორი მთელი თავისი ქონებით აგებენ პასუხს პირადად და უშუალოდ, თუ საწარმოს ქონება საგადასახადო ვალდებულების დასაფარავად არასაკმარისია.

თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ყველა აღნიშნულ ქვეყანაში საგადასახადო ორგანოს ამგვარი უფლება, რომ შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში მოსთხოვოს საწარმოს დირექტორს ან/და პარტნიორს (პირადი ქონებით) საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების შესრულება, პირდაპირ არის განსაზღვრული საგადასახადო კანონმდებლობით და კერძო სამართლის ნორმებზე (მოცემულ შემთხვევაში – მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი) დაყრდნობით ამ სახის პრაქტიკის ჩამოყალიბება პრაქტიკულად უპრეცედენტოა (სხვადასხვა ქვეყანაში ადმინისტრაციული ორგანოების ასეთი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა)<sup>1</sup>.

საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება ('ბს-1766-1721(კ-10) 31 მაისი, 2011 წელი), საქმეზე „საგადასახადო მოთხოვნების წარდგენის საფუძველი პრეზუმციული გადასახადის აღრიცხვის დროს“. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღინიშნა, რომ: საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების შესწავლა-გაანალიზების, მხარეთა განმარტებების ზეპირი მოსმენისა და გასაჩივრებელი განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. ა-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; მ. ა-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; ბათილად იქნეს ცნობილი გურიის საგადასახადო ინსპექციის 2010 წლის 17 თებერვლის საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ შეტყობინება და გურიის საგადასახადო ინსპექციის 2009 წლის 5 ოქტომბრის '3383 ბრძანება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ – მ. ა-ძისათვის 1047 ლარის (პრეზუმციული გადასახადის) ნაწილში; დანარჩენ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებელი განჩინების გამოტანისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, განჩინება სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, სააპელაციო სასამართლომ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს არასწორად შეუფარდა სამართლის ნორმები, საკასაციო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე, რაც სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველია. კასატორი წარმოდგენილი საკასაციო საჩივარში უთითებს, რომ მან სააპელაციო სასამარ-

<sup>1</sup> [http://taxinfo.ge/index.php?option=com\\_content&task=view&id=8903&Itemid=104](http://taxinfo.ge/index.php?option=com_content&task=view&id=8903&Itemid=104)



თლოში საქმის განხილვისას დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და სადავო აქტების ბათილად ცნობასთან ერთად მოითხოვა მ. ა-ძის სააღრიცხვო ბარათზე რიცხული ძირითადი გადასახადისა და საურავის გაუქმება, რაზეც არ უმსჯელია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში და არ გაუკეთებია შესაბამისი დასკვნა, თუმცა საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის მასალები არ ქმნის ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილი სხდომის ოქმებში სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შესახებ აპელანტის პოზიცია არ არის დაფიქსირებული, არც სხდომის ოქმებთან დაკავშირებით შენიშვნებია აპელანტის მიერ წარდგენილი, ან განცხადება მოთხოვნის ამ ნაწილში დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ასეთ პირობებში, როდესაც საქმის მასალებით არ მტკიცდება მხარის მიერ ზეპირ ახსნა-განმარტებებში დაფიქსირდა თუ არა მოთხოვნის დაზუსტების შესახებ, თუმცა მოწინააღმდეგე მხარეს არ გაუბათილებია კასატორის პოზიცია საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ წერილობით თუ ზეპირ ახსნა-განმარტებაში, საკასაციო სასამართლო ვერ შეაფასებს ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევას. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განხილვისას აპელანტს შესაძლებლობა აქვს დააზუსტოს სასარჩელო მოთხოვნა საპროცესო ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად, მით უფრო, რომ სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელისათვის ძირითადი გადასახადისა და საურავების უკანონოდ დარიცხვა. შესაბამისად, სწორედ რიცხული ძირითადი გადასახადისა და საურავის გაუქმებაა სარჩელის მიზანი, რაც მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებით ვერ იქნება მიღწეული. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას დისპოზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით მოსარჩელეს შესაძლებლობა აქვს დააზუსტოს სასარჩელო მოთხოვნა. საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ მ. ა-ძის მიმართ საგადასახადო დავალიანების წარმოშობას საფუძვლად უდევს 2002-2003 წლების პრეზუმციული გადასახადის სახით საურავთან ერთად 1047,65 ლარისა და ჯარიმის სახით 500 ლარის გადაუხდელობა. ამასთანავე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ: საკასაციო სასამართლო პრეზუმციული გადასახადისა და საურავების გადახდის ნაწილში უზრუნველყოფის მიზნით გამოცემული სადავო აქტების კანონიერებასთან დაკავშირებით ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1998 წლის 17 ივნისის '158 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური საწარმოებისათვის (მენარმეებისათვის) პრეზუმციული გადასახადის (ერთიანი მინიმალური მიმდინარე გადასახადელი) გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის 1-ლი მუხლის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად პრეზუმციული გადასახადის გადამხდელები არიან საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ცალკეული სახეობის სავაჭრო და მომსახურების სფეროს ინდივიდუალური საწარმოები და ფიზიკური პირები – მენარმეები, რომლებიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ითვლებიან საშემოსავლო გადასახადის გა-



დამხდელებად და რომელთა წლიური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 24000 ლარს. საკასაციო სასამართლო იზიარებს მოწინააღმდეგე მხარის აპელირებას, რომ პრეზუმფციული გადასახადის თანხის გამოანგარიშებისათვის გაანგარიშების წარდგენის ვალდებულება ეკისრება პრეზუმფციული გადასახადის გადამხდელს, თუმცა საგადასახადო კოდექსის (1997 წლის 13 ივნისის რედაქცია) 217.1 მუხლის შესაბამისად, საგადასახადო კონტროლს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ გადასახადების გამოანგარიშების სისწორესა და დროულად გადახდაზე, ისევე როგორც გადასახადების ადმინისტრირებისა და მოკრების ყველა ასპექტზე ახორციელებენ მხოლოდ საგადასახადო ორგანოები. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას საგადასახადო კოდექსის 80.4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პრეზუმფციული გადასახადის აღიარებულ ვალდებულებად მიჩნევის შესახებ, რამდენადაც საქმის მასალებით ასევე არ დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადის გადახდის შესახებ გაანგარიშების (დეკლარაციების) წარდგენის ფაქტი, რაც შეიძლებოდა განხილულიყო საგადასახადო ვალდებულების აღიარებად. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის საკასაციო პრეტენზიას, რომ მოცემულ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს არ ჰქონდა დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, რამდენადაც არ არსებობდა აღიარებული საგადასახადო ვალდებულება, ხოლო გადასახადის დარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუცია და არ გაუგზავნია გადასახადის გადამხდელისათვის, რომელიც შექმნიდა არსებული დავალიანების იძულებით გადახდევინების შესახებ საგადასახადო ორგანოს მხრიდან ზომების გატარების წინაპირობას. პრეზუმფციული გადასახადის გადახდაზე შეღავათების გავრცელებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რამდენადაც საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1998 წლის 17 ივნისის '158 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური საწარმოებისათვის (მენარმეებისათვის) პრეზუმფციული გადასახადის (ერთიანი მინიმალური მიმდინარე გადასახადელი) გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის 4.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პრეზუმფციულ გადასახადს არ იხდიან კალენდარული წლის განმავლობაში 3000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავლების მქონე პირები – მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეები. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული შეღავათის გავრცელებისათვის სავალდებულო პირობად მიიჩნია ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული მოწმობის წარდგენა. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ემყარება „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლსა და „საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მოწმობის ნიმუშების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 დეკემბრის '1058 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის 22-ე მუხლს. „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი ზოგადად ადგენს ომისა და სამხედრო



ძალეების ვეტერანებისათვის დადგენილი შეღავათების განხორციელებისათვის მონმობის წარდგენას. <sup>1</sup>1058 ბრძანებულება, რომელიც იმპერატიულად ადგენს მონმობის წარდგენის სავალდებულობას, არ მოქმედებდა მ. ა-ძისათვის პრეზუმფციული გადასახადის აღრიცხვის დროს. ამგვარი სახის იმპერატიულ დათქმას მონმობის სავალდებულობის შესახებ არ შეიცავდა <sup>1</sup>1058 ბრძანებულების ამოქმედებამდე მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 26 ნოემბრის <sup>1</sup>632 ბრძანებულება, ხოლო მონმობის წარდგენის შესახებ დათქმას საერთოდ არ შეიცავს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1998 წლის 17 ივნისის <sup>1</sup>158 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური საწარმოებისათვის (მწარმეებისათვის) პრეზუმფციული გადასახადის (ერთიანი მინიმალური მიმდინარე გადასახდელი) გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის 4.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და იგი შეღავათს ავრცელებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეზე. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული საგადასახადო აქტები პრეზუმფციული გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ნაწილში გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 601.1 მუხლის შესაბამისად მათი ბათილად ცნობის საფუძველია. საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს გადაუგზავნა, რამეთუ სააპელაციო სასამართლოს დასკვნები ურთიერთწინააღმდეგობრივია, ამასთან, ფაქტობრივი გარემოებები საჭიროებს დამატებით გამოკვლევას <sup>1</sup>.

პრეზუმფციებით დამატებითი მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, როცა გადასახადის გადამხდელები დოკუმენტებს აყალბებენ, ან კიდევ ქონების სხვა პირისათვის გადაფორმება იმ მიზნით, რომ სახელმწიფოს გადასახადი დაუმალონ და საკუთრებაში არსებული საწარმოებიც სხვა პირების სახელზე გადააფორმონ (ფსევდო ნასყიდობის ხელშეკრულება) სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფის იძულებითი ღონისძიებების (ვთქვათ ქონების დაყადაღების) არ გამოყენების გამო, ან კიდევ, პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის გადასახდელ ფულად თანხას, რომელიც განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით (სამოქ.კოდ.მ.417). შესაბამისად პირგასამტეხლო წარმოადგენს მხარის მიმართ არსებული მოთხოვნის (რაიმე ქმედების ან/და უმოქმედობის) უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას (სამოქ.კოდ.მ.416), რადგან მოთხოვნის (რაიმე ქმედების ან/და უმოქმედობის) შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეს დამატებით ფულად ვალდებულებას აკისრებს. რადგანაც პირგასამტეხლოს თანხა თავისი არსით არ წარმოადგენს მიწოდებული საქონლის ან/და განეული მომსახურებისათვის გადახდელ თანხას, ის (პირგასამტეხლოს თანხები) დღ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხებში არ შეიტანება და დღ-ით დაბეგ-

<sup>1</sup> დანვრ. გადანყვეტილება იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/admin-2012-03-uni.pdf>



ვრას არ ექვემდებარება (საგ. კოდ. მ. 161.ა.ა-ა.). თუმცა საქართველოს (ისევე როგორც ევროპის ქვეყნების) საგადასახადო პრაქტიკა, დღე-ით დაბეგვრის მიზნებისათვის ასხვავებს „ნამდვილ“ და „ფსევდო პირგასამტეხლოს“ თანხებს. საგადასახადო ორგანოს პოზიციის მიხედვით, მაგალითად, ვაგონების/კონტეინერების მოცდენისათვის გადახდილი/გადასახდელი პირგასამტეხლო მოიცავს მომსახურების ელემენტებს (ე. ი. სახეზეა „ფსევდო პირგასამტეხლო“) და (პირგასამტეხლოს თანხების მიმღების მიერ) ექვემდებარება დღე-ით დაბეგვრას, ხოლო იჯარის ხელშეკრულების დარღვევისათვის ან მომწოდებლის მიერ საქონლის დროულად მოუწოდებლობისათვის გადახდილი პირგასამტეხლოს თანხები („ნამდვილი პირგასამტეხლო“) დღე-ით დაბეგვრას არ ექვემდებარება.

„ნამდვილი“ და „ფსევდო პირგასამტეხლოს“ გასამიჯნად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს ფაქტობრივი გარემოებები და მნიშვნელოვანია დადგინდეს გადახდილი პირგასამტეხლოს თანხები (თავის შინაარსით) წარმოადგენენ მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევის გამო მეორე მხარისაგან მიღებული დამატებითი საქონლის/მომსახურების (რასაც ადგილი აქვს მაგალითად ვაგონების/კონტეინერების მოცდენისას გადახდილ/გადასახდელ პირგასამტეხლოს შემთხვევაში) სანაცვლოდ გადახდილ თანხას („ფსევდო პირგასამტეხლო“), თუ გადახდილი/გადასახდელი თანხები წარმოადგენენ პირგასამტეხლოს თანხებს, რომლებიც საქონლის/მომსახურების კომპენსაციის თანხის ელემენტს არ შეიცავს და გადაიხდევიან მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მხოლოდ შეუსრულებელი ან/და არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების სანაცვლოდ („ნამდვილი პირგასამტეხლო“)<sup>1</sup>.

საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის მიხედვით („ცრუმაგიერი მფლობელობა“), თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და ეს პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით, ითვლება, რომ აღნიშნული პირები არიან ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები (ნ.1).

მე-2 ნაწილის თანახმად კი: გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები. აქ, ამ ნორმის შემთხვევაში მოქმედებს საგადასახადო პრეზუმფცია იმის შესახებ, რომ თუ გადასახადის გადამხდელი არაკეთილსინდისიერია (არაკეთილსინდისიერი გადამხდელის პრეზუმფცია) და გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით „სხვა პირს გადასცემს თავის ქონებას“ სახელმწიფო ვალდებულებისაგან თავის არიდების მიზნით და ეს ფაქტი ცნობილი გახდება, დგინდება ორივე მხარის ცრუმაგიერი მფლობელობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუ-

<sup>1</sup> სტატია N3/6 რა შემთხვევაში ექვემდებარება პირგასამტეხლოს თანხები დღე-ის დასაბეგრი ოპერაციის თანხაში ჩართვას? [http://taxinfo.ge/index.php?option=com\\_content&task=view&id=8825&Itemid=105](http://taxinfo.ge/index.php?option=com_content&task=view&id=8825&Itemid=105)



ხისმგებლობა დაეკისრებათ სახელმწიფოსათვის გადასახადების დამალვისათვის.

მოყვანილი მენუალები წარმოადგენენ ღია მაგალითს იმისა, თუ როგორ მოქმედებს პრეზუმფციის როლი საგადასახადო სამართალწარმოებაში და გამოიყენება თუ არა გადასახადის გადამხდელის კეთილსინდისიერება თუ არაკეთილსინდისიერება გადასახადის გადახდასთან მიმართებაში.

ვარაუდებზე დამყარებული პრეზუმფციული მეთოდები გამოიყენება იურიდიულ მეცნიერებაში, სამართლებრივ ნორმებში და სამართალგამოყენებით პრაქტიკაში. ათასწლეულების განმავლობაში მას აქტიურად იყენებდნენ რომაელი იურისტები კონსერვატიზმის და რომაული სამართლის ფორმალიზმის განსაზღვრისათვის. ზოგიერთი ავტორები კი ამ ტექნიკურ-იურიდიული საშუალებების ყოფნას ავლენენ გაცილებით უფრო ადრე – უძველესი აღმოსავლეთის სამართლებრივ ძეგლებში, კერძოდ, ს. ვ. გუსევა, აკეთებს გაბედულ დასკვნას იაზე, რომ „პრეზუმფციები მოქმედ სამართალში წარმოიქმნებიან თვით სამართლის სისტემაზე ადრე, სამართლებრივი სისტემა იგება მოქმედი საზოგადოებრივი შეგნების პრეზუმფციების სისტემაზე“<sup>1</sup>.

პრეზუმფცია საგადასახადო სამართალში წარმოადგენს თვისობრივად პირდაპირ ან ირიბად, საგადასახადო სამართლის ნორმებში დამაგრებულ ალბათობით აღიარებას არსებობაზე ან პრეზუმირებული ობიექტის არყოფნას (ფაქტის, მოვლენის, სამართალურთიერთობის) დადგენილი არსებობის დროს, მასთან დაკავშირებული ფაქტობრივი საფუძვლით.

სამართლებრივი პრეზუმფციების ნიშნებს განეკუთვნებიან: ფორმირების ინდუქციური მეთოდი (პრეზუმფციული მსჯელობები ვლინდება უამრავი კერძო შემთხვევების განზოგადების შედეგად და დამტკიცებულია როგორც ემპირიული), ალბათობითი ხასიათი, ფაქტობრივი უარყოფა, ე. ი. იურიდიული ფაქტის აღიარება როგორც სარწმუნო, სანამ დამტკიცებული არ იქნება საწინააღმდეგო (კონტრპრეზუმფცია), ასევე ოფიციალური ლეგალიზაცია საგადასახადო სამართლის წყაროებში. პრეზუმფციების ჩამოყალიბება ფაქტების შედეგია. პრეზუმფცია რეალობასთან მით უფრო ახლოსაა, რაც უფრო სრულია ინდუქციური ანალიზი. „ინდუქციას ორი სახესხვაობა გააჩნია, პოპულარული და მეცნიერული ინდუქცია. პოპულარული ინდუქცია ეფუძნება ფაქტების განმეორებადობის მარტივ გაანგარიშებას, ხოლო სამეცნიერო ინდუქციის დროს, პრეზუმფციის ჩამოყალიბება დამოკიდებულია არა მხოლოდ განმეორებადი ფაქტების მარტივ გაანგარიშებაზე, არამედ ფაქტების კვლევასა და ანალიზზე. ინდუქციის პროცესის წარმართვისა და შესაბამისი პრეზუმფციის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ფაქტი ერთსა და იმავე შედეგს იძლეოდეს. თუ ყველა ფაქტს ერთი და იგივე თავისებურება არ გააჩნია, ანუ ერთიან შედეგამდე თუ არ მიდის, მაშინ ინდუქციის პროცესი წყდება და პრეზუმფცია არ ყალიბდება“<sup>2</sup>. მაგალითად, ადმინისტრაცი-

<sup>1</sup> Гусева С. В. Философские осмысление категории „презумпция“ в структуре юриспруденции как гуманитарного научного знания // Вестник ПАГС. – 2009.

<sup>2</sup> ქ. მესხიშვილი, დასა. ნაშრ. გვ. 4-5





ციულ სამართალწარმოებაში თუ გამოვიყენებთ დამნაშავეობის პრეზუმფციას კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სხვა (საწინააღმდეგო) დამტკიცდება საგადასახადო წესების დამრღვევისა, ასეთ შემთხვევაში ინდუქციის პროცესი დასრულდებულად ჩაითვლება და პრეზუმფცია როგორც წესი არ გამოიყენება.

სამართლებრივი პრეზუმფცია – არ არის უბრალოდ ვარაუდი, მაგრამ ვარაუდია აყვანილი კანონში და ამის ძალით ნორმატიული საერთო-სავალდებულო მდგომარეობის სტატუსის მიმღები, პირდაპირ თუ ირიბად გამოხატული საგადასახადო სამართლის ნორმებით. ამიტომ მკვლევართა უმრავლესობის მოსაზრებით, პრეზუმფცია განიხილება განსაკუთრებული ნორმატიული მინერლობის სახით, როგორც საერთო-სავალდებულო მსჯელობის შემცველ პრეზუმირებულ ფაქტზე, პრეზუმფციის საფუძვლის დადგენილ არსებობაზე. საგადასახადო ნორმები, რომელთა შემცველობა ფორმირებულია პრეზუმფციის საფუძველზე, სახელდება, როგორც ნორმები-პრეზუმფციები, როგორც „პრეზუმტიური ნორმები“, **presumptive rules**.

სამართლებრივი პრეზუმფციების გამოყენება განისაზღვრება სამართლებრივი რეგულირების ამოცანებით და მიზნებით. საერთო წესებით მას მიმართავენ არასტანდარტულ სიტუაციებში, როდესაც სხვა საშუალებების გამოყენება შეუძლებელია ან არაეფექტურია.

კანონმდებლის ლოგიკა ნათელი და გასაგებია: შესაძლოა, რიგ შემთხვევებში ვარაუდი არც კი დასტურდება, მაგრამ ყოველ ჯერზე ჭეშმარიტების ახლად დამტკიცება საზოგადოებას დაუფდება კოლოსალური ხარჯები და ამიტომ არამიზანშენიონილია, ზოგჯერ კი შეუძლებელიცაა. ამას მკვლევართა უმრავლესობა ეთანხმება, თუმცა აზრთა სხვადასხვაობა პრეზუმფციის როლის, ადგილისა და მნიშვნელობის სამართლებრივ რეგულაციაში საკმაოდ დიდია: უკიდურესად ნეგატიურიდან ზომიერად ლოიალურობამდე. კანონმდებელი იყენებს ნორმა-პრეზუმფციას, თუ მას არ გააჩნია ობიექტური შესაძლებლობა დაამაგროს რომელიმე საკითხზე ნორმა – დადასტურება. მთლიანობაში პრეზუმფციის გამოყენება გვაძლევს საშუალებას გადავლახოთ გაურკვევლობის მდგომარეობა საგადასახადო ურთიერთობებში, ამარტივებს და აჩქარებს საგადასახადო პროცესს, ამცირებს საგადასახადო ადმინისტრირების დანახარჯებს, ხელს უწყობს პროცესუალური ეკონომიკის პრინციპის რეალიზაციას და ახდენს სუბიექტების სტიმულირებას იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცებაში.

საგადასახადო სამართლის წყაროებში სამართლებრივი პრეზუმფციების ფორმალიზაციების წესები შეიძლება სხვადასხვა იყოს. მიჩნეულია, რომ ისინი შეიძლება იყვნენ დამაგრებულნი სამართლის ნორმებში პირდაპირ ან ირიბად.

პირდაპირი დამაგრების ნიმუშად აღინიშნება შეთანხმებითი ფასის შესატყვისების პრეზუმფცია საბაზრო ფასების დონეზე, რომლის თანახმად, „საგადასახადო დაბეგვრის მიზნებისათვის მიიღება ნივთების ფასი, სამუშაოები ან სამსახურის განწევა, ნაჩვენები შეთანხმებული მხარეების მიერ. სანამ არაა დამტკიცებული საპირისპირო, ვარაუდია, რომ ეს ფასი შესატყვისია საბაზრო



ფასების დონესთან“, სიტყვებ-ინდიკატორებთან, რომლებიც მიუთითებენ სამართალში პრეზუმფციური მეთოდის გამოყენებას, შეიძლება გამოვიდეს ზმნები „სავარაუდო“, „ითვლება“, „აღიარებულია“, „იგულისხმება“.

ირიბი პრეზუმფცია არ ფორმულირდება საგადასახადო ნორმებით და კონსტრუირდება ანალიზის გზით და უკანასკნელების განმარტებით.

მაგალითად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, „თუ წარმოდგენილი ფაქტობრივი წლიური შედეგების მიხედვით არ დასტურდება მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულების ოდენობის არანაკლებ 50 პროცენტით შემცირება და გადასახადის გადამხდელს საანგარიშო წლის განმავლობაში სრული ოდენობით არ გადაუხდია მიმდინარე გადასახდელი, მან უნდა გადაიხადოს საურავი საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად, მიმდინარე გადასახდელის გადახდის ვადის დადგენილი თარიღიდან საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის თარიღამდე არსებული დროის მონაკვეთში“. მოცემული პრეზუმფციის რეალიზაციას მოსდევს მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგი, ძირითადად: გადასახადის გადამხდელის მიერ ფაქტობრივი წლიური შედეგების მიხედვით მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულების ოდენობის არანაკლებ 50 %-ით შემცირებისა და საანგარიშო წლის განმავლობაში სრული ოდენობით გადასახადის გადახდის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, იგი გადაიხდის საურავს<sup>1</sup> საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

ზოგიერთ გამოკვლევაში იურიდიული პრეზუმფციები განიხილება განსაკუთრებულად, როგორც ნორმები-პრეზუმფციები, ამასთანავე, სამართალგამოყენების პროცესი ან საერთოდ იგნორირებულია, ან ანალიზირდება ე. წ. ფაქტიური პრეზუმფციების ნაწილში, რომლებსაც არ გააჩნიათ იურიდიული მნიშვნელობა.

ამასთანავე, მსჯელობიდან იკარგება ირიბი პრეზუმფციები, რომლის შინაარსი გამოიხატება სწორედ რომ საგადასახადო სამართლის რეალიზაციის სტადიაზე.

ირიბი დამაგრების შემთხვევებში პრეზუმფტიური მსჯელობა გამოიყვანება სასამართლოების ან სხვა სამართალგამოყენებითი ორგანოების მიერ ლოგიკური გზით საგადასახადო სამართლის მსჯელობის პროცესში. ბევრი საბაზო საგადასახადო-სამართლებრივი პრეზუმფციების (მაგ. უდანაშაულობის პრეზუმფცია ან კეთილსინდისიერების პრეზუმფცია გადამხდელების და სამართალურთიერთობის სხვა მონაწილეების მიერ ეკონომიკის სფეროში) პირველად იქნენ ჩამოყალიბებული სასამართლოების მიერ. ამასთანავე, თუ პირველი მათ შორის მოგვიანებით წარმოებულია

<sup>1</sup> საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საურავი ერიცხება გადასახადის თანხას, რომელიც არის სხვაობა გადასახადის გადამხდელის მიერ შეუსრულებელ საგადასახადო ვალდებულებებსა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ჯამს შორის. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საურავის დარიცხვა ხორციელდება თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის, გადასახადის გადახდის ვადის ამონურვის დღის მომდევნო დღიდან.



კანონმდებლობის მიერ, მეორე აქამდე მოქმედ კანონმდებლობაში არაა ლეგალიზებული, დარჩება „სასამართლო“ სამართალხელოვნებაში ელემენტების სახით“.

შესამჩნევია, რომ პრეზუმტირებული მეთოდების შინაარსი, მარტო ლეგალური პრეზუმფციებით, პირდაპირ ან ირიბად დამაგრებული საგადასახადო სამართლის ნორმებით, არაამომწურავია. ნორმა-პრეზუმფცია საგადასახადო სამართალში მხოლოდ კერძო შემთხვევაა მიმართო პრეზუმირების მეთოდს. სხვადასხვა სახის საერთო ვარაუდები, სინამდვილეზე დაფუძნებული, კანონმდებლის მიერ აქტიურად გამოიყენება საგადასახადო-სამართლებრივი კონსტრუქციების ფორმირებაში, საგადასახადო ურთიერთობების მონაწილეების მიერ კი – თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად საგადასახადო დავებში.

შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ვარაუდი გამოდის მოტივირებული ფაქტორის და ლოგიკური საფუძვლის სახით ამა თუ იმ საგადასახადო ნორმის მისაღებად, საკმაოდ გავრცელებულია. მაგალითისათვის, ნორმა ფიზიკური პირისათვის საგადასახადო დელიქტუნარიანობაზე, გამოდის დაფუძნებული ვარაუდიდან იმით, რომ მცირეწლოვანი ბავშვი უუნაროა მთელი დოზით შეიგრძნოს თავისი მოქმედებები და აგოს მათზე პასუხი; რეალური გადასახადების კონსტრუქციის საფუძველში დევს პრეზუმფცია, რომლის თანახმად, საკუთრებას (ქონებას) მოაქვს შემოსავალი, ე. ი. პირის მიერ განკუთვნილი ქონების მფლობელობის ფაქტი (გადასახადის დაბეგვრის ობიექტი) კანონმდებელს აძლევს უფლებას მიაწეროს ასეთ პირს რალაც შემოსავლის მიღება (რეალური გადასახადის გადახდის წყარო). მინიმალური გადასახადის კონცეფცია, რომელიც ამოიღება გადასახადით დაბეგვრის გამარტივებული სისტემის ჩარჩოებში ბაზირებულია ვარაუდზე, რომ გადასახადის გადამხდელის შემოსავლები, გადასული სპეციალურ საგადასახადო რეჟიმში, არ შეიძლება იყოს კანონით დადგენილ დონეზე დაბალი; საგადასახადო განაკვეთების დადგენილი ზომების საფუძველში შეიძლება დავინახოთ ვარაუდი იმაზე, რომ სწორედ გადასახადების ამოღება ასეთი მოცულობით ხელს უწყობს ბალანსის შენარჩუნებას, საჯარო და კერძო ინტერესებს შორის საგადასახადო სამართალურთიერთობაში და ა. შ.

მაშასადამე, პრეზუმტიური მეთოდები სიტყვის ფართო გაგებით, აქტიურად გამოიყენება საგადასახადო სამართალში. მათი შემჩნევა შეიძლება არა მარტო ცალკეულ საგადასახადო ნორმების საფუძველში, არამედ მსხვილ იურიდიულ კონსტრუქციებშიც, თუგინდ საგადასახადო სამართლის მთლიან ინსტიტუტებშიც კი.

კერძოდ, საგადასახადო ბაზის განსაზღვრაში კანონმდებელს შეუძლია მიიღოს საფუძვლად რეალური ცნობები, რომლებიც ინახება გადამხდელის საგადასახადო და საბუღალტრო ანგარიშებში, შეუძლია ასევე გამოიყენოს სხვადასხვა სახის ირიბი ხერხები თუ წესები დაფუძნებული ან ზოგიერთ ვარაუდზე, ან პირდაპირი წარდგინებით.

ასეთი საგადასახადო რეჟიმების აღსანიშნავად დასავლეთის მეცნიერებაში გამოიყენება ტერ-



მინი „presumptiv taxation“<sup>1</sup>, ან ქართულად, „პირობითად გაანგარიშებული გადასახადით დაბეგვრა“. ვვარაუდობთ, ტერმინი „პრეზუმტიური დაბეგვრა“ უფრო ადეკვატურად ასახავს ამდაგვარი გადასახადების რეჟიმების არსს.

როგორც აღნიშნავს ვ. ტურონი<sup>2</sup>, ტერმინი presumptiv taxation“, ვარაუდობს საგადასახადო ვალდებულებების დადგენის ირიბი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც განსხვავდებიან ჩვეულებრივი წესებისაგან, დაფუძნებული გადამხდელის საფინანსო (საგადასახადო, საბუღალტრო) ანგარიშსწორებაზე.

ტერმინი „პრეზუმტიური დაბეგვრა“, – აღნიშნავენ ე. ახმადი და ნ. სტერნი, – მოიცავს პროცედურების მთელ რიგს, რომელთა შესაბამისად საგადასახადო ბაზა არ იზომება, მაგრამ გამოძინარეობს ზოგიერთი მარტივი მონაცემებიდან, რომელთა გამოთვლა უფრო ადვილია, როგორც თვით ბაზისის<sup>3</sup>. დღეისათვის ამდაგვარი მეთოდები აქტიურად გამოიყენება მთელ მსოფლიოში. თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც პრეზუმტიულმა გადასახადებმა ვერ მიიღეს ფართო გავრცელება, უკანასკნელ წლებში მსჯელობენ შესაძლო ზოგიერთი პრეზუმტიული რეჟიმების ჩართულობაზე ამერიკულ საგადასახადო სისტემაში.

პრეზუმტიული მეთოდებით დაბეგვრის გამოყენების მიზეზები სხვადასხვაა და განისაზღვრება საგადასახადო-სამართლებრივი რეგულირების კონკრეტული ამოცანებით. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ: საგადასახადო ანგარიშსწორების სისტემის გამარტივება და ცალკეული გადასახადების გამოანგარიშების მოწესრიგება; ბრძოლის აქტიულობა საგადასახადო სამართალდარღვევებში და სხვადასხვა საგადასახადო სქემებთან დაკავშირებით, მიმართული დაუსაბუთებელი საგადასახადო სარგებლობის აღმოსაფხვრელად, მით უმეტეს მცირე ბიზნესის სფეროებში, სადაც აქტიურად იყენებენ ანგარიშსწორების ნაღდ ფულად თანხებს; საბიუჯეტო დანახარჯების შემცირება საგადასახადო ადმინისტრირებაზე; უფრო სამართლიანი საგადასახადო ტვირთის განაწილება ბიზნესის იმ სფეროებში, სადაც გადასახადებიდან მასშტაბური თავის არიდება ქმნის მიუღებელ დისპროპორციებს (ე. ნ. („ჰორიზონტალურ უთანასწორობას“) გადასახადების გადახდისუნარიან კანონმორჩილი გადამხდელებისა და საგადასახადო ნორმების დამრღვევებს შორის. პრეზუმტიული დაბეგვრის მთავარი ნაკლი იმაშია, რომ ჩვენ განზრახ ვწირავთ საგადასახადო ვალდებულებების განზომილების უტყუარობას, ამა თუ იმ ალბათობითი ხარისხის განსაზღვრით. სიტყვისათვის, ნებისმიერი ინდივიდუალური სამართალურითობა – მხოლოდ შეფარდებითი მიახლოებაა, ყველა გადასახადი პრეზუმტიულია გარკვეულ ხარისხამდე – ირონიულად აღნიშნავენ დასავლელი სპეციალისტები, რაც გულისხმობს, რომ იდეალურად ზუსტად ასახო და გათვალაო

<sup>1</sup> Thuronyi V. Presumptive taxation // Tax Law design and Drafting. Vol. L; Washington: international Monetary Fund, 1996-1998.  
<sup>2</sup> Thuronyi V. დასახ. ნაშრ.  
<sup>3</sup> Ahmad E; Stern N. The Theory and Practice of Tax Reform in Developing Countries. Cambpidge: Cambridze University Press, 1991.



საგადასახადო ბაზა, დაპროგრამებული კანონმდებლის მიერ საგადასახადო ნორმებით, – პრაქტიკაში შედარებით იშვიათად ხდება<sup>1</sup>.

მაშასადამე, დაბეგვრის მეთოდები შეიძლება გავყოთ **რეალურზე და პრეზუმტიურზე**. უკანსკნელის გამოყენების საფუძვლად მიიღება არა ფაქტიური, არამედ სავარაუდო (ე. ი. პრეზუმირებული) საგადასახადო ვალდებულებები, რომელთა ოდენობა განისაზღვრება დასაბუთებული ვარაუდებით იმაზე, რომ ნორმალური (ჩვეულებრივი) გადამხდელის საფინანსო-სამრეწველო საქმიანობის მაჩვენებლები (როგორც წესი, შემოსავლები და ხარჯები) უნდა დაემთხვეს თანხას, განსაზღვრული ირიბი (პირობითი, გამოთვლითი) სახით.

ამდგვარი ხერხები ფართოდ ცნობილია რუსეთის საგადასახადო სამართალშიც. მაგალითისათვის რუსეთის საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილი არიან განსაზღვრონ გადასახადების თანხები, რომლებიც ექვემდებარებიან გადამხდლების მიერ რუსეთის საბიუჯეტო სისტემაში გადახდას, ანგარიშსწორების გზით. მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციით გადამხდელზე, ასევე მონაცემებიც სხვა ანალოგიურ გადამხდელებზე, უარის თქმის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოების თანამდებობის პირების მიერ დაიშვებიან სამრეწველო, სასაწყობო, სავაჭრო და სხვა შენობების და ტერიტორიების შესამოწმებლად, საგადასახადო კოდექსით დადგენილი შემოსავლის ამოსაღებად, რისი საფუძველიცაა დასაბეგრობიექტებთან დაკავშირებით, ორი თვის ვადაში ანგარიშსწორების საგადასახადო საბუთების წარმოუდგენლობა, შემოსავლების და ხარჯების ანგარიშსწორების არქონა, დასაბეგრი ობიექტების ანგარიშსწორება ან ანგარიშსწორების წარმოება დადგენილი წესის დარღვევით, რის გამოც შეუძლებელი ხდება გადასახადების აღრიცხვა. ანგარიშსწორების მეთოდის საფუძველში გადასახადის თანხის განსაზღვრაში დევს ფაქტიური პრეზუმფცია იმაზე, რომ სხვა გადამხდელს, რომელიც კეთილსინდისიერად ეწევა საქმიანობას მსგავს ეკონომიკურ პირობებში, საბაზო დაბეგვრის ოდენობა დიდი ალბათობით შეთავაზებული იქნება იმავე სახით. მაშასადამე, გადასახადების ანგარიშსწორების მეთოდის გაანგარიშება ეფუძნება იმ წინადადებას, რომ ანალოგიური გადამხდელების საგადასახადო ბაზებიც ანალოგიურია.

სახასიათოა, რომ გადამხდელები არაერთხელ ცდილობდნენ, სადავო გაეხადათ ვალდებულებების განსაზღვრის ანგარიშსწორების მეთოდის კონსტიტუციურობა იმაზე დაყრდნობით, რომ იგი არის მხოლოდ მიახლოებითი, მაშასადამე, არასარწმუნო ამდგვარი არგუმენტაციის განხილვით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საგადასახადო ბაზის ანგარიშსწორების პირობითი მეთოდები გამოიყენება, როცა არის საფუძველი ივარაუდო, რომ გადამხდელი ხელოვნურად ამცირებს საგადასახადო ბაზას; საგადასახადო ორგანოებისადმი მინიჭებული უფლება გამოიანგარიშოს გადასახადები ანგარიშსწორების გზით, გამომდინარეობს მათზე დაკისრებული ვალდებულებებით

<sup>1</sup> Logue K. D; Vettori G. G. Narrowing the Tax Gap Through Presumptive Taxation //Columbia Jurnal of Tax Law. – 2011.- Vol. 2. №1.



განახორციელოს საგადასახადო კონტროლი რეალიზაციის მიზნით, დაფუძნებული საქართველოს კონსტიტუციით და დაბეგვრის საერთო-სამართლებრივი პრინციპების მიხედვით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი კოლეგიის განჩინებით<sup>1</sup> (დავის საგანი: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 69-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-6 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტთან და ამავე კოდექსის 155-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით), მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 69-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 269-ე მუხლის მე-6 ნაწილი გადასახადის გადამხდელს ართმევს დაშვებული შეცდომის გამოსწორების უფლებას. კერძოდ, ერთი მხრივ, გადასახადის გადამხდელს, რომელმაც გადასახადი საგადასახადო დეკლარაციაში მიუთითა ნაკლები ოდენობით, არ ეძლევა დაზუსტებისა და შესწორების შესაძლებლობა და ეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა, მეორე მხრივ, თუ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადი მეტი ოდენობით იქნა მითითებული, გადასახადის გადამხდელს უფიქსირდება აღნიშნული ოდენობის დავალიანება და იმის გათვალისწინებით, რომ არ აქვს დაზუსტების შესაძლებლობა, იძულებულია, იკისროს რეალურად არსებულ ვალდებულებაზე მეტი. მოსარჩელის მითითებით, რომ შესწორებული საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის სადავო ნორმებით გათვალისწინებული აკრძალვა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან, ან უფლებამოსილი პირის გადანყვეტილებით ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმების, ან დოკუმენტური/ბუღალტრული რევიზიის დანიშვნიდან შესაბამისი საგადასახადო მოთხოვნის ამ პირისათვის ჩაბარებამდე პერიოდში, შესაძლებელს ხდის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადანყვეტილების წინა თარიღით მიღებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელე მხარის მოსაზრებით, დეკლარაციის წარდგენის აკრძალვა არ უნდა ვრცელდებოდეს ოქმის შედგენიდან, ან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმების, ან რევიზიის დანიშვნიდან საგადასახადო მოთხოვნის ამ პირისათვის ჩაბარებამდე პერიოდზე.

გადასახადის გამოთვლის, გამომანგარიშების გზით, გამოყენების ნებადართულობა უშუალოდ დაკავშირებულია ვალდებულებასთან, სწორად, მთლიანად და დროულად მისი გადახდა და შეპირობებულია არასწორი გადამხდელის მოქმედებებით (უმოქმედობებით). ამიტომ, თავისთავად გადასახადის ანგარიშის გამოთვლითი გზა მისი დასაბუთებული გამოყენებისას არ შეიძლება განიხილოს როგორც გადამხდელის უფლებების შელახვა. კონსტიტუციურ სარჩელში წარმოდგენილი არგუმენტაციის თანახმად, კონსტიტუციასთან შეუსაბამო სადავო ნორმით დადგენილი მოგების/საშემოსავლო გადასახადის წინასწარ გადახდის წესი, რომლის თანახმადაც, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, მიმდინარე წლის გადასახადი გადაიხადოს არა წლის დასრულების შემდეგ, როცა ზუსტად დადგინდება დასაბეგრი შემოსავალი, არამედ გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის

<sup>1</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომის განჩინება №2/4/694 (2017 წლის 17 მაისი).



მიხედვით წინასწარ და განსაზღვრული პერიოდულობით. მოსარჩელე მხარის განმარტებით, საგადასახადო კოდექსის 155-ე მუხლის პირველი ნაწილით, გადასახადის გადამხდელს ეკისრება იმგვარი ვალდებულების შესრულება, რომელიც რეალურად წარმოიშობა წლის დასრულების შემდეგ ან შეიძლება საერთოდ არც კი წარმოიშვას. მოსარჩელის პოზიციით, გადასახადის წინასწარი გადახდის ვალდებულების დადგენა სახელმწიფოს მიერ გადასახადის გადამხდელის საკუთრების უკანონოდ ამოღებას წარმოადგენს, რაც ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული საკუთრების უფლებას. გარდა აღნიშნულისა, კონსტიტუციურ სარჩელში მოყვანილი არგუმენტაციის თანახმად, სახელმწიფოს მიერ გადასახადის გადამხდელის ფინანსური რესურსის წინასწარი გადასახადის სახით ამოღება საბრუნავ რესურსს უმცირებს გადასახადის გადამხდელს, რაც ხელს უშლის მენარმეობის განვითარებას და არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის სარჩელი, რადგან არც კონსტიტუციურ სარჩელში და არც განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია არგუმენტაცია საგადასახადო კოდექსის 155-ე მუხლის მე-2-7 ნაწილების არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით და შესაბამისად №694 კონსტიტუციური სარჩელი სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 155-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 ნაწილების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, დაუსაბუთებელია და სახეზეა მისი არსებითად განსახილველად არმიღების „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი“.

პრეზუმტიული ბუნების გამოთვლის მეთოდს თვალსაჩინოდ ილუსტრირებს ზემოთ განხილული უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (**ბს-1766-1721(კ-10) 31 მაისი, 2011**).

პრეზუმტიული მეთოდი აქტიურად გამოიყენება საავანსო გადასახადების საგადასახადო-სამართლებრივ კონსტრუქციაში. კერძოდ, ორგანიზაციის საავანსო გადასახადები ქონებრივ გადასახადებზე გათვალისწინებული არიან რეალური მაჩვენებლებიდან გამომდინარე. სხვა საქმეა – საავანსო გადასახადები გადასახადებზე, რომლის ობიექტად გამოდის შემოსავალი ან მოგება. ასე, ინდივიდუალური მენარმეები (ნოტარიუსები, ადვოკატები) ვალდებული არიან გადაიხადონ საავანსო გადასახადები, რომლების ანგარიშებს განახორციელებს საგადასახადო ორგანოები. საავანსო გადასახადის გაანგარიშების მომენტისათვის შემოსავლის ოდენობა ჯერ კიდევ უცნობია და ამიტომ ზუსტად გამოიანგარიშო საგადასახადო ბაზა, შეუძლებელია. აღნიშნული პრობლემა გადალახულია კანონმდებლის მიერ შემდეგნაირად:



საგადასახადო კოდექსის ნოვატიური ნორმებით საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შესაბამისად **2017 წლის 1 იანვრიდან დღ-ით დაბეგვრას** დაექვემდებარება საქონლის მიწოდებამდე ან/და მომსახურების განევაამდე მყიდველისაგან მიღებული ავანსის თანხები, რა დროსაც დღ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხას წარმოადგენს მიღებული ავანსის თანხა დღ-ს გარეშე (საგადასახადო კოდექსის მ.161.1 „ა“) ხოლო დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს ავანსის მიღების მომენტი (საგ. კოდ. მ.161.1.ა.ბ.დ.). პირის მიერ მისაწოდებელი საქონლის ან/და გასაწევი მომსახურების ღირებულების მხოლოდ ნაწილის, ავანსის სახით, მიღების შემთხვევაში, ავანსის მიღების საანგარიშო პერიოდში დღ-ით დაბეგვრას დაექვემდებარება მხოლოდ მიღებული ავანსის თანხა (საქონლის/მომსახურების ღირებულების ნაწილი), საქონლის/მომსახურების ღირებულების დარჩენილი ნაწილი დღ-ით დაბეგვრას დაექვემდებარება საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების განევის საანგარიშო პერიოდში (საგ. კოდ. მ. 161.1.ა.).

საკამათო ხდება საკითხი – იბეგვება თუ არა კონკრეტული ავანსები – თუკი არ იბეგვება, ესეც საკამათოა, რადგან ბევრი ბუღალტერი თავის დაზღვევის კუთხით გაყიდვას დაბეგვრას იმ შემთხვევაშიც კი თუ ის არ იბეგვება. შესაძლოა, ამაზე საგადასახადო პასუხის მოსთხოვოს, თუ რატომ დაბეგრა, როცა ოპერაცია დასაბეგრი არ არის და ბუღალტერი მას დაბეგვრავს, ამით მეორე დღ-ის გადამხდელი მხარე დაზარალდება.<sup>1</sup> ფულადი დანაკლისის სახით ეს ცვლილებები იმ ბიზნესებს შეეცეობა, ვინც გრძელვადიან კონტრაქტებზე მუშაობს. ძირითადად ესენია – ინფრასტრუქტურული, სამშენებლო პროექტები და ა. შ. საკითხის უკეთ წარმოსაჩენად მოვიყვანთ მენუალს: სამშენებლო კომპანია – შპს „ახალი კორპუსი ვაკეში“ (შემდეგში – სამშენებლო კომპანია) ჭავჭავაძის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა დაიწყო 2017 წლის იანვრის თვეში. 2017 წლის ივნისის თვეში (10 ივნისს) სამშენებლო კომპანია ფ/პ ლანა მაისურაძეს (შემდეგში – მყიდველი) გაუფორმა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სამშენებლო კომპანია ივალდებულა 2017 წლის 15 ნოემბრამდე ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმება და წლის ბოლომდე მყიდველისათვის 100 000 ლარის ღირებულების (100კვ.მ.) ფართის გადაცემა (საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაცია), ხოლო, თავის მხრივ, მყიდველმა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2017 წლის 25 ივნისს გადაუხადა 40 000 ლარი, ხოლო 2017 წლის 28 ივლისს 30 000 ლარი.

2017 წლის 15 ნოემბერს სამშენებლო კომპანია მყიდველს გაუფორმა ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება (რომელიც დამონდა ნოტარიული წესით), რომლის საფუძველზეც 2017 წლის 3 დეკემბერს მყიდველს საკუთრებაში გადასცა (დაურეგისტრირა) 100კვ.მ. საცხოვრებელი ფართი. უძრავი ქონების ღირებულების დარჩენილი ნაწილი 30 000 ლარი მყიდველმა სამშენებლო კომპანიას გადაუხადა 5 დეკემბერს.

<sup>1</sup> ნ. კვინტრაძე, ავანსის დღ-ით დაბეგვრის ახალ ინსტრუქციაზე კერძო სექტორს შენიშვნები აქვს – „საკამათო ხდება იბეგვება თუ არა კონკრეტული ავანსები“.





2017 წლიდან ასამოქმედებელი, ავანსის თანხების დღგ-ით დაბეგვრის ახალი რეგულაციით, სამშენებლო კომპანიამ დასაბეგრ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ს ნაწილის – 6 101, 69 ლარის (= 40 000 \* 18/ 118 ლარი) დეკლარირება უნდა მოახდინოს 2017 წლის ივნისის თვის (ავანსის პირველი ნაწილის მიღების საანგარიშო პერიოდის) დღგ-ს დეკლარაციაში, ამავე თვეში სამშენებლო კომპანია მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მყიდველს (40 000 ლარზე) გამოუწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას. დასაბეგრი ოპერაციის მეორე ნაწილზე (30 000 ლარზე) დარიცხული დღგ-ს თანხა – 4 576, 27 ლარი (= 30 000 \* 18/118) სამშენებლო კომპანიამ უნდა დაადეკლარიროს 2017 წლის ივლისის (ავანსის მეორე ნაწილის გადახდის საანგარიშო პერიოდის) დღგ-ს დეკლარაციით. ამავე (ივლისის) თვეში სამშენებლო კომპანია მყიდველს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, (30 000 ლარზე) გამოუწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას. დასაბეგრ ოპერაციაზე ბოლო ნაწილზე (30 000 ლარზე) დარიცხული დღგ-ს თანხა – 4 576, 27 ლარი (= 30 000 \* 18/118) სამშენებლო კომპანიამ უნდა დაადეკლარიროს 2017 წლის ნოემბრის თვეში (ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების ე.ი. მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღი) დღგ-ს დეკლარაციით. ამავე (ნოემბრის) თვეში სამშენებლო კომპანია მყიდველს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, (30 000 ლარზე) გამოუწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას.

ახლად დარეგისტრირებული მწარმოებლებისათვის კი მომავალი შემოსავლების განმსაზღვრელი რომელიმე ობიექტური კრიტერიუმი (მაგ: წარსული წლების შემოსავლები, მწარმოებელთა საქმიანობის გარე ნიშნები და ა. შ.) საერთოდ არ არსებობენ და დასკვნა სავარაუდო შემოსავლებზე ფუძნდება მხოლოდ გადამხდელის სუბიექტურ შეხედულებაზე. როგორც ჩანს, სავარაუდო და ამიტომ არსებული შემოსავალი წარმოგვიდგება როგორც იურიდიული ფუნქცია; მაგრამ იგი ნებას გვრთავს გავიანაგარიშოთ საგადასახადო ბაზა ობიექტური გაურკვეველობის სიტუაციაში, როდესაც დაბეგვრის ობიექტი ჯერ კიდევ რეალურად არ არსებობს და საგადასახადო ბაზის გაანგარიშება რეალური მეთოდებით შეუძლებელია.

ერთიანი გადასახადის სამართლებრივი რეჟიმი დაკისრებულ შემოსავალზე ბაზირებს საერთო ვარაუდების მთლიან ერთობლიობაზე, კერძოდ: სამენარმეო საქმიანობას მოსდევს შემოსავლის მიღება; განსაზღვრულ ეკონომიკურ პირობებში იქნება მიღებული განსაზღვრული შემოსავალი და ამიტომ გარე ნიშნები მცირე ბიზნესის ამა თუ იმ სფეროში უტყუარად ადასტურებენ შემოსავლის ოდენობას.

გადასახადის დაკისრების შემოღების მიზეზი კარგად ცნობილია – ეს მცირე ბიზნესის მხარდაჭერაა საგადასახადო დატვირთვის შემცირების გზით და საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივებით, მაგრამ უმთავრესად, ნეგატიურ ტენდენციების გადალახვა (საგადასახადო გადასახადების ამოღების თვალსაზრისით) ეკონომიკის სეგმენტებში, სადაც ნაღდი ფულადი ბრუნვა ქმნის გადასახადების გადაუხდელობის მასიურ შესაძლებლობებს. საინტერესოა ამ კუთხით სასამართლო



პრაქტიკის ანალიზი, კერძოდ: ინდ. მეწარმე ლიცენზიის საფუძველზე კანონიერად მოიპოვებდა თერმულ წყლებს, რითიც ამუშავებდა საცურაო აუზებს. შემდგომში მინისტრის ბრძანებით აღნიშნული ლიცენზია გაუქმდა. ინდ. მეწარმეს აღარ გააჩნდა ბუნებრივი წიაღის – თერმული წყლის მოპოვების უფლება, თვითნებურად, სარგებლის მიღების მიზნით მაინც აგრძელებდა ქაბურღილიდან უკანონოდ მოპოვებული თერმული წყლებით საცურაო აუზების კომპლექსის მომარაგება-ფუნქციონირებას. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით ინდ. მეწარმე უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენით რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელი. „გამოკვლევითი მტკიცებულებებით არათუ დადგინდა გ. ე.-ს მიერ თერმული წყლების უკანონოდ მოპოვებისა და გამოყენების ფაქტი, არამედ გამოიკვეთა, რომ მან შენობის დამქირავებელი პირები გააფრთხილა ლიცენზიის არქონის თაობაზე და მათთვის არ მიუცია წყლის გამოყენების უფლება. პალატა ვერ გაიზიარებს პროკურორის არგუმენტაციას იმის შესახებ, რომ განრიდების გაფორმების შემდეგ გ. ე.-ს არ განუხორციელებია არანაირი ქმედება – მიემართა შესაბამისი ორგანოებისთვის და მოეთხოვა წყლის სხვა მიმართულებით წაყვანა. პროკურორის აღნიშნული დასაბუთება უსაფუძვლოა იმდენად, რამდენადაც საქმის მასალებში არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ ლიცენზიის გაუქმების შემდეგ გ. ე.-ს გააჩნდა ვალდებულება, მიემართა სახელმწიფო ორგანოებისათვის და მოეთხოვა მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გამავალი თერმული წყლის მილის სხვა მიმართულებით გადატანა. ამასთან, გამართლებულმა გ. ე.-მ განმარტა, რომ მასთან არ მისულა სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელი და არ შეუთავაზებიათ მილის სხვა მიმართულებით გადატანა; თუკი ასეთს ექნებოდა ადგილი, იგი წინააღმდეგობას არ გაუწევდა“.<sup>1</sup>

გარდა ამისა, ამ რეჟიმის ჩარჩოებში არ გამოიყენება სახარჯო გამოქვითვები, რაც იძლევა საკმაოდ გავრცელებულ საშუალებას თავი აარიდო გადასახადის გადახდას ხარჯების გაზრდით.

პრეზუმტიული ხასიათი ნიშანდობლივია ასევე საპატენტო ფირმისათვის გამოყენებული დაბეგვრის გამარტივებული სისტემის ჩარჩოებში.

პრეზუმტიური მეთოდები შეიძლება გამოყენებული იქნან არა მარტო საგადასახადო ბაზის განსაზღვრაში (შემოსავალი, მოგება), არამედ გადამხდელის დანახარჯის მიმართაც. მაგალითად, თუ ინდემწარმოებელს არ შეუძლია დოკუმენტალურად დაადასტუროს თავისი დანახარჯები, მაშინ საგადასახადო გამოქვითვა ხდება შემოსავლის საერთო თანხიდან მიღებული სამეწარმეო საქმიანობიდან.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი აღიარებს გადამხდელის დანახარჯის არსებობას, მიუხედავად მისი რეალური განხორციელებისა და მოცემული საგადასახადო გამოქვითვის გამოყენებისათვის მენარმემ მხოლოდ უნდა დაადასტუროს მის მიერ შემოსავლის მიღების ფაქტი და მისი ოდენობა.

<sup>1</sup> ვრცლად იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი №13/109-17 (2017-03-06). განაჩენი გასაჩივრდა და საკასაციო სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო.



მოსამართლეები გამოდიან იმისგან, რომ გადამხდელი არაა ვალდებული წარადგინოს რაიმე მტკიცებულებები დანახარჯების განევის, დაკავშირებული სამენარმეო საქმიანობის განხორციელებით, რომ მიიღოს საგადასახადო გამოქვითვა მიღებული შემოსავლიდან; ამასთან დაკავშირებით, გადამხდელი განცხადების შეტანის დროს ვალდებულია დაამტკიცოს მხოლოდ საქმიანობის განხორციელების ფაქტები ინდმენარმის სახით და შემოსავლის მიღება ამ საქმიანობიდან; თავისი დანახარჯების დასაბუთება დოკუმენტალურად გადამხდელს არ შეუძლია, მაგრამ ამავე დროს კანონმდებელს ესმის, რომ შემოსავლები მენარმეობიდან დანახარჯების გარეშე ობიექტურად შეუძლებელია და გადამხდელს ეთქვას უარი საგადასახადო გამოქვითვაში – იქნებოდა უსამართლობა.

აღმოჩენილი გაურკვეველობის დასაძლევად კანონმდებელი საფუძვლად მიიჩნევს ვარაუდს იმაზე, რომ სამენარმეო საქმიანობას ყოველთვის თან სდევს დანახარჯები, მიმართული შემოსავლების მისაღებად და ამ დანახარჯების ოდენობა შეადგენს გარკვეულ პროცენტს მიღებული შემოსავლებიდან. ჩვენი შეხედულებით ამ საგადასახადო ნორმაში სახეზეა ერთდროული შეფარდება უდავო პრეზუმფციის და ფიქციისა. აქ არსებობს ორი ურთიერთდამოკიდებული ვარაუდი: პირველი, ყოველი სამენარმეო საქმიანობა აპრიორში მიმდინარეობს დანახარჯებით; მეორე, თუ მენარმეებს აქვთ დანახარჯები, მათი ოდენობა შეადგენს გარკვეულ პროცენტს შემოსავლის მთელი თანხიდან. პირველ ვარაუდს გააჩნია ალბათობის მაღალი ხარისხი და წარმოადგენს ფაქტიურ პრეზუმფციას, მეორე – ფიქციაა: ნამდვილად, იმის შანსები, რომ მენარმის დანახარჯები შეადგენენ შემოსავლიდან მთელი თანხის გარკვეულ ზღვრულ პროცენტს, ხატოვნად რომ ვთქვათ, „ერთი მილიონთანაა“. პრეზუმფცია – ვარაუდის საფუძვლად გამოდის, სამენარმეო საქმიანობის თვით ფაქტი კი ფიქცია – ვარაუდის საფუძვლად-დანახარჯების განხორციელება.

საერთო ვარაუდით, უფრო ნათელია პირობითი (ე. ი. პრეზუმტიული) პროფესიული საგადასახადო გამოქვითვის დანახარჯების ნორმატივების ხასიათი საქმიანი პროფესიების პირებისათვის. თუ ინდმენარმეების ნაწილში ნორმატივის ოდენობა შეიძლება კიდევ დაეყრდნოს რაღაც „გამშუალედებულ დანახარჯებს“, მწერლებთან ან კომპოზიტორებთან ან კიდევ მხატვრებთან და სხვა პირებთან მიმართებაში, რომელთა მიერ მიღებული საავტორო სავარაუდო ანაზღაურების დიფერენციაცია განსაზღვრულ ზღვრამდე განპირობებულია არა სტატისტიკურ ობიექტურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, არამედ განსაკუთრებულად კანონმდებლის დისკრეციული შეხედულებით.

დაბეგვრის მეთოდები, საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით, შეიძლება იყოს გაყოფილი რეალურ, ბაზირებულ საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვის მონაცემებზე და პრეზუმპტიური, დაფუძნებული ვარაუდებზე ან პირდაპირ დაკისრებაზე. დაბეგვრის პრეზუმპტიული მეთოდები ფართოდ გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით, საგადასახადო აღრიცხვის გამარტივებით, საგადასახადო სამართლებრივ სისტემაში დანაკლისი ფაქტების შესავსებად, საგადასახადო ადმინისტრირების დანახარჯების შემცირებით საგადასახადო ურთიერთობებში, გაურკვეველობის მდგომარეობის მოხსნის დახმარებებით და საგადასახადო სამართალწესრიგის



პრობლემების აღმოფხვრით, იქ სადაც სხვა იურიდიული საშუალებების მიღება გაძნელებულია, არამიზანშენილია. ამა თუ იმ მეთოდის ამორჩევა განპირობებულია საწყისი პირობებით და საგადასახადო სამართლებრივი რეგულირების მიზნებით.

## გამოყენებული ნორმატიული აქტები და ბიბლიოგრაფია:

### საკანონმდებლო აქტები

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი

### კანონქვემდებარე აქტები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“.

### ბიბლიოგრაფია

ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგია“, თბ., 2015.

Гусева С. В. Философские осмысление категории „презумпция“ в структуре юриспруденции как гуманитарного научного знания // Вестник ПАГС. – 2009.

А. В. Демин, „Презумптивные методы в Налоговом Праве“, 2011

Thuronyi V. Presumptive taxation // Tax Law design and Drafting. Vol. L; Washington: international Monetary Fund, 1996-1998.

Ahmad E; Stern N. The Theory and Practice of Tax Reform in Developing Countries. Cambridge: Cambridge University Press, 1991.

Logue K. D; Vettori G. G. Narrowing the Tax Gap Through Presumptive Taxation //Columbia Journal of Tax Law. – 2011.- Vol. 2, №1.

### სტატიები:

ქ. მესხიშვილი, პრეზუმფციის არსი და მისი გაქარწყლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, <http://www.library.court.ge/login.php?geo&authorisation>

ნ. კვინტრაძე, ავანსის დღგ-ით დაბეგვრის ახალ ინსტრუქციაზე კერძო სექტორს შენიშვნები აქვს – „საკამათო ხდება იბეგრება თუ არა კონკრეტული ავანსები“.

[http://taxinfo.ge/index.php?option=com\\_content&task=view&id=8906&Itemid=104](http://taxinfo.ge/index.php?option=com_content&task=view&id=8906&Itemid=104)

ბიზნესი და კანონმდებლობა – [რედ. იური პაპასქუა], ნოემბერი, 2009. ბიზნესი და კანონმდებლობა – [რედ. იური პაპასქუა], ნოემბერი, 2009.

სტატია N3/6 რა შემთხვევაში ექვემდებარება პირგასამტეხლოს თანხები დღგ-ის დასაბეგრი ოპერაციის თანხაში ჩართვას?

[http://taxinfo.ge/index.php?option=com\\_content&task=view&id=8825&Itemid=105](http://taxinfo.ge/index.php?option=com_content&task=view&id=8825&Itemid=105)

### ლექსიკონი

ბიზნესი და კანონმდებლობა – [რედ. იური პაპასქუა], ნოემბერი, 2009. ბიზნესი და კანონმდებლობა – [რედ. იური პაპასქუა], ნოემბერი, 2009.

### სასამართლო პრაქტიკა:

საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომის განჩინება №2/4/694 (2017 წლის 17 მაისი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება<sup>1</sup> ბს-1766-1721(კ-10) 31 მაისი, 2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება (06.05.2015 №ას-1307-1245-2014).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი №1ბ/109-17 (2017-03-06).

### ვებრესურსები:

[http://taxinfo.ge/index.php?option=com\\_content&task=view&id=8903&Itemid=104](http://taxinfo.ge/index.php?option=com_content&task=view&id=8903&Itemid=104)

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/admin-2012-03-uni.pdf>



**ვალენტინა ლუკიანეცი**  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,  
უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს  
ეროვნული აკადემიის პროფესორი

## **წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის აპრძალვა**

### **ანოტაცია**

მოხსენების თეზისები ეძღვნება წამების აკრძალვის პრობლემებს თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, ისევე როგორც სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და დასჯის სხვა ფორმების აქტუალურ საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ ძირითადი თავისუფლების სრულყოფილებას შიდასახელმწიფოებრივ ნორმებთან მიმართებაში. აგრეთვე, განხილულია ამ აკრძალვის ევოლუციის საკითხები - ეროვნული კონსტიტუციური წყობილებისგან საერთაშორისო რეგიონალურ (ევროპულ დონეზე) და საერთაშორისო უნივერსალურ (გაეროს) სისტემის ანალიზის ფარგლებში.

დასკვნის სახით, განსაზღვრულია წინადადება, რომ ევროპის ქვეყნებმა უნდა გააგრძელონ საერთაშორისო სტანდარტების დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით და მაქსიმალური ძალისხმევა განახორციელონ ამ მიზნის მისაღწევად.

ძირითადი სიტყვები: წამება, სასტიკი მოპყრობა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

**Valentyna Lukianets**

*PhD of Law, associate professor  
of Constitutional Law and Human Rights Law Chamber  
of National Academy of Internal Affairs  
Kyiv, Ukraine*

## **THE PROHIBITION OF TORTURE, INHUMAN OR DEGRADING TREATMENT OR PUNISHMENT**

The most significant documents in the human rights catalogue count the prohibition of torture, inhuman or degrading treatment or punishment amongst their provisions. Article 5 of the Universal Declaration of Human Rights (UDHR) states that: ‘No one shall be subjected to torture or to cruel, inhuman or degrading



treatment or punishment’, with the same wording reproduced in the American Declaration on the Rights and Duties of Man, also adopted in 1948. With the omission of the term ‘cruel’ [1], article 3 ECHR followed in 1950. The International Covenant on Civil and Political Rights (ICCPR), 1966, established the prohibition in a legally-binding international treaty, using similar wording as the UDHR [2]. Slightly different formulations are used in the 1969 American Convention on Human Rights [3] and the 1981 African Charter on Human and Peoples’ Rights [4]. In 1984, the UN General Assembly adopted the Convention Against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CAT). The prohibition is equally found in the Convention on the Rights of the Child, 1989 [5], and also resides in the humanitarian sphere, having long been significant in the laws of war [6].

### *Absolute and non-derogable right*

As human rights courts and committees unfailingly reiterate, the right not to be subjected to torture, inhuman or degrading treatment or punishment is a fundamental value of democratic societies [7]. This goes hand in hand with the absolute nature of the right, in that it is unqualified and non-derogable. It is unqualified in the sense that no exceptions are provided for in the text of the ECHR, nor in any of the other human rights instruments listed above. This is in contrast to the majority of rights found alongside the prohibition in international instruments, to which legitimate limitations are permitted. When one compares Article 3 ECHR with Articles 8-11 ECHR the difference is most visible – limitations of the right in the interests of national security and/or public safety, for the protection of public order, health, or morals, etc [8], are not permissible under the Convention in relation to the prohibition of torture, inhuman or degrading treatment or punishment. This is unlike even the right to life, which is susceptible to limitation in delineated circumstances.[9]. The Strasbourg organs have repeatedly reaffirmed the right’s absolute nature. [10] This absolute nature attests to the significant weight, and high level of protection, accorded to this right. The right is also one of the few that are non-derogable, removing it from the permitted ambit of temporary abrogation in time of war or public emergency [11]. Being endowed with the ‘absolute’ label can also be seen to lend additional significance; it has been argued by Addo and Grief to give the right certain ‘conceptual characteristics’. Building on Alan Gewirth’s theoretical conceptualisation of absolute rights [12], Addo and Grief note firstly that there is an expectation that the right will be subject to the most rigorous protection possible; secondly, if there is any doubt about the scope of the right, the benefit of that doubt must be given to the alleged victim; thirdly, ‘potential violators [...] should enjoy only limited discretion in respect of such a right’; and fourthly, redress must be ensured if a violation is established[13]. The existence of such characteristics is supported in the Court’s case-law. The ECtHR has held that the right must be protected ‘irrespective of the victim’s conduct’[14]; the Court has not entertained proportionality considerations, nor has it afforded a margin of appreciation to the state in respect of this right; it has consistently described the right as enshrining a fundamental value of democratic societies (as noted above) and has upheld its application in the most challenging situations, from cases of expulsion of convicted



and suspected terrorists [15] to cases in which economic constraints have been offered as a defence against a finding of a violation [16]. The ECtHR has indeed been vigorous and resolute in its application of Article 3.

### *Three forms of ill-treatment*

The drafting history of the ECHR indicates that no discussion was had on whether or not to distinguish amongst the forms of ill-treatment within Article 3 [17], but demonstrably distinctions have been made. Evidence of this is found in the many cases in which ill-treatment is classified specifically as one form as opposed to another [18]. The principal distinction made between the different kinds of ill-treatment [19] in Article 3 is between torture on the one hand and inhuman/degrading treatment/punishment on the other hand. This was the case in *Selmouni v. France* in which the intention to attach a ‘special stigma’ to acts of torture was confirmed [20]. Inhuman and/or degrading treatment/punishment is treatment that does not reach the level of ‘severity and cruelty’ to amount to torture [21]. The distinction between forms of ill-treatment further extends to a differentiation between inhuman and degrading. This distinguishing line is often blurred or not elaborated upon at all, but it is clear that inhuman and degrading treatment/punishment can be treated as distinct. Inhuman treatment has been understood by the ECtHR as being premeditated, applied for hours at a stretch and causing intense physical and mental suffering [22], which differs from its understanding of degrading treatment or punishment. One would presume that the different terms inhuman and degrading mean different things in a substantial sense. A notable difference in the Court’s understanding is that the element of intention is more prominent in relation to inhuman treatment/punishment (although this difference does not appear to be watertight). At the same time, given that the different forms of ill-treatment are nevertheless parts of the same prohibition, one can assume that there are also common elements between them. In an early case, the EComHR stated that all torture is necessarily inhuman and degrading, and all inhuman treatment is degrading.

This, however, is not helpful if it acts to obscure the particular character of the different forms of ill-treatment that have been included in the right. Furthermore, a deeper understanding of degrading treatment to emerge from the thesis might lay the foundations for a deeper analysis of the meaning of inhuman treatment. The central objective at the moment is simply to make clear, as is recognized in secondary literature, that degrading treatment is a category of violation that exists in its own right.

1. Examination of the Travaux Préparatoires suggests that the wording of Article 3 reflects a general compromise between a model based on the UDHR and a model favoured by the UK, who argued for a more precise enumeration and definition of the rights. There was no particular discussion about the omission of the word ‘cruel’; see Council of Europe (1977), Collected Edition of the “Travaux Préparatoires” of the European Convention on Human Rights Vol. IV (The Hague: Martinus Nijhoff). It has been subsequently stated that the omission does not indicate any difference in substance.
2. A second part of Article 7 ICCPR states: ‘In particular, no one shall be subjected without his free consent to medical or scientific experimentation’.
3. Reference is made to respect for ‘physical, mental and moral integrity’. The first part of Article 5(2) uses the standard formulation, with the other sub-paragraphs giving specifications relating to accused persons, minors and the object of punishment;



see Article 5.

4. Article 5 provides a slightly different formulation, which makes direct reference to respect for human dignity: ‘Every individual shall have the right to the respect of the dignity inherent in a human being and to the recognition of his legal status. All forms of exploitation and degradation of man particularly slavery, slave trade, torture, cruel, inhuman or degrading punishment or treatment shall be prohibited.
5. Article 37(a).
6. The 1949 Geneva Conventions contain in their common Article 3 a similar prohibition on ‘[...] cruel treatment and torture [...] humiliating and degrading treatment’.
7. *Selmouni v. France* [GC], no. 25803/94, ECHR 1999-V, para. 95: ‘The Court reiterates that Article 3 enshrines one of the most fundamental values of democratic societies. Even in the most difficult circumstances, such as the fight against terrorism and organised crime, the Convention prohibits in absolute terms torture and inhuman or degrading treatment or punishment.’ For further examples in ECHR case-law, see *Soering v. UK*, para. 88; *Z. and others v. UK*, no. 29392/95, ECHR 2001-V, para. 73; *Pretty v. UK*, para. 49.
8. The justifications for legitimate limitations differ slightly depending on the Article.
9. As a result of a sentence imposed by law, or as a result of a proportionate use of force in defence of a person from unlawful violence, to effect a lawful arrest or prevent escape of a detainee, or in lawful action to quell a riot or insurrection (Article 2 ECHR).
10. *Ireland v. UK*, judgment of 18 January 1978, Series A, no. 25, para. 163; *Raninen v. Finland*, judgment of 16 December 1997, Reports 1997-VIII; *Pretty v. UK*, para. 49; *Yankov v. Bulgaria*, no. 39084/97, 11 December 2003, para. 103.
11. Article 3 ECHR is explicitly removed from the scope of Article 15, which details derogation.
12. Gewirth, Alan (1982), *Human Rights: Essays on Justification and Applications* (Chicago: University of Chicago Press) at Chapter 9. Gewirth’s approach to absolute rights is part of his rational account of moral rights and human dignity, founded on the basis of the agency of human persons. Three senses of absolutism are identified by Gewirth – Principle, Rule and Individual Absolutism, which are succinctly explained by Addo and Grief and mapped onto Article 3 ECHR; see (1998) at 514-15.
13. Addo and Grief (1998) at 516.
14. *Ireland v. UK*, para. 163.
15. *Saadi v. Italy*, no. 37201/06, 28 February 2008; *Chahal v. UK*, no. 22414/93, Reports 1996-V.
16. *Kalashnikov v. Russia*, no. 47095/99, ECHR 2002-VI. 77 Council of Europe (1977).
17. See the following ECtHR cases: *Tyrer v. UK* (‘degrading punishment’); *Yankov v. Bulgaria* (‘degrading treatment’); *Bilgin v. Turkey*, no. 23819/94, 16 November 2000 (‘inhuman treatment’); *Selmouni v. France* (‘torture’).
18. Addo and Grief refer to the different forms of ill-treatment as ‘levels of harm’ with ‘different thresholds of suffering and intention’ (Addo and Grief (1995) at 193). This can be read as reflecting an understanding, commonly identified in Article 3 jurisprudence, of a distinction between forms of ill-treatment based on severity of suffering. Evans and Morgan identify in the Article 3 case-law of the Commission and Court an approach to Article 3 based on different degrees of suffering constituting different forms of treatment in an hierarchy ((1998) at 77, 79), but the authors argue that such an approach is not necessarily reflected in practice and themselves advocate a different approach; see (1998) at 77-79, 97-98). Cooper also notes the common hierarchical approach; see (2003) at 7, para. 1- 02. See also Vorhaus, who argues against a distinction based on levels of suffering (Vorhaus (2002) at 374-99). The primary concern at present is with degrading treatment as a distinct category, rather than the relationships between the different elements of the right; nevertheless, in order to acknowledge the lack of consensus on this point, the term ‘forms of ill-treatment’ will be preferred over ‘levels of harm’.
19. *Selmouni v. France*, para. 96. This confirmed the position set out in *Ireland v. UK*, para. 167.
20. *Ilascu and others v. Moldova and Russia* [GC], no. 48787/99, 08 July 2004, para. 440.
21. See *Ireland v. UK*, para. 167; *Soering v. UK*, para. 100.
22. Intention is more significant in relation to inhuman treatment/punishment, which is evidenced by the use of the term ‘pre-meditation’ in relation to inhuman treatment; however, the ECtHR has also suggested that inhuman treatment can be inflicted unintentionally (see *Mahmut Kaya v. Turkey*, no. 22535/93, ECHR 2000-III, para. 118). Intention is important but not necessary for treatment to be ‘degrading’ (to be discussed below); see *Raninen v. Finland*, para. 55.





**ლელა ნითაშვილი**

ინჟინერიის დოქტორი ინფორმატიკაში,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი

**მაია გელაშვილი**

ეკონომიკის დოქტორი,  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი

**Web 2.0 ტექნოლოგიების გამოყენება  
საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში****ანოტაცია**

სტატიაში განხილულია Web 2.0 და მისი გამოყენება სასწავლო გარემოში. Web 2.0-ის ავტორის ტიმ ორეილის (Tim O'Reilly) განმარტებით, Web 2.0-არის ქსელური ურთიერთკავშირების გათვალისწინებით სისტემის პროექტირება, როდესაც იგი ხდება უფრო უკეთესი, ანუ უფრო სრული, რაც მეტი მომხმარებელი იყენებს მას.

ამდენად ტერმინი Web 2.0 მოიცავს პროექტებს და სერვისებს, რომლებიც ვითარდებიან და უმჯობესდებიან მომხმარებლების მიერ: ბლოგები, ვიკიპროექტები, სოციალური ქსელები, ფორუმი, ვებინარი, ელექტრონული სწავლება და სხვ. თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომელსაც WWW მსოფლიო ინტერნეტ ქსელის შემქმნელი ტიმ ბერნერს-ლი (Timothy John Berners-Lee) ემხრობა. მისი აზრით, ტერმინი Web 2.0 უბრალოდ ჟარგონია, ასეა თუ ისე, ტერმინს Web 2.0 -ს 9.5 მილიონზე მეტი ციტირება აქვს მხოლოდ google-ს საძიებო სისტემაში.

სტატიაში განხილულია როგორც პრობლემები, რომლებიც გვხვდება სწავლა-სწავლების პროცესში, ასევე ის ელექტრონული რესურსი, რომლის გამოყენებით სწავლა-სწავლების პროცესი უფრო ინოვაციური, საინტერესო, დახვეწილი და ოცდამეერთე საუკუნის გამოწვევების შესაბამისია.

**საკვანძო სიტყვები:** Web 2.0, ელექტრონული სწავლება, სასწავლო on/offline რესურსი, Flipped Classroom, საავტორო ინსტრუმენტები (authoring tools).



**Lela Tsitelashvili,**  
*Professor of Samtskhe-Javakheti  
State University*

**Maia Gelashvili,**  
*Professor of Samtskhe-Javakheti  
State University*

## Web 2.0 THE USE OF TECHNOLOGY IN EDUCATION IN GEORGIA

### Abstract

The article discusses Web 2.0 and its ways of uses in the learning environment. According to Web 2.0 author Tim O'Reilly Web 2.0 is the system designing method which comes to network interconnection and becomes better, or more complete, depending on amount of users using it.

Thus the term Web 2.0 includes projects and services that are developing and improving by users: blogs, wikiprojects, social networks, forum, vebinars, e-learning and others. However, there is a different opinion that WWW World Network Developer Tim Berny Lee (Timothy John Berners-Lee) suggests that the term Web 2.0 is just a slang, in any case, Web 2.0 has more than 9.5 million citing just in the google system.

The article discusses not only the problems that are found in the studying and teaching process, but also the electronic resources used by the studying and teaching process to be more innovative, interesting, sophisticated and conformable to the twenty-first century challenges.



## **Web 2.0 ტექნოლოგიების გამოყენება საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში**

**შესავალი.** Web 2.0 ტექნოლოგიები აქტიურად გამოიყენება ელექტრონულ სწავლებაში. ელექტრონული სწავლება განიმარტება, როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ქსელის გამოყენება სასწავლო მასალასთან წვდომისა და მასთან ურთიერთქმედებისათვის, სასწავლო პროცესის მონაწილეებთან კომუნიკაციისთვის, სწავლის პროცესში მხარდაჭერისა და დახმარების მისაღებად, ცოდნისა და გამოცდილების მისაღებად და დასაგროვებლად. ელექტრონული სასწავლო კურსის ფორმატებია: CBT (Computer-based Training) – კომპიუტერზე დაფუძნებული სწავლება CD-ROM -ის გამოყენებით; (Web-based Training) Web-ზე დაფუძნებული სასწავლო მოდულები; სასწავლო რესურსების ონ/ოფ-ლაინ on/offline კოლექცია შემდეგია: ციფრული სახელმძღვანელოები; ონ-ლაინ სემინარი/კონფერენცია; ონ-ლაინ მენტორობა/ხელმძღვანელობა; შერეული სწავლება; საგულისხმოა, რომ ელექტრონული სწავლების კურსის 1 საათის მომზადებას შეიძლება ძალიან დიდი დრო – 220 საათიც კი დასჭირდეს. ამიტომ სწორად უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები და შესაძლებლობები.

ელექტრონული სწავლება არის საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ქსელის გამოყენება სასწავლო პროცესში, ეს არის დამხმარე ინსტრუმენტი იმისთვის, რომ შეავსოს ტრადიციული სწავლება (და არა ჩაანაცვლოს). ელექტრონული სწავლების კომპონენტების დანერგვა მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის ამაღლებას და მისი ეფექტურობის ზრდას.

ელექტრონული სწავლების დანერგვის აუცილებლობა გამოიკვეთა როგორც ბოლონის პროცესის შემადგენელი ნაწილი და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება. გამოიკვეთა ელექტრონული სწავლების მთავარი პრიორიტეტი: „ისწავლეთ რაც გინდათ, როცა გინდათ და სადაც გინდათ“. (ნითაშვილი, 2015:9.)

**მეთოდი** საქართველოში ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სწავლება ჯერ ისე ფართოდ არ არის გავრცელებული, თუმცა უკვე ბევრგან ვხვდებით სასწავლო პროცესის ელექტრონული ინსტრუმენტებით გამდიდრების შემთხვევებს. უკვე ბევრი პედაგოგი იყენებს ისეთ ინტერაქტიულ ინსტრუმენტებს, როგორცაა: სიმულაცია, ანიმაცია, ხშირია ვიდეო/აუდიო ფაილების გამოყენება სასწავლო პროცესში, მაგრამ, როგორც წესი, ამას არ აქვს სისტემატიზებული ხასიათი, ეს ინსტრუმენტები არ წარმოადგენს დისტანციური სასწავლო პროცესის შემადგენელ კომპონენტებს. ისინი გამოიყენება დამატებით საშუალებებად სტუდენტებთან (მსმენელებთან) პირისპირი შეხვედრებისას (პაპიაშვილი, 2013:22).

**შედეგები და მსჯელობა.** გარკვეული ნაბიჯები ელექტრონული სწავლებისაკენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკვე აქვს გადადგმული: დაინერგა სასწავლო პროცესე-



ბის მართვის სისტემა პლატფორმა MOODLE, სადაც განთავსებულია სხვადასხვა ელექტრონული კურსი, საგამოცდო პროცესი მიმდინარეობს ელექტრონულად. დაინერგა სასწავლო პროცესების მართვის სისტემა – ელექტრონული დეკანატი, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ნიგნები, საერთაშორისო ელექტრონული ჟურნალები.

შექმნილი ელექტრონული კურსების უმეტესობა შედგენილია პრეზენტაციების სახით PowerPoint-ში, ასევე დანყებულია კურსების შექმნა exe-Learning-ის ფორმატში. ამ ფორმატში შექმნილი ელექტრონული კურსი ითვალისწინებს შემდეგ აქტივობებს: ლექციის სილაბუსი, ვიდეო ლექცია, ლექციის ელექტრონული ვერსია, ყოველი ლექციის შემდეგ შესაბამისი შეკითხვები თვითშეფასებისათვის სხვადასხვა ფორმატით: (Multi-choice- ერთი სწორი პასუხი Multi-select -რამდენიმე სწორი პასუხი, True-False Question – სწორია-მცდარია კითხვა, Cloze Activity- გამოტოვებული სიტყვების ჩასმა. პროგრამა HotPotatos-ში იქმნება აქტივობები კროსვორდის შევსება და შესაბამისობის დადგენა, რომელსაც ემატება შემდეგი რესურსი: გლოსარიუმი-ლექსიკონი, სასარგებლო ბმულები, ტესტირება და ყველაზე მნიშვნელოვანი – უკუკავშირი, სადაც პედაგოგს და სტუდენტს შორის მუდმივად ხორციელდება ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა საშუალებებით, ეს იქნება ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები თუ ონლაინ-Skype კონფერენცია, რომელიც იგეგმება სემესტრში მინიმუმ 2 ჯერ.

უნივერსიტეტს ჰყავს საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის – GIZ-ის მიერ გადამზადებული ელექტრონული სწავლების სერტიფიცირებული სპეციალისტები, რომლებიც პერიოდულად პედაგოგებისათვის ატარებენ ტრენინგებს, რათა პედაგოგები ახალი ელექტრონული კურსის შექმნისათვის გაერკვიონ ელექტრონული პროგრამის საჭიროებებში: საჭირო მასალის მოძიება, ელექტრონული რესურსის შექმნა, კურსის დიზაინის შემუშავება, კონტენტის მომზადება და შემდგომ მათი პროგრამაში ჩასმა. სტუდენტები კი შეძლებენ ამ რესურსების რაციონალურად გამოყენებას და ათვისებას, რითაც მიაღწევენ ციფრული ნიგნიერების ხარისხის ზრდას მათი პროფესიისათვის, კარიერისათვის. მარტივად რომ ვთქვათ, შეიძენენ ყველა იმ უნარს, რომელიც საჭიროა მომავალში შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობისთვის. ელექტრონული სწავლების მიზანია ვუპასუხოთ სტუდენტთა სასწავლო სტილებსა და საჭიროებებს, გავაუმჯობესოთ სტუდენტთა დანახარჯების ეკონომიკური ეფექტურობა. მოვიპოვოთ წამყვანი პოზიცია საგანმანათლებლო ტექნოლოგიების განვითარების საქმეში, მოვახდინოთ სწავლის პროცესის დიგიტალიზება, ანუ არსებული ინფორმაციის კომპიუტერულ ფორმატში გადაყვანა, რითაც შევძლებთ ვუპასუხოთ ამ საუკუნის ტექნოლოგიურ გამოწვევებს. (წითაშვილი, 2013:241)

უნივერსიტეტში ჩატარდა პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების გამოკითხვა, მათთვის შემუშავდა განსხვავებული კითხვარები ელექტრონული სწავლების მოლოდინებთან დაკავშირებით, გაანალიზეთ პასუხები და დაიდო ერთგვარი დასკვნა, თუ რა სურს სტუდენტს, როგორი



უნდა იყოს მისთვის სასურველი კურსი და რისი გაკეთება მოუწევს ლექტორს, რათა მის მიერ შექმნილმა კურსმა მიაღწიოს შედეგს. უფრო მეტიც, სტუდენტების ნაწილმა გამოთქვა პედაგოგებთან თანამშრომლობის სურვილი ერთობლივი კურსების შესაქმნელად და ამჟამად მიმდინარეობს კურსების შექმნაზე მუშაობა, თუმცა ეს მოითხოვს დიდ დროსა თუ მატერიალურ რესურსს, ამიტომ სრულყოფილი ელექტრონული კურსის შექმნა, სავარაუდოდ, ხანგრძლივი პროცესია.

**პრობლემა** დღესდღეობით როგორც სკოლებში, ასევე უმაღლეს დაწესებულებებში ელექტრონული გაკვეთილებისა და კურსების ძირითადი ნაწილი მაინც საოფისე პროგრამებით და საპრეზენტაციო პროგრამა Power Point-ის მეშვეობით მიმდინარეობს, სამწუხაროდ, ნაკლებად გამოიყენება სხვა საპრეზენტაციო პროგრამები: Prezi, Glogster, Animoto, Kizoa, ანიმაციები თუ სიმულაციები, ეკრანის ჩაშენი პროგრამები: Camtasia Studio, Pinnacle Studio, Jing თუ სხვა ინტერაქტიული ელემენტები.

მსოფლიო მასშტაბით იცვლება მიდგომა ტრადიციულ სასკოლო პროცესთან მიმართებაში, საგულისხმოა სკოლებში ე. წ. შებრუნებული საკლასო ოთახის The Flipped Classroom იდეა. **ეკაჯელაძე**, რომელიც წლების წინ მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგების პროგრამის მენეჯერი და ექსპერტ-კონსულტანტია, აღწერს ამ მოდელს და მას დიდ პოპულარობას მიაწერს: „ცნობილი უნივერსიტეტები ამ მოდელით წარმართავენ სწავლებას. ასევე არიან სკოლებიც. შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელი ითვალისწინებს სასწავლო პროცესის შეტრიალებას. ტრადიციულად, მასწავლებელი საკლასო ოთახში ხსნის ახალ მასალას, რომელიც მოსწავლემ დამოუკიდებლად უნდა განიმტკიცოს შინ, საშინაო დავალების შესრულებისას. მაგრამ ტემპი, რომლითაც მასწავლებელი ხსნის ახალ მასალას, ყველა მოსწავლისთვის ეფექტიანი ვერ იქნება, ვინაიდან მათ განსხვავებული შესაძლებლობები და სწავლის სტილი აქვთ. განურჩევლად იმისა, როგორ გაიგო ახსნილი მასალა, მოსწავლეს უწევს, დავალება დამოუკიდებლად შეასრულოს შინ. მეორე დღეს კი კლასი ახალ მასალაზე გადადის, განურჩევლად იმისა, როგორ დაეუფლა წინას ცალკეული მოსწავლე. შებრუნებული სასწავლო ოთახის მოდელის მიხედვით, მასწავლებელი ახალ მასალას სახლში გასაცნობად აძლევს მოსწავლეს ვიდეოგაკვეთილის, ტექსტური ინფორმაციის, ინფოგრაფიკისა თუ სხვა სახით. მოსწავლეს შეუძლია, სახლში საკუთარი ტემპისა და მუშაობის სტილის შესაბამისად გაეცნოს მას, დაუბრუნდეს გაუგებარ ადგილებს და იმდენჯერ გაიმეოროს, რამდენჯერაც საჭიროა. მასალას საკლასო ოთახში განამტკიცებენ, სადაც მოსწავლეს საშუალება ეძლევა, გაუგებარი ადგილები მასწავლებელთან და თანაკლასელებთან ერთად გაიაროს, ივარჯიშოს, სანამ არ დაეუფლება ახალ კონცეპტს. ამრიგად, ამ ორი კომპონენტის გადაადგილებით სასწავლო პროცესისადმი მიდგომა სრულიად იცვლება და შეიძლება თითოეული მოსწავლის მიღწევების რადიკალურად შეცვლაც. თუ ამას დავუმატებთ სასწავლო პროცესის მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს, რომელზეც



ზემოთ ვისაუბრეთ, მასწავლებელს ხელთ ექნება სრულიად ახალი და მძლავრი ინსტრუმენტები, რათა რადიკალურად შეცვალოს თავისი სამუშაო პროცესი და შედეგები.“

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ღირს ყურადღების გამახვილება, მიუხედავად სახელმწიფოს ნებისა და არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის გულისხმევისა, ყველა სკოლას ჰქონდეს უწყვეტი ინტერნეტი, თანამედროვე კომპიუტერებით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები, გადამზადებული კვალიფიკაციური პედაგოგები, მოსწავლეებს, განსაკუთრებით რეგიონებში მანაც აქვთ ინტერნეტთან წვდომის დეფიციტი. სასწავლო პლატფორმები, რომლებიც გამოიყენება როგორც სკოლაში, მაგალითად, Edmodo ან უმაღლეს სასწავლებლებში Moodle, აქტიური მხოლოდ on-line-რეჟიმში, ხოლო როდესაც მთავრდება სასწავლო პროცესი, სამწუხაროდ, აქ მთავრდება მოსწავლის/სტუდენტის ელექტრონული განათლება, ამდენად, ვფიქრობ, ამ ეტაპზე, სანამ საქართველოს ყველა მოსწავლეს თუ სტუდენტს არ ექნება ინტერნეტთან შეუზღუდავი წვდომა, უპირიანი იქნება ისეთი პლატფორმების თუ კურსების off-line რესურსის გამოყენება, რომლების არ მოითხოვენ ინტერნეტს. ამ რესურსის კარგი მაგალითია პროგრამა exe-Learning. ამ პროგრამაში შექმნილი კურსები ჩაინერება ელექტრონულ დისკებზე თუ ნებისმიერ ელექტრონულ მატარებელზე და მათი ნახვა ბევრად მოხერხებული იქნება სახლის პირობებში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საიტებზე განთავსებულია მრავალი ელექტრონული რესურსი, რომლის დახმარებით შესაძლებელია სასწავლო პროცესის წარმართვა თანამედროვე ტექნოლოგიური მოთხოვნების დონეზე.

სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ევროკომისიის დახმარებით 2013 წლის მარტის თვიდან ახორციელებს მასწავლებელთა დამეგობრების პროგრამას (eTwinningplus), რომლის მიზანია ქართველ და ევროპულ მასწავლებელთა დამეგობრება, კომუნიკაცია და გამოცდილების გაზიარება. eTwinning-ის ფარგლებში ქართველი მასწავლებლები თანამშრომლობენ ევროპულ კოლეგებთან, რათა ერთობლივად დაგეგმონ საგანმანათლებლო პროექტები. (<https://plus.etwinning.net/en/pub/index.htm>)

სტატიაში გაგაცნობთ რამდენიმე მნიშვნელოვან საგანმანათლებლო რესურსს, რომელიც უფასო სერვისს სთავაზობს მომხმარებლებს. ეს რესურსები ერთნაირად გამოიყენება როგორც საშუალო სკოლის მოსწავლეებისა თუ პედაგოგებისათვის, ასევე პროფესიული სწავლების თუ უმაღლესი დანესებულების სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის: ხანის აკადემია **Salman Khan academy**, **კოდის სტუდია**, [www.Gutenberg.org](http://www.Gutenberg.org)-**გუტენბერგის პროექტი**, უფასო ელექტრონული წიგნების საცავი, **კოდლას აკადემია**, **ლემილი Lemill**. შექმნილია პირველი ონლაინ პროგრამა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის – ქართული ენა და ლიტერატურა, რომლის შექმნას დასჭირდა შემდეგი რესურსი: 83 მოკლე აუდიო და ვიდეოლექცია, 250 უკუგებიათი ტესტი, 40-მდე დამხმარე ტექსტი, 100-მდე ფოტო, 30-მდე სქემა, სარეკომენდაციო ლიტერატურა და წყაროები. ამ



პროგრამის ნახვა შესაძლებელია თსუ-ს საიტზე [e-learning.tsu.ge](http://e-learning.tsu.ge), ასევე შექმნილია ქართული ენის ელექტრონული სწავლების კურსი [e-learning.ena.ge/elearning\\_geo.html](http://e-learning.ena.ge/elearning_geo.html).

**Web 2.0-ის (O'REILLY, ვებ-პორტალი), საავტორო ინსტრუმენტები (authoring tools): ვებ-ნარი-ახალი ტექნოლოგია** ონლაინ შეხვედრების, პრეზენტაციების, ტრენინგების, გამოკითხვებისათვის ინტერნეტის მეშვეობით. ყველა მონაწილე ამ დროს იმყოფება პირად კომპიუტერთან მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, **ვებ-ფორუმი** – საიტი, სადაც მონაწილეები ერთმანეთთან კონტაქტობენ გზავნილების სახით. ფორუმის მუშაობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მომხმარებლები (ფორუმის სტუმრები) ტოვებენ საკუთარ თემებს პოსტინგის გზით მისი შემდგომი განხილვისათვის და მასში შეტყობინებების განთავსებისათვის. ყოველი ცალკე აღებული თემა ფაქტობრივად წარმოადგენს სტუმართა თემატურ წიგნს. მომხმარებლებს შეუძლიათ წარმოდგენილი თემის კომენტირება, კითხვების დასმა თემის გარშემო და პასუხების მიღება, აგრეთვე, თავადვე უპასუხონ თემაში დასმულ სხვა მომხმარებელთა შეკითხვებს, მისცენ მათ რჩევები. თემის შიგნით, შესაძლოა, აგრეთვე გაიმართოს კენჭისყრა (ხმის მიცემის პროცედურა), **ჩატი** – რეალურ დროში კომპიუტერულ ქსელში შეტყობინებების გაცვლის საშუალება. აგრეთვე, პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასეთი ურთიერთობების ორგანიზების საშუალებას იძლევა. მისთვის დამახასიათებელი ნიშანია რეალურ დროში ან მის ახლოს არსებული კომუნიკაცია. ეს გამოარჩევს ჩატს ფორუმებისა და სხვა შენელებული საშუალებებისაგან. თუ ფორუმში შესაძლებელია დაინეროს კითხვა და დაელოდო პასუხს (იმავე დროს, შესაძლებელია რამდენიმე სხვა მომხმარებლისაგან მივიღოთ პასუხი), ჩატში ხდება ურთიერთობა მხოლოდ მათთან, ვინც მოცემულ მომენტში იმყოფება ადგილზე და ურთიერთობის შედეგები, შესაძლოა, არც კი იქნას შენახული. სიტყვა „ჩატში“ ჩვეულებრივ იგულისხმება ჯგუფური ურთიერთობა, თუმცა, შესაძლოა, ურთიერთობა მიმდინარეობდეს ერთი ერთზეც, **KHANACADEMY** – ხანის აკადემია არაკომერციული ორგანიზაციაა, რომლის მისიაა მსოფლიო დონის უფასო განათლების მიწოდება ყველასთვის, ყველგან, **კოდალას აკადემია** — ვირტუალური აკადემია, რომელიც „ინოვაციური განათლების ფონდმა“ 2010 წელს დააარსა. პროექტის მიზანია საგანმანათლებლო პროცესში ინოვაციური მეთოდებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა, ასევე სკოლის მოსწავლეებისათვის მეტი შესაძლებლობების შექმნა ცოდნის გაღრმავებისთვის, პიროვნული განვითარებისა და მომავალი კარიერისთვის. კოდალას აკადემია მსოფლიოში აღიარებული სალმან ხანის აკადემიის ქართული ანალოგია. ის მოიცავს ვიდეო-გაკვეთილებს სხვადასხვა საგნიდან, განსაკუთრებული ყურადღება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ენიჭება. ვიდეო-გაკვეთილები და ექსპერიმენტების ამსახველი ვიდეოები წარმოდგენილია ქართულ ენაზე. **სოციალური ქსელი** – კლასიკური განმარტებით, სოციალური ქსელი არის სოციალური ობიექტების ჯაჭვი, რომელიც ორგანიზაციების ან ინდივიდუალური ადამიანებისგან შედგება. კომპიუტერული სოციალური ქსელები გასაოცარ საშუალებებს გვთავაზობს ინფორმაციის გაზიარებისთვის, ახალი მეგობრების გასაცნობად და ძველი ნაც-



ნობების აღმოსაჩენად, ახალი ამბების გასაგებად, სარეკლამო ბიზნესში ჩასართავად, ზოგადად თვითრეალიზაციისათვის.

ამერიკელი სოციოლოგი სტენლი მილგრამის (**Stanley Milgram**) ექვსი ხელის ჩამორთმევის თეორიით, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებ 2 ადამიანს ერთმანეთისგან საშუალოდ 6 ხელის ჩამორთმევა აშორებს, ამ პრინციპზეა ზუსტად დამყარებული სოციალური ქსელები, ჯერ ვავრცელებთ ინფორმაციას, შემდეგ მას ჩვენი მეგობრები გაავრცელებენ, შემდეგ მათი მეგობრები და ა. შ. და ეს ინფორმაცია ბოლოს სოციალური ქსელი ყველა ნევრისთვის იქნება ცნობილი. (სანდრო ასათიანი, 2011) ყველაზე გავრცელებული სოციალური ქსელებია: **facebook, Instagram, Myspace, xanga, ivejournal, odnoklassniki, vkontakte** და სხვ.

სოციალური ქსელის სასწავლო პროცესში გამოყენების, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სოციალური ქსელი „ედმოდო“, რომელიც საგანგებოდ შეიქმნა სასწავლო პროცესის უკეთ წარსამართავად. „ედმოდო“ ქსელში ჩართულ „სამკუთხედს“ აერთიანებს: მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს (უნდა აღინიშნოს, რომ პროცესს პედაგოგი წარმართავს; მის გარეშე ჯგუფში გაერთიანებული სხვა პირებისთვის ინფორმაცია არ იქნება ხელმისაწვდომი; ამით შეგვეძლება, თავიდან ავიცილოთ სოციალური ქსელებისთვის ჩვეული უარყოფითი მახასიათებლები). „ედმოდო“ არის სოციალური ქსელი მხოლოდ მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალისთვის; შექმნილი იმისთვის, რომ სამუშაო პროცესი უფრო მოქნილი გახდეს. მისი საშუალებით შესაძლებელია როგორც საკლასო მუშაობის მარტივად წარმართვა, ისე საშინაო დავალებებისა და სასკოლო შეტყობინებების გაგზავნა სოციალურ ქსელში ჩართული კონკრეტული ჯგუფისთვის. Edmodo ეს არის ვირტუალური საკლასო ოთახი, დაცული სოციალური ქსელი განათლებისათვის, სადაც შესაძლებელია შექმნათ ჯგუფები, მოინვიოთ მოსწავლეები, გადაუგზავნოთ ჯგუფს შეტყობინება, სხვადასხვა ტიპის ფაილები, ტესტები – დახურული და ღია კითხვებით, ჩაატაროთ ინტერაქტიული გამოკითხვა. Edmodo დაგეხმარებათ ეფექტურად წარმართოთ სწავლა-სწავლების პროცესი ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში.

**ბლოგი (blog-web log)** – მოვლენათა ინტერნეტ დღიური, ონლაინ-დღიური, ინტერნეტ-ჟურნალი, რომელშიც რეგულარულად ემატება ჩანაწერები, ტექსტი, გამოსახულება, მულტიმედია. ტერმინი „ბლოგი“ პირველად პიტერ მერჰოლცმა გამოიყენა, ხოლო პირველ ბლოგად მიჩნეულია ტიმ ბერნერ ლის გვერდი, რომელშიც 1992 წლიდან მოყოლებული აქვეყნებდა სიახლეებს. 1996 წელს კომპანია PuraLabs-მა წარმოადგინა საიტი Blogger.com, რომელიც გახდა პირველი უფასო ბლოგ-პლატფორმა, ასევე ბლოგის შესაქმნელი უფასო პლატფორმებია: **wordpress.com, livejournal.com, twitter.com** **ვებ-აპლიკაცია Stupflix** – ეს არის უფასო ვებ აპლიკაცია, რომლის საშუალებითაც ძალიან მარტივად, რამდენიმე დაწკაპუნებით შეგვიძლია შევქმნათ შესანიშნავი ვიდეო. ვირჩევთ თემას, სურათებს და ვიდეოს, ვამატებთ ტექსტს, რუკას, ანიმაციურ ეფექტებს, მუსიკას და ვიდეოც მზად არის! შეგვიძლია სურათების და ვიდეოს იმპორტი ჩვენი კომპიუტერიდან ან ინტერნეტიდან,





შეგვიძლია ასევე გამოვიყენოთ სურათები Facebook-დან, Dropbox-დან, Picasa-დან და Flickr-დან. დაამატოთ საუნტრეკი, ავტვირთოთ მუსიკა ან უბრალოდ ავირჩიოთ Stupeflix –ის ბიბლიოთეკი-დან, **კოდის სტუდია** არის კურსების კატალოგი, სადაც განთავსებულია 20 მილიონამდე მეტი პროექტი, კურსები ხელმისაწვდომია ყველასთვის უფასოდ, გამოყოფილია ბლოკები: კომპიუტერული მეცნიერებების საფუძვლები; კომპიუტერული თამაშების ლაბორატორია: App Lab, Game Lab, Web Lab, Widgets და სხვ, ხატვა, ხელოვნება- ჩანართებით: საქართველოს მხატვრები, ენციკლოპედია, მსოფლიოს მხატვრები, სკულპტურა, ჟანრი, არქიტექტურა, **e-library** -ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკა; **koool საქართველო** – არის Intel®-ის მიერ წამოწყებული ინიციატივა, რომელიც უახლესი ტექნოლოგიების დახმარებით გვაძლევთ საშუალებას გამოვიყენოთ ინოვაციური, ინტერაქტიული და ძალიან საინტერესო სასწავლო პროგრამები. **MARKUP** ჩანართებით hardware, ინტერნეტი, თამაშები, IT საქართველოში, სწავლება, Pod cast და სხვ.

სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის **ციფრული რესურსების პორტალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიები** <http://www.ict.tpdc.ge/> ციფრული რესურსების შესანიშნავი ონლაინ სასწავლო გარემოა. პორტალი ვიდეოგაიდების საშუალებით დაინტერესებულ მომხმარებელს სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამების, საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და მათი სასწავლო პროცესში ინტეგრირების მეთოდოლოგიით უზრუნველყოფს. პორტალზე განთავსებულია კატეგორიების მიხედვით დაყოფილი ვიდეოგაიდები. ვიდეოების საცავი თემებად და ქვეთემებადაა დაყოფილი, ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მათგანი: **Google Drive** გვაძლევს საშუალებას შექმნათ ფაილების ონლაინ საცავი, შეინახოთ და მოახდინოთ მათი რედაქტირება ან გაუზიაროთ სხვებს. ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობა მისთვისაა, ვისაც სურვილი აქვს უსაფრთხოდ შეინახოს საჭირო დოკუმენტები და განახორციელოს თანამშრომლობითი ურთიერთობები ელექტრონულ რესურსებზე; **Google Drive ტესტირება** პროგრამით შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ტესტების შექმნა როგორც სწავლების, ასევე ცოდნის შესაფასებლად. ტესტირება მიმდინარეობს on-line რეჟიმში და არაა აუცილებელი ტესტირებაში მონაწილე პირები იმყოფებოდნენ კლასსა თუ აუდიტორიაში; **Google+ & Hangout** არის კომპანია google-ს ორი საინტერესო პროდუქტი, კერძოდ, google+ და hangouts. უნდა ითქვას, რომ დღევანდელ დღეს ადამიანებს შორის ურთიერთობა იძენს სულ ახალ და ახალ ფორმას და ამ ყველაფერში უდიდესი ადგილი უკავია საინფორმაციო ტექნოლოგიებს – დანყებული ჩვეულებრივი ელექტრონული ფოსტით და დამთავრებული პირდაპირი ვიდეო კავშირებით, საქმის ასეთმა ვითარებამ სადღაც გაამარტივა, სადღაც კი საერთოდ შესაძლებელი გახადა ადამიანების პირდაპირი კავშირი, განსაკუთრებით ეს შეეხება მათ, რომლებიც იმყოფებიან ერთმანეთისაგან ძალიან შორს, სერვისი წარმოგვიდგენს საშუალებას ურთერთობა გვქონდეს ინტერნეტით სხვადასხვა სპეციალური კომპონენტების საშუალებით, ესენია: წრეები, კოლექციები; **Google Earth** – გუგლი დედამიწა, არის კომპანია გუგლის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მრავალფუნქციური პროგრამა, რომელიც წარმატებით შეიძლება გამო-



იყენოს სხვადასხვა საგნის პედაგოგმა, მასში შექმნას მრავალფეროვანი და ინტერაქტიული რესურსი და მოახდინოს მისი ინტეგრირება სასწავლო გარემოში. პროგრამა „გუგლი დედამინა“ წარმოადგენს დედამინის ვირტუალურ მოდელს, სადაც ჩვენ შეგვიძლია ახლოდან დავათვალიეროთ დედამინის ნებისმიერი ნერტილი. პროგრამაში შესაძლებელია ქალაქების 3 განზომილებაში დავათვალიერება; **Picasa** ვებ-ალბომი კორპორაცია Google-ის ერთ-ერთ პროდუქტია, სადაც შეგვიძლია შევინახოთ როგორც პირადი, ასევე საგანმანათლებლო სურათები და დავახარისხოთ ისინი ფოტო-ალბომებად; **Coral Draw, Adobe Illustrator** ვექტორული გრაფიკული რედაქტორებია, **Adobe Photoshop, Photo Paint**, კი – რასტრული გრაფიკული რედაქტორები; **iStudio200** წარმოადგენს სპეციალურ სისტემას, რომელიც საშუალებას იძლევა პროფესიონალურ დონეზე მომზადდეს სატრენინგო პროგრამა, საგანმანათლებლო სიუჟეტი, ინტერაქტიული კონფერენცია და სხვა მსგავსი პროდუქტი მარტივად და ხარისხიანად. იგი განკუთვნილია აგრეთვე 2 და 3D პრეზენტაციების ან ვიდეოგაკვეთილების მოსამზადებლად. **iStudio** შექმნილია იმგვარად, რომ იგი მთლიანად მართოს ერთმა ადამიანმა და არ საჭიროებს დამხმარე პერსონალს ჩანაწერის მიმდინარეობისას. ეს პროდუქტი შექმნილია კომპანია Darim-ის მიერ, **Tondoo.com**-ის გამოყენებით შეგვიძლია შექმნათ კომიქსები, სასწავლო რესურსების შესაქმნელად გამოიყენება ეკრანის ჩასაწერი პროგრამები: **Camtasia Studio, Pinnacle Studio, Jing. Camtasia Studio** წარმოადგენს ნახევრად პროფესიონალურ პროგრამას, რომელიც განკუთვნილია ვიდეო, აუდიო, გრაფიკული და სხვა მულტიმედია ფაილების დასამუშავებლად (დასამონტაჟებლად). სხვა ანალოგიური პროგრამებისგან განსხვავებით **Camtasia Studio 8** საშუალება აქვს მოახდინოს მონიტორის ეკრანზე მიმდინარე მოქმედებების ჩანერა ვიდეო ფაილის სახით, შემდეგ შეიძლება დავამუშავოთ (დავურთოთ ხმა, სურათები, ვიდეო ფაილები და სხვა) და საბოლოო შედეგი ჩაწეროთ ვიდეო ფაილის სახით. სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას **Camtasia Studio 8** დახმარებით შევქმნათ მაღალპროფესიული ვიდეო გაკვეთილები; **ANIMOTO** არის ვებ პროგრამა, რომლის მეშვეობითაც მარტივად და სწრაფად შეგვიძლია შევქმნათ ვიდეო ფაილები და გადავავ ზავნოთ ვიდეოს ბმული ელექტრონული ფოსტით, გამოვაქვეყნოთ ბლოგზე/საიტიზე, ავტვირთოთ Youtube-ზე, გადმოვწეროთ ჩვენს კომპიუტერში პრეზენტაციის მოსაწყობად, ვებ პროგრამა **ANIMOTO**-ს დახმარებით შესაძლებელია ეფექტურად წარვმართოთ სწავლა-სწავლების პროცესი; **Knovio** არის ვებ-გვერდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩვენს მიერ კომპანია Microsoft-ის საოფისე საპრეზენტაციო პროგრამაში **Microsoft Office PowerPoint** -ში შექმნილ პრეზენტაციას დავამატოთ ვიდეო განხილვა პრეზენტაციაში შემავალი თითოეული სლაიდის მიხედვით, პრეზენტატორის ვიზუალური გამოსახულებით. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს პრეზენტაცია ჩავატაროთ დისტანციურად; **LearningApps** ალბათ გვიფიქრია: რა მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო თამაშებს სასწავლო პროცესში? რა შინაარსის დიდაქტიკური მასალების შექმნა შეიძლება სასწავლო პროცესში? რომელ სერვისებს გამოვიყენებდით განმავითარებელი სავარჯიშოების შექმნისას? ეს ვიდეო-გაკვეთილი დავგეხმარება და საშუალებას მოგვცემს გავეცნოთ ერთ-



ერთ ონლაინ პროგრამას, სადაც შეგვიძლება გამოვიყენოთ არა მარტო შაბლონები და მოარგოთ ჩვენს საგანში შესაბამის საფარჯიშოებს, თვითონვე შევქმნათ აქტივობები სხვადასხვა თემაზე; **Stupflix** არის ვებ-აპლიკაცია, რომლის საშუალებითაც ძალიან მარტივად, რამდენიმე დანკაპუნებით შეგვიძლია შევქმნათ შესანიშნავი ვიდეო. ვირჩევთ თემას, სურათებს და ვიდეოს, ვამატებთ ტექსტს, რუკას, ანიმაციურ ეფექტებს, მუსიკას და ვიდეოც მზად არის! შეგვიძლია სურათების და ვიდეოს იმპორტი ჩვენი კომპიუტერიდან ან ინერნეტიდან, შეგვიძლია ასევე გამოვიყენოთ სურათები Facebook-დან, Dropbox-დან, Picasa-დან და Flickr-დან. დაამატოთ საუნდტრეკი, ავტვირთოთ მუსიკა ან უბრალოდ ავირჩიოთ Stupeflix –ის ბიბლიოთეკიდან. და ეს ყველაფერი უფასოა; **Pizap.com** ელექტრონული წიგნების დამზადების ერთ-ერთ საშუალებაა. კითხვა მოსწავლეთათვის სასიამოვნო პროცესად რომ იქცეს, შესაძლებელია მასწავლებელმა ტექნოლოგიების გამოყენებით დაამზადოს ელექტრონული წიგნები. შექმნილი რესურსი მასწავლებელს საშუალებას მისცემს სასწავლო პროცესში გამოიყენოს მრავალფეროვანი მხატვრული და საინფორმაციო ლიტერატურა, შექმნას საკუთარი ელექტრონული ბიბლიოთეკა და გახადოს ყველა წიგნი მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომი; **Powtoom.com** გამოიყენება ანიმაციური ვიდეორგოლებისა და პრეზენტაციების მოსამზადებლად; **Meograph** ეს არის ინტერაქტიული ონლაინ სივრცე, რომელშიც შესაძლებელია შევქმნათ საკუთარი ისტორიები, მულტიმედიური სასწავლო რესურსი, შექმნის პროცესში ჩაერთოთ, როგორც გრაფიკული, ისე ინტერნეტში მოპოვებული სხვადასხვა ვიდეოები. გავაერთიანოთ ისინი ერთ ისტორიად. „შექმენი, ითანამშრომლე, გააზიარე“; აპლიკაცია **Calameo**-ს გამოყენებით შეგვიძლია სხვადასხვა ფორმატის დოკუმენტები გამოაქვეყნოთ ელექტრონული წიგნის სახით, შექმნათ საკუთარი წიგნებით ბიბლიოთეკა და ჩვენი ნამუშევარი გაუზიაროთ სხვებს. ამ ინსტრუმენტით შეგვიძლია ვისარგებლოთ სასწავლო პროექტებზე მუშაობის დროს ან ნებისმიერ დროს, მოსწავლეების ან საკუთარი ნამუშევრების გამოქვეყნების მიზნით.

### დასკვნა

სტატიაში განხილულია Web 2.0 და მისი გამოყენება სასწავლო გარემოში. გამოიკვეთა რიგი პრობლემები. მიუხედავად უზარმაზარი რესურსისა, რომელსაც განათლების სისტემა სხვადასხვა პროექტების მეშვეობით ახორციელებს როგორც სკოლებში, ასევე უმაღლეს დანესებულებებში, ელექტრონული გაკვეთილების და კურსების ძირითადი ნაწილი მაინც საოფისე პროგრამებით და საპრეზენტაციო პროგრამა Power Pointის მეშვეობით მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ნაკლებად გამოიყენება სხვა საპრეზენტაციო პროგრამები: Prezi, Glogster, Animoto, Kizoa, ანიმაციები თუ სიმულაციები, ეკრანის ჩამწერი პროგრამები: Camtasia Studio, Pinnacle Studio, Jing თუ სხვა ინტერაქტიული ელემენტები. პრობლემაა ასევე ინტერნეტთან უწყვეტი წვდომის პრობლემა, რომლის გადაჭრის გზაა off-line სწავლების ელექტრონული კურსების დანერგვა, საჭიროა პედაგოგებს გაცნოთ და მივანოლოთ საკმაოდ დიდი რესურსი, რომელიც განთავსებულია საგანმანათლებლო



სივრცეში, კიდევ უფრო მეტი პედაგოგების გადამზადება ინოვაციური ტექნოლოგიების დაუფლებისა და მათი სასწავლო აქტივობებში გამოყენების მიზნით.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. ნითაშვილი, „ელექტრონული სწავლება-ინოვაციური ტექნოლოგიების შედეგი“ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2015.
2. პაპიაშვილი, 2013:22, პაპიაშვილი რ. „დისტანციურ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სწავლების ორგანიზების სქემების დამუშავება და დანერგვა“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 0175. 2013.
3. ნითაშვილი, 2013:241, ნითაშვილი ლ., ბერიძე ლ., მოდებაძე გ., თათენაშვილი თ., ელექტრონული სწავლება – რეალობები და პერსპექტივები“, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ახალციხე, 2013.
4. ვებ-პორტალი O'REILLY, <http://www.oreilly.com/pub/a/web2/archive/what-is-web-20.html?page=5>
5. ს. ასათიანი, 2011, ს. ასათიანი, „სოციალური მედია სკოლაში“-გამომცემლობა „სანდროს წიგნები“, 2011.
6. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ციფრული რესურსების პორტალი-საგანმანათლებლო ტექნოლოგიები <http://www.ict.tpdg.ge/>
7. [www.e-learning.tsu.ge](http://www.e-learning.tsu.ge)
8. [www.e-learning.ena.ge/elearning\\_geo.html](http://www.e-learning.ena.ge/elearning_geo.html).
9. <https://plus.etwinning.net/en/pub/index.htm>



**მაია გელაშვილი**  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
ასოცირებული პროფესორი

## საბანკო საკრედიტო რისკის მართვის სისტემა

### ანოტაცია

თანამედროვე საბანკო მომსახურების დანერგვა ეკონომიკის ერთიან სახელმწიფო რეგულირების საფუძველს წარმოადგენს. საბანკო-საკრედიტო რისკის მართვის პრობლემა ნებისმიერი ქვეყნის საბანკო სისტემისათვის კვლავაც აქტუალური რჩება, რადგან ბანკების უმთავრესი პრობლემა რისკის მართვის სისტემის ანალიზი და შეფასებაა კრიზისულ პირობებში. გამომდინარე იქიდან, რომ გარე ფაქტორებიდან თავის არიდება პრაქტიკულად შეუძლებელია და შესაბამისად ბანკების პირველი რიგის ამოცანა უნდა გახდეს მართვის მეთოდების სისტემის დამუშავება. სწორედ ამიტომაცაა აქტუალური დღეს ეს თემა ბანკებისთვის. რადგან საკრედიტო აქტივები წარმოადგენს სესხებსა და სხვა მსგავს ვალდებულებებს, ხოლო პროცენტები, რომლებიც მიიღება სესხების განთავსებიდან, ბანკის მოგების ძირითად ნაწილს. შესაბამისად, საბანკო დაწესებულებებმა უნდა განსაზღვრონ ე.წ. საბანკო რისკები და მართონ ისინი ისეთნაირად, რომ უარყოფითი გადახრის შემთხვევაში რეაგირების გზით მოახდინონ რისკების მინიმიზება. მასში იგულისხმება ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა, ერთის მხრივ, კრედიტებს, დეპოზიტებს, სხვა ვალდებულებებსა და, მეორეს მხრივ, საკუთარ კაპიტალს შორის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება თუ ბანკებში რისკების მართვის სტრატეგია დაეფუძნება ინტეგრირებულ სტრუქტურას, რომელიც მოიცავს რისკის ყველა ასპექტს. განსაკუთრებით საკრედიტო რისკთან დაკავშირებული პროცესები მოითხოვს ძირეული ცვლილებების დანერგვას. კერძოდ:

- ყოველი კლიენტისთვის შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება იმაზე, რომ კლიენტმა დაუფარავად შეაფასოს საკრედიტო რისკის მოსალოდნელი დონე;
- საკრედიტო პორტფელის საკრედიტო რისკი VAR მოდელის გამოყენებით შეფასება;
- საბანკო სფეროში საინფორმაციო სისტემებსა და მონინავე ტექნოლოგიებზე არსებული მზარდი მოთხოვნის წარმოჩენა.

**საკვანძო სიტყვები:** საკრედიტო რისკი; საკრედიტო პორტფელი; ინტეგრირებული სტრუქტურა, დეპოზიტი, ოპტიმალური თანაფარდობა, დინამიკის ანალიზი.



**Maia Gelashvili,**  
*Associate Professor*  
*of New Higher Education Institute*

## **BANK CREDIT RISK MANAGEMENT SYSTEM**

### **Abstract**

The introduction of modern banking services is the basis for unified state regulation of economy. The banking credit risk management problem remains a concern for the banking system of any country, As the main problem of banks is to analyze and evaluate risk management systems in crisis conditions. Due to the fact that avoiding external factors is practically impossible and therefore the first task of banks should be to manage the management system. This is why this topic is for the banks today. Because credit assets represent loans and other similar liabilities, and the percentages that are accepted are the main part of the bank's profit from placing the loans. Accordingly, banking institutions should determine the so-called „ Bank risks and manage them to minimize risks in response to negative deviations.

From the above mentioned, it is advisable if the risk management strategy in banks will be based on an integrated structure that includes all aspects of risk. Especially credit risk-related processes require the introduction of fundamental changes. Namely: implies optimum balance between credits, deposits, other liabilities and on the other's own capital.

- Create a system for each client based on the client's ability to assess credit risk risks;
- Credit portfolio credit risk assessment using VAR model;
- Presenting the growing demand for information systems and advanced technologies in the banking sector.

**Keywords:** *credit risk; Credit portfolio; Integrated structure, deposit, optimal ratio, dynamics tape.*



## საბანკო საკრედიტო რისკის მართვის სისტემა

თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების ერთ-ერთ ურთულეს და საინტერესო სფეროს საბანკო სექტორი წარმოადგენს, რომლის ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე საბანკო მომსახურების დანერგვა, რადგან ეკონომიკის ერთიანი სახელმწიფო რეგულირების საფუძველს საბანკო-საკრედიტო პოლიტიკა წარმოადგენს საბიუჯეტოსთან ერთად. ბანკი საკრედიტო ორგანიზაციაა, რომელსაც ერთობლიობაში ძირითადი საბანკო ოპერაციების განხორციელების განსკუთრებული უფლებები გააჩნია, კერძოდ:

- ფიზიკური და იურიდიული პირების დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვა ანაბრებისა და დეპოზიტების სახით;

- მსესხებელსა და გამსესხებელს შორის შუამავლობა, მოზიდული სახსრების სახელითა და საკუთარი ხარჯებით განთავსება, დაბრუნებადობის, ფასიანობისა და ვადიანობის პირობების დაცვა;

- კონტრაჰენტებს შორის ანგარიშსწორებაში, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საბანკო ანგარიშების გახსნასა და მომსახურებაში შუამავლობა;

- მიმოქცევის საკრედიტო საშუალებების შექმნა.

ბანკებში საკრედიტო აქტივები წარმოადგენს სესხებსა და სხვა მსგავს ვალდებულებებს, ხოლო პროცენტები, რომლებიც მიიღება სესხების განთავსებიდან ბანკის მოგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს, სწორედ ამიტომაცაა აქტუალური დღეს ეს თემა.

საბანკო რისკი არის საბანკო საქმიანობის სიტუაციური მახასიათებელი, რომელიც გვიჩვენებს შედეგის განუსაზღვრელობას და ახასიათებს მოსალოდნელიდან რეალური შედეგის უარყოფითი გადახრის ალბათობას. ამ განმარტების ქვეშ ძირითადად იგულისხმება მომავალში მოსალოდნელი შედეგის მკაფიოდ დადგენის შეუძლებლობა, რის შედეგადაც შესაძლოა საბანკო დანესებულებამ იმაზე უარყოფითი შედეგი მიიღოს, ვიდრე ეს მას აქვს განსაზღვრული. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საბანკო დანესებულებებს წინასწარ აქვთ შემუშავებული მისაღწევი გეგმები, რომლის მიუღწევლობაც მათთვის ნიშნავს ფინანსურ რისკს. შესაბამისად, საბანკო დანესებულებები ცდილობენ განსაზღვრონ ე.წ. საბანკო რისკები და მართონ ისინი ისეთნაირად, რათა უარყოფითი გადახრის შემთხვევაში რეაგირების გზით მოახდინონ რისკების მინიმიზება. საქართველოს ეროვნული ბანკის<sup>1</sup> მიდგომით, რისკზე წასვლა თავისთავად ნეგატიური ნაბიჯი არ არის და იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს დამატებითი მოგების მიღებასთან.

<sup>1</sup> [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)



რისკების მართვის ეფექტიანობა მრავალფეროვანი და რთულია და ბევრად არის დამოკიდებული მათ კლასიფიკაციაზე. შედეგების მიხედვით განასხვავებენ ა) სუფთა (თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას პრაქტიკულად ყოველთვის თან ახლავს დანაკარგები) და ბ) სპეკულაციური რისკებს (რომელსაც შეიძლება თან ახლდეს როგორც დანაკარგები, ისე დამატებითი მოგებაც). ამიტომ ჩვეულებრივი კომპანიებისაგან განსხვავებით ბანკების ან საფინანსო სექტორის წარმომადგენლების პრობლემები მყისიერად აისახება დანარჩენ ეკონომიკაზე. რისკი დევს ბანკის ნებისმიერ ოპერაციაში, რა თქმა უნდა, მათი მასშტაბი და უარყოფითი გავლენა სხვადასხვაა. რისკის დონე იზრდება მაშინ, როცა პრობლემები ჩნდება მოულოდნელად და ბანკი არ აღმოჩნდება მზად მის დროულად და მაქსიმალურად გასანეიტრალებლად. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სასურველი მოგების მიღება ბანკში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა სავარაუდო რისკები, ანუ მოსალოდნელი დანაკარგების ალბათობა, წინასწარაა შესწავლილი, გათვლილი და დაზღვეული.

ბანკების უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს საკრედიტო პორტფელის რისკების ანალიზი და შეფასება კრიზისულ პირობებში. წარმატებული დაკრედიტებისთვის ბანკებმა უნდა შეიმუშაონ საკრედიტო რისკების ეფექტური მართვის სისტემა. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცვლილებებს მოითხოვს ფიზიკური და იურიდიული პირების საკრედიტო რისკების მართვის სფერო. ბანკის რისკების მართვის სისტემების სრულყოფა მიმართული უნდა იყოს კლიენტების ყოველ კატეგორიაზე, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბანკის მთავარი ამოცანაა საპროცენტო, საბაზრო და საოპერაციო რისკების მართვის სისტემების განვითარება, რადგან კლიენტების დაკრედიტება ნებისმიერი ბანკის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს. ბოლო პერიოდში ბანკების საკრედიტო საქმიანობა უფროდაუფრო მრავალფეროვანი გახდა.

რისკის მართვა წარმოადგენს რისკის განსაზღვრის, შეფასების, მონიტორინგისა და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით საჭირო კონტროლის ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის შემცირების მიზნით. შესაბამისად, რისკის ეფექტური მართვა სრულად უნდა ითვალისწინებდეს იმ ანალიზს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება რისკის მართვა და პროცესისათვის შესაბამისი ფორმატის განსაზღვრა. კერძოდ:

- რისკის მართვის შინაარსის განსაზღვრას;
- შიდა და გარე ფაქტორების განსაზღვრას;
- რისკის კრიტერიუმების ჩამოყალიბებას.

საკრედიტო რისკის მართვის პრობლემა ნებისმიერი ქვეყნის საბანკო სისტემისათვის კვლავაც აქტუალური რჩება. საკრედიტო გარიგების ეფექტიანობა, რომლის შესახებ დაბანდების რენ-





ტაბელობის მაჩვენებლების, ბანკის საკრედიტო პორტფელში პრობლემური კრედიტების დონისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ხშირად როგორც გარე გარემოს ფაქტორებისაგან, ისე საკრედიტო რისკის მართვის მეთოდების ერთობლიობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ გარე ფაქტორებიდან თავის არიდება პრაქტიკულად შეუძლებელია, ბანკების პირველი რიგის ამოცანა უნდა გახდეს მართვის მეთოდების სისტემის დამუშავება, რომელიც, შიდა შესაძლებლობების გათვალისწინებით, პოტენციური საკრედიტო რისკის ადეკვატური იქნება. საკრედიტო რისკი არის სამეწარმეო სტრუქტურების გაკოტრების ძირითადი მიზეზი. იგი მსესხებელთან, სავალო ფასიანი ქაღალდების ემიტენტთან და ფორვარდული გარიგებების კონტრაქტის, ოფციონების, სვოპებისა და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების პერიოდთან არის დაკავშირებული. საკრედიტო რისკის ძირითად სახეობას დეფლოტი წარმოადგენს, რაც კონტრაქტორების მიერ თავისი ვალდებულებების ვადაში ან მთლიანი მოცულობით შესრულების შეუძლებლობაში ან უნდობლობაში გამოიხატება. აღნიშნულ ფაქტორს ხელშეკრულების პირობების დარღვევისაკენ მივყავართ და იგი კრედიტორის მხრიდან დავალიანების ამოღების პროცესის დაწყების შესაძლებლობას იძლევა.

საბანკო საკრედიტო რისკის მართვის პრობლემა რამდენადმე განსხვავებულ შინაარსს იძენს, რადგანაც მასში მართვის მეთოდების ერთობლიობა – საკრედიტო რისკზე, როგორც მართვის ობიექტზე, ირიბი და პირდაპირი ზემოქმედების ღონისძიებების სისტემის სახით განიხილება. კრედიტების დაბრუნებასთან მიმართებაში სერიოზული პრობლემის წარმოშობისას, უპირატესი მნიშვნელობა პირდაპირი ზემოქმედების მეთოდებს უნდა მიენიჭოს. კერძოდ, ერთი მხრივ, ბანკის საკრედიტო დაბანდებათა დინამიკის ანლიზს, ხოლო, მეორე მხრივ, მათ ხარისხობრივ ანალიზს.

საკრედიტო რისკის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია კრედიტის დაბრუნების პრინციპის დაუცველობა, რასაც გასესხებული ღირებულების მოძრაობის წრე-ბრუნვის დარღვევა იწვევს. შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა:

- საკრედიტო რისკი და გაურკვეველობა ის ურთიერთდაკავშირებული ორი ცნებაა, რომლებიც ბანკის საქმიანობას ახასიათებს საკრედიტო ოპერაციების ბაზარზე, რადგან საკრედიტო გარიგების შესახებ გადაწყვეტილებებს ბანკები ხშირად გაურკვეველობის პირობებში იღებენ;
- პოზიტიური ან ნეგატიური შედეგის მიღების ალბათობას ღირებულებითი გამოხატულება აქვს – კრედიტორის მიერ მიღებული მოგება ან ზარალი;
- საკრედიტო რისკი ბანკის ზარალის გაჩენის პოტენციური შესაძლებლობაა;
- საკრედიტო რისკის წარმოშობის სფეროა გასესხებული ღირებულების მოძრაობის პროცესი, მისი მიზეზები კი – მრავალგვარი რისკებწარმოქმნელი ფაქტორები.

ამგვარად, საკრედიტო რისკი ძირითადი ვალისა და მისი პროცენტების დაკარგვის პოტენციური შესაძლებლობაა გასესხებული ღირებულების მოძრაობის მთლიანობის დარღვევის შედეგად,



რასაც განაპირობებს სხვადასხვა რისკნარმომქმნელი ფაქტორების ზემოქმედება, რომელთაც ბანკი ირიბად იღებს თავის თავზე. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ საბაზრო ეკონომიკაში ნებისმიერი სუბიექტის (მონაწილის) ამოცანაა არა რისკისაგან თავის არიდება, არამედ რისკის შეფასება, რაც მძიმე მდგომარეობაში არ უნდა აყენებდეს მას, განუსაზღვრელობა და რისკზე წასვლა მისი ღრმა ანალიზის შედეგია. აღნიშნულიდან გამომდინარე, რისკის მართვის თეორიასა და პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ძირითადი პრინციპებია:

- არ შეიძლება იმაზე მეტის გარისკვა, ვიდრე ამის შესაძლებლობას საკუთარი კაპიტალი იძლევა;

- აუცილებელია ვიფიქროთ რისკის შესაძლო შედეგებზე;

- არ შეიძლება დიდი რისკის განევა მცირე შედეგის მისაღებად და სხვ.

შესაბამისად თითოეულმა ბანკმა უნდა განსაზღვროს რისკების მართვის პოლიტიკა, როგორც საკრედიტო გარიგებებში მონაწილე პირების კრედიტუნარიანობის შეფასებისას, ისე გადახდისუნარიანობის კომპლექსური ანალიზისას. საკრედიტო რისკების მართვის დროს განსაზღვროს:

- რისკების მართვის შედეგების ანალიზი;

- რისკის დონის შეფასება;

- რისკის ფაქტორების ანალიზი

ხოლო რისკების გამომწვევი მიზეზების თავიდან აცილების დროს გაითვალისწინოს: ა) ხარისხის გაუმჯობესება, რომელიც მიმართული იქნება მსესხებლის კრედიტუნარიანობის ზრდისკენ და ბ) საკრედიტო გადანყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესება.

ამრიგად, ბანკებში რისკების მართვის სტრატეგია აუცილებლად უნდა დაეფუძნოს ინტეგრირებულ სტრუქტურას, რომელიც მოიცავს რისკის ყველა ასპექტს, განსაკუთრებით საბაზრო და საკრედიტო რისკებს, ლიკვიდურობის, საოპერაციო და იურიდიულ რისკებს, ასევე რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის რეპუტაციასთან და მის პერსონალთან. თუმცა ბაზრების უმრავლესობაზე ბანკები იძულებულნი არიან იმეოქმედონ იმ ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც თან ახლავს ობიექტური სირთულეები კრედიტების ხარისხიანი მართვისა და ანალიზის პროცესში, რაც ზედმეტად ხაზს უსვამს ასეთი სახის მართვის გავლენის აუცილებლობას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Бартон Т. Шенкир У. Уокер П. Риск- Менеджмент. Практика ведущий комп.-М.; „Вильямс“ 2008;
2. Бригхэм Ю. Финансовый менеджмент. Экспрес-курс/пер.с англ. 4-е изд.-СПб.Питер 2009;
3. Демидов С.Р., Годин А.А. Банковские риски и методы управления ими: Монография. – М.: ВГНА Минфина России, 2009. – 126 с. [15, ст. 86-89]
4. Севрук В.Т. Банковские риски. – М.: Дело Лтд, 2004. – 343с. [25, ст. 234-257].
5. Hanley M. Integrated Risk Management, London, LLP, 2000.[pp.37-39]
6. www.nbg.gov.ge



**ნაზი გვარამია**  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
პროფესორი

## **მმართველობითი აღრიცხვის ისტორიული ექსკურსი და ტენდენციები საქართველოში**

### **ანოტაცია**

სამეცნიერო ნაშრომში წარმოდგენილია მენეჯერული აღრიცხვის, როგორც ბუღალტრული პრაქტიკის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულების ფორმირების ეტაპები. განხილულია მენეჯერული აღრიცხვა, როგორც საწარმოს მმართველობისა და სააღრიცხვო პროცესის დამაკავშირებელი რგოლი, რომელიც იკვლევს კომპანიის და მისი ცალკეული სტრუქტურული დანაყოფების (სეგმენტების) ანუ პასუხისმგებლობის ცენტრების სამეწარმეო საქმიანობას. შესაბამისად, გაანალიზებულია თანამედროვე ეტაპზე აღნიშნული მიმართულებით საქართველოში არსებული მდგომარეობა.

**Nazi Gvaramia**

*Professor  
of New Higher Education Institute*

## **HISTORICAL EXCURSION AND TRENDS OF MANAGEMENT ACCOUNTING IN GEORGIA**

### **Abstract**

Scientific paper represents the role of accounting and importance in the sphere of formation and execution of management policy of a company, key issues, which led to the dividing of accounting as a financial, managerial and tax registering. International practice of managerial accounting is discussed, also the program, which is developed by the American Association of accountants (American Accounting Association), researches of modern scientists in the abovementioned sphere. Priority questions of managerial accounting are explicated, they are mostly important for the management of the company.

Functions of managers who responsible for expenditure centers are represented in the work. On the base of carried out researches, the sentences of recommendation are offered in the conclusive part of scientific paper, which in practice realization will importantly support Georgian Companies in their business, as an important guarantee of their effective functioning.



## მმართველობითი აღრიცხვის ისტორიული ექსპურსი და ტენდენციები საქართველოში

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში კომპანია იურიდიულად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი სუბიექტია, რომლის სამენარმოო საქმიანობის ეფექტური მართვა სულ უფრო მეტად გახდა დამოკიდებული მისი ცალკეული ქვედანაყოფებისა და სამსახურების ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე.

თანამედროვე ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში ქართული კომპანიების მცირე ნაწილი თუ გამოირჩევა ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ისეთი მაღალი დონით, როდესაც მისი ინფორმაცია გამოყენებადია კომპანიის ოპერატიული მართვისა და ანალიზისათვის. დღეისათვის მხოლოდ ბანკები ადგენენ ბალანსს ყოველდღიურად, მათი საიმედოობისა და ლიკვიდობის კონტროლის მიზნით.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, რთული სანარმოო სტრუქტურის მქონე კომპანიები რეალურად საჭიროებენ ოპერატიულ-ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც დაეხმარება მათ მიიღონ დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილება დანახარჯებისა და ფინანსური შედეგების ოპტიმიზაციისათვის. ხშირად კომპანიის განვითარებისა და ორგანიზაციისათვის ზედა დონის მენეჯერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ემყარება არა სათანადო გათვლებს, არამედ ატარებს ინტუიციურ ხასიათს. კომპანიის ოპერატიული მართვისათვის საჭირო აუცილებელი ინფორმაცია მოცემულია მმართველობითი აღრიცხვის სისტემაში, რომელსაც თვლიან ბუღალტრული პრაქტიკის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად.

დამოუკიდებელი ინფორმაციული სისტემის ფორმირების აუცილებლობის შესახებ პირველი მინიშნებები გაჩნდა XX საუკუნის დასაწყისში. გ. მერსონის წიგნში „შრომის ნაყოფიერება, როგორც ოპერატიული სამუშაოსა და ხელფასის საფუძველი“, მოცემულია პირველი ცდა სანარმოო დანახარჯების აღრიცხვის დამოუკიდებელ მიმართულებად გამოყოფის შესახებ. მმართველობითი კონტროლის, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის დამოუკიდებელი მიმართულების შექმნის მეორე მინიშნელოვან გარემოებად ითვლება აშშ-ში ბუღალტერთა ნაციონალური ასოციაციის დაფუძნება 1919 წ. დჯ. ი. ნიკოლსონის ინიციატივით. ამ ასოციაციამ დიდი როლი ითამაშა აშშ-ში ბუღალტრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და განვითარებაში.

უკანასკნელ პერიოდში ნათელი გახდა ის გარემოება, რომ ბუღალტრულმა აღრიცხვამ დაიწყო აქტიური მონაწილეობის მიღება მმართველობითი პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში, ბუღალტერმა კი შეითავსა პროგნოზირება, დაგეგმვა, გადაწყვეტილებათა მიღება, მმართველობითი სამსახურების ინფორმაციათა კონტროლი, ანუ მას გაუჩნდა დამატებითი ფუნქციები მართვისა და სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღების სფეროში.

პრაქტიკული ნაბიჯი მენეჯერული აღრიცხვის ჩამოყალიბების გზაზე იყო ერთიანი ბუღალტრული სამსახურიდან მმართველობითი (საკალკულაციო) ბუღალტერიის გამოყოფა. ორი დამო-



უკიდებელი (ფინანსური და მმართველობითი) ბუღალტერიის შექმნა პირველ რიგში დაკავშირებული იყო წარმოების გაფართოებასთან, მისი კონცენტრაციის ზრდასთან, კაპიტალის ცენტრალიზაციასთან, მსხვილი კომპანიების ფორმირებასთან და კომერციული საიდუმლოებების შენახვის აუცილებლობასთან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ეკონომიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ამერიკულ კაპიტალს, ამასთან ერთად აღიარება მოიპოვა ბუღალტრული აღრიცხვის ამერიკულმა მიდგომამ. თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა უმეტესობის აზრი შეჯერდა, რომ ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მომცველ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც საინტერესოა კომპანიის მენეჯმენტისათვის, მივყავართ კომერციული საიდუმლოს დაცვის შესუსტებამდე. ეროვნულ ანგარიშთა გეგმის შემდგომი განვითარება ორიენტირებული იყო ფინანსური ანგარიშგების შედგენის შესაძლებლობაზე და უმეტესწილად შემოიფარგლებოდა ფინანსური აღრიცხვით.

მენეჯერული აღრიცხვის, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინის ჩამოყალიბება უკავშირდება ბუღალტერთა ამერიკულ ასოციაციას (**American Accounting Association**), რომელმაც 1972 წ. შეიმუშავა პროგრამა მმართველობით აღრიცხვაში დიპლომის მისაღებად ბუღალტერ-ანალიტიკოსის კვალიფიკაციით. იმავე წელს ბუღალტრული აღრიცხვა ოფიციალურად დაიყო ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვად.

შეცდომა იქნებოდა მენეჯერული აღრიცხვის სიახლედ მიღება ეროვნული ეკონომიკისათვის. 20-იანი წლების დასაწყისში და 30-იანი წლების ბოლოს ბუღალტრული სამსახურების ფუნქციები გაცილებით ფართო იყო, ვინაიდან ბუღალტერი ასრულებდა როგორც სააღრიცხვო პროცედურებს, ასევე დაგეგმვისა და ანალიზის სამუშაოსაც. შემდგომ პერიოდში ცენტრალიზებული დაგეგმვის გამყარების პარალელურად ბუღალტრული სამსახურები საგეგმო და ფინანსურ დანაყოფებად გაიმიჯნა, რის შედეგადაც ბუღალტრის საქმიანობა ფაქტიურად გახდა საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ფაქტების ბუღალტრული რეგისტრაცია.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას უსაფუძვლოდ იქნა დაკნინებული დაგეგმვის მნიშვნელობა. მენეჯერულ აღრიცხვაში გამოყენებული ბიუჯეტირება გარკვეულწილად წარმოადგენს საწარმოს გეგმების შემუშავებას. ქართველი ეკონომისტებისათვის კარგად ცნობილი ფაქტორული ანალიზი, ასევე გამოიყენება მენეჯერულ აღრიცხვაში ფაქტიური მაჩვენებლების გეგმურისაგან გადახრის ანალიზისათვის. ამასთან, სამეურნეო აღრიცხვის ობიექტს წარმოადგენს კომპანიის საწარმოო და არასაწარმოო ქვედანაყოფები, ხოლო შემოსავლის ობიექტს – მათ მიერ გამოიმუშავებული თანხები. ასეთი მიდგომა ემსახურება მენეჯერული აღრიცხვის ერთ-ერთ კონცეფციას – მართვა პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით. მენეჯერული აღრიცხვის საფუძველს წარმოადგენს კომპანიის დანახარჯებისა და თვითღირებულების კალკულაციის მეთოდოლოგიის შემუშავება.

აღსანიშნავია, რომ დირექტიულ ეკონომიკაში გამოყენებული მმართველობითი აღრიცხვის მეთოდები არ იძლეოდა საჭირო შედეგებს, ვინაიდან არ იყო საწარმოო დანახარჯების ეკონომიის გზით ინვესტირებული კაპიტალის უკუგებით დაინტერესებული მესაკუთრე. აქედან გამომდინა-



რე, საბაზრო ურთიერთობის პირობებში არის შესაძლებელი მართვის მეთოდებისა და მენეჯერული აღრიცხვის ერთიან სისტემაში ობიექტური ინტეგრირება.

მენეჯერული აღრიცხვის პრიორიტეტული საკითხებით დაკავებულია კომპანიის სხვადასხვა ქვედანაყოფი (ოპერატიული ანგარიშგების, ანალიზის, პროგნოზირების და სხვა). ინფორმაცია ხშირად მიმოფანტულია სხვადასხვა სამსახურებს შორის და საკმაოდ ძნელია მისი დროული და კომპლექსური გამოყენება. სერიოზული დაგვიანებით ტარდება მმართველობითი ანალიზი, მაშინ, როდესაც ფირმის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები უკვე ფორმირებულია და მათზე ზემოქმედების შესაძლებლობა უკვე აღარ არსებობს. ცალკეული ქვედანაყოფების მუშაობის ეფექტიანობის ანალიზი, როგორც წესი, იშვიათად კეთდება.

თანამედროვე პირობებში, როდესაც კომპანიები დამოუკიდებლები არიან თავიანთი საწარმოო პროგრამის შემუშავებაში, საწარმოო და სოციალური განვითარების გეგმების, ფასების პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში, არსებითად იზრდება მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მათ მიერ მიღებულ მმართველობით გადაწყვეტილებებზე, რადგან მათ სჭირდებათ უტყუარი ინფორმაცია კომპანიის როგორც საწარმოო, ასევე ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება ბუღალტრული აღრიცხვა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებმა და მათზე დაყრდნობით შედგენილმა ბუღალტრულმა (ფინანსურმა) ანგარიშგებამ უნდა ასახოს სამეურნეო სუბიექტის, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის საქმიანობის შედეგები ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების (სეგმენტური ბიზნესის) წვლილის გათვალისწინების გარეშე. აღნიშნული ინფორმაცია კი საწარმოო საქმიანობის მართვისათვის არასაკმარისია. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური, მმართველობითი და საგადასახდო აღრიცხვის საწყისი ბაზა ერთი და იგივეა, სამეურნეო საქმიანობის ყოველი ფაქტი მათ მიერ კლასიფიცირდება და აისახება თავისებურად, აღრიცხვის მოთხოვნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვის ეს სრულიად განსხვავებული მიმართულებები გამოირჩევა საკუთარი მიზნებით, საბოლოო შედეგების განზოგადების ფორმით და ინფორმაციის მომხმარებლებით, რამაც შესაბამისად განაპირობა სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად ბუღალტრული აღრიცხვის დაყოფა ფინანსურ, მმართველობით და საგადასახდო აღრიცხვად.

მენეჯერული აღრიცხვა ერთმანეთთან აკავშირებს საწარმოს მმართველობასა და სააღრიცხვი პროცესს და შესაბამისად იგი იკვლევს კომპანიის და მისი ცალკეული სტრუქტურული დანაყოფების (სეგმენტების), ანუ პასუხისმგებლობის ცენტრების სამეწარმეო საქმიანობას. ბიზნესის სეგმენტებს, რომელთაც იკვლევს მენეჯერული აღრიცხვა, შეიძლება ჰქონდეთ იურიდიული დამოუკიდებლობა ან შედიოდნენ სტრუქტურული ქვედანაყოფის უფლებით კომპანიის შემადგენლობაში. პირველის მაგალითს წარმოადგენს ჰოლდინგი, რომელიც შედგება დედა კომპანიისა და მასზე დამოკიდებული შვილობილი კომპანიისაგან. ასეთ შემთხვევაში ყველა კომპანიისათვის ერთიანი მმართველობითი აღრიცხვის სისტემის შემოღება საშუალებას იძლევა უფრო ეფექტურად წარ-



ვმართოთ სამენარმო საქმიანობა როგორც ცალკეულ სანარმოებში, ასევე მთელს ჰოლდინგში, უფრო ოპერატიულად მივიღოთ აუცილებელი ბუღალტრული ინფორმაცია ბიზნესში მონაწილე ყველა სუბიექტის ინტერესების გათვალისწინებით და საბოლოოდ – თავი ავარიდოთ მცდარ მმართველობით გადანყვეტილებებს. მეორე შემთხვევაში კი საუბარია ორგანიზაციაზე, რომელსაც აქვს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები, მაგალითად, სამშენებლო კომპანია, რომლის შემადგენლობაში შედის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები; გამომცემლობა, რომელსაც აქვს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულება და ა.შ. ყოველ ასეთ სტრუქტურულ დანაყოფს ჰყავს თავისი მენეჯერი.

მენეჯერულ აღრიცხვაში გამოყოფენ დანახარჯთა და პასუხისმგებლობის ცენტრებს. დანახარჯთა ცენტრი სანარმოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფია, სადაც არსებობს სანარმოო დანახარჯების ნორმირების, დაგეგმვის და აღრიცხვის საშუალება მათი კონტროლის, მართვისა და შეფასების მიზნით. პასუხისმგებლობის ცენტრებში კი გამოყოფენ ოთხ ტიპს:

- ❖ **დანახარჯთა ცენტრი;**
- ❖ **შემოსავლების ცენტრი;**
- ❖ **მოგების ცენტრი;**
- ❖ **საინვესტიციო ცენტრი.**

ხარჯების ასეთი კლასიფიკაციის აუცილებლობას საფუძვლად უდევს ეკონომიკური მიზანშეწონილობა და მენეჯმენტის მოთხოვნები. თითოეულ ცენტრში უნდა გაერთიანდეს ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით კლასიფიცირებული დანახარჯები. დანახარჯთა ცენტრების ფორმირება უნდა განხორციელდეს სანარმოს ორგანიზაციული თავისებურებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე; შემოსავლების ცენტრის მენეჯერი პასუხისმგებელია მიღებულ შემოსავლებზე და ატარებს პასუხისმგებლობას განუღებ დანახარჯებზე; მოგების ცენტრი არის სეგმენტი, რომლის ხელმძღვანელი პასუხს აგებს საკუთარი ქვედანაყოფის როგორც შემოსავლებზე, ასევე დანახარჯებზე, შესაბამისად მოგების ცენტრის მენეჯერი გადანყვეტილებას ღებულობს მოთხოვნილი რესურსების რაოდენობასა და მოსალოდნელი ამონაგების მოცულობაზე; უპირატესობის მიუხედავად, მოგების ცენტრები დაინტერესებული არ არიან მათთვის გამოყოფილი ინვესტიციების გამოყენებით. ამ ნაკლისაგან თავისუფალია საინვესტიციო ცენტრები – რომელთა მენეჯერები აკონტროლებენ არა მხოლოდ მათი ქვედანაყოფების შემოსავლებსა და დანახარჯებს, არამედ თვალყურს ადევნებენ მათში ინვესტირებული საშუალებების გამოყენების ეფექტურობასაც. საინვესტიციო ცენტრის საქმიანობა იზომება გამოყენებულ კაპიტალზე ამონაგებით.

საინვესტიციო ცენტრის ხელმძღვანელები ყველა ზემოხსენებული ცენტრების პასუხისმგებლობასთან შედარებით სარგებლობენ განსაკუთრებული უპირატესობით და შესაბამისად გადანყვეტილებების მიღებისას აქვთ განსაკუთრებით მაღალი პასუხისმგებლობა. მათ დელეგირებული აქვთ უფლება მიიღონ გადანყვეტილება ინვესტიციებთან დაკავშირებით, ანუ სანარმოს ხელმძღვანელების მიერ გამოყოფილი საშუალებები გადაანაწილონ შესაბამის პროექტებზე.



ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გავანალიზოთ, როგორია თანამედროვე ეტაპზე საქართველოში არსებული რეალობა მენეჯერული აღრიცხვის კუთხით.

დღესდღეობით ქართული კომპანიები გამოიყენებენ აღრიცხვის ინტეგრირებულ სისტემას (ფინანსურ და მენეჯერულ აღრიცხვას), რასაც, ცხადია, ახლავს თავისი უარყოფითი მხარეები.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ორგანიზაციული სტრუქტურა მათ მენეჯერებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ხარისხთან მიმართებაში შეიძლება დაიყოს ცენტრალიზებულ ან დეცენტრალიზებულ ფორმად, რომელთაგან ცენტრალიზებულ ორგანიზაციებს აქვთ იერარქიული, პირამიდული სტრუქტურა, აგებული ფუნქციონალურ პრინციპებზე (ადმინისტრაცია, ფინანსები, მომარაგება, წარმოება, მომსახურება, მარკეტინგი და სხვა). მმართველობის ასეთი სისტემა თავისი არსით კონსერვატიულია და არ უზრუნველყოფს თანამშრომლების საქმიანობის თავისუფლებას. კვლევები გვიჩვენებს, რომ გარკვეულ შემთხვევაში მმართველობის მკაცრად ცენტრალიზებული სისტემა განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა, ზღუდავს შემსრულებელთა ინიციატივას, აფერხებს მმართველობის ოპერატიულობას. დეცენტრალიზებული მმართველობის მთავარ უპირატესობად გვევლინება პასუხისმგებლობის ცენტრის მენეჯერების თავისუფლება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას, ვინაიდან ისინი უფრო ზუსტ და დეტალურ ინფორმაციას ფლობენ, რაც დადებითად მოქმედებს მენეჯმენტის ქვედა დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლიანობასა და ოპერატიულობაზე. მიმდინარე მოვალეობების შესრულებიდან გათავისუფლებულ სანარმოს ზედა დონის მენეჯმენტს კი საშუალება ეძლევა კონცენტრირება მოახდინოს პერსპექტიული ამოცანების გადაჭრაზე, სტრატეგიის შემუშავებაზე,

ჩვენი აზრით, მმართველობითი აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკა და არსებული ტენდენციები, ამ მიმართულებით დაგროვილი დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართულ კომპანიებს თავიანთ საქმიანობაში, რაც თავის მხრივ იქნება მათი ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. მიქაძე, მმართველობითი აღრიცხვა, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2000.
2. ფინანსური ინფორმაცია მენეჯერებისათვის, ACCA სახელმძღვანელო (საერთაშორისო პრაქტიკა), თარგმანი ინგლისურიდან., თბ., ზაფ., 2003.
3. ნ. ძიმცივილი, მ. ნაჭყებია, ს. დათუაშვილი, გ. ბაქრაძე, მმართველობითი აღრიცხვა, თბ., 2009.
4. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, ე. ბუღალტრული აღრიცხვა, №2, გვ. 20-28, თბ., 2010.





**ქეთევან კვინიკაძე**  
თსუ-ს კერძო სამართლის მიმართულების დოქტორანტი  
ახალი უმაღლესი სასწავლებელი, იურისტი

## **კონსტიტუციური რეგულირების ფარგლები მუნიციპალურ დონეზე საარჩევნო უფლების მოწესრიგებასთან დაკავშირებით**

### **ანოტაცია**

წინამდებარე სტატიაში განხილული საკითხი მუნიციპალურ დონეზე უცხოელების საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებით შესაძლო სამომავლო ცვლილებების არასრული წინასწარი სამართლებრივი შეფასებაა. სამყარო თანდათან უფროდაუფრო მობილური ხდება, შესაბამისად, უფროდაუფრო ხშირად ისმის კითხვა: ხომ არ არის დრო ზოგიერთი უფლება უნივერსალური გახდეს? ნაშრომში წარმოდგენილია საზღვარგარეთის ქვეყნების „პასუხი“ ამ კითხვაზე, ასევე ქართული კონსტიტუციონალიზმის მიდგომა საარჩევნო კორპუსის გაფართოებასთან დაკავშირებით. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში უცხოელთა მუნიციპალური საარჩევნო უფლება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებისთვის არის გარანტირებული, გამონაკლისია მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა. ადრე თუ გვიან შესაძლოა საქართველოც დადგეს ამ რეალობის წინაშე, როცა ასეთი უფლების გარანტირება საჭირო გახდება უკვე „ევროპული ვალდებულებების“ გამო. იმის გათვალისწინებით, რომ სამომავლოდ შესაძლოა მუნიციპალურ დონეზე უცხოელთა საარჩევნო უფლება „შეიქმნას“, ამდენად, სტატიაში წარმოდგენილია ის საარჩევნო ცენზებიც, რომელთა დაკმაყოფილებამაც უცხოელს საარჩევნო უფლება უნდა წარმოუშვას.

**Ketevan Kvinikadze**  
*TSU, Phd Student of Private Law*  
*New Higher Education Institute lawyer*

## **THE SCOPE OF CONSTITUTIONAL REGULATION REGARDING TO SUFFRAGE OF ALIENS ON MUNICIPAL LEVEL**

### **Abstract**

The issue discussed in the present article is an incomplete preliminary legal assessment of possible future changes in the municipal level of electoral rights of foreigners. The world is becoming more and more mobile, and therefore more frequently the question is: Is it high time or not to become some rights universal? The paper presents the “answer” of foreign countries on this question, as well as the Georgian Constitutionalism’s approach to the expansion of the electoral corps. In EU member states, the municipal voting rights of aliens are guaranteed to the EU member states, only a few countries are exceptions. Sooner or later, Georgia may face this reality when the guarantee of such a right is required because of “European obligations”. Considering that in the future the aliens’ electoral right may be created at the municipal level, so the article presents the electoral censuses, which should be satisfied by the alien’s in order to get the right to vote.



## კონსტიტუციური რეგულირების ფარგლები მუნიციპალურ დონეზე საარჩევნო უფლების მოწესრიგებასთან დაკავშირებით

„კონსტიტუცია ჩვეულებრივი კანონისაგან იმის გამოა განსხვავებული, რომ მას მხარს უჭერს და ეთანხმება მთელი ხალხი და იგი ფაქტობრივად ან თეორიულად მაინც, მისაღები შეთანხმებაა საზოგადოების შემადგენელი მთელი ხალხისათვის.“<sup>1</sup> „კონსტიტუცია არის საზოგადოების მცდელობა შეიზღუდოს თავი იმ ღირებულებების დაცვით, რომლებიც მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მისი მეშვეობით საზოგადოება თვითონ იბორკავს ხელებს, რათა არ გამოიჩინოს სისუსტე და ძირი არ გამოუთხაროს იმ ღირებულებებს, რომელთაც ასე სათუთად უვლიდა. კონსტიტუცია საზოგადოების მცდელობაა დაიცვას თავი საკუთარი თავისაგან.“<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუციაც, რომელიც ასევე მთელი ხალხის მხარდაჭერით სარგებლობს, უარს აცხადებს უცხოელისათვის საარჩევნო უფლების მინიჭებაზე. გამომდინარე იქედან, რომ სამყარო თანდათან უფროდაუფრო მობილური ხდება, ამდენად სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა: ხომ არ არის დრო, რომ გადაიხედოს ზოგიერთი უფლება ისე, რომ მისით სარგებლობის შესაძლებლობა გარანტირებულ იქნეს არამარტო მოქალაქისათვის, არამედ უცხოელისთვისაც? ამ კითხვაზე საზღვარგარეთის ქვეყანათა უმეტესობამ დადებითი პასუხი გასცა, რის შედეგადაც მათი ქვეყნის ძირითად კანონებში გაჩნდა ჩანაწერები უცხოელთათვის ადგილობრივ დონეზე აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით (ეს უფლება ძირითადად მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებისთვისაა გარანტირებული). ამ მიმართულებით საქართველოში ჯერ არ გამართულა საპარლამენტო დისკუსია, თუმცა უცხოელისათვის აქტიური მუნიციპალური საარჩევნო უფლების მინიჭების თემატიკა ასე თუ ისე აქტუალურია იურიდიულ წრეებში, საარჩევნო კორპუსის ამ გზით გაფართოების მომხრეები ძირითადად აღნიშნული საკითხის დასასაბუთებლად თეორიულ მომენტებს უფრო მიმართვენ (ადამიანის უფლებათა კუთხით ნამდვილად ანგარიშგასაწევი და დასაბუთებული პოზიციაა გამოხატული, თუმცა უფლება, რომელიც თავისი შინაარსით პოლიტიკურია, სხვა კუთხითაც მოითხოვს კვლევას) და ნაკლებად ახორციელებენ კვლევას სამომავლოდ მოსალოდნელ პრაქტიკულ შედეგებთან დაკავშირებით.

რამდენად არის უცხოელისათვის „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“ სხვა ქვეყანაში საარჩევნო უფლების ქონა და წარმოადგენს თუ არა მისი უქონლობა სახელმწიფოს მხრიდან პირისათვის ცხოვრების ღირსეული პირობებით უზრუნველყოფაზე უარის თქმას? შესაძლოა, ერთ დღესაც შეიცვალოს ხალხის ნება და დღის წესრიგში დადგეს საკითხი უცხოელისათვის საარჩევნო უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევისათვის ნაშრომში წარმოვადგინე ის საარჩევნო ცენზე-

<sup>1</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, 21.

<sup>2</sup> Erwin Chemerinsky, Constitutional Law, Principles and policies, Fifth Edition, Wolters Kluwer, 2015, 15.



ბი, რომელთა დაკმაყოფილებამაც უცხოელს საარჩევნო უფლება უნდა წარმოუშვას. ნაშრომის ეს თავი შესაძლო სამომავლო ცვლილებების არასრული წინასწარი სამართლებრივი შეფასებაა.

საყოველთაო საარჩევნო უფლება – საარჩევნო უფლება ყველასთვის? „შექმნილი“ უფლებების გარდა, რომლებიც პოზიტივიზმის თეორიის შედეგია, არსებობს ბუნებითი უფლებებიც, რომლებიც ადამიანს თავისთავად ეკუთვნის. საარჩევნო უფლება არის სახელმწიფოს მიერ „მოგონილი“ უფლება თუ უბრალოდ ადამიანის თანდაყოლილი უფლების – არჩევანის თავისუფლების საკანონმდებლო დახვეწა? ნებისმიერი უფლების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა, მისი რეალიზაციის ლოგიკურ შეზღუდვებს დაქვემდებარება, ადამიანთა მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიაა და ეს არ აკნინებს ამ უფლებას. საკუთრების უფლების, როგორც ოდითგანვე ადამიანის ყველაზე უფრო „მოთხოვნადი უფლების“, გარკვეული დოზით ვალდებულებად ქცევა, არ უკარგავს უფლებას აბსოლუტურ ხასიათს და მას არც ბუნებით წარმომავლობას ართმევს. საარჩევნო უფლება, როგორც პოლიტიკური უფლება, განსხვავებული მონესრიგების საგანია თითოეულ ქვეყანაში. იგივე შეიძლება ითქვას საკუთრებაზეც. მონესრიგების განსხვავება თვალშისაცემი არამოქალაქე პირების მიმართ კონსტიტუციური უფლებების რეალიზების დროს ხდება. ზოგიერთი უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადია, როგორც წესი, უცხოელებს შეზღუდული აქვთ ან საერთოდ არ აქვთ სხვა ქვეყანაში მათით სარგებლობის შესაძლებლობა. ეს შეზღუდვები არ ეხება მხოლოდ საკუთრების ან საარჩევნო უფლებას, თუმცა აღნიშვნას საჭიროებს ის ფაქტი, რომ ყველაზე „მოთხოვნადი“ მაინც ამ უფლებათა რეალიზაციის შესაძლებლობის მინიჭებაა.

საარჩევნო უფლება საყოველთაოა, მაგრამ არა ყველასათვის. არავინ დავობს იმაზე, რომ ადამიანები თანასწორნი არიან კანონის წინაშე, მაგრამ უხეშად რომ ვთქვათ, მოქალაქე უფრო თანასწორია მისი ქვეყნის კანონის წინაშე, ვიდრე უცხოელი და ეს ლოგიკურიცაა. „კანონმდებელი არ ესწრაფვის ტოტალურ თანასწორობას. თანასწორობის პრინციპის მოქმედება შეზღუდულია რეალური სინამდვილის საგნობრივი მოცემულობებით.“<sup>1</sup> მოქალაქესა და არამოქალაქეს შორის უფლებრივი მდგომარეობის განსხვავების აუცილებლობა სახელმწიფოს მონაწილეობით შექმნილ თუ დახვეწილ უფლებებში, ისევედასევე ამ სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით არის განპირობებული. საარჩევნო უფლების სწორი გაგება, მისი მნიშვნელოვნების გააზრება დაგვეხმარება გავიგოთ უცხოელთათვის აღნიშნული უფლების რეალიზაციის შეზღუდვის ლოგიკური სამართლებრივი საფუძვლები და ის მიზნები, რასაც ასეთი შეზღუდვა ემსახურება.

საარჩევნო უფლება საყოველთაოა, რაც გულისხმობს მის ხელმისაწვდომობას საამისოდ დადგენილი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. საარჩევნო უფლების საყოველთაო ხასიათი მდგომარეობს მის ბუნებაში, რომ არცერთი პირი არ შეიძლება რაიმე ნიშნით გამოირიცხოს იმ პირთა წრიდან, რომლებიც სარგებლობენ ასეთი უფლებით, ანუ არსებითად თანასწორ პირთა მიმართ არ განხორციელდეს განსხვავებული მოპყრობა.

<sup>1</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი 2015, 95.



საზღვარგარეთის ქვეყნების გარკვეული ნაწილი, ისევე როგორც საქართველო, საყოველთაო საარჩევნო უფლებას არ აქცევს აბსოლუტურად საყოველთაოდ. პირველ რიგში, ამით ხდება საზღვარგარეთის სახელმწიფოებრიობაზე და მის მოქალაქეთა უფლებაზე – გარეშე ძალთა „დახმარების“ გარეშე მოანესრიგონ საკუთარი ქვეყნის და, შესაბამისად, მათი ცხოვრება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი სამყარო სულ უფროდაუფრო მობილური ხდება. ადამიანები ტოვებენ მათ ქვეყნებს სხვადასხვა მიზეზით და რაც უფრო ხანგრძლივია ეს „განშორება“, მით უფრო მეტია მოთხოვნილება, რაც შეიძლება მაქსიმალური კომფორტი შეიქმნან მათ ახალ ადგილსამყოფელზე. თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში კი მხოლოდ არჩევნების გზითაა შესაძლებელი გაიუმჯობესო შენი მდგომარეობა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა მონესრიგებაც სახელმწიფოს კომპეტენციას განეკუთვნება. ყველა სამართლებრივი სახელმწიფო ვალდებულია ღირსეული ცხოვრების პირობები შეუქმნას არამხოლოდ თავის მოქალაქეებს, არამედ მის ქვეყანაში მცხოვრებ ნებისმიერ პირს. მმართველობის დეცენტრალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, რაც მუნიციპალურ დონეზე მოქალაქეებთან (ზოგიერთ ქვეყანაში მაცხოვრებლებთან) დაახლოებულ მმართველობას გულისხმობს, ხშირ შემთხვევაში, უცხოელებს შესაძლებლობა ეძლევათ, მათმა ხმამ უფრო ძლიერად და ოფიციალურად გაიჟღეროს ადგილობრივ დონეზე მაინც.

მაშასადამე, საარჩევნო უფლება, ძირითადად, ყველასი არაა, რაც არ მოდის წინააღმდეგობაში მის საყოველთაო ხასიათთან. თითოეული ადამიანის უფლება – გააკეთოს არჩევანი, როგორც ნების, შემოსაზღვრულია იმ ქვეყნით, სადაც ის ცხოვრობს. შეუზღუდავი უფლებებით, რამდენადაც ეს შესაძლებელია, პირი მხოლოდ მოქალაქის სტატუსით თუ ისარგებლებს. უცხოელის სტატუსის ქონა კი მას გარკვეული უფლებების შეზღუდვის „თმენის ვალდებულებას“ აკისრებს.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალური დონის არჩევნებში კრძალავს უცხოელთა მონაწილეობას და ეს აკრძალვა შეეხება როგორც პასიურ, ისე აქტიურ საარჩევნო უფლებას. უცხოელთა საარჩევნო უფლების არსებობა წარმოადგენს კონსტიტუციური დონის აკრძალვას. საქართველოს კონსტიტუციის 101<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებზე, როგორც აქტიური საარჩევნო უფლების მატარებელ ერთადერთ სუბიექტებზე. საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტებიც აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციის განმახორციელებელ ერთადერთ სუბიექტებად საქართველოს მოქალაქეებს მიიჩნევენ.

უცხოელთა მიმართ განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის დადგენა სრულიად ლოგიკური და ბუნებრივი მოვლენაა ნებისმიერი სახელმწიფოს სამართალში. ადამიანის ძირითადი უფლებების უნივერსალურობა, არ გამორიცხავს ზოგიერთი ძირითადი უფლების უცხოელთათვის იმაზე უფრო მეტად შეზღუდვას, ვიდრე ეს დასაშვებია კონკრეტული ქვეყნის მოქალაქისათვის. დღესათვის არსებული მზარდი ტენდენცია, რომ უფლებების რეალიზაციის კუთხით უფრო მეტად



შემცირდეს სხვაობა მოქალაქეებსა და არამოქალაქეებს შორის, საფრთხისშემცველია. საკითხი იმდენად სენსიტიურია, რომ არამიზანშენილი და რისკებზეუფასებელი გადაწყვეტილების მიღებამ შესაძლოა სახელმწიფოს ზიანი მოუტანოს. მანამ, სანამ არსებობს სახელმწიფოები და დადგენილია საზღვრები, მანამდე იარსებებს განსხვავებაც ადამიანთა შორის, რომლებიც ყოველთვის დაუდგენენ ერთმანეთს საზღვრებს მათ ტერიტორიაზე გარკვეული უფლებების გამოყენებაში.

ჯერ კიდევ 1967 წელს პარლამენტთაშორისი კავშირის მიერ განხორციელებულ კვლევაში აღინიშნა: „იმისათვის, რომ გქონდეს ხმის უფლება, უნდა იყო ქვეყნის მოქალაქე. არც ერთ ქვეყანაში ხმის უფლება არ ენიჭებათ უცხოელებს.“<sup>1</sup> ქვეყნების განვითარების კვალდაკვალ ამ თეზისმა აბსოლუტურობა დაკარგა. სხვადასხვა სახელმწიფოებში საარჩევნო კორპუსი გაფართოვდა, რაც მასში უცხოელების ჩართვით განხორციელდა. ეს ძირითადად მუნიციპალურ საარჩევნო უფლებას შეეხება. „ადგილობრივ დონეზე საჯარო ცხოვრებაში უცხოელთა მონაწილეობის შესახებ“ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს წვერი სახელმწიფოების ვალდებულებას უცხოელ რეზიდენტებს/მაცხოვრებლებს მიანიჭონ ხმის მიცემის უფლება იმ დათქმით, თუ ისინი აკმაყოფილებენ იმ წინაპირობებს რა წინაპირობების დაკმაყოფილებაც მოქალაქეებს ხმის მიცემის უფლებას წარმოუშობს და თუკი ისინი არჩევნების დანიშნის დღემდე ქვეყანაში კანონიერად ცხოვრობენ. აქვეა გაკეთებული დათქმა აღნიშნული ვალდებულებიდან გადახვევის შესახებ მე-9 მუხლის 1-ლ პუნქტზე მითითებით, რომელიც საშუალებას იძლევა შეიზღუდოს უცხოელის საარჩევნო უფლება ომის ან იმ შემთხვევებში, როცა საფრთხე ემუქრება ქვეყნის უსაფრთხოებას (ხალხის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას), თუმცა ეს შეზღუდვა შეუთავსებელი არ უნდა იყოს მხარის სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან.<sup>2</sup>

უცხოელისათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების გარანტირება, როგორც წესი, კონსტიტუციურ დონეზე მოწესრიგებული საკითხია, ვგულისხმობ იმას, რომ ჩანანერი ამის შესახებ კონსტიტუციაშივეა, რაც მის მაღალ მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს. რიგი სახელმწიფოების ძირითად კანონებში უცხოელთა საარჩევნო უფლება კონკრეტული შემზღუდველი პირობების გარეშე იქნა ჩანერილი.

მუნიციპარულ არჩევნებში მონაწილეობა უცხოელთათვის გარანტირებულია ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: არგენტინა, ავსტრალია, ბარბადოსი, ბელგია, ბოლივია, ბრაზილია, ბულგარეთი,

<sup>1</sup> ჭილაძე ნ., უცხოელთა საარჩევნო უფლება მუნიციპალურ დონეზე, ჟურნალი: „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“, სტატიათა კრებული, თბილისი, 2011, 303, იხ. ციტირება: П. Кожемякин, Избирательное право зарубежных стран, Днепропетровск, 2007,10.

<sup>2</sup> Convention on the Participation of Foreigners in Public Life at Local Level, Strasbourg, 5.II, 1992, Article 6.1 - Each Party undertakes, subject to the provisions of Article 9, paragraph 1, to grant to every foreign resident the right to vote and to stand for election in local authority elections, provided that he fulfils the same legal requirements as apply to nationals and furthermore has been a lawful and habitual resident in the State concerned for the 5 years preceding the elections; Article 9.1 - In time of war or other public emergency threatening the life of the nation, the rights accorded to foreign residents under Part I may be subjected to further restrictions to the extent strictly required by the exigencies of the situation, provided that such restrictions are not inconsistent with the Partv's other obligations under international law.



ჩილე, კოლუმბია, ესტონეთი, იტალია, ლიტვა, ლატვია, ესპანეთი, ურუგვაი, პორტუგალია, ნიდერლანდები, ფინეთი, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, პოლონეთი, უნგრეთი.<sup>1</sup> აკრძალვას ვხვდებით შემდეგ ქვეყნებში: იაპონია, უკრაინა, საქართველო. კანადაშიც ფედერალურ დონეზე არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ მოქალაქეებისათვისაა გარანტირებული. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ქვეყანათა უმეტესობა მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებისათვის ახდენს მუნიციპალური საარჩევნო უფლების გარანტირებას.

აღნიშნულ ქვეყანათა უმეტესობა მოითხოვს შესაბამის რეზიდენტობის ცენზს საარჩევნო უფლების წარმოშობისათვის, რომელიც ან 3 ან 5 წელია. ენისა და სამართლის საფუძვლების ცოდნის ცენზი მხოლოდ რამდენიმე მათგანშია. აღნიშნული ქვეყნების უმეტესობა მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებისათვის ადგენს საარჩევნო უფლებას, ზოგიერთმა ქვეყანამ კი არაკავშირი წევრი ქვეყნების მოქალაქეებისათვის ადგენს საარჩევნო უფლებას, მაგალითად, ბელგია, სადაც ევროკავშირის რეზიდენტებს პირველად 1994 წელს მიეცათ საარჩევნო უფლება, 2004 წელს კი იგი არაკავშირი წევრი ქვეყნების მოქალაქეებისთვისაც გახდა გარანტირებული, თუმცა ბინადრობის 5 წლიანი ცენზის დაკმაყოფილებით. ისინი სარგებლობენ მხოლოდ აქტიური საარჩევნო უფლებით. ფორმალურად დებენ ფიცს, ხელს აწერენ კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციას, რომ დაიცავენ მათ. აღნიშნული, რა თქმა უნდა, სიმბოლური გამოხატულებაა იმისა, რომ ქვეყნის „სიკეთეს“ უცხოელმაც „სიკეთითვე“ უპასუხოს. უნდა აღინიშნოს ბრაზილიის, ასე რომ ვთქვათ, დუალისტური მიდგომა ამ საკითხისადმი, კერძოდ, ბრაზილიის კონსტიტუციის მე-14 მუხლის მე-2 პარაგრაფი უცხოელებს და სამხედრო სამსახურში განწვეულ პირებს მათი სამსახურის პერიოდში გამორიცხავს საარჩევნო უფლებიდან, თუმცა მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილი იქვე ადგენს, რომ ბრაზილიის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები პორტუგალიის მოქალაქეები სარგებლობენ ბრაზილიელების მსგავსი უფლებებით თუ ანალოგიური მიდგომა გამოიყენება ბრაზილიელების მიმართ, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა.<sup>2</sup> იაპონიის კონსტიტუცია, რომელიც კრძალავს უცხოელთა საარჩევნო უფლებას, ამის მიზეზად უცხო ხმების ქვეყნის საწინააღმდეგოდ გამოყენებას ასახელებს. გარდა ამისა, თუკი შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა წინააღმდეგია, რაც რეფერენდუმის გზით დგინდება, ხელისუფლება ვერ მიიღებს ამ ტერიტორიასთან დაკავშირებულ სპეციალურ კანონს.<sup>3</sup>

როგორც შესავალში აღინიშნა, აღნიშნული თავის მიზანია იმ სამართლებრივი წინაპირობების შემოთავაზება, რომელთა დაკმაყოფილებაც უცხოელთათვის სამომავლოდ საარჩევნო უფლების

<sup>1</sup> ამასთან დაკავშირებით იხ. ჭილაძე ნ., უცხოელთა საარჩევნო უფლება მუნიციპალურ დონეზე, ჟურნალი: „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“, სტატიათა კრებული, თბილისი 2011, 298-300.

<sup>2</sup> ბრაზილიის კონსტიტუცია იხ. ვებგვერდზე: [www.web.mit.edu](http://www.web.mit.edu), გონაშვილი ვ., საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი, 2007, ტ. IV.

<sup>3</sup> იაპონიის კონსტიტუცია იხ. ვებგვერდზე: [www.japan.kantei.go](http://www.japan.kantei.go), გონაშვილი, ვ., საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი, 2007, ტ. V.



მიღების გარანტია გახდება. დღეისათვის თემის ან ნაწილის მნიშვნელობა ნაკლებად რელევანტურია, თუმცა, თუკი დღის წესრიგში მაინც დადგა ეს საკითხი, წინამდებარე ცენზები უნდა იყოს ის მინიმუმი, რომელთა დაკმაყოფილებაც არამოქალაქისათვის „შექმნის“ ამ უფლებას. შემოთავაზებული ცენზები, ვფიქრობ, გარკვეულწილად მაინც შეამცირებს იმ რისკებს, რაც უცხოელებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭებამ შეიძლება წარმოშვას, რადგან თუკი უცხოელი საბოლოოდ, ერთ დღესაც, მაინც მიიღებს საარჩევნო უფლებას, მაშინ მისი მიღება არ უნდა მოხდეს ისე მარტივად, როგორც ეს მთელ რიგ ქვეყნებშია, არამედ უფლების მიღების სტანდარტი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მაღალი.

საარჩევნო ცენზები არის კანონით დადგენილი შეზღუდვები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობის წინაპირობებს განსაზღვრავენ. თუკი პირი ვერ აკმაყოფილებს რომელიმე საარჩევნო ცენზს, მაშინ იგი გამოირიცხება საარჩევნო უფლებიდან. უცხოელთათვის მუნიციპალურ დონეზე საარჩევნო უფლების მინიჭების შესაძლებლობაზე მსჯელობისას, ბინადრობის ცენზის, როგორც უფლების წარმომშობი ერთ-ერთი ფაქტორის განხილვა აუცილებელია. „ადგილობრივ დონეზე საჯარო ცხოვრებაში უცხოელთა მონაწილეობის შესახებ“ კონვენციაში უცხოელებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭების პირობად ხაზგასმულია ბინადრობის მოთხოვნა შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.<sup>1</sup> ბინადრობის ცენზი სრულიად ლოგიკური მოთხოვნაა სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის საარჩევნო უფლების მინიჭების კუთხით, რამდენადაც პირს სულ მცირე რამდენიმე წელი მაინც სჭირდება იმისათვის, რომ გაიგოს შესაბამისი ქალაქის სპეციფიკა, მისი პრობლემები. მას რეალური წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმ პრობლემებზე, რაც ადგილობრივ დონეზე არსებობს.

საარჩევნო უფლების მიღებისას მსჯელობა მხოლოდ აქტიურ და არა პასიურ საარჩევნო უფლებას უნდა შეეხოს. პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაცია მუნიციპალურ დონეზეც კი გამოირიცხული უნდა იყოს უცხოელთათვის, რადგან ეს სახელმწიფო მმართველობაში თანდათან უცხოელემენტების შესვლას გამოწვევს, არსებობს საფრთხე, რომ ეს რაოდენობა გაიზრდება, არსებობს საფრთხე, რომ შემდგომი საარჩევნო უფლება გასცდება მუნიციპალურ დონეს და უფრო მაღალ საფეხურზე გადაინაცვლებს, ეს კი საფრთხის შემცველია ქვეყნისათვის.

და მაინც, რამდენწლიანი ბინადრობის ცენზია საკმარისი ადგილობრივ დონეზე აქტიური საარჩევნო უფლების მისანიჭებლად? „ადგილობრივ დონეზე საჯარო ცხოვრებაში უცხოელთა მონაწილეობის შესახებ“ კონვენციით 5 წლიანი ცენზია შემოთავაზებული, კერძოდ, უცხოელი შესაბამის სახელმწიფოში მიმდინარე არჩევნებამდე 5 წლის განმავლობაში უნდა ცხოვრობდეს. ვფიქრობ, საარჩევნო უფლება მხოლოდ მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირებს უნდა ჰქონდეთ. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით, მუდმივი ბინადრობის ნებარვას იღებს

<sup>1</sup> ჭილაძე ნ., უცხოელთა საარჩევნო უფლება მუნიციპალურ დონეზე, ჟურნალი: „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“, სტატიათა კრებული, თბილისი 2011, 303.



პირი, რომელიც საქართველოს მოქალაქის მეუღლე, მშობელი და შვილია. ასევე პირი, რომელმაც საქართველოში ბინადრობის ნებართვის საფუძველზე ბოლო 6 წლის განმავლობაში იცხოვრა, რა ვადაშიც სწავლის და მკურნალობის, ასევე დიპლომატიური მუშაობის პერიოდი არ ითვლება. მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, მშობელსა და შვილზე, ლოგიკურია, თუმცა ის ავტომატურად არ უნდა წარმოადგენდეს აქტიური საარჩევნო უფლების მოპოვების წინაპირობას. ბინადრობის ცენზის გარდა იგი სხვა ცენზებსაც უნდა აკმაყოფილებდეს და მარტოდენ ფაქტი იმისა, რომ პირს მუდმივი ბინადრობის ნებართვა აქვს, არ უნდა წარმოშობდეს საარჩევნო უფლებას. მუხლის ჩანაწერის მიხედვით, ბინადრობის ნებართვას იღებს პირი, რომელიც ბოლო 6 წლის განმავლობაში ცხოვრობს საქართველოში. ამ შემთხვევაშიც, მუდმივი ბინადრობის ნებართვის ფლობა ავტომატურად არ უნდა იწვევდეს საარჩევნო უფლების წარმოშობას. სრულიად შესაძლებელია, პირი ბოლო 6 წელი ცხოვრობდეს საქართველოში, თუმცა არ ფლობდეს ენას, არ ჰქონდეს წარმოდგენა სამართლის საფუძვლებზე და ვერ აცნობიერებდეს იმას, თუ რა ღირებულება აქვს თუნდაც ერთ ხმას ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის განსაზღვრისათვის. რა თქმა უნდა, არათუ უცხოელს, არამედ მოქალაქესაც კი ვერ მოვთხოვთ სამართლის საფუძვლების ცოდნას, თუმცა უცხოელისათვის ამ მოთხოვნის დანესება აუცილებელია, რადგან პირმა უნდა იცოდეს იმ „პოლიტიკური საჩუქრის“ ფასი და მისი გამოყენების შედეგები, რომელსაც მას სახელმწიფო აძლევს. შესაძლოა მოქალაქეს წარმოდგენაც კი არ ჰქონდეს იმაზე, თუ რა არის ადგილობრივი თვითმმართველოს არჩევნები, თუმცა მაინც მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ მისი ეს უფლება გარანტირებულია იმ ფაქტით, რომ იგი ქვეყნის მოქალაქეა და სრული უფლება აქვს მიიღოს თუნდაც გაუაზრებელი გადაწყვეტილება და „ითამაშოს“ საარჩევნო უფლებით, რისი შესაძლებლობაც ასევე აქვს უცხოელს მის ქვეყანაში, სხვა ქვეყანაში კი მისი პასუხისმგებლობა უფრო გაზრდილია, მას არ აქვს უფლება ისე გამოიყენოს „მხოლოდ მოქალაქის უფლება“, როგორც ბავშვი იყენებს სათამაშოს. შესაბამისად, ბინადრობის ცენზის დაკმაყოფილება, როგორც აქტიური საარჩევნო უფლების წარმომშობი წინაპირობა, უნდა განიმარტოს შემდეგნაირად: უცხოელს უნდა მიეცეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი ფლობს მუდმივი ბინადრობის ნებართვას, ჩაბარებული აქვს ქართული ენის გამოცდა და ფლობს სამართლის საფუძვლებს, რაც ასევე უნდა ექვემდებარებოდეს საგამოცდო შეფასებას. იმ შემთხვევაში, თუკი პირის მიერ მუდმივი ბინადრობის მიღების საფუძვლები ავტომატურია (ოჯახის წევრობის ფაქტი), გარდა ენისა და სამართლის საფუძვლების ცოდნისა, უცხოელი დამატებით უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას, შესაბამის ტერიტორიაზე ცხოვრების 5 წლიან ვადასთან დაკავშირებით. საკითხის აღნიშნული მონესრიგება სრულიად ლოგიკურ „ტვირთს“ აკისრებს უცხოელს. ასეთი წინაპირობები არ ხდის უფლებას ილუზორულს, მარტოდენ პოსტულატს, იგი რეალიზებადი უფლებაა.

ბინადრობის ცენზი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ უცხოელმა საარჩევნო უფლება მოიპო-





ვოს. მხოლოდ ცხოვრების ფაქტი ვერ იქნება საკმარისი პირობა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ამისათვის დამატებით აუცილებელია იმ სახელმწიფოს ოფიციალური ენის ცოდნა, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობს პირი. ამ ცენზის მოწესრიგებაზე შესაძლოა გავავრცელოთ მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები მოქალაქეობის მინიჭების აუცილებელ წინაპირობებთან დაკავშირებით, რომლის ერთ-ერთი წინაპირობაცაა დადგენილ ფარგლებში სახელმწიფო ენის ცოდნა. სულ მცირე ამომრჩეველი მისთვის სასურველი კანდიდატის გვარს მაინც უნდა კითხულობდეს. გარდა ამისა, პირის მონდომება ისწავლოს იმ ქვეყნის ენა, სადაც ცხოვრობს და მაქსიმალურად კარგად გაერკვეს გარემოში, კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის მის სურვილს, რომ თავი შესაბამისი ქვეყნის ღირსეულ წევრად იგრძნოს, რაც მოტივაციას წარმოადგენს სახელმწიფოსათვის, რომ ეს პირი კიდევ უფრო მყარი სამართლებრივი გარანტიებით აღჭურვოს. მაშასადამე, სახელმწიფო ენის გარკვეულ დონეზე ცოდნა ის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა უნდა იყოს, რომელიც უცხოელს საარჩევნო უფლების მოპოვების შესაძლებლობას მისცემს.

„სამართლის ცოდნა“, როგორც საარჩევნო ცენზი გულისხმობს იმ შეზღუდვას, რომელიც უცხოელი ამომრჩეველისათვის ადგენს სამართლის საფუძვლების ცოდნის სავალდებულოებას. უცხოელი სულ მცირე იმას მაინც უნდა აცნობიერებდეს, თუ რას ნიშნავს საარჩევნო უფლება და რა შედეგების მოტანა შეუძლია მას ქვეყნისათვის, რა განსხვავებაა ადგილობრივ, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისაგან, რას „მომხარდება“ მისი ხმა და ა.შ. ამ შემთხვევაზე შეგვიძლია გავავრცელოთ ის წინაპირობა, რაც დადგენილია მოქალაქეობის მოსაპოვებლად „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით ისტორიის სავალდებულო ცოდნის გამორიცხვით, რადგან მუნიციპალური უფლების მოპოვებისთვის არ უნდა იყოს სავალდებულო ისტორიის ცოდნა.

საარჩევნო უფლება თავისი არსით პოლიტიკურია, რამდენადაც ის სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობის მიღების გარანტიაა. საარჩევნო უფლება არ ყოფილა ყოველთვის ისეთი სახით მოცემული, როგორც ის დღესაა წარმოდგენილი. დღევანდელი სახით ფორმირებისათვის მან დიდი გზა განვლო, რაშიც თანაბრად მიიღო მონაწილეობა როგორც სამართლებრივმა, ისე პოლიტიკურმა პროცესებმა. პოლიტიკასა და სამართალს შორის ნამდვილად არსებობს გარკვეული კავშირი. „მართლწესრიგი ვერ ჩამოყალიბდება პოლიტიკისაგან თავისუფალ სივრცეში. სამართალი ვერ შეასრულებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნორმატიული რეგულატორის ფუნქციას, თუ არ გაითვალისწინა სოციალური სინამდვილისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებები. სოციალური სინამდვილის დიდი ნაწილი კი სწორედ პოლიტიკის სფეროს განეკუთვნება.“<sup>1</sup> თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხოელთათვის საარჩევნო უფლების გარანტირება პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საკითხი უფროა ვიდრე წმინდად იურიდიული, მარტო უფლებრივი. თუკი მხო-

<sup>1</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2015, 125.



ლოდ უფლებრივი კუთხით ვიმსჯელებთ უცხოელთა საარჩევნო უფლებაზე, ვნახავთ, რომ იგი არ წარმოადგენს არამოქალაქისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ უფლებას, ისეთს, როგორიცაა, დანარჩენი უფლებები, რომლებიც იმანენტურია ადამიანისათვის მიუხედავად ადგილსამყოფლისა. მოქალაქისათვის კი ის იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც უკავშირდება მის მოქალაქედ ყოფნის ფაქტს და აღიარებს პირის კუთვნილებას კონკრეტული სახელმწიფოსადმი. არსებობს სულ რამდენიმე უფლება, რომლებიც სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, უფლებრივი თვალსაზრისით ადამიანებს ერთმანეთისგან განასხვავებს მოქალაქეობრივი ნიშნით და ეს არ არის დისკრიმინაციული. უცხოელებს ყოველთვის შეუძლიათ მათი ხმებით მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ საარჩევნო შედეგებზე, საარჩევნო სუბიექტების მხრიდან კი ყოველთვის არსებობს ასეთი ხმებით მანიპულირების საფრთხე.

მიუხედავად მზარდი ტენდენციისა იქცეს საარჩევნო უფლება არა მხოლოდ მოქალაქის უფლებად, საქართველოს კონსტიტუციით იგი კვლავ მხოლოდ მოქალაქის უფლებად რჩება. ადგილობრივი მმართველობა, რა თქმა უნდა, მოქალაქეებთან დაახლოებული და იდეაში მათი მმართველობაა, თუმცა ის მაინც სახელმწიფოებრივი მმართველობაა, რომელიც ქვედა დონეზე ხორციელდება. მუნიციპალური მმართველობა საუკეთესო საშუალებაა სოციალური და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისათვის. მისი დახმარებით საჯარო უფლებამოსილებები ხორციელდება იმ ხელისუფლების მიერ, რომელიც უფრო ახლოსაა ხალხთან, რომელიც ადგილზეა. ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ პრეამბულაში განმარტავს, რომ მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში, წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც საერთოა ევროპის საბჭოს ნევრი ყველა სახელმწიფოსათვის.<sup>1</sup> ქარტია მითითებს აკეთებს მოქალაქის უფლებაზე მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მმართველობაში.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე დღის წესრიგში ჯერ არ დამდგარა უცხოელისათვის მუნიციპალური საარჩევნო უფლების გარანტირების საკითხი, თუმცა ქართველი კონსტიტუციონალისტები თანდათან უფროდაუფრო აქტიურად განიხილავენ საარჩევნო უფლების გაფართოების საკითხს.

<sup>1</sup> ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, სტრასბურგი, 15.X.1985, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 26.10.2004 წლის #515 – II ს დადგენილებით.



**გამოყენებული ლიტერატურა:**

გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2015

ანდრამ შაიო, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბ., 2003

ვ. გონაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, თბ., 2007

Erwin Chemerinsky, Constitutional Law, Principles and policies, Fifth Edition, Wolters Kluwer, 2015

**სამეცნიერო ნაშრომები:**

ნ. ჭილაძე, უცხოელთა საარჩევნო უფლება მუნიციპალურ დონეზე, ჟურნალი: „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“, სტატიათა კრებული, თბ., 2011.

**ნორმატიული მასალა:**

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ

Convention on the Participation of Foreigners in Public Life at Local Level, Strasbourg, 5.II, 1992 („ადგილობრივ დონეზე საჯარო ცხოვრებაში უცხოელთა მონაწილეობის შესახებ“ კონვენცია)

**გამოყენებული ვებ-გვერდების მისამართები:**

[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

[www.web.mit.edu](http://www.web.mit.edu)

[www.japan.kantei.go](http://www.japan.kantei.go)



დავით გეფერიძე  
სამართლის დოქტორი,  
პროფესორი

## ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმის აქტუალური საკითხები

### ანოტაცია

დღეისათვის საერთაშორისო დაცვა წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების ფორმირების პროცესი, მოცემული პროცესის დროებითი ხანგრძლივობისა და მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოების თავისებურებების მხედველობაში მიღების გამო. დღეისათვის საყოველთაოდ არის მიღებული შეხედულება, რომ საერთაშორისო სტანდარტები წარმოადგენენ საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოების ბრძოლისა და თანამშრომლობის შედეგს. გადამწყვეტი შემობრუნება მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ როდესაც მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაცია, ევროპის საბჭოს მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, მათ საფუძველზე მოქმედებს უამრავი საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

თავისთავად, ადამიანის უფლებების საერთაშორისო დაცვამ, შესაძლოა ითამაშოს არსებითი როლი ადამიანის უფლებების პრობლემის გადანყვეტაში. მაგრამ ეს დაცვა ყოველთვის არის წარმოებადი, მეორადი საზოგადოების შიდა ცხოვრებასთან, მის სახელმწიფო ორგანიზებასთან და პოლიტიკურ სისტემასთან მიმართებაში, რამდენადაც ყოველთვის არის განპირობებული, ერთის მხრივ, სახელმწიფოს სუვერენული ნებით, ხოლო, მეორეს მხრივ, მისი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული თავისებურებებით. ასე და ამრიგად, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საერთაშორისო დაცვა არის ერთგვარი გარსი იმ საკითხის არასწორი, უსამართლო გადანყვეტილებისაგან დასაცავად, რომელიც ეხება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საკუთარ სახელმწიფოში.



**Davit Geperidze**  
*Doctor of Law, Professor*

## CONTEMPORARY ISSUES IN INTERNATIONAL HUMAN RIGHTS LAW

### Abstract

Today, international protection is one of the most effective means of human rights protection. The special problem is the process of forming international standards for human rights, due to the temporary duration of the given process and the peculiarities of the different states around the world. It is now widely accepted that international standards are the result of the struggle and cooperation of states on the international arena. The decisive turning point occurred after World War II when several international legal acts were adopted, among them the Declaration of Human Rights by the United Nations, the European Convention on Human Rights by the Council of Europe and others. A lot of international legal mechanisms operate on their basis in the sphere of human rights protection.

Indeed, international protection of human rights can play an essential role in solving human rights problems. But this protection has always been in line with the internal life of the secondary community, its state organization and the political system, as it has always been conditioned by the state's sovereign will, and on the other hand, its socio-economic, political and cultural peculiarities.

Thus, international protection of human rights and freedoms is a kind of shell for the issue concerning the protection of human rights and freedoms in their own states from wrong and unfair decisions.



## ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმის აქტუალური საკითხები

დღეისათვის საერთაშორისო დაცვა წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას.

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების ფორმირების პროცესი, მოცემული პროცესის დროებითი ხანგრძლივობისა და მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოების თავისებურებების მხედველობაში მიღების გამო. დღეისათვის საყოველთაოდ არის მიღებული შეხედულება, რომ საერთაშორისო სტანდარტები წარმოადგენენ საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოების ბრძოლისა და თანამშრომლობის შედეგს. გადამწყვეტი შემობრუნება მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული იქნა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია<sup>1</sup>. იმ პერიოდისათვის არ იყო გათვალისწინებული ამ დოკუმენტის პრაქტიკულად რეალიზების მექანიზმი. მხოლოდ 1966 წელს იქნა მიღებული საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ<sup>2</sup>, რომლის შესაბამისად შეიქმნა გაეროს ადამიანის უფლებების კომისია (თუმცა, ის არ იღებს სახელმწიფოებისათვის სავალდებულო გადანყევტილებებს).

პიროვნების სამართლებრივი სტატუსის საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტების რიცხვს განეკუთვნება:

1. საკონსტიტუციო კანონმდებლობა, ქვეყნის პირობების გათვალისწინებით, უნდა შეიცავდეს ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებების ისეთ მოცულობას, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სამართლის დებულებებს და სახელმწიფოს მიერ საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებებს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე.

2. ქვეყნის შიდა კანონმდებლობა ადამიანისა და მოქალაქის უფლებების საკითხებთან მიმართებაში არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს საერთაშორისო აქტებში დაფიქსირებულ და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მიღებულ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებთან.

3. არ არსებობს აბსოლუტური უფლებები და თავისუფლებები, ისინი შეიძლება იყოს შეზღუდული, მაგრამ მხოლოდ კანონის საფუძველზე, კონსტიტუციით დაშვებულ ფარგლებში და ზუსტად დაშვებული პირობებითა და მიზნებით, რომლებიც არის მითითებული საერთაშორისო სამართლის აქტებში (საზოგადოებრივი წესრიგი, საჯარო მორალი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა).

4. თუ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად რომელიმე ძირითადი უფლება იზღუდება,

<sup>1</sup> იხ. ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, <<http://www.parliament.ge/uploads/other/72/72851.pdf>>

<sup>2</sup> იხ. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335>>



მაშინ ეს შეზღუდვა ხორციელდება კანონის მიღების გზით (და არა სხვა სამართლებრივი აქტით), რომელსაც უნდა გააჩნდეს საერთო ნორმატიული ხასიათი და არ უნდა ეხებოდეს ცალკეულ შემთხვევას.

5. ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი გარანტიებით და უპირველეს ყოვლისა – სასამართლო წესით, ასევე მატერიალური და სხვა გარანტიებით იმ ზომით, როგორც არის გათვალისწინებული საერთაშორისო აქტებით, რომლებიც შეესაბამება ქვეყნის პირობებსა და მისი განვითარების დონეს.

6. ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს შეესაბამება მისი მოვალეობები საზოგადოების, სახელმწიფოს, პიროვნების წინაშე, ხოლო საზოგადოებასა და სახელმწიფოს გააჩნიათ საკუთარი უფლებები და პასუხისმგებელი არიან პიროვნების წინაშე.

საერთაშორისო სტანდარტებისა და კონსტიტუციით გაცხადებული პიროვნების ზოგიერთი უფლების რეალიზებას სჭირდება ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების გარკვეული დონე, რომელიც ქმნის სამართლებრივ აქტებში დაფიქსირებული უფლებების უზრუნველყოფის რეალურ შესაძლებლობებს. ამგვარად, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის 21-ე მუხლში<sup>1</sup> ლაპარაკია უფლებების საყოველთაო დაცვის უზრუნველყოფისათვის მიღწეულ შედეგებზე. ეს დონეები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავდება ერთმანეთისაგან. შეცდომა იქნებოდა მიგველო, რომ უმეტესი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება დამოკიდებულია მხოლოდ ეკონომიკური განვითარების დონეზე, რადგან ის ასევე არის დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკურ მოწყობაზე, ტრადიციებზე, მის კულტურაზე, სამართლებრივ სისტემაზე, სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების სრულყოფის დონეზე.

ამრიგად, პაქტები და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები (კონვენციები) ადამიანის უფლებების თაობაზე ითვალისწინებენ ამ აქტებსა და შიდა კანონმდებლობაში დაფიქსირებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფისა და დაცვის კომპლექსურ სისტემას.

საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებების შესაბამისად ჩამოყალიბდა საერთაშორისო ორგანოების გარკვეული სისტემა, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფოების საქმიანობის საერთაშორისო კონტროლის ფუნქციები ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის სფეროში.

ცალკეულმა კონვენციებმა გაითვალისწინეს სპეციალური ორგანოების შექმნა. ასე შეიქმნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის საფუძველზე<sup>2</sup>), ბავშვთა უფლებების კომიტეტი, რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტი

<sup>1</sup> იხ. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, <<http://www.parliament.ge/uploads/other/76/76816.pdf>>

<sup>2</sup> იხ. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335>>



(რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის საფუძველზე<sup>1</sup>). წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან სხვა ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის საფუძველზე<sup>2</sup>). პაქტმა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების თაობაზე<sup>3</sup> არ გათვალისწინა სპეციალური ორგანოს შექმნა, მიუთითა რა პირობად მოქმედებების შესაძლებლობა ეკონომიკური და სოციალური საბჭოების მეშვეობით; ამ უკანასკნელმა თავისი 1985 წლის გადაწყვეტილებით დააარსა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი<sup>4</sup>.

ყოველი კომიტეტი შედგება ექსპერტებისაგან (წამების საწინააღმდეგო კომიტეტში – 10, სხვებში – 18 ადამიანი). ექსპერტები ყალიბდებიან სამართლიანი გეოგრაფიული განაწილებისა და ცივილიზაციის სხვადასხვა ფორმების წარმომადგენლობისა და ძირითადი სამართლებრივი სისტემების გათვალისწინებით, ამასთან, არა უმეტეს ერთი წარმომადგენლით ერთი ქვეყნიდან.

პაქტებსა და კონვენციებში მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან რეგულარულად შესაბამის კომიტეტში წარმოადგინონ (უშუალოდ ან გაეროს გენერალური მდივნის მეშვეობით) მოხსენებები ადამიანის უფლებების სფეროში პროგრესისა და მათი დაცვის რეალიზების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ. კომიტეტი სწავლობს მოხსენებებს, განიხილავს მათ თავის სხდომებზე. შესაძლებელია სახელმწიფოების შეტყობინებების მიღება და განხილვა, სხვა სახელმწიფოს მიერ პაქტითან კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე შემდგომი რეკომენდაციების გამოტანით. თუმცა, აღნიშნულ დებულებას კომიტეტი ფლობს იმ სახელმწიფოებთან მიმართებაში, რომლებმაც გააკეთეს განცხადება კომიტეტების ასეთი კომპეტენციების ცნობის თაობაზე. საქართველო ასეთ კომპეტენციას აღიარებს.

პაქტები ადამიანის უფლებების შესახებ და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტები უზრუნველყოფენ განცხადებული უფლებებისა და თავისუფლებების სამართლებრივ დაცვას, ამასთან, ერთის მხრივ, აფიქსირებენ სახელმწიფოების ვალდებულებებს დაცვის ეროვნული მექანიზმების დანერგვას, ხოლო, მეორეს მხრივ, შემოაქვთ და პირდაპირ ახდენენ საერთაშორისო დაცვის მექანიზმებს.

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ პაქტის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „ყოველი სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს ნებისმიერი პირი, რომ-

<sup>1</sup> იხ. საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ, <[http://www.parliament.ge/files/1359\\_21958\\_339510\\_rasobridiskriminaciisyvelaformislikvidaciisSesaxeb.pdf](http://www.parliament.ge/files/1359_21958_339510_rasobridiskriminaciisyvelaformislikvidaciisSesaxeb.pdf)>

<sup>2</sup> იხ. საერთაშორისო კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან სხვა ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1224.pdf>>

<sup>3</sup> იხ. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, <<http://www.parliament.ge/uploads/other/76/76816.pdf>>

<sup>4</sup> იხ. ასბორნ ეიდე, ეკონომიკურ სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მიერ ინდიკატორების გამოყენების პრაქტიკა, <<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1>>





ლის აღნიშნული პაქტით აღიარებული უფლებები და თავისუფლებებიც დაირღვა, სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებით, თითოეული პირის იურიდიული დაცვის უფლებას, რომელიც კი ასეთ დაცვას მოითხოვს, რაც დადგენილია კომპეტენტური სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ხელისუფლების ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ ამ სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის შესაბამისად და განავითაროს სასამართლო დაცვის შესაძლებლობები“.<sup>1</sup>

ამ სფეროში სამართლებრივი რეგულირების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის სპეციალური საერთაშორისო საშუალებების დადგენა.

უფლებებისა და თავისუფლებების საერთაშორისო საშუალებები წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესაბამისად შექმნილ სპეციალურ ორგანოებს, რომელთაც ენიჭებათ უფლებამოსილებანი მიიღონ, განიხილონ და შეაფასონ ინდივიდების მიმართეები.

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ინდივიდი საჩივრით უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევების თაობაზე უპირველესად, მიმართავს გაეროს კომიტეტს, ან ევროპულ სასამართლოს, იმ პირობით, როდესაც ამონაურული იქნება სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება. შესაბამისად, საჩივარი შეტანილ უნდა იქნას საქართველოს ყველა ინსტანციაში. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოს მოქალაქეს შეუძლია მიმართოს ზემოთაღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რადგან საქართველო არის აღნიშნული კონვენციების მონაწილე სახელმწიფო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებათა კომიტეტი მოქმედებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის შესაბამისად. კომიტეტი იღებს საჩივრებს, თუ ისინი არ არიან ანონიმური და არ წარმოადგენენ საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენებას; ის ამონებს, ხომ არ განიხილება საკითხი საერთაშორისო განხილვის სხვა პროცედურის შესაბამისად, და თუ ამონაურა პირმა დაცვის ყველა დასაშვები შიდა საშუალებები.

დარღვეული უფლების დაცვის პროცედურა მდგომარეობს იმაში, რომ საჩივარი ცნობილია შესაბამისი სახელმწიფოსათვის, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია ექვსი თვის ვადაში წარუდგინოს კომიტეტს წერილობითი განმარტებები ან განცხადებები, რომლებიც განმარტავენ ამ საკითხს და იტყობინებიან მიღებული ზომების შესახებ, თუ ასეთებს ჰქონდა ადგილი. გამოტანილი გადანყვეტილებები არ ატარებენ სახელმწიფოსათვის სავალდებულო ხასიათს. ისინი გათვლილია უმეტესად მორალურ ზემოქმედებაზე. პრაქტიკაში ცნობილია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კომიტეტმა გამოთქვა თავისი შეხედულება მოქალაქეების უფლებების დარღვევის თაობაზე და ეს იყო იმდენად ავტორიტეტული, რომ სახელმწიფო იღებდა აუცილებელ ზომებს. მაგრამ, ყოველივეს მიუხედავად, ეს არ არის სასამართლო.

სხვა საერთაშორისო ორგანოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კერძოდ

<sup>1</sup> იხ. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335>>



სტრასბურგის, როგორც მას უწოდებენ მისი ადგილმდებარეობის მიხედვით, მართლაც წარმოადგენს სასამართლო დაწესებულებას.

ევროპული კონვენცია ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. საქართველომ კი ხელი მოაწერა 1999 წლის 27 აპრილს. რატიფიცირების შედეგად ქვეყნისათვის იგი ძალაში შევიდა 1999 წლის 20 მაისს<sup>1</sup>.

კონვენცია არ შემოიფარგლა მხოლოდ უფლებებისა და თავისუფლებების გაცხადებით. ისინი უკვე იყვნენ გაცხადებული 1948 წელს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით<sup>2</sup>. კონვენციის ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა მათი პრაქტიკული რეალიზების მექანიზმის შექმნაში. ამასთან დაკავშირებით იქმნება სასამართლო, რომლის კომპეტენციაშიც შედის სახელმწიფოების საჩივრების განხილვა სხვა სახელმწიფოებში ადამიანის უფლებების დარღვევებისა და მოქალაქეების მიერ საკუთარ ქვეყანაში უფლებების დარღვევების თაობაზე.

პირველად უახლეს ისტორიაში მოქალაქემ მიიღო შესაძლებლობა შეეტანა საჩივარი სასამართლო წესით საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ ზეეროვნულ ორგანოში. მოქალაქეს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი იმ უფლებების დარღვევის თაობაზე, რომლებიც კონვენციით არის გათვალისწინებული.

უფლებები, რომლებიც არის დაცული აღნიშნული კონსტიტუციით, შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

- 1) უფლებები, რომლებიც იცავენ პიროვნებას, პირად უფლებებს;
- 2) სოციალურ-ეკონომიკური უფლებები;
- 3) უფლება სამართლიან სასამართლო განხილვასთან მიმართებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელ პირობას ევროპულ სასამართლოში მიმართვისათვის წარმოადგენს დროებითი საზღვრები, ანუ მოქალაქეს არ შეუძლია მიმართოს საჩივრით ისეთ საქმეებზე, რომელთა მიმართაც ეროვნულ ხელისუფალთა საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კონვენციის ძალაში შესვლამდე. საქართველოსათვის კონვენცია ძალაში შევიდა 1999 წლის 20 მაისიდან. სტრასბურგის სასამართლოსადმი მიმართვა შეიძლება მხოლოდ შიდა სახელმწიფოებრივი მექანიზმების ამონურვის შემდეგ. საქართველოს შემთხვევაში შიდა სახელმწიფოებრივ მექანიზმებში იგულისხმება საერთო სასამართლოების სამივე ინსტანცია - რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო და უზენაესი სასამართლო.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დაშვებადობის კრიტერიუმებისა, კონვენცია ინდივიდუალური განცხადებისათვის აწესებს სხვა დამატებით კრიტერიუმებს, კერძოდ, კონვენციის 35-ე მუხ-

<sup>1</sup> იხ. კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370>>

<sup>2</sup> იხ. ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, <<http://www.parliament.ge/uploads/other/72/72851.pdf>>



ლის<sup>1</sup> მიხედვით სასამართლო არ განიხილავს განაცხადს, თუიგი:ა) ანონიმურია. ბ) არსებითად იგივე საკითხია, რომელიც უკვე განიხილა ევროპის სასამართლომ. გ) გადაეცა საერთაშორისო გამოძიებას ან დაექვემდებარა მოგვარების სხვა პროცედურას და არ შეიცავს შესაბამის რაიმე ახალ ინფორმაციას. დ) ამკარად დაუსაბუთებელია. ე) ხდება სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენება.

სასამართლოს საქმიანობის ძირითად პრინციპს წარმოადგენს სუბსიდიურობის პრინციპი. სასამართლებრივი დაცვის შიდა საშუალებების ამონურვის მომენტად ითვლება გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა.

ევროპული სასამართლოსადმი მიმართვა შესაძლებელია საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების გამოტანიდან 6 თვის განმავლობაში<sup>2</sup>. თუ განმცხადებელი ხედავს, რომ ის აგვიანებს საპატიო მიზეზით, მაშინ საჭიროა სტრასბურგისათვის სასწრაფოდ მიმართვა, იმის მითითებით, რომ საჩივარი წარმოადგენს წინასწარს. ყველა პირობის დაცვის დროს, შესაძლებელია ევროპული სასამართლოსადმი მიმართვა დარღვეული უფლებების დასაცავად.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კონვენციითა და ოქმებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებით განაცხადის წარდგენა შეუძლია: ა) ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს (სახელმწიფოთა შორის განაცხადი) სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციისა და მისი ოქმების დარღვევის მტკიცებით ;ბ) ნებისმიერ პირს, არასამთავრობო ორგანიზაცია სანპირთა ჯგუფს (ინდივიდუალური განაცხადი), რომლებიც მიიჩნევენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარისმიერ კონვენციით დამისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი.

თავისთავად, ადამიანის უფლებების საერთაშორისო დაცვამ, შესაძლოა, ითამაშოს არსებითი როლი ადამიანის უფლებების პრობლემის გადანყვეტაში. მაგრამ ეს დაცვა ყოველთვის არის წარმოებადი. მეორადია საზოგადოების შიდა ცხოვრებასთან, მის სახელმწიფო ორგანიზებასთან და პოლიტიკურ სისტემასთან მიმართებაში, რამდენადაც ყოველთვის არის განპირობებული, ერთის მხრივ, სახელმწიფოს სუვერენული ნებით, ხოლო, მეორეს მხრივ, მისი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული თავისებურებებით.

ამრიგად, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საერთაშორისო დაცვა არის ერთგვარი გარსი იმ საკითხის არასწორი, უსამართლო გადანყვეტილებისაგან დასაცავად, რომელიც ეხება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საკუთარ სახელმწიფოში.

<sup>1</sup> იხ. კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370>>

<sup>2</sup> კონვენციის მე-15 ოქმით (ძალაში არ არის შესული) ეს ვადა მცირდება 4 თვემდე



ქეთევან ჩეჩელაშვილი  
სამართლის ფაკულტეტის  
დოქტორანტი

## ცვლილებები „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანულ კანონში, მათი ანალიზი

### ანოტაცია

საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა წარმოშვა მძიმე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ხასიათის ურთულესი პრობლემები. შესაბამისად, ყველასათვის ნათელია, რომ საქართველო დღემდე იმყოფება უწყვეტ რეჟიმში დაასრულოს სწორი განვითარებისკენ მიმავალი პროცესები. იგი დღემდე იმყოფება გარდამავალი დემოკრატიის ეტაპზე და, გამომდინარე აქედან, უცხოა არ არის ის ფაქტიც, რომ პოლიტიკური ამინდი ძლიერ მოქმედებს სამართლებრივი ინსტრუმენტების ცვლილებაზე. ამასთან უდავოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში უნივერსალური არ არის და საჭიროებს გაუმჯობესებას, როგორც ბევრი სხვა ინსტიტუტი. თუმცა ვთვლით, რომ პოლიტიკურ ნებას არ უნდა მივცეთ საშუალება, ასეთი სიხშირით მოახდინოს ცვლილებები ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში.

ამასთან ვფიქრობთ, რომ ეს ინსტიტუტი უნდა იყოს ხელშეუხებელი და დაცული გარე ზემოქმედებისგან. შესაბამისად, მისი მორგება საზოგადოებაზე უნდა ხდებოდეს არა მთავრობის სურვილისამებრ, არამედ საზოგადოების უშუალო მონაწილეობითა და თანხმობით, რაც აშკარად აკლია მოცემულ ცვლილებათა პაკეტს.

ცვლილებები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის მოდელის შეცვლასთან, ფინანსური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მინიჭებასთან არის დაკავშირებული, არ შეიძლება დაჩქარებულ ვადებში განხორციელდეს. მიგვაჩნია, რომ საკითხი გაცილებით სიღრმისეულ შესწავლასა და ანალიზს საჭიროებს. დადებითი შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია გაიზარდოს კანონპროექტის განხილვაში დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციების ჩართულობა. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონპროექტის დაჩქარებულად მიღებით შესაძლოა გარკვეული რისკები წარმოიშვას, რაც ქვეყნის ინტერესებს მნიშვნელოვნად დააზიანებს.



Ketevan Tchetchelashvili  
*Phd Student*

## AMENDMENTS IN ORGANIC LAW “ON LOCAL SELF-GOVERNMENT”

### Abstract

Basic reform of local self-governing sphere in 2014 has led to democratization, decentralization of public governance system and formation of effective system of local self-governance in Georgia.

On February 05, 2014 the Parliament of Georgia by final hearing has confirmed “Local Self-Government Code” which makes certain changes in the existed system of local self-governance. Particularly, by the Local Self-Government Code in one organic law there are unified self-government regulating sub-laws, and after its effectiveness the following were declared as invalid:

1. Georgian organic law “On local self-government”;
2. Georgian law “On the State Supervision of Activities of Local Self-Government Bodies”;
3. Georgian law “On Georgian Capital Tbilisi”;
4. Georgian law “On the Property of Self-Governing Unit”

There shall be noted that local self-government reform includes the whole range of essential novelties. Correspondingly, it’s introduction practically created new reality in the sphere of self-government. Although it is natural that these novelties are accompanied by their complications or serious challenges.

Codification of legislative norms, regulating local self-government and gathering of all of them in Georgian organic law “Local Self-Government Code” is additional guarantee of stability of legislation, and also possibility of avoidance of possible collisions and contradictions. Besides it provides more stability and unification of local self-government system in legislative act having higher legal effect in comparison to law- organic law.

As we think, the government shall clearly form position and shall not make such decision which would suspend started process of development. As we know, events occurred in Georgia during the last 20 years created highly complicated problems of heavy economical, social and political character. Correspondingly everybody understands that Georgia is still in continuous regimen to complete processes leading to correct development. It is still on the stage of transient democracy and therefore we know the fact that political weather highly affects changing of legal instrument. Besides it is indisputable that local self-government in Georgia is not universal and needs to be improved, as well as many other institutes. Although we think that we shall not allow political will to make so frequent changes in the local self-government sphere.

Besides we think that these institutes shall be untouchable and protected from outer influence. Correspondingly, it shall be suited for society not at Government’s wish, but by direct participation and consent of society, and package of these changes is obviously lacking it.

Changes which are connected to the alteration of model of local self-government, awarding of financial and economical independence, cannot be realized in accelerated periods. We think that the question needs much deeper study and analysis. For achievement of positive result it is necessary to increase inclusion of interested persons and organizations in examination of law project. Otherwise there can occur certain risks by accelerated acceptance of law project and this will significantly damage interests of the country.



## ცვლილებები „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანულ კანონში, მათი ანალიზი

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროს ძირეული რეფორმის მიზანი იყო საქართველოში საჯარო მმართველობის სისტემის დემოკრატიზაცია, დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება.

2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა საბოლოო მოსმენით დაამტკიცა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომელსაც გარკვეული ცვლილებები შემოაქვს ადგილობრივი თვითმმართველობის არსებულ სისტემაში. კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით ერთ ორგანულ კანონში თვითმმართველობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები ერთიანდება. ხოლო, მისი ამოქმედების შემდგომ ძალადაკარგულად გამოცხადდა:

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
2. „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
3. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. „თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა მთელ რიგ არსებით სიახლეებს შეიცავს. შესაბამისად, მისმა დანერგვამ, პრაქტიკულად, ახალი რეალობა შექმნა თვითმმართველობის სფეროში. თუმცა, ბუნებრივიცაა, რომ ამ სიახლეებს ახლავს თავისი სირთულეები თუ სერიოზული გამოწვევები.

ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების კოდიფიცირება და ყველა მათგანის თავმოყრა საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექს“-ში, წარმოადგენს დამატებით გარანტიას კანონმდებლობის მდგრადობისა, ასევე შესაძლო კოლიზიებისა და წინააღმდეგობრიობის თავიდან აცილების შესაძლებლობას. ამასთან, იგი უზრუნველყოფს კანონთან შედარებით უფრო მაღალი იურიდიული ძალის მქონე საკანონმდებლო აქტში – ორგანულ კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ერთიანობასა და მეტ მდგრადობას.

თვითმმართველობის მოწყობის ახალი კოდექსის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის სტატუსი მხოლოდ მუნიციპალიტეტს აქვს. ამასთან, მუნიციპალიტეტს სულ სხვა გაგება და შინაარსობრივი დატვირთვა ენიჭება, ვიდრე მას ადრე გააჩნდა. კერძოდ, მუნიციპალიტეტად მოიაზრება როგორც თვითმმართველი ქალაქი, ანუ ქალაქი (დასახლება), რომლის ტერიტორიაზეც რეგისტრირებულია არანაკლებ 15.000 მოსახლე და რომელსაც გააჩნია ურბანული მიზიდულობისა და განვითარების პოტენციალი. ასევე, თვითმმართველი თემი, ანუ ისტორიულად ჩამოყალიბებული ან/და ერთგვაროვანი სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებრივ-გეოგრაფიული მახასიათებლების



მქონე რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც მინიჭებული აქვს თვითმმართველი თემის სტატუსი. შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქიცა და თვითმმართველი თემიც კოდექსში, ზოგადად, მუნიციპალიტეტის სახელწოდებით მოიხსენიება.

როგორც ცნობილია, 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, თვითმმართველობები გამსხვილებული იქნა ყოფილი რაიონების დონეზე.<sup>1</sup> შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულები შეიქმნა ყოფილი რაიონული მმართველობის საზღვრებში, ყოველგვარი ადგილობრივი, გეოგრაფიული, ტრადიციული, ინფრასტრუქტურული და სხვა თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, რომელმაც რეალურად დააშორა ადგილობრივი მოსახლეობა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას.

ბუნებრივია, მსხვილი თვითმმართველი ერთეულების საზღვრებში მოქცეული ქალაქისა და სოფლის, მთისა და ბარის მოსახლეობის „მექანიკურმა“ გაერთიანებამ განაპირობა ის, რომ ვერ გახმათი განსხვავებული ინტერესების და საჭიროებები ადეკვატურად ვერ აისახა თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობასა და განხორციელებულ პროექტებში. რეალურად ამით ვერც სოფელმა იხეირა და ვერც ქალაქმა:<sup>2</sup> ერთი მხრივ, სოფლებში გადაუჭრელია ინფრასტრუქტურული და სხვა ყოფითი, საცხოვრებელ გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც პირდაპირპროპორციულად აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონეზე; მეორე მხრივ კი, თვითმმართველი ქალაქის იურიდიული სტატუსისა და ქალაქის ბიუჯეტის არარსებობის პირობებში ვერც საშუალო და მცირე ქალაქების ურბანულ განვითარებაზე ორიენტირება ხერხდება.

სწორედ ამიტომაცაა, რომ, თვითმმართველობის ახალი კოდექსის მიხედვით, იზრდება თვითმმართველი ერთეულის სტატუსის მქონე ქალაქების რიცხვი და დაიგეგმა არსებული მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაცია, ანუ რამდენიმე მუნიციპალიტეტად გაყოფა.<sup>3</sup> კერძოდ, კოდექსის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის სტატუსს იღებს ყველა ქალაქი, რომლის მოსახლეობის რაოდენობაც 15.000 შეადგენს.

ამასთან, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიენიჭა აგრეთვე იმ ქალაქს, რომლის მოსახლეობა 15.000 მცხოვრებზე ნაკლებია, მაგრამ წარმოადგენს ისტორიული/კულტურული ღირებულების მქონე ურბანული ტიპის დასახლებას ან/და გააჩნია ურბანული მიზიდულობისა და განვითარების პოტენციალი.

თვითმმართველობის რეფორმის ყველაზე სერიოზული გამოწვევა მაინც მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაცია (გაყოფა) იქნა. ტერიტორიული ოპტიმიზაციის კრიტერიუმების შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში

<sup>1</sup> შაპავა ი., ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა: სიახლეები და ძირითადი გამოწვევები, გურიის მოამბე, 2017, <http://guriismoambe.com> მოძიებულია: 25.05.2017.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.



საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ უზრუნველყო. მანვე უზრუნველყო მუნიციპალიტეტების ოპტიმიზაციის (გაყოფის) თაობაზე სარეკომენდაციო წინადადებების მომზადება და მათი წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის.

არსებულ მუნიციპალიტეტთა ტერიტორიული ოპტიმიზაციის განხორციელება ორ ეტაპად დაიგეგმა:<sup>1</sup> ოპტიმიზაციის პირველი ეტაპის განხორციელება 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებს უკავშირდებოდა, ხოლო მისი მეორე ეტაპი კი, 2017 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად დასრულდება.

ჩვენი მოსაზრებით, მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაცია საზოგადოებისათვის ყველაზე უფრო მგრძობიარე საკითხია, იგი მაქსიმალური სიფრთხილით უნდა იქნას განხორციელებული. შესაბამისად, ახალი მუნიციპალიტეტების ფორმირებისთვის შესაბამისი კრიტერიუმების განსაზღვრა და, ზოგადად, ტერიტორიული ოპტიმიზაცია იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ მისაღები იყოს საზოგადოებისთვის.

ამისათვის კი, პირველ რიგში, რეფორმის სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის „მომზადება“ და „დამუშავება“ აუცილებელი. კერძოდ, საჭიროა უფრო აქტიური კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათი აზრის კვლევის/გაგების მიზნით და უფრო ინტენსიური ახსნა – განმარტებითი ხასიათის მუშაობა, მოსალოდნელი რეფორმის არსში საზოგადოების კარგად გათვითცნობიერების კუთხით.<sup>2</sup>

კოდექსის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ასევე ის, რომ არჩევითი გახდა თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი რგოლის ხელმძღვანელის თანამდებობა – არჩევით საკრებულოსთან ერთად, მუნიციპალიტეტს ეყოლება პირდაპირი წესით არჩეული გამგებელი (მერი – თვითმმართველ ქალაქებში). ეს კი, ბუნებრივია, ზრდის გამგებლის, როგორც აღმასრულებელი ორგანოს, როლს და მოსახლეობის წინაშე მისი პასუხისმგებლობისა და ანგარიშგების ხარისხს.

ჩვენი აზრით, ამით საბოლოოდ ჩაბარდება წარსულს არასასურველი ტენდენცია, როდესაც თვითმმართველ ერთეულს წლების განმავლობაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრაქტიკის მსგავსად, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ჰყავს და არა „სრულფასოვანი“ გამგებელი.<sup>3</sup> ამასთან, ახალი კოდექსის მიხედვით, გამგებელმა (მერი) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს სტატუსი შეიძინა. ხოლო, გამგეობა (მერია) კი განისაზღვრა როგორც გამგებლის (მერის) უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშემწყობი დაწესებულება. შესაბამისად, გამგებელი (მერი), როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი მოხელე, მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი და საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე ან-

<sup>1</sup> პაპავა ი., ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა: სიახლეები და ძირითადი გამოწვევები, გურიის მოამბე, 2017, <http://guriismoambe.com> მოძიებულია: 25.05.2017.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> პაპავა ი., ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა: სიახლეები და ძირითადი გამოწვევები, გურიის მოამბე, 2017, <http://guriismoambe.com> მოძიებულია: 25.05.2017.





გარიშვალდებული გახდა.

ჩვენი აზრით, მერებისა და გამგებლების პირდაპირი არჩევის წესისა და 50%-იანი ბარიერის შემოღება დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ორი მნიშვნელოვანი საკითხი კვლავ საჭიროებს ყურადღებას და იმედი გვაქვს, რომ ხელისუფლება მათაც გაითვალისწინებს. კერძოდ:

- ამომრჩევლის თანაბარი წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების შემოღება, ნაცვლად ერთმანდატიანისა. საკრებულოებში მანდატების რაოდენობა უნდა გადანაწილდეს კონკრეტული დასახლებების ამომრჩეველთა რაოდენობის შესაბამისად;

- არ უნდა გაუქმდეს კანონის მოქმედი ნორმა და საინიციატივო ჯგუფებს კვლავ უნდა ჰქონდეთ უფლება, მერობის/გამგებლის/საკრებულოს არჩევნებში წარადგინონ დამოუკიდებელი კანდიდატები.

მნიშვნელოვან ნოვაციას წარმოადგენს ასევე ის, რომ თვითმმართველობის სფეროს კოდიფიცირების წყალობით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში წარმოდგენილი იქნა საბიუჯეტო სფეროს მარეგულირებელი ნორმებიც. მათ შორის გარკვეული სიახლეებიც გვხვდება. კერძოდ, სიახლეს წარმოადგენს კაპიტალური ტრანსფერის, როგორც ტრანსფერის ერთ-ერთი ნაირსახეობის, გამოყოფა ტრანსფერის სხვა სახეებისგან. კოდექსის თანახმად, კაპიტალური ტრანსფერის გადაცემა ხდება ერთი ბიუჯეტიდან სხვა ბიუჯეტისათვის მიზნობრივი კაპიტალური პროექტის განხორციელების მიზნით, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან. კაპიტალური ტრანსფერი შეიძლება განხორციელდეს: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.<sup>1</sup>

მაშასადამე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შემოღებამ თვითმმართველობის სფეროს ძირეული რეფორმა გამოიწვია, რომელსაც, ბუნებრივია, თან ახლავს თავისი სირთულეები თუ სერიოზული გამოწვევები. 2014 წლის 5 თებერვალს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღება ხელისუფლების მიერ რეფორმის პირველ ეტაპად სახელდებოდა, ხოლო მისი მეორე მნიშვნელოვანი ეტაპი კოდექსის „გარდამავალ დებულებებში“ მოცემულ ვალდებულებათა შესრულება უნდა ყოფილიყო, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა შვიდი ახალი თვითმმართველი ქალაქის გამოყოფის შედეგად დარჩენილ ტერიტორიებზე თვითმმართველი თემების ფორმირებას, რასაც სამომავლო ფართომასშტაბიანი ტერიტორიული რეფორმისთვის პილოტირების როლი უნდა შეესრულებინა.

2013 წლის 13 მარტს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ პრესით

<sup>1</sup> პაპავა ი., ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა: სიახლეები და ძირითადი გამოწვევები, გურიის მოამბე, 2017, <http://guriismoambe.com> მოძიებულია: 25.05.2017.



გავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც კომისია „მოსახლეობას სთავაზობს თვითმმართველი ქალაქების გამოყოფის შედეგად დარჩენილ ტერიტორიაზე არსებულ დასახლებათაგან თითო თვითმმართველი თემის შექმნის შესაძლებლობის განხილვას, ადმინისტრაციული ცენტრებით თვითმმართველ ქალაქებში“.<sup>1</sup>

2013 წლის 16 მარტს არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააკრიტიკეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოპტიმიზაციის ამგვარი მიდგომა და შვიდივე მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მოსახლეობას წარუდგინეს ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მათელი გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ გორისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა გაიზიარეს და მოიწონა თვითმმართველი ქალაქების გამოყოფის შემდეგ დარჩენილ ტერიტორიებზე არაერთი, არამედ რამდენიმე მუნიციპალიტეტის ჩამოყალიბების იდეა,<sup>2</sup> საქართველოს მთავრობამ არ გაითვალისწინა არც არასამთავრობოებისა და არც ამ ორი მუნიციპალიტეტის საკრებულოს აზრი და 31 მარტს მიიღო განკარგულება,<sup>3</sup> პარლამენტისთვის შეეთავაზებინა თვითმმართველი ქალაქების გამოყოფის შემდეგ დარჩენილ ტერიტორიებზე თითო მუნიციპალიტეტის ჩამოყალიბება.<sup>4</sup> იმავე შინაარსის დადგენილება მიიღო პარლამენტმა 2014 წლის 4 აპრილს.<sup>5</sup> 2014 წლის აპრილ-ივნისში თვითმმართველი ქალაქების გამოყოფის პროცესში ქონებისა და ვალდებულებების გაყოფის პროცესს წარმატებით გაართვა თავი რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, რომლის მიერ მომზადებულ იქნა საჭირო საკანონმდებლო ბაზა,<sup>6</sup> ხოლო მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები. მიუხედავად მოლოდინებისა,<sup>7</sup> რომ არჩევნების ჩატარების შემდგომ ახლად წარმოქმნილ თვითმმართველ ქალაქსა და მუნიციპალიტეტს შორის რთული იქნებოდა ბიუჯეტის ნაშთისა და საბიუჯეტო წლის დასაწყისში აღებული ვალდებულებების გადანაწილება, ეს პროცესიც წარმატებით იქნა დასრულებული.<sup>8</sup> ამან აჩვენა, რომ შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო

<sup>1</sup> გაზეთი – რეზონანსი – 13 მარტი 2014 წ. №065(7707), გვ. 4.

<sup>2</sup> გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 მარტის განკარგულება № 43 „გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ოპტიმიზაციის თაობაზე“.

<sup>3</sup> ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 მარტის №3 სხდომის ოქმი 17 საქართველოს მთავრობის განკარგულება №515, 31.03. 2014 „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“.

<sup>4</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება №515, 31.03. 2014 „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“.

<sup>5</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“, 04/04/ 2014 წ. N220.

<sup>6</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №363 30.05.2014 „მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“.

<sup>7</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, თვითმმართველობის კოდექსის ძირითადი სიახლეები.

<sup>8</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №384 11.06.2014 „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმ-



სტრუქტურებს აქვთ ფართომასშტაბიანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის განხორციელების რესურსი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალი კანონის ნაჩქარევად მიღება არაფრით არ შეიძლება, იგი უნდა იყოს კარგად გათვლილი სტრატეგია, რაც ნიშნავს დროში კარგად განერილ სამომავლო გეგმებს თავისი რისკებითა და იმედებით.

სწორედ, აქედან გამომდინარე, გვსურს, ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება.

2014 წლის ცვლილებებმა არ გაითვალისწინა და არ ჩათვალა საჭიროდ შეეცვალა ან შეემუშავებინა რაიმე მექანიზმი, რაც მეტად დააახლოებდა ხალხს ადგილობრივ ორგანოებთან და მეტად გაუმარტივებდა მათ ურთიერთობას. საქმე ეხება მმართველობის მუნიციპალურ დონეს, ერთდონიან სისტემას, რომელიც ჩვენი აზრით, გაუმჯობესებას საჭიროებს.

დღეს ქვეყანაში გვაქვს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთდონიანი თვითმმართველობა, რომელიც მიმაჩნია, რომ არის არასწორად გადადგმული ნაბიჯი, ვინაიდან ირლვევა ადგილობრივი თვითმმართველობის არსი და მიზანი. მუნიციპალური დონე ძალზე დიდია პირველი დონის თვითმმართველობისთვის, იგი შეუძლებელია, აკმაყოფილებდეს და ითვალისწინებდეს თითოეულ ამ რაიონში მცხოვრები ადამიანის თვალსაზრისსა თუ მოთხოვნებს, ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაიონული თვითმმართველობა რამდენადაც დიდია ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, იმდენად პატარაა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად.

ადგილობრივი თვითმმართველობის უმთავრეს მიზანსა და მიზეზს წარმოადგენს ადგილობრივი ინტერესების დაკმაყოფილება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ორ ძირითად მოთხოვნას:

1. ახლოს უნდა იყოს მოსახლეობასთან;
2. საჭიროებიდან გამომდინარე ეფექტურად მიაწოდოს მათ მომსახურება.

თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილება სახელმწიფოსაგან მომდინარეობს და, შესაბამისად, ფართო გაგებით, ის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად გვევლინება. თუმცა, მიუხედავად ამისა, თვითმმართველი ერთეულები სახელმწიფოსაგან ინსტიტუციურად დამოუკიდებელ და ადმინისტრაციული თვალსაზრისით ავტონომიურ წარმონაქმნად განიხილება. ადმინისტრაციულ ავტონომიაში მოიაზრება იურისდიქციული, სამართალშემოქმედებითი, ორგანიზაციული, საკადრო პოლიტიკისა და ფინანსური ავტონომია.

მაშასადამე, ეფექტური ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას, ქვეყანაში მონაწილეობითი დემოკრატიის გა-

---

მართველობის კოდექსის“ 152-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შედგენის, საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების, 2014 წლის ბოლომდე პერიოდისთვის, გადანაწილების დროებითი ნების დამტკიცების შესახებ.



უმჯობესების საფუძველს და მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლების საჭირო ინსტრუმენტს. ამ თვალსაზრისით, 2014 წელს განხორციელებული თვითმმართველობის რეფორმა კი განმარტებულია, როგორც საეტაპო მნიშვნელობის წარმატებული ნაბიჯი, რომელმაც შექმნა შემდგომი დემოკრატიზაციისა და დეცენტრალიზაციის მყარი საფუძველი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეფორმის ფარგლებში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენდა შვიდი მუნიციპალიტეტის გაყოფა და შედეგად თოთხმეტი ახალი მუნიციპალიტეტის (მათ შორის შვიდი ახალი თვითმმართველი ქალაქის) ჩამოყალიბება. აღნიშნული ცვლილების მიზანი იყო მოქალაქეთა მეტი ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობის განხორციელებაში, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში, ასევე მუნიციპალიტეტების საკუთარი შემოსავლების გაზრდის ხელშეწყობა მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და მათი ხარისხის გაუმჯობესება.

თუმცა, მთავრობის აზრით, მუნიციპალიტეტების მექანიკური გაყოფა და უფრო მცირე ზომის ერთეულებად ქცევა არ აღმოჩნდა დასახული ამოცანების განხორციელების ეფექტური მექანიზმი. მუნიციპალიტეტებში არ გაუმჯობესებულა სერვისების ხარისხი და მათზე ხელმისაწვდომობა, რაც შემთხვევებში კი გაუარესდა კიდევ რესურსების არაეფექტიანი გაყოფის გამო.

ამიტომ მთავრობამ, კერძოდ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, პარლამენტს „თვითმმართველობის შესახებ კოდექსის“ ცვლილებათა პაკეტი წარუდგინა. მოცემული ცვლილებების უმთავრესი იდეა იყო არსებული 14 მუნიციპალიტეტის, რომელთაგან 7 თვითმმართველი ქალაქია, გაუქმება და მათგან 7 მუნიციპალიტეტი შეიქმნა, ანუ არსებული 71 თვითმმართველი მუნიციპალიტეტის ნაცვლად ცვლილების შემდეგ 64 დარჩება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ცვლილებათა პაკეტი წარადგინა 2017 წლის 11 მაისს, გაიმართა საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის სხდომა. სხდომის დღის წესრიგში ერთადერთი საკითხი დადგა. კერძოდ: ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის თემის, ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის თემის, ქალაქ ახალციხისა და ახალციხის თემის, ქალაქ ამბროლაურისა და ამბროლაურის თემის, ქალაქ გორისა და გორის თემის, ქალაქ თელავისა და თელავის თემის, ქალაქ მცხეთისა და მცხეთის თემის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საკითხი.

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის სხდომის ოქმში ვკითხულობთ, რომ სამთავრობო კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს წარუდგინა მუნიციპალიტეტების გაერთიანების საჭიროების დასაბუთება და გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტების საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრები. როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ, ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის არც ერთ წევრს შენიშვნა ან წინადადება არ ჰქონია. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო განხილვებისას მოსახლეობა ხელისუფლებას სთხოვდა კვლავ არ გაერთიანებულიყო თვითმმართველი ქალაქები და თემები და საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილიყო. თუმცა, აღნიშნული საკითხები დღის წესრიგიდან დარჩა და მეტიც, მასთან მიმართებით



საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის წევრებმა გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს და დაადგინეს:

1. ქალაქ გორის, გორის თემის, ქალაქ თელავის, თელავის თემის, ქალაქ ზუგდიდის, ზუგდიდის თემის, ქალაქ ოზურგეთის, ოზურგეთის თემის, ქალაქ ახალციხის, ახალციხის თემის, ქალაქ ამბროლაურის, ამბროლაურის თემის, ქალაქ მცხეთის და მცხეთის თემის მუნიციპალიტეტების საკრებულოებს კონსულტაციებისთვის გადაეგზავნოს მათი მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტების (გორის, თელავის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ახალციხის, ამბროლაურის, მცხეთის) შესაძლო შექმნის წინადადებები. ასევე, საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებულ იქნეს განცხადება ამ ოქმის N1 დანართის შესაბამისად.

2. საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია გამოთქვამს მზადყოფნას, ადგილობრივი მოსახლეობისგან და არასამთავრობო სექტორისგან მიიღოს და განიხილოს წინადადებები გორის, თელავის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ახალციხის, ამბროლაურისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების შექმნის საკითხზე, ასევე, განიხილოს დაინტერესებული პირების წერილობითი მოსაზრებები.

საქართველოს მთავრობის ამ ინიციატივას მუნიციპალიტეტების გაერთიანებასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტმა უკვე დაუჭირა მხარი სამივე მოსმენით. ხოლო, ცვლილებათა პაკეტის მხარდაჭერის შედეგად ცვლილებების განხორციელების საჭიროება დადგა საქართველოს საარჩევნო კოდექსშიც, რათა ცვლილებები შესაბამისობაში მოვიდეს აღნიშნულ კანონმდებლობასთან. ძირითადად ცვლილება შეეხება, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა განსაზღვრის ახალი წესის შემოღებას.

კანონის პროექტის ავტორები ირწმუნებიან, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ინიცირებული ცვლილებების დამკიცხების შედეგად გაუმჯობესდება ხარჯვის ეფექტიანობა. იმის გათვალისწინებით, რადგან მუნიციპალიტეტების ქალაქად და სოფლებად დაყოფა ხელოვნურია და მათი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა მჭიდროდაა დაკავშირებული, განვითარებაზე მიმართული ხარჯვა უნდა ეფუძნებოდეს მთლიანად მუნიციპალიტეტის პრობლემების გადაჭრისა და განვითარების კომპლექსურ, ერთიან ხედვას. სოფლების პრობლემატიკის გადაჭრაც უნდა მოხდეს ამ მიდგომით და არა „ქალაქის“ და „სოფლის“ ბიუჯეტის ხელოვნური გამიჯვნით.

ასევე, კანონის პროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ გაყოფილი მუნიციპალიტეტების შეერთების შედეგად არ გაუარესდება მუნიციპალიტეტების განვითარებისათვის აუცილებელი ფინანსური მდგომარეობა. მუნიციპალიტეტებს ფინანსური რესურსები შეუნარჩუნდებათ და მეტიც, გაუმჯობესდება სხვა მუნიციპალიტეტების მდგომარეობაც, აქცენტით მზარდი კაპიტალური ხარჯვების განვითარების შესაძლებლობაზე.

აგრეთვე, კანონპროექტის განმარტებით, ბარათში კანონის პროექტის ავტორები აღნიშნავენ, რომ წარმოდგენილი ცვლილება არ უნდა იყოს განხილული როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის შესუსტება ან დეცენტრალიზაციის კურსიდან გადახვევა, ვინაი-



დან დეცენტრალიზაცია გულისხმობს არა ფრაგმენტაციას, არამედ მეტი უფლებამოსილებებისა და რესურსების გადაცემას მუნიციპალიტეტისათვის.

გარდა ტერიტორიული ოპტიმიზაციისა, კანონის პროექტით ინიცირებულია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირის საქმიანობის ოპტიმიზაცია. ასევე მერის უფლებამოსილებათა ჯეროვანი გააზრების უზრუნველყოფა, რომელიც მიიღწევა გამგებლის და გამგეობის ცნების ამოღებით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოდ და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირად მერის განსაზღვრით. როგორც ვხედავთ, ტერმინოლოგია იცვლება კოდექსის მთელ ტექსტში და შესაბამის მუხლებში ჩანანერი „გამგებელი/მერი“ და „გამგეობა/მერია“ იცვლება ჩანანერით „მერი“ და „მერია“.

შესაბამისად, საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისი მუხლებიდან ამოღებულ იქნება ტერმინები „გამგეობა“ და „გამგებელი“. როგორც პარლამეტის თავმჯდომარე განმარტავს, საუბარია გამგებლისთვის მხოლოდ სახელწოდების შეცვლაზე და ამ მიმართულებით დაგეგმილი ცვლილებები ტექნიკურ ხასიათს ატარებს. „გამგებელს შეიძლება ეწოდოს მერი, რაც არის ევროპაში აპრობირებული პრაქტიკა. ცვლილება ინსტიტუტს არ ეხება, ეხება მხოლოდ სახელწოდებას და არის ტექნიკური ხასიათის ცვლილება. სწორი იქნება, მხოლოდ ერთი სახელწოდების, ერთი ტერმინოლოგიის დამკვიდრება“<sup>1</sup> მისივე განმარტებით, „მერი ადგილობრივ დონეზე უმაღლეს თანამდებობის პირს ნიშნავს და ამიტომ, ეს ტერმინი აპრობირებულია. გამგებელი ქართული ტერმინია. ხშირად, ეს ტერმინები აღრევას იწვევს. ადამიანებს ჰგონიათ, რომ მერი და გამგებელი სხვა რამეა და სხვადასხვა კომპეტენციები აქვთ. ამ დროს, მერს და გამგებელს ზუსტად ერთნაირი უფლებამოსილებები აქვთ. უბრალოდ, ერთი ქალაქის, მეორე სათემო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელია. თუნდაც ამ აღრევის თავიდან არიდებისთვის შეიძლება სწორი იყოს, რომ ერთი ტერმინი – მერი გამოვიყენოთ“.<sup>2</sup>

აღნიშნული ცვლილების მიზანია, საქართველოს საარჩევნო კოდექსის საქართველოს კანონის საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განსახორციელებელ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა. ხოლო, ცვლილებების უმთავრესი მიზანია საკრებულოს წევრთა განსაზღვრის ახალი წესის შემოტანა თვითმმართველი ქალაქების შემთხვევაში და მაჟორიტარების ოდენობა დამოკიდებული გახდება რეგისტრირებულ მოქალაქეებზე. განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ:<sup>3</sup>

- საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისი მუხლებიდან ხორციელდება ტერმინების „გამგეობა“ და „გამგებელი“ ამოღება. ახლებურად განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობა და ქალაქების შემთხვევაში აღნიშნული დაუკავშირდება ამომრჩეველთა რაოდენობას. კერძოდ, თვითმმართველი თემის შემადგენლობაში შემავალ ქალაქებში, სადაც ამომ-

<sup>1</sup> <http://www.livepress.ge/ka/akhali-ambebi/article/19328.html> მოძიებულია: 22.06.2017.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/152048?> მოძიებულია: 22.06.2017.



რჩეველთა რაოდენობა 4000-ზე მეტია, მაგრამ არ აღემატება 10000-ს, მაჟორიტარული წესით აირჩევა საკრებულოს 2 წევრი და მაჟორიტარული წესით არჩეული საკრებულოს წევრთა რაოდენობა გაიზრდება ქალაქებში ამომრჩეველთა რაოდენობის ზრდის პროპორციულად.

შესაბამისად, თვითმმართველი თემის შემადგენლობაში შემავალ ქალაქებში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 10000-ზე მეტია, მაგრამ არ აღემატება 20 000-ს, მაჟორიტარული წესით აირჩევა საკრებულოს 3 წევრი. იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა 20000-ზე მეტია, მაგრამ არ აღემატება 35000-ს, მაჟორიტარული წესით აირჩევა საკრებულოს 4 წევრი, ხოლო სადაც 35000 ან მეტია, მაჟორიტარული წესით საკრებულოს 5 წევრი აირჩევა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონპროექტის თანახმად, განისაზღვრა ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა განეხორციელებინა ცეცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიებს 2017 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის.

პროექტის ინიციატორები აღნიშნავენ, რომ წარმოდგენილი ცვლილება ემსახურება მუნიციპალიტეტების, ქალაქებისა და რაიონული ცენტრების წარმომადგენლობების გაზრდას საკრებულოში. მათი აზრით, ცვლილები საგრძნობლად გაზრდის მაჟორიტართა რაოდენობას. შესაბამისად, საერთო საკრებულოში ქალაქს ეყოლება უფრო მეტი წარმომადგენელი, რითაც მათ მიეცემათ საშუალებას ქალაქის ინტერესები უფრო კარგად დაიცვან.

როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობა დადებითად აფასებს 2014 წელს საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს და თვითმმართველობის ევროპული ქარტიის პრინციპების გათვალისწინების შედეგად ევროპასთან ინტეგრაციის თვალსაზრისით კიდევ ერთი ნინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს. თუმცა, იგი გამოცდილების შესაბამისად ამ რეფორმით ბოლომდე კმაყოფილი მთლად ვერ დარჩა და ჩათვალა, რომ დასახული მიზნების მოლომდე მიღწევა ვერ მოახერხა. ხოლო, ამის „გამოსასწორებლად“ კი ჩვენ მიერ ზემოთხსენებული კანონპროექტების ინიცირება მოახდინა.

ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი 7 ქალაქისთვის თვითმმართველი ერთეულის სტატუსის გაუქმება ერთმნიშვნელოვნად რეფორმის დეკლარირებული პრინციპებიდან გადახვევაა, რადგან თვითმმართველი ქალაქების განვითარება – ეს არის თანამედროვე სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენცია. საქართველოსთვის თვითმმართველი ქალაქების ჩამოყალიბების ხელშეწყობა კი არა მარტო სახელმწიფოს ურბანული, სოციალური და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა, არამედ ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელია ქვეყნის მართვის ევროპულ მოდელზე გადასასვლელად. ამავდროულად, თვითმმართველი ქალაქების გაუქმება და მათი კვლავ სათემო მუნიციპალიტეტებთან გაერთიანება შეაფერხებს როგორც ქალაქის, ისე სოფლის განვითარებასაც. გარდა ამისა, ქალაქი, რომელსაც არ ჰყავს მოსახლეობის მიერ არჩეული და მის წინაშე ანგარიშვალდებული ადგილობრივი ხელისუფლება, არ აქვს საკუთარი შემოსავლები, ქონება და ბიუჯეტი, კარგავს განვითარების სამომავლო პერსპექტივებსაც.



ამ და სხვა არგუმენტებიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის შემცირება ცალსახად უკან გადადგმული ნაბიჯი იყო როგორც თვითმმართველობის რეფორმის, ისე ზოგადად ქვეყნის განვითარებისთვის. რაც მთავარია, ეს ნაბიჯი დააშორებს მოსახლეობასა და ხელისუფლებას, შეაჩერებს მიმდინარე პროექტებს და შეამცირებს ადგილობრივი დემოკრატიის სტანდარტს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ ყოველად დაუშვებელი იყო 2014 წლის შემდეგ შექმნილი თვითმმართველი ერთეულების გაუქმება. ჩვენი აზრით, ხელისუფლებამ მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს პოზიცია და არ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შეაჩერებს განვითარების დაწყებულ პროცესს. როგორც ვიცით, საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა წარმოშვა მძიმე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ხასიათის ურთულესი პრობლემები. შესაბამისად, ყველასათვის ნათელია, რომ საქართველო დღემდე იმყოფება უწყვეტ რეჟიმში დაასრულოს სწორი განვითარებისკენ მიმავალი პროცესები. იგი დღემდე იმყოფება გარდამავალი დემოკრატიის ეტაპზე და, გამომდინარე აქედან, უცხო არ არის ის ფაქტიც, რომ პოლიტიკური ამინდი ძლიერ მოქმედებს სამართლებრივი ინსტიტუტების ცვლილებაზე. ამასთან უდავოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში უნივერსალური არ არის და საჭიროებს გაუმჯობესებას, როგორც ბევრი სხვა ინსტიტუტი. თუმცა ვთვლით, რომ პოლიტიკურ ნებას არ უნდა მივცეთ საშუალება, ასეთი სიხშირით მოახდინოს ცვლილებები ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში.

ამასთან ვფიქრობთ, რომ ეს ინსტიტუტი უნდა იყოს ხელშეუხებელი და დაცული გარე ზემოქმედებისგან. შესაბამისად, იგი საზოგადოებას უნდა ერგებოდეს არა მთავრობის სურვილისამებრ, არამედ საზოგადოების უშუალო მონაწილეობით და თანხმობით, რომელიც აშკარად აკლია მოცემულ ცვლილებათა პაკეტს.

ცვლილებები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის მოდელის შეცვლასთან, ფინანსური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მინიჭებასთან არის დაკავშირებული, არ შეიძლება დაჩქარებულ ვადებში განხორციელდეს. მიგვაჩნია, რომ საკითხი გაცილებით სიღრმისეულ შესწავლასა და ანალიზს საჭიროებს. დადებითი შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია გაიზარდოს კანონპროექტის განხილვაში დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციების ჩართულობა. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონპროექტის დაჩქარებულად მიღებით შესაძლოა გარკვეული რისკები წარმოიშვას, რომელიც ქვეყნის ინტერესებს მნიშვნელოვნად დააზიანებს.





**გამოყენებული ლიტერატურა:****ნორმატიული აქტები:**

1. საქართველოს კონსტიტუცია. 31-33, 24/08/1995.
2. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. 1958-III, 05/02/2014.
3. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, თბ., 27/10/2015, 4346-I ს.
4. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია. სსმ, 123, 01/11/2004.
5. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია მიღებული 1985 წლის 15 ოქტომბერს ევროპის საბჭოს მიერ.
6. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირების თაობაზე, თბ., 2004 წლის 26 ოქტომბერი, №515-II ს.
7. „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულისათვის ზოგიერთი უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის დადგენილება, №192, 26.04.2011.
8. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №15, 19.04.2005.
9. ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმი ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მონაწილეობის უფლების შესახებ. უტრეხტი, 2009 წ. 16 ნოემბერი.
10. „გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ოპტიმიზაციის თაობაზე“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს № 43, 2014 წლის 27 მარტის განკარგულება.
11. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 მარტის №3 სხდომის ოქმი.
12. „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების „მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“. საქართველოს მთავრობის განკარგულება №515, 31.03. 2014.
13. „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის დადგენილება 04/04/ 2014 წ. N2205.

**ქართულენოვანი წყარო:**

1. გ. გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2011.
2. ქ. ჩეჩელაშვილი, ერთდონიანი თვითმმართველობის პრობლემატური საკითხები საქართველოში, ჟურნ.: „მართლმსაჯულება და კანონი“ №5(48), 2015.
3. ა. ზენაიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის კომენტარები (საქართველოს ორგანული კანონი), თბ., 2014.
4. დ. ნერეთელი, „ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების კონსტიტუციური გარანტიები“, დისერტაცია, თსუ, თბ., 2012.
5. ბ. ლოლაძე, ადგილობრივი თვითმმართველობის გარანტიები ევროპულ კონსტიტუციებში, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, №3, 2009.
6. ა. დემეტრაშვილი, & ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, 2008.

**ინტერნეტ რესურსები:**

1. საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის. <http://static.mrdi.gov.ge/529dd37b0cf276b73b39d876.pdf> 02.02.2017.
2. გ. მახარაძე, ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის გარანტიები საქართველოს კონსტიტუციაში, 2014, <https://emc.org.ge/>
3. ი. პაპავა, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა: სიახლეები და ძირითადი გამოწვევები, გურიის მოამბე, 2017, <http://guriismoambe.com>
4. Hellmut W., Comparing local government reforms in England, Sweden, France and Germany, 2008, internet publication in: [www.wuestenrot-stiftung.de/download/localgovernment](http://www.wuestenrot-stiftung.de/download/localgovernment)
5. Organic Law on the Constitutional Court, of 3 October 1979, 2/1979.



ნინო მაზიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი,

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი

## სასტუმრო, როგორც მართვის სისტემა და მისი მუშაობის თავისებურებანი

### ანოტაცია

სასტუმრომომსახურების სფერო ხასიათდება თავისებურებებით. მისი ცოდნა ეფექტური მართვის და მოგების გაზრდის საშუალებას იძლევა. უპირველესად სასტუმროს მენეჯმენტმა უნდა გაითვალისწინოს სასტუმროს ადგილმდებარეობა, მომსახურების მოხერხებულობა, სერვისის დონე, ნომრის ფასი და დამატებითი მომსახურება, რეკომენდაციები, წინა გამოცდილება და სასტუმროს იმიჯი.

თანამედროვე მენეჯმენტი იცნობს მართვის კლასიკური ორგანიზაციული სტრუქტურის ხუთ ძირითად სახეობას – ხაზოვან, ფუნქციურ, ხაზოვან – ფუნქციურ, დივიზიონურ და მატრიცულ სტრუქტურებს. მართვის ეს სისტემები გამოიყენება სასტუმრო ბიზნესში, იმისდა მიხედვით თუ როგორია სასტუმრო თავისი მრავალფეროვნებით.

მართვის ხაზოვანი სტრუქტურა ყველაზე მარტივია თავისი აგებულების მიხედვით. ის წყვეტს ყველაფერს თავის უბანში. ეს მართვა უზრუნველყოფს სრულ კონტროლს და პასუხს აგებს თავისი უბნის მუშაობის შედეგებზე. სასტუმროს ასეთი მენეჯერი მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური უნდა იყოს მართვის ყველა სფეროში.

მართვის ფუნქციური სისტემა ემყარება დიფერენციაციას. ეს მართვის ფორმა გამოიყენება სასტუმროების გადიდების, მომსახურების პროცესების გართულებით, ახალი სასტუმრო პროდუქტების გაჩენით. ფუნქციური მმართველობის დროს ერთი მუშაკი ერთდროულად შეიძლება ემორჩილებოდეს რამდენიმე ფუნქციურ ხელმძღვანელს, რომელიც ინვესს ზოგჯერ გაურკვევლობას და ზოგჯერ კონფლიქტსაც კი.

სასტუმროებში ვხვდებით კიდევ ერთ განსხვავებულ მართვის სტრუქტურას, როგორცაა, ხაზოვან-ფუნქციური. ეს მართვა მოიცავს ორივე სტრუქტურის კომბინაციას და იყენებს ორივეს უპირატესობებს.

ასეთივე მნიშვნელოვანია სასტუმრო მენეჯმენტში მართვის მატრიცული სისტემა. თავისი აგების თავისებურების გამო მართვის ეს სისტემა ორიენტირებულია კონკრეტულ პროექტსა და პროგრამაზე. მისი გამოყენება სასტუმრო ბიზნესში რეკომენდირებულია ახალი სასტუმრო პროდუქტების დამუშავებისა და დანერგვისას, ახალი რესტორნის გახსნისას,

სასტუმროს მართვის თავისებურება ადამიანური რესურსების მრავალფეროვნებაში გამოიხატება, როგორც სასტუმრო ბიზნესის მართვის საკვანძო ფაქტორი. სასტუმრო მეურნეობა მოიცავს მრავალ სამსახურს, რომლებშიც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მუშაობენ. საცხოვრებელი სათავსოს სისუფთავეზე მოახლეები, დიასახლისები ზრუნავენ. მთელი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობენ მზარეულები, ოფიციანტები, მეტრდოტელები. ყველა ერთად კი სტუმართმოყვარეობის ატმოსფეროს ქმნის. სასტუმრო ბიზნესი ადამიანთა ურთიერთობების ბიზნესია.



**Nino Maziashvili**  
*Doctor of Economics*  
*of Georgian National University*

## HOTEL AS A MANAGEMENT SYSTEM AND MANAGEMENT FEATURES

### Abstract

The area of hotel service is characterized by peculiarities. Its knowledge allows for effective management and profit maximization. First of all, hotel management should take into consideration the location of the hotel, service convenience, service level, price and additional service, recommendations, previous experience and hotel image.

Modern management is familiar with the five main types of classical organizational structure-linear, functional, linear-functional, division and matrix structures. These systems are used in hotel business, depending on what kind of hotel its diversity.

The linear structure of the management is very simple according to its own structure. It ceases everything in its district. This management ensures full control and is responsible for the results of the work of its district. The hotel manager is highly qualified and competent in every field of management. The functional system of management is based on differentiation. This form of management is used to increase the hotel's excitement, service processes, the emergence of new hotel products. By functional governance, one employee can simultaneously obey some functional heads, which sometimes lead to uncertainty and sometimes conflicts.

In hotels we meet another different management structure, such as linear-functional. This management includes combination of both structures and uses both advantages. The same is important in the management of the hotel management system. Due to the peculiarity of its build, this management system is focused on a particular project and program. Its use in the hotel business is recommended for the development of new hotel products and the introduction of a new restaurant

The feature of the management of the hotel is expressed in the diversity of human resources as a key factor in hotel management. The hotel includes a number of jobs in which people of different professions work. The housewives, housewives care about the cleanliness of the living room. Cooks and waiters are working all day long. All together create an atmosphere of hospitality. Hotel business is a business of human relationships.



## სასტუმრო, როგორც მართვის სისტემა და მისი მუშაობის თავისებურებანი

ახალი მოთხოვნის გაჩენასთან ერთად, რომელსაც მოგზაურობა ჰქვია, წარმოიშვა კიდევ ერთი ახალი აუცილებლობა ღამის გასათევ ადგილებზე, სადაც მარტივად დაიკმაყოფილებდნენ კვების, წყურვილისა და ძილის მოთხოვნილებებს. ძველრომაულ რუკებზე ღამის გასათევი ადგილები, რომლებიც ჩვეულებრივ ერთმანეთისგან ერთი დღის სავალზე იყო განლაგებული, განსხვავებული სიმბოლოებით აღინიშნებოდა შეთავაზებული მომსახურების დონის მიხედვით.

ჯერ კიდევ ადრე, ჩ. წ. აღრიცხვამდე არსებობდა სასტუმროები. ამას ადასტურებს საუბარი სახარებაში უკვე არსებული სასტუმროების შესახებ. ისო ქრისტე გამოქვაბულში დაიბადა, რადგან იმ პერიოდში ყველა სასტუმრო დაკავებული იყო. ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების დროიდან, რომლებიც თითქმის ორასი წელი გრძელდებოდა, იერუსალიმში მოგზაურთა რიცხვი ძალიან გაიზარდა, რამაც სასტუმროების ბიზნესის განვითარებას შეუწყო ხელი, როგორც იტალიაში, ასევე სხვა ქვეყნებშიც. ევროპაში რეგულარული საფოსტო და სატრანსპორტო ქსელის განვითარებამ, ხელი შეუწყო გზისპირა სასტუმროების განვითარებას. ის შემდგომ გასართობ ადგილად იქცა ადგილობრივი მოსახლეობისთვის, სადაც თამაშობდნენ აზარტულ თამაშებს, დომინოს, ბილიარდს, თავს ირთობდნენ მამლების ჩხუბით.

მეთვრამეტე საუკუნეში რესტორანთან ერთად გაჩნდა „ოტელი“, იგი იყო მრავალბინიანი გასაქირავებელი შენობა. ოტელი ფრანგული წარმოშობის იყო, ამიტომაც სასწრაფოდ დაარქვეს ამერიკაშიც „ოტელი“ სასტუმროებს, რომელიც მფლობელების აზრით, ევროპულ (ფრანგულ) ლაზათს სძენდა, ხოლო ტექნიკური აღჭურვის მრავალფეროვნება ამერიკიდან წამოვიდა. აშშ-ის ქალაქებში სასტუმრო ბიზნესი ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ბიზნესად. ამერიკის პრეზიდენტები ჯ. ვაშინგტონი და ა. ლინკოლნი ტავერნების მფლობელები იყვნენ.

ევროპაში სასტუმრო საქმის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა შვეიცარიელმა ცეზარ რიტცმა. მის სახელს ატარებს ევროპის ყველაზე სახელგანთქმული სასტუმროების ქსელი. რიტცა არ ფლობდა არცერთ სასტუმროს, ის საუკეთესო მმართველი იყო. მან შექმნა ორკესტრი რესტორანში, რომელიც ახანგრძლივებდა ჭამა-სმის პროცესს რესტორანში და შესაბამისად ზრდიდა მის შემოსავალს. ასეთივე დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკელ სტატლერსაც სასტუმრო ბიზნესში.

ამჟამად მსოფლიოში აღრიცხულია 300 ათასზე მეტი სასტუმრო. საინტერესოა მათი მრავალფეროვნება. არის ერთსართულიანი და 88 სართულიანი, მცურავი და წყალქვეშა, იაფი და ძვირფასი, ხმაურიანი და წყნარი სასტუმროები.

სასტუმრომომსახურების სფერო ხასიათდება თავისებურებებით. მისი ცოდნა ეფექტური მართვის და მოგების გაზრდის საშუალებას იძლევა. უპირველესად სასტუმროს მენეჯმენტმა უნდა



გაითვალისწინოს სასტუმროს ადგილმდებარეობა, მომსახურების მოხერხებულობა, სერვისის დონე, ნომრის ფასი და დამატებითი მომსახურება, რეკომენდაციები, წინა გამოცდილება და სასტუმროს იმიჯი.

პერსონალი განსაკუთრებულ როლს ასრულებს სასტუმრო სანარმოს განვითარებაში. განსაკუთრებით იმათი, ვინც უშუალო კონტაქტშია კლიენტებთან, რომელთაც უნევთ მრავალფეროვან ადამიანთან ურთიერთობა. მათ უნდა შეძლონ განსაკუთრებული ხალისით, უნარითა და სურვილით მოექცნენ სტუმრებს ისე, როგორც მათ მოექცევიან ყველაზე კარგ სიტუაციაში. ისინი დაიცავენ ეთიკის „ოქროს წესს“.

თანამედროვე მენეჯმენტი იცნობს მართვის კლასიკური ორგანიზაციული სტრუქტურის ხუთ ძირითად სახეობას: ხაზოვან, ფუნქციურ, ხაზოვან-ფუნქციურ, დივიზიონურ და მატრიცულ სტრუქტურებს. მართვის ეს სისტემები გამოიყენება სასტუმრო ბიზნესში, იმისდა მიხედვით თუ როგორია სასტუმრო თავისი მრავალფეროვნებით.

მართვის ხაზოვანი სტრუქტურა ყველაზე მარტივია თავისი აგებულების მიხედვით. ხაზოვანი ხელმძღვანელის მხრივ, რომელიც სასტუმროს განსაზღვრულ უბანს ხელმძღვანელობს და იყენებს ერთმართველობის პრინციპს. ის წყვეტს ყველაფერს თავის უბანში. ეს მართვა უზრუნველყოფს სრულ კონტროლს და პასუხს აგებს თავისი უბნის მუშაობის შედეგებზე. სასტუმროს ასეთი მენეჯერი მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური უნდა იყოს მართვის ყველა სფეროში.

მართვის ფუნქციური სისტემა ემყარება დიფერენციაციას. ეს მართვის ფორმა გამოიყენება სასტუმროების გადიდების, მომსახურების პროცესების გართულებით, ახალი სასტუმრო პროდუქტების გაჩენით. ამ დროს სასტუმროს შიდა პროცესები იყოფა მიმართულებებად, რომელთაგანაც თითოეულს ფუნქციური ხელმძღვანელი წარმართავს. მაგ.: სტუმრების მიღება და განთავსება, კვება, სასტუმროს მომსახურების გატანა ბაზარზე, ბაზრის კვლევა, ბუღალტერია, ადამიანური რესურსების მართვა და ა. შ. ყველა განყოფილებას ჰყავს თავისი კომპეტენტური მენეჯერი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს. ფუნქციური მმართველობის დროს ერთი მუშაკი ერთდროულად შეიძლება ემორჩილებოდეს რამდენიმე ფუნქციურ ხელმძღვანელს, რაც იწვევს ზოგჯერ გაურკვეველობას და ზოგჯერ კონფლიქტსაცკი.

სასტუმროებში ვხვდებით კიდევ ერთ განსხვავებულ მართვის სტრუქტურას, როგორცაა, ხაზოვან-ფუნქციური. ეს მართვა მოიცავს ორივე სტრუქტურის კომბინაციას და იყენებს ორივეს უპირატესობებს. მაგალითად, უბნის ხაზოვანი ხელმძღვანელი თავისი ქვედანაყოფის საერთო მართვას ფუნქციების მიხედვით ანაწილებს. ის ხაზოვან ზემოქმედებას ახდენს ფუნქციურ ხელმძღვანელებზე, ისინი, თავის მხრივ, ტექნოლოგიურ დახმარებას უწევენ შესასრულებელ სამუშაოებში. ასეთი მართვა სასტუმროებში ხელს უწყობს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ხარისხის გაუმჯობესებას სპეციალიზაციის გაღრმავების შედეგად. ასეთი მართვის სისტემა გვხვდება საშუალო და დიდ სასტუმროებში.



მართვის დივიზიონური სისტემა შედგება მართვის უმაღლესი რგოლის ფუნქციური ხელმძღვანელობისაგან. კონკრეტულ სფეროებს მართავენ ამ სისტემის შიგნით, მართვის საშუალო და დაბალი დონის მენეჯერები. ყალიბდება მართვის სისტემების ურთიერთკავშირი და ხორციელდება პირველი სისტემის ფუნქციური ხელმძღვანელობა სფეროთა კონკრეტული მმართველების მიერ მეორე სისტემის შიგნით. ეს მართვა ხელს უწყობს სასტუმროს მიერ მოგების მაქსიმიზაციას. ეს მართვა ხასიათდება მართვის სტრუქტურის აგების სირთულით, ამიტომაც ოტელის შტატში უნდა იყოს მაღალკვალიფიციური კადრი. ეს მართვის სისტემა იგება სასტუმრო პროდუქტების კონკრეტული სახეობებისათვის.

ასეთივე მნიშვნელოვანია სასტუმრო მენეჯმენტში მართვის მატრიცული სისტემა. თავისი აგების თავისებურების გამო ეს მართვის სისტემა ორიენტირებულია კონკრეტულ პროექტსა და პროგრამაზე. მისი გამოყენება სასტუმრო ბიზნესში რეკომენდირებულია ახალი სასტუმრო პროდუქტების დამუშავებისა და დანერგვისას, ახალი რესტორნის გახსნისას, ნომრების ახალი კატეგორიის შემოღებისას, სტუმართა მომსახურების ხარისხის ამაღლების პროგრამების რეალიზაციისას, ტრენინგების ორგანიზაციისას პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სასტუმროს რესურსების ოპტიმალური გამოყენებისათვის და ასევე გამოიკვეთება რამდენიმე ნაკლიც. მაგ., ორმაგი ხელმძღვანელობა – შემსრულებლის დაქვემდებარება ერთდროულად პროექტის ხელმძღვანელისა და სამსახურის მენეჯერისადმი, რამაც შეიძლება კონფლიქტურ სიტუაციამდე მიგვიყვანოს.

ეს ყველა მართვის სისტემა გამოიყენება თანამედროვე ოტელების მართვის ორგანიზებისთვის, რადგან სასტუმროს წარმატება მის სწორ მართვაზეა დამოკიდებული. მან ოპერატიულად უნდა მიაწოდოს მომხმარებელს ზუსტად ის მომსახურება, რასაც ითხოვს. ამდენად, თავისებურია თითოეული საწარმოს მართვა სასტუმროს სპეციალიზაციის ზომებისა და ხასიათის განსხვავებულობის მიხედვით.

სასტუმროს მართვის თავისებურება ადამიანური რესურსების მრავალფეროვნებაში გამოიხატება, როგორც სასტუმრო ბიზნესის მართვის საკვანძო ფაქტორი. სასტუმრო მეურნეობა მოიცავს მრავალ სამსახურს, რომლებშიც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მუშაობენ. შემოსავლელებში ჩამოსულებს შვეიცარი ხვდება. ნომრებში სტუმრებს მიღებისა და მომსახურების სამსახურების მუშაკები განათავსებენ, რომლებიც უშუალოდ ამყარებენ მათთან ურთიერთობას. საცხოვრებელი სათავსოს სისუფთავეზე მოახლეები, დიასახლისები ზრუნავენ. მთელი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობენ მზარეულები, ოფიციანტები, მეტრდოტელები. ყველა ერთად კი სტუმართმომყვარეობის ატმოსფეროს ქმნის.

მართვა მარტივი და მოქნილი უნდა იყოს. ეფექტურობასა და კონკურენტუნარიანობას უნდა



უზრუნველყოფდეს და ორიენტირებული უნდა იყოს კადრების შერჩევასა და განაწილებაზე, სანარმოს შრომითი რესურსების განვითარებაზე.

სასტუმრო მეურნეობის მართვის თანამედროვე თეორია და პრაქტიკა ხელმძღვანელს გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს: 1. პროფესიულ კომპეტენტურობას, რომელიც ემყარება ცოდნასა და ნიჭს. მენეჯერი მაგალითი უნდა იყოს თანამშრომლებისათვის. 2. სოციალური კომპეტენტურობა გულისხმობს ცოდნას და მმართველობითი ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას ამ სფეროში. ხელმძღვანელი თავისი შრომის შედეგებს სხვა პირებზე ზეგავლენის მოხდენით აღწევს, მისთვის პირველყოვლისა აუცილებელია სოციალური ფსიქოლოგიის, თანამედროვე მმართველობითი მიდგომებისა და პროფესიის თავისებურებათა ცოდნა. თანამშრომელთა საქმიანობისაკენ ნახალისების უნარი. 3. კონცეპტუალური კომპეტენტურობა გულისხმობს მენეჯერის უნარს გამოავლინოს და გადაწყვიტოს პრობლემები. სასტუმრო ბიზნესი ადამიანთა ურთიერთობების ბიზნესია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ვასაძე, „სასტუმრო და კვება“, თბ., 2015.
2. კ. აბულაძე, „სასტუმრო საქმის საფუძვლები“, თბ., 2015.



ვ. კ. მუკანოვა

ეკონომიკური უსაფრთხოების, აღრიცხვისა და  
ფინანსების კათედრა „ФГБОУ“,  
„ბ. ბ. გოროდოვიკოვას სახელობის ყალმუხის  
სახელნიფო უნივერსიტეტი“, ქ. ელისტა,  
ყალმუხის რესპუბლიკა, რუსეთი

## უმაღლესი სასწავლებლის მისია რეგიონის სტრატეგიული ამოცანების გადაჭრაში

### ანოტაცია

სტატია ეძღვნება უმაღლესი სასწავლებლის მისიის გააზრებას რეგიონის სტრატეგიული ამოცანების გადაჭრაში, რომელიც აჩვენებს საგანმანათლებლო დაწესებულებების გავლენის ახალ ფორმას რეგიონალურ ეკონომიკაზე. ნაჩვენებია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიძლება რეგიონში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს: იყოს ორიენტირებული რუსეთის ფედერაციის სუბიექტის განვითარების მხარდაჭერაზე ადგილობრივი შრომითი ბაზრის მაღალ-კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფაზე, რომლებიც გადანეყვებენ რეგიონალური ეკონომიკის აქტუალურ საკითხებს და რეგიონსა და მათ სანარმოებს ერთობლივად საგანმანათლებლო და ინოვაციური პროექტებით უზრუნველყოფენ.

სტატიაში წარმოდგენილია პრაქტიკული გამოცდილება უმაღლესი სასწავლებლების ურთიერთქმედებისა რეგიონებთან, რომელიც შეიძლება იყოს სასარგებლო სპეციალისტებისა და მკვლევრებისათვის უნივერსიტეტის მართვის, ინოვაციების მართვისა და პროექტების მართვის დარგში.

**საკვანძო სიტყვები:** უმაღლესი განათლების რეფორმა; დასაყრდენი რეგიონალური უნივერსიტეტები; მოსახლეობის კრედიტუნარიანობა; ფინანსური განათლება; მოხალისეთა ფინანსური გუნდი.





**Mukanova V. K.,**  
*Doctor of Economics*

## THE MISSION OF THE UNIVERSITY IN THE SOLUTION OF THE STRATEGIC OBJECTIVES OF THE REGION

### Abstract

The article is devoted to comprehension of university's mission in solving strategical objectives of the region, which shows new form of influence of educational institutions on regional economics. It is shown that educational institutions may play an important role in region: be oriented to support Russian Federation's subject development by providing high-qualified specialists to local labor market, solving actual objectives of regional economics and implementing educational and innovative projects in partnership with region and its enterprises.

Practical experience of interaction between university and region, presented in the article, may be useful for specialists and researchers in the field of management of universities, management of innovations, management of projects.

**Keywords:** *Reform of high education, basic regional university, crediting of population, financial literacy, center of improvement of financial literacy, volunteer financial squad*



**В.К.Муканова,**  
*и.о. зав.кафедрой экономической  
 безопасности, учета и финансов  
 ФГБОУ ВО «КалмГУ»,  
 г. Элиста,  
 Республика Калмыкия, Россия*

## МИССИЯ ВУЗА В РЕШЕНИИ СТРАТЕГИЧЕСКИХ ЗАДАЧ РЕГИОНА

В рамках реформы высшего образования в России были созданы опорные вузы (опорные университеты). 25 октября 2016 г. президиумом Совета при Президенте Российской Федерации по стратегическому развитию и приоритетным проектам утвержден Приоритетный проект «Вузы как центры пространства создания инноваций», основной целью которого является создание в субъектах Российской Федерации 100 опорных вузов - университетских центров инновационного, технологического и социального развития.

Опорный вуз (опорный университет) в России – это создаваемый в регионе на базе существующих высших учебных заведений вуз, ориентированный на поддержку развития субъекта Российской Федерации посредством обеспечения местного рынка труда высококвалифицированными специалистами, решения актуальных задач региональной экономики и реализации совместно с регионом и его предприятиями образовательных и инновационных проектов.

В настоящее время в России 33 вуза имеют статус «опорных университетов» по результатам конкурса Минобрнауки России. Первые 11 опорных университетов обрели свой статус в начале 2016 года. В апреле 2017 года были названы еще 22 опорных вуза, в том числе Калмыцкий государственный университет имени Б.Б. Городовикова.

На сегодняшний день КалмГУ успешно позиционирует себя на рынке образовательных услуг Республики Калмыкия и смежных регионов и реализует:

- традиционные массовые программы, реализуемые вузом в течение нескольких десятилетий, качество которых подтверждается большим числом успешных выпускников, формирующих элиту региона – это программы в области строительства, сельского хозяйства и педагогики;
- инновационные программы, разработанные вузом и нацеленные на перспективные потребности экономики республики – программы в области эксплуатации транспортно-технологических машин и комплексов, туризма, технологий производства продуктов питания животного происхо-



дения, техносферной и информационной безопасности, информационных технологий, правоохранительной деятельности.

К основным направлениям исследований университета можно отнести исследования по монголоведению и алтаистике, истории региона, фольклористике и эпосоведению, сложились научные школы, возглавляемые известными в России и за её пределами учёными.

Университетом достигнуты определённые результаты в части активизации взаимодействия с регионом: реализуются проекты по заказу отраслевых министерств и ведомств РК (экономическая энциклопедия, издание археологической и геоботанической карт), через программы ДПО университета осуществляется подготовка кадров для нужд экономики республики, обсуждаются другие прикладные проекты для реализации в ближнесрочной перспективе.

В частности, в рамках Программы развития университета как опорного реализуются 4 стратегических проекта, направленных на содействие в решении региональных проблем и задач:

- Обеспечение продовольственной безопасности региона за счёт разработки и научного обоснования конкурентоспособных технологий производства говядины и социально-значимой продукции на основе современных биотехнологических и молекулярно-генетических методов;

- Калмыкия как трансграничный регион в восточном векторе России;

- Снижение закредитованности населения Республики Калмыкия;

- Предуниверсарий.

Стратегический проект «Снижение закредитованности населения Республики Калмыкия» реализуется кафедрой экономической безопасности, учета и финансов.

Выбор темы проекта был обусловлен существующей в регионе проблемой закредитованности населения. Закредитованность населения становится опасной не только для экономики России, но и для финансовой системы страны. По данным Объединенного бюро кредитных историй на начало 2017 года открытые кредиты имеют 48 млн. граждан России. При этом 59% заемщиков обслуживают один открытый кредит, 24% заемщиков – 2 кредита, 10% заемщиков – 3 кредита, 4% заемщиков – 4 кредита и 3% заемщиков обслуживают 5 и более открытых кредитов.

Темпы роста объемов просроченной задолженности, превышающие среднее значение, зафиксированы в 41 регионе России. Самые высокие годовые темпы роста объемов просроченной задолженности отмечаются в Республике Калмыкия (+108%).

Республика Калмыкия отмечена также среди регионов с самыми высокими показателями доли просроченной задолженности от общего объема ссудного долга населения перед кредитными организациями – 23,8% (4,6 млрд. руб.). Всего доля просроченной задолженности, превышающая 13,8%, зафиксированы в 39 российских регионах.

В 2016 году долговая нагрузка РТІ в Республике Калмыкия составила 59 % при нормативе Цен-



трального банка Российской Федерации 30-35 %. По данным Объединенного кредитного бюро, Республика Калмыкия занимает одно из первых мест по данному показателю в Российской Федерации.

Средний платеж по кредитам населения Калмыкии в 2016 году составил 12 560 руб. при среднемесячной номинальной начисленной заработной плате 21 133 руб., т.е. 60 % заработной платы приходится на выплату кредита. При этом наибольшая сумма долгов по кредитам приходится на население со среднемесячным доходом до 15 тыс. руб., что составляет 66,1 % от всей численности трудоспособного населения региона.

Такое положение связано с низким уровнем финансовой грамотности населения и информированности граждан о своих правах как потребителей финансовых услуг, включая кредитные продукты, способах их защиты, рисках, сопутствующих конкретному кредитному продукту.

Стратегия развития финансового рынка Российской Федерации на период до 2020 года рассматривает повышение финансовой грамотности как один из стратегических факторов обеспечения конкурентоспособности российского финансового рынка. Учитывая роль повышения финансовой грамотности в снижении уровня закредитованности населения, проект значим и актуален для социально-экономического благополучия региона.

Цель проекта: создание основ для развития финансового образования населения региона как необходимого условия снижения закредитованности населения Республики Калмыкия. При этом под развитием финансового образования понимается повышение финансовых знаний и практических навыков и умений, необходимых для принятия ответственных решений при потреблении кредитных продуктов.

Для достижения поставленной цели решаются следующие взаимосвязанные задачи:

- мониторинг и оценка в регионе уровня закредитованности населения;
- создание в регионе системы эффективных и доступных информационных ресурсов, способствующих снижению уровня закредитованности населения;
- адаптация и реализация образовательных программ повышения уровня финансовой грамотности населения;
- организация и проведение информационной кампании, способствующей снижению уровня закредитованности населения.

Ожидаемым результатом реализации проекта является достижение главной цели – создание основ для развития финансового образования населения региона как необходимого условия снижения закредитованности населения региона.

В соответствии с поставленными в проекте задачами будет обеспечено достижение следующих результатов:

- 1) создание эффективного и доступного информационного ресурса, способствующего снижению закредитованности населения региона;



2) создание в регионе перманентной системы обучения финансовой грамотности, позволяющей охватывать большое количество пенсионеров и населения трудоспособного возраста. В рамках проекта пройдут обучение по финансовой грамотности не менее 7000 пенсионеров и не менее 12000 человек трудоспособного возраста, будет обучено 350 тьюторов-волонтеров финансового отряда.

Достижение данного результата будет обеспечено за счет:

а) проведения выборочного обследования населения Республики Калмыкия (5,6 тыс. чел., репрезентативность выборки – не менее 2 % населения региона), в рамках которого будут сформированы целевые группы населения Республики Калмыкия, определены причины закредитованности населения и оптимальные (предпочтительные) формы обучения в сфере финансовой грамотности населения.

б) адаптации образовательных программ проекта «Содействие повышению уровня финансовой грамотности населения и развитию финансового образования в Российской Федерации» Минфина России для сформированных целевых групп населения;

в) создания постоянно действующего Центра повышения финансовой грамотности и финансового отряда из не менее 75 волонтеров для реализации мероприятий Проекта.

Центр как часть системы обеспечения финансовой безопасности граждан региона будет ориентирован на работу в следующих направлениях:

– непрерывное консультационное сопровождение по вопросам выбора кредитных продуктов, защиты прав потребителей и т.п. Консультационное сопровождение будет организовано в очной, заочной и дистанционной форме с целью оказания адресной помощи населению.

– осуществление обучения граждан с учетом сформированных целевых групп. Обучение в Центре будет выстраиваться исходя из потребностей сформированных целевых групп в форме выездных семинаров, бесед, поддержки информационных и образовательных сайтов, лекций.

– организация и проведение конкурсных мероприятий Проекта. Организация данных мероприятий используется в качестве инструмента пропаганды проекта, вовлечения населения в обучение, выявления результативности проекта.

– поддержание механизмов обратной связи с потребителями финансовых услуг. Организация тематических горячих линий консультирования потребителей финансовых услуг, общественных и он-лайн приемных населения, организуемых участниками реализации проекта, позволит поддерживать обратную связь.

– координация деятельности финансового отряда, что позволит повысить эффективность и результативность мероприятий проекта на основе оперативного взаимодействия между исполнителями и участниками проекта.

Деятельность Центра и финансового отряда в целом позволит обеспечить необходимый охват населения региона для целей реализации проекта.



Реализация такого рода проекта окажет влияние на развитие университета в следующих направлениях:

- демонстрация социальной ответственности вуза и повышения имиджа среди населения региона;
- укрепление позиций вуза в органах региональной и муниципальной власти как надежного стратегического и делового партнера при решении социально-экономических задач;
- повышение качества учебного процесса вуза в части формирования профессиональных компетенций по экономическим специальностям на основе привлечения обучающихся к реализации проекта;
- развитие волонтерского движения на основе привлечения и подготовки тьюторов для реализации проекта;
- повышение гражданской активности обучающегося контингента вуза в социальной сфере.

Реализация проекта несомненно окажет влияние и на социально-экономическое развитие региона:

- формирование у населения региона культуры финансового поведения, основывающейся на планировании личных и семейных бюджетов на длительную перспективу и разработке стратегии реализации своих жизненных потребностей;
- создание в регионе перманентной системы обучения основам финансовой грамотности, позволяющей охватывать большое количество пенсионеров и населения трудоспособного возраста;
- создание механизма взаимодействия органов власти, организаций финансового сектора, других коммерческих организаций, образовательных, некоммерческих организаций и населения, обеспечивающего повышение финансовой грамотности населения и развитие финансового образования граждан региона;
- участие органов власти, организаций финансового сектора, других коммерческих компаний, образовательных и некоммерческих организаций региона в мероприятиях Проекта, способствующее их привлечение к решению проблем закредитованности населения Республики Калмыкия;
- содействие в обеспечении экономической и социальной стабильности региона, в развитие предпринимательской деятельности и малого бизнеса, содействие развитию конкуренции между финансовыми институтами, предоставляющими заемные средства, и повышению качества их услуг, в укреплении защиты прав потребителей финансовых услуг, в развитие инвестиционного рынка и экономического роста региона.



**გიორგი ქუცური**  
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან  
არსებული ფინანსური უნივერსიტეტი

## სახელმწიფო ფინანსების ვალების სიმყარის მართვის პრობლემები

### ანოტაცია

სტატიაში გამოკვლეულია სახელმწიფო ვალის (სესხის) ფორმირების პრობლემები და მისი გავლენა სახელმწიფო ფინანსურ სიმყარეზე. ამ მიზნით განხორციელებულია ანალიზი სახელმწიფო ვალებისა, მათი მოცულობისა და სტრუქტურისა რუსეთის ფედერაციაში. ვალების სიმყარის განსაზღვრის მიზნით გამოყენებულია ის მეთოდები, რომლებსაც იყენებენ მსოფლიო ბანკები და სახელმწიფო სავალუტო ფონდები. შემოთავაზებულია რამდენიმე თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაცია, რომელთა გამოყენება გაზრდის სახელმწიფო ფინანსების ვალების სიმყარეს.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო ფინანსების ვალების სიმყარე, სახელმწიფო ვალების მართვა, სახელმწიფო სესხები.

**Georgiy Kutsuri**  
*Doctor of Economic Sciences,  
Financial University under the  
Government of Russian Federation (FU),  
Russia, Moscow,*

## MANAGING THE DEBT SUSTAINABILITY OF STATE FINANCES OF THE RUSSIAN FEDERATION

### Abstract

The article examines the issue of the volume of public borrowing is considered in the framework of the study of debt sustainability of public finances, or, in other words, the ability of the state to fulfill its obligations to creditors. The problem of debt sustainability occupies a dominant position in the modern theory of public borrowing. Both international institutions (the world Bank, the international Monetary Fund, etc.) and individual researchers deal with the problem of public debt sustainability.

**Key words:** debt sustainability, public debt management.



## MANAGING THE DEBT SUSTAINABILITY OF STATE FINANCES OF THE RUSSIAN FEDERATION

The theory of public debt has also been considered by many economists such as J. Keynes, A. Smith, D. Ricardo. The theory is closely related to the practice and, as we know, in many cases follows the latter, and in this case, the object of research for scientists was due to the high volumes of public borrowing and the need to develop and apply appropriate policies of public debt management.

A comprehensive study of the socio-economic consequences of public borrowing was carried out within the framework of various theoretical and economic schools. The study concerned the impact of debt financing of the budget deficit on inflation rates, the financial system of the country, employment, interest rates, the investment climate and the society as a whole. For example, if the classical school of political economy, led by Adam Smith, considered the budget deficit only a temporary consequence of the budget policy pursued by the state, which should be subsequently leveled, Keynes in his works considered the budget deficit as an integral part of the debt policy of the state, aimed at maintaining a sufficient level of aggregate demand, which determines the level of production and employment. The vision of Keynes on the deficit and public debt have a dominant position to this day. At the moment, the economy has developed many theoretical models that address the issues of budget deficit, public debt and effective management of the latter. The main theoretical models can be attributed the equation of the Barro-Ricardo model of Sargent-Wallace model Bruno-Fischer for state budget financing, etc.

One of the constituent elements in the theory of public debt management is the assessment of the debt sustainability of the state. In 2009, the country now known as the PIGS (Portugal, Italy, Greece, Spain), faced with nothing more than a problem of debt sustainability. Faced with the impossibility of paying off its commitments, Portugal, Ireland, Greece and Spain were on the verge of default and questioned the viability of the Eurozone as an effective economic and monetary Union. The global financial crisis, which began with the mortgage market in the United States and an avalanche that hit the European financial system and resulted later in a sovereign debt crisis in a number of European countries, demonstrated that debt sustainability indicators are not empty statistics, but direct elements of effective debt management of the state.

Every year, the issues of debt sustainability of public finances are acute in anticipation of the introduction of the state Duma bill on the Federal budget for the next financial year and the planned period. First, three main characteristics of the financial system in terms of public debt, expressed in the form of questions, are defined:

- Does the level of public debt exceed 50% of GDP?
- You have not exceeded the budget deficit 10% of GDP?





- Does the state need financial support from the IMF?

Based on the affirmative or negative answers to these questions, the country under study falls into one of two categories, with tighter control and with less strict control, respectively. The level of public debt in relation to GDP remained below the critical level of 50% throughout the period under review, and the level of the budget deficit did not exceed 10% of GDP. Accordingly, the first two questions can be confidently answered in the negative.

It is important to remember that debt sustainability of public finances is essentially a dynamic concept. A country that is currently able to settle its debt obligations may not be so tomorrow. Let us consider an example directly related to the domestic economy. The state-exporter of commodities (gas, wood, oil) may face serious difficulties in servicing the debt, if the price of exported goods will fall sharply. At the same time, debt sustainability will be restored and strengthened if prices increase on a permanent long-term basis.

In theory, if the Debt/GDP ratio does not increase, all other things being equal, over a certain period, then this fact may already be a sufficient condition for debt sustainability: the country is likely to remain solvent until the ratio increases. However, it is necessary to take into account the cyclical development of the economy, and, accordingly, the low growth rates of the economy, or even negative, the trade deficit, high, or Vice versa, low interest rates – all these variables can be underestimated due to time factors, and then, when analyzing the RBG indicator, you should take advantage of historical analysis, as well as build trends to neutralize temporary phenomena. Similarly, if the historical values of trade balances, economic growth, real interest rates, etc. assumes that the analysis of the “gap in the balance of resources” cannot be carried out even in real scenarios with the current macro-exchange, the debt is considered unsustainable.

Despite the difficulties experienced by the domestic economy in recent years, due to the world financial crisis, external political factors and other negative phenomena, the Russian Federation remains a country is able to meet their obligations. This is confirmed by a positive assessment of the first three criteria for debt sustainability of public finances under the DSA model, as well as compliance over a long period of normative values proposed By the international Monetary Fund and the Maastricht Treaty to assess the solvency of the country. As for domestic debt policy, it must be understood that the constant increase in aggregate demand only through the public expenditure component leads to the inevitable increase in the level of public debt, which ultimately reduces the debt sustainability of public finances, weakens the national economy as a whole and sometimes leads to socio-economic shocks. In turn, redirecting the preferences of public debt policy from external to internal borrowing, which we can observe today, will reduce the impact of external factors on the debt sustainability of public finances of the Russian Federation. Together, the above



factors will increase the investment ratings of the world's largest rating agencies. As for the choice of debt policy instruments in the domestic market, the priority areas are the issue of long-term and medium-term government securities, which will contribute to the above-mentioned goals. The issue of short-term debt instruments is regarded solely as a measure to combat adverse current market conditions. This approach allows to optimize the term-structure of public debt.

### References:

1. Kraay, A., Nehru V. When Is External Debt Sustainable? The World Bank, 2006-35P.URL: <http://siteresources.worldbank.org/DEC/Resources/KraayNehruDebtSustainabilityWBER.pdf> (date accessed: 25.10.2017)
2. Mendoza E., Ostry J. International Evidence on Fiscal Solvency: is Fiscal Policy Responsible? Journal of Monetary Economics, 2008, - 55 p. URL: <https://ideas.repec.org/a/eee/moneco/v55y2008i6p1081-1093.html> (date of application: 25.10.2017)
3. Modernizing the Framework for Fiscal Policy and Public Debt Sustainability Analysis. IMF, 2011. - 58 p. URL: <http://www.imf.org/external/np/pp/eng/2011/080511.pdf> (date of application: 22.10.2017)



მარიამ გოგლიძე  
სამართლის ფაკულტეტის  
დოქტორანტი

## მინდობით აღზრდის არსი და სამართლებრივი პროცედურები მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით

### ანოტაცია

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მათ შორის გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ“, ჰააგის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ და სხვა სამართლებრივი აქტები აღიარებს ყველა ბავშვის უფლებას ისეთ მოპყრობაზე, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ღირსებისა და პიროვნული მნიშვნელობის გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებს ადამიანის უფლებებისა და სხვათა ძირითადი უფლებებისადმი პატივისცემას, რა დროსაც, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ბავშვის მხოლოდ საუკეთესო ინტერესები. [1]

მინდობით აღზრდის ესოდენ დიდი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ უმეტესადაა ურთოდ და მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების მინდობით აღსაზრდელად გადაცემით უზრუნველყოფილ იქნას ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით გათვალისწინებული მათი ყველა უფლების რეალიზება და ინტერესების დაცვა მშობლიურ, ოჯახურ გარემოში, სიყვარულსა და აუცილებელ მატერიალურ პირობებში მანამდე, სანამ არ მოხდება მათი შვილება მიმღები ან სხვა ოჯახის მიერ ან საკუთარ ოჯახში დაბრუნება.

საქართველოს ახალი კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ ანესრიგებს როგორც შვილად აყვანის, ასევე მინდობით აღზრდის სამართლებრივი რეგულირების სფეროს. ამ კანონის მიზანია ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების განხორციელება როგორც შვილად აყვანის, ასევე მინდობით აღზრდის საშუალებით.

ბავშვის მინდობით აღზრდის თაობაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ემსახურებოდეს მისთვის ისეთი სტაბილური ოჯახური გარემოს შექმნას, რომელიც ეფუძნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. [5]



საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მათ შორის გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ“, ჰააგის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ და სხვა სამართლებრივი აქტები აღიარებს ყველა ბავშვის უფლებას ისეთ მოპყრობაზე, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ღირსებისა და პიროვნული მნიშვნელობის გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებს ადამიანის უფლებებისა და სხვათა ძირითადი უფლებებისადმი პატივისცემას, რა დროსაც, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ბავშვის მხოლოდ საუკეთესო ინტერესები.[1]

მინდობით აღზრდის ესოდენ დიდი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ უმეტესადაა უფროდ და მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების მინდობით აღსაზრდელად გადაცემით უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით გათვალისწინებული მათი ყველა უფლების რეალიზება და ინტერესების დაცვა მშობლიურ, ოჯახურ გარემოში, სიყვარულსა და აუცილებელ მატერიალურ პირობებში მანამდე, სანამ არ მოხდება მათი შვილება მიმღები ან სხვა ოჯახის მიერ ან საკუთარ ოჯახში დაბრუნება.

საქართველოს ახალი კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ ანესრიგებს როგორც შვილად აყვანის, ასევე მინდობით აღზრდის სამართლებრივი რეგულირების სფეროს. ამ კანონის მიზანია ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების განხორციელება როგორც შვილად აყვანის, ასევე მინდობით აღზრდის საშუალებით.

ბავშვის მინდობით აღზრდის თაობაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ემსახურებოდეს მისთვის ისეთი სტაბილური ოჯახური გარემოს შექმნას, რომელიც ეფუძნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. [5]



**Mariam Goglidze**  
*Phd Student of Law Faculty*

## THE BASIS OF FOSTER CARE ACCORDING TO APPLICABLE LAW

### Abstract

The constitution of Georgia, international treaties and agreements Georgia is a signatory party of, including the United Nations Convention on the Rights of the Child and the Hague Convention on Protection of Children and Co-operation in Respect of Intercountry Adoption, as well as the Civil Code of Georgia, the Law of Georgia on Social Assistance, the Law on Adoption and Foster Care, and other legal acts acknowledge all children's right to such treatment that promotes development of child's dignity and sense of personal importance, strengthens their respect toward human rights and fundamental rights of the others, and naturally, the best interests of all children must be taken into consideration in the process.

Such a great importance of foster care is determined by the purpose to ensure realization of children's rights and protection of their interests envisaged for protection of the best interests of the child in parental, loving, family environment with necessary material conditions, by placing unsupervised children without parental care into foster care, until they are adopted by the foster or other family, or re-adopted by their own family.

The new Law of Georgia on Adoption and Foster Care regulates both adoption and foster care. The Law aims to promote the exercise of the priority right of children to be raised in a family environment through both adoption and foster care, based on the provisions of the international law, while considering their best interests.

Any decision made regarding the foster care of the child must serve the purpose to create such stable family environment, which is based on the child's best interests.



## მინდობით აღზრდის არსი და სამართლებრივი პროცედურები მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით

„ბავშვთა უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციის პრეამბულის თანახმად, კონვენცია აღიარებს, რომ „ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული ზრუნვისა და დაცვების უფლება, ამასთან, ბავშვი მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისთვის უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოცვაში“. კონვენციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია თავის ოჯახურ გარემოცვას ან რომელსაც საკუთარი საუკეთესო ინტერესებისთვის არ შეუძლია ასეთ გარემოცვაში დარჩეს, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული დაცვისა და დაცვების უფლება აქვს“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განამტკიცებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ოჯახის მზრუნველობის ჩანაცვლება, რაც შეიძლება მოიცავდეს ბავშვის აღსაზრდელად გადაცემას, შვილად აყვანას, უკიდურეს შემთხვევაში კი მზრუნველობის დანესებულებაში მოთავსებას. [1]

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მშობლის მზრუნველობამოკლებული ბავშვების უფლებების დაცვა და მათთვის ოჯახური გარემოს შექმნა. სახელმწიფოს მხრიდან ერთ-ერთ ასეთ ზრუნვის ფორმას წარმოადგენს მინდობით აღზრდა. „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მიზანია ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების განხორციელება როგორც შვილად აყვანის, ასევე მინდობით აღზრდის საშუალებით.

სახელმწიფოს უპირველესი მიზანი რეინტეგრაციაა, მაგრამ, როდესაც აღნიშნული ვერ ხერხდება, მინდობით აღზრდის ინსტიტუტი წარმოადგენს ბავშვის ოჯახურ გარემოში ცხოვრების ერთ-ერთ გზას და ასრულებს შუალედური რგოლის ფუნქციას. მინდობით აღზრდა ბავშვთა ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობას ემსახურება ბიოლოგიურ ოჯახში მათ რეინტეგრაციამდე. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ასევე პოტენციური ოჯახების დაინტერესებაზე და მოზიდვაზე. ბავშვთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ოჯახურ გარემოში მათი აღზრდის უზრუნველყოფისთვის.

საერთაშორისო სამართალი ოჯახს ბავშვის კეთილდღეობის ბუნებრივ გარემოდ მიიჩნევს. ოჯახურ ურთიერთობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ემოციური განვითარების საკითხში, ვინაიდან უზრუნველყოფს ბავშვის მშვიდ გარემოში განვითარების შესაძლებლობას, რაც გულისხმობს ბავშვის უნარების, შესაძლებლობების და თვისებების უსაფრთხო გარემოში განვითარების ხელშეწყობას, ხოლო ზოგიერთი უფლების რეალიზება სწორედ ოჯახში ხდება.



ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის აღზრდას ოჯახურ გარემოში. მინდობით აღზრდა იძლევა მშობლის მზრუნველობას მოკლებული არასრულწლოვნების ოჯახურ გარემოში აღზრდის შესაძლებლობას, რაც ხელს უწყობს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებას, მის სოციალიზაციას და ადაპტაციას საზოგადოებაში, ბენეფიციარი არ კარგავს ბიოლოგიურ ოჯახს და ოჯახიდან გამოდის დროებით. შესაბამისად, სახელმწიფოს მიზანი - მინდობით აღზრდის ინსტიტუტის გამოყენებით ბავშვს შეუქმნას ოჯახური გარემო - ღირებულ ლეგიტიმურ მიზნად უნდა იქნეს მიჩნეული. [6]

### **მინდობით აღზრდის არსი, სუბიექტები და მათი სამართლებრივი სტატუსი**

მინდობით აღზრდა არის სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვის ფორმა, რომელიც მიახლოებულია ოჯახურ მზრუნველობასთან და მიზნად ისახავს დროებით ოჯახურ გარემოში მინდობით აღსაზრდელის მოვლას და აღზრდას, ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას, რათა ბავშვს ჰქონდეს იმაზე უკეთესი პირობები და განვითარების შესაძლებლობები, რომლებიც მინდობით აღზრდამდე ჰქონდა, რაც ხორციელდება სახელმწიფოსა და მინდობით აღმზრდელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. [5]

საქართველოს კანონით „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ მინდობით აღმზრდელი შეიძლება იყოს საქართველოში მუდმივად მცხოვრები სრულწლოვანი პირი, რომელშიც იგულისხმება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელზედაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემულია საქართველოში მუდმივი ბინადრობის მოწმობა და მუდმივად ცხოვრობს საქართველოში[5].

მინდობით აღმზრდელი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც სასამართლომ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო; შეზღუდული, შეჩერებული ან ჩამორთმეული აქვს მშობლის ან მეურვის /მზრუნველის უფლებები კანონით განსაზღვრულ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო; ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია ბავშვის აღზრდა; პირი, რომელსაც ან რომლის ოჯახის წევრსაც სასამართლომ მსჯავრი დასდო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის და სასამართლომ არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული; მინდობით აღსაზრდელის მშობლისა და მეურვისა /მზრუნველისა, რომლებსაც მისი რჩენის ვალდებულება აკისრიათ; იმ პირისა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობითა და სახელმწიფოსა და მინდობით აღმზრდელს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო ჩამოერთვა მინდობით აღსაზრდელი; იმ პირისა, რომლის ოჯახის სოციალური სტატუსი შეფასებულია დადგენილი წესით და მისი სარეიტინგო ქულა დარეგისტრირების მომენტისთვის ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ



ქულაზე; იმ პირისა, რომელსაც სასამართლომ მსჯავრი დასდო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXIV თავით გათვალისწინებული დანაშაულისთვის - ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ და ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა იმ პირისა, რომელიც, მიუხედავად იმისა, მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს თუ არა ნასამართლობა, არ შეიძლება იყოს მინდობით აღმზრდელი, თუ ის ნასამართლევი აღნიშნულ კანონში მითითებული კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის. [5]

2009 წლის 18 დეკემბრის კანონით „შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ“ მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება იდება სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის, თუმცა მინდობით აღსაზრდელი გადაეცემოდა მოვლისა და აღზრდისათვის დედობილს/მამობილს.[3] მართალია, აღნიშნული წინააღმდეგობა გამოსწორებულ იქნა 2017 წლის 04 მაისის კანონით „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, რომლის მიხედვით ხელშეკრულება მინდობით აღზრდის შესახებ იდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და მინდობით აღმზრდელს შორის, მაგრამ მინდობით აღზრდის მთავარი არსი, რომ ბავშვს შეექმნას ნორმალური, უსაფრთხო ოჯახური გარემო, ახალი კანონით არ არის სრულყოფილად მოწესრიგებული. [5] პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ძველი კანონით, ასევე ახალი კანონით არ არის განსაზღვრული მინდობით აღმზრდელის ოჯახის ცნება და თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს მისი ოჯახის წევრად. მინდობით აღმზრდელის ოჯახის წევრის პიროვნულ მახასიათებლებს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე აქვს დიდი მნიშვნელობა. ეს გარემოება ასევე გაითვალისწინა ახალმა კანონმა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, არასრულად. ახალი კანონის 71-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირი ვერ იქნება მინდობით აღმზრდელი, თუ მას ან მისი ოჯახის წევრს სასამართლომ მსჯავრი დასდო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის და ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; მაშინ, როდესაც, ამავე მუხლის „თ“ და „ი“ პუნქტებში აღარ არის მითითებული ოჯახის წევრზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ პუნქტებში მითითებული საფუძვლებიც ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც პირი ვერ იქნება მინდობით აღმზრდელი, თუ ის ნასამართლევი მთელი რიგი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენისათვის, კერძოდ, ოჯახისა და არასრულწლოვნის, სიცოცხლის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის, ძალადობრივი დანაშაულის, უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ და მას ნასამართლობა შეიძლება მოხსნილი ან გაქარწყლებულიც ჰქონდეს. აღნიშნული გარემოება ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე არის დიდი პრობლემა, რადგან მინდობით აღსაზრდელს ოჯახში ხვდება არამარტო მინდობით აღმზრდელი, არამედ მისი ოჯახის წევრებიც და მას ოჯახში უნდა შეექმნას უსაფრთხო, მზრუნველი და თბილი ოჯახური გარემო. ძალიან დიდი საფრთხეა, როდესაც მინდობით აღმზრდელის ოჯახის წევრი იყო წარსულში ნასამართლევი აღნიშნული ძალადობრივი ხასიათის დანაშაულებისათვის, თუნდაც მას მოხსნილი





ან გაქარწყლებული ჰქონდეს ხსენებულ დანაშაულთათვის ნასამართლობა, - როგორც ეს კანონმა მინდობით აღმზრდელთან მიმართებაში გაითვალისწინა.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხები უნდა მონესრიგდეს სამართლებრივად და 2017 წლის 04 მაისის კანონის „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ მე-3 მუხლში ერთ-ერთ პუნქტად უნდა დაემატოს ოჯახის ტერმინის განმარტება, ხოლო 71-ე მუხლის „თ“ და „ი“ პუნქტებში კი მიეთითოს სიტყვა „ოჯახის წევრი“-ც.

რაც შეეხება მინდობით აღსაზრდელს, 2017 წლის 04 მაისის „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ მოქმედი კანონის მიხედვით, ის შეიძლება იყოს პირი, რომელიც არის 18 წლამდე ასაკის; რომელიც არის ობოლი; რომლის მშობელი (მშობლები) სასამართლომ უგზო - უკვლოდ დაკარგულად აღიარა; რომლის მშობელს (მშობლებს) შეეზღუდა (შეეზღუდათ), შეუჩერდა (შეუჩერდათ) ან ჩამოერთვა (ჩამოერთვათ) მშობლის უფლებები. მინდობით აღსაზრდელს, რომელიც მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებული იყო 18 წლის ასაკის მიღწევისას, შეუსრულდა 18 წელი და არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების /სკოლის მოსწავლე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, შეუძლია მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებული იყოს სწავლის დასრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 21 წლის ასაკის მიღწევისა. მინდობით აღზრდის მიზნით შეიძლება ერთდროულად განთავსდნენ 18 წლამდე ასაკის პირი და მისი შვილი. [5]

აღსანიშნავია, რომ ახალი კანონით არ იქნა გათვალისწინებული და მონესრიგებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ერთ-ერთი ძირითადი, ახალი დებულება იმის შესახებ, რომ 18 წლამდე ან 18-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებას დაქვემდებარებული პირის მიმართ შეიძლება განრიდებას ერთ-ერთ ღონისძიებად გათვალისწინებულ იქნეს არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსება, რაც ამავე კოდექსის 46-ე მუხლის თანახმად, ნიშნავს განსაზღვრული დროით პირის მიმღები ოჯახისათვის გადაცემას სახლიდან მოშორებით და მშობლებისგან განცალკევებით, თუ არასრულწლოვნის სახლში და მშობლების გარემოცვაში დატოვება მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკს შეიცავს. აღნიშნული საკითხი მართებულად იქნა გათვალისწინებული 2015 წლის 24 ივნისის კანონით „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლითაც შესაძლებელი გახდა მინდობით აღსაზრდელად გადაცემა არა მარტო 18 წლამდე ბავშვის, არამედ ასევე 18 წლამდე ან 18-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებას დაქვემდებარებული პირის; [4]

მიგვაჩნია, რომ ეს საკითხიც საჭიროებს სამართლებრივ მონესრიგებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად და სავალდებულოა, რომ 2017 წლის 04 მაისის კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ შევიდეს შესაბამისი ცვლილება და მიეთითოს, რომ „18 წლამდე ან 18-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებას დაქვემდებარებული პირი“ ასევე შეიძლება მინდობით აღსაზრდელად განთავსდეს მინდობით აღმზრდელის ოჯახში.



## მინდობით აღზრდის სამართლებრივი პროცედურების ზოგადი დებულებები

2017 წლის 04 მაისის „შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის მიხედვით, მინდობით აღზრდის პროცედურების განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანოა სააგენტო, რომლის ტერიტორიული ერთეული მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო თავის სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოფს მინდობით აღზრდის სფეროში მინდობით აღზრდის მსურველი პირისა და მინდობით აღსაზრდელის შეფასებას; მინდობით აღზრდის მსურველი პირისა და მინდობით აღსაზრდელის რეგისტრაციას; მინდობით აღზრდას დაქვემდებარებული პირის, მინდობით აღზრდის მსურველი პირის, მინდობით აღსაზრდელისა და მინდობით აღმზრდელის რეგისტრაციას და აღნიშნულ პირთა შესახებ ინფორმაციის სისტემატიზებას; მინდობით აღზრდის მსურველი პირისა და მინდობით აღსაზრდელის თავსებადობის შეფასებას; მინდობით აღზრდას დაქვემდებარებული პირის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავებას და ამ გეგმის განხორციელების მონიტორინგს; მინდობით აღსაზრდელის საცხოვრებელი პირობების, აღზრდა - განვითარების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის ზედამხედველობას, აგრეთვე მინდობით აღმზრდელის მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულების ზედამხედველობას, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მინდობით აღზრდის საკითხებზე კონსულტაციების გამართვას; [5]

საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა პირმა (პირებმა), რომელთაც სურთ ბავშვის მინდობით აღზრდა (მათ შორის, გადაუდებელი მინდობით აღზრდა) უნდა მიმართოს (მიმართონ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თავისი (თავიანთი) ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო სოციალური მუშაკის მიერ მინდობით აღზრდის მსურველი პირის შეფასების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მინდობით აღმზრდელის რეგისტრაციის შესახებ. მინდობით აღზრდის რეგისტრაციისას მინდობით აღმზრდელის შეფასებასთან ერთად აუცილებელია მინდობით აღმზრდელის მიერ მინდობით აღზრდის სავალდებულო მოსამზადებელი კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის წარდგენა. [5]

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკის მიერ მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მინდობით აღსაზრდელის ბიოლოგიური ოჯახის საჭიროებებისა და მინდობით აღმზრდელის შესაძლებლობების შეფასებისა და მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

მინდობით აღმზრდელის ოჯახში ბიოლოგიური შვილებისა და მინდობით აღსაზრდელების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხს. გამონაკლისი დაიშვება მინდობით აღსაზრდელი დედამამიშვილების ერთად განთავსებისას; - 10 წლამდე ბავშვის (ბავშვის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით), 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის მინდობით აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება



ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, გარდა ბავშვის გადაუდებელ მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებისა; დაუშვებელია დედამამიშვილების (და-ძმის, დების ან /და ძმების) დაშორება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეესაბამება მათ საუკეთესო ინტერესებს; მინდობით აღზრდელსა და მინდობით აღსაზრდელს შორის ასაკობრივი სხვაობა არ უნდა იყოს 16 წელზე ნაკლები. [5]

მოქმედი კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს „გადაუდებელ მინდობით აღზრდას“ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დადგენილი წესით, რა დროსაც არ ხდება მინდობით აღსაზრდელისა და მიმღები ოჯახის თავსებადობის შეფასება. მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება გადაუდებელი რეაგირების ოქმის საფუძველზე. [5]

მიგვაჩნია, რომ ბავშვის გადაცემა მიმღები ოჯახისათვის, თუ არ მოხდება მინდობით აღსაზრდელისა და მიმღები ოჯახის თავსებადობის შეფასება შესაბამისი სპეციალური ცოდნის მქონე პირების მიერ, შესაძლებელია დიდ საფრთხესთან იყოს დაკავშირებული. ბავშვი, რომელიც თავისი მდგომარეობით არის ფსიქოლოგიურად ტრავმირებული, მოკლებულია მშობლების მზრუნველობას, სტაბილურობას, სიყვარულს, რადგან მას არა აქვს საკუთარი ოჯახი და იმ შემთხვევაშიც, თუ ის მიმღებ ოჯახს ვერ შეეწყობა, ბავშვის ინტერესებისათვის იქნება საზიანო, ადგილი ექნება ბავშვის ხელახალ ვიქტიმიზაციას, რაც უფრო დაამძიმებს მის მდგომარეობას და შეიძლება ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას მიადგეს გამოუსწორებელი ზიანი, მით უფრო, რომ ამ შემთხვევაში ბავშვის თანხმობა არ არის სავალდებულო.

თუ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, „გადაუდებელი მინდობით აღზრდა“ აუცილებელია, მიგვაჩნია, რომ „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონში და არა - კანონქვემდებარე აქტში, კონკრეტულად უნდა იქნეს განსაზღვრული მინდობით აღზრდის გამოყენების კონკრეტული საფუძვლები, რა დროსაც ასევე ამავე კანონში უნდა მიეთითოს, რომ ამ შემთხვევაშიც სავალდებულოა ბავშვის (ბავშვის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით) თანხმობა. ამდენად, აუცილებელია, რომ სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული საკითხებიც დარეგულირდეს და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“.

სახელმწიფოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და მინდობით აღზრდელთან ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ვადით (გარდა გადაუდებელი მინდობით აღზრდისა), მინდობით აღსაზრდელის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე. აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს, როგორც აღვნიშნეთ, მინდობით აღზრდის მიზნით განთავსებული პირის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში /სკოლაში, პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დასრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 21 წლის ასაკის მიღწევისა. ბავშვის გადაუდებელი მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს არაუმეტეს 90 კალენდარული დღის ვადით (3 თვე). ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს: მინდობით აღსაზრდელზე ზრუნვისა და მისი აღზრდის



პირობებს; მინდობით აღმზრდელის უფლებებსა და მოვალეობებს; მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებებსა და მოვალეობებს; მინდობით აღსაზრდელის უფლებებსა და მოვალეობებს; მხარეთა პასუხისმგებლობებს; ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა. [5]

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 04 მაისის კანონმა „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის“ შესახებ არ გაითვალისწინა და ცალკე მუხლად ზუსტად არ განსაზღვრა ის საფუძვლები, რა დროსაც შესაძლებელია შეწყდეს მინდობით აღმზრდელსა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულება და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო ჩამოერთვას მინდობით აღმზრდელს აღსაზრდელი.

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ ახალი კანონის 71-ე მუხლის „ვ“ და 74-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ პუნქტებში მხოლოდ იმის მითითება, რომ მინდობით აღმზრდელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც განსაზღვრულ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო ჩამოერთვა მინდობით აღსაზრდელი და ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები, მიგვაჩნია, რომ არ არის საკმარისი და აღნიშნული წარმოადგენს კანონის ხარვეზს. აუცილებელია, რომ სწორედ ახალ კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის“ შესახებ და არა სხვა კანონქვემდებარე აქტში, ისევე, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ამ კანონის წინა რედაქციაში, ცალკე მუხლად უნდა იქნეს დამატებული, ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების შემდეგ, - ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის კონკრეტული საფუძვლები. ეს საფუძვლები შეიძლება იყოს შემდეგი: მიმღები ოჯახის ინიციატივით, თუ არსებობს დასაბუთებული მიზეზი (ავადმყოფობა, ოჯახური ან მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, შვილობილსა/მინდობით აღსაზრდელსა და მიმღები ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტი); მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით, თუ მიმღებ ოჯახში შექმნილია შვილობილზე/ მინდობით აღსაზრდელზე ზრუნვისა და მისი აღზრდისათვის საზიანო პირობები და გარემო; შვილობილის/მინდობით აღსაზრდელის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების შემთხვევაში; შვილობილის/მინდობით აღსაზრდელის შვილად აყვანის შემთხვევაში; თუ შვილობილი/მინდობით აღსაზრდელი გახდა სრულწლოვანი; თუ შვილობილი/მინდობით აღსაზრდელი დაქორწინდა; იმ შემთხვევაში, როდესაც შვილობილად ასაყვანი აღარ ექვემდებარება მინდობით აღსაზრდელის კატეგორიას/აღარ არის მინდობით აღზრდას დაქვემდებარებული პირი; ხელშეკრულების ვადის ამონურვისთანავე. [2;3]

ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ ხელშეკრულების/ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ბავშვი გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომელმაც უნდა მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

მინდობით აღზრდის ხარჯები იფარება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნული ხარჯები მოიცავს მინ-



დობით აღსაზრდელის საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელ ხარჯსა და მინდობით აღმზრდელის სოციალურ დახმარებას. მინდობით აღზრდის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. მინდობით აღმზრდელს მინდობით აღსაზრდელის მინდობით აღზრდა ეთვლება შრომით სტაჟში. [5]

მინდობით აღმზრდელი ვალდებულია მოუსმინოს და ასევე მიაღებინოს მონაწილეობა მინდობით აღსაზრდელს მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, მისი ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით და არ უნდა შეზღუდოს აღსაზრდელის უფლებები მისი ბიოლოგიური მშობლისა (ბიოლოგიური მშობლებისა) და წარმოშობით ნათესავების მიმართ.

ამდენად, მინდობით აღზრდა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე მასზე მზრუნველობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა და ემსახურება ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვს მინდობით აღზრდისას ჰქონდეს იმაზე უკეთესი პირობები და განვითარების შესაძლებლობები, რომლებიც მინდობით აღზრდამდე ჰქონდა. ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა უნდა ემსახუროდეს მისი საუკეთესო ინტერესების დაცვას, მინდობით აღზრდისას მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს იმის მცდელობა, რომ ბავშვისთვის სტაბილური ოჯახური გარემო შეიქმნას, რა დროსაც მნიშვნელოვანია ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომა, რათა გათვალისწინებული იქნეს მისი ინდივიდუალური მახასიათებლები (ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობისა მდგომარეობა, იმისათვის, რომ მოხდეს მისი ხასიათის თავისებურებების შეფასება და შესაბამისად იმ საჭიროებების განსაზღვრა, რაც მან უნდა მიიღოს მიმღები ოჯახისგან.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“, 20. 11. 1989
2. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2007. საქართველოს კანონი „მინდობით აღზრდის“ შესახებ. (N 2381, 18/12/2007). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე
3. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2009. საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის“ შესახებ. (N 2381, 18/12/2009). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე.
4. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2015. საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. (24.06.2015) თბილისი: საკანონმდებლო მაცნე.
5. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2017. საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის“ შესახებ. (N 746, 04/05/2017). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე.
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება /4/603. ქ. ბათუმი. ( 28.10.2015). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე 3044874-0.



**მარია ზუბიაშვილი**  
ეკონომიკის დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი

**ანა მარუაშვილი**  
ეკონომიკის დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი

## ხარჯების და დანახარჯების გაშიჯვის

### ანოტაცია

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ტერმინები „ხარჯები“ და „დანახარჯები“, რაც ბევრ კითხვას ბადებს, თუ რა შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „ხარჯები“ და „დანახარჯები“.

აღნიშნული ტერმინების ირგვლივ სხვადასხვა ავტორები განსხვავებულ ინტერპრეტაციას იძლევიან, თუმცა საფუძველში ყველა ერთნაირია. მაგრამ არიან ავტორები, რომლებსაც ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრებები გააჩნიათ. საკითხის ირგვლივ თეორიული მასალისა და პრაქტიკაში ამ ტერმინების გამოყენების შესწავლამ ჩამოგვიყალიბა ჩვენი ხედვა ხარჯების განმარტების შესახებ: ხარჯები არის საწარმოს აქტივების სახეცვლილება, სარგებლის მიღების მიზნით საწარმოდან გასული ფულის ნაწილის ჩართვა განსაზღვრული პერიოდის მოგების ფორმირებაში და რომლებიც დადასტურებულია დოკუმენტურად (დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯების ქვეშ იგულისხმება დანახარჯები, რომლებიც დადასტურებულია კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული დოკუმენტებით), გამართლებულია ეკონომიკურად და მათი ღირებულება მთლიანად გადაიტანება ამ პერიოდის რეალიზებულ პროდუქციაზე. გარდა ამისა, საკითხის შესწავლამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ: ცნებები „დანახარჯები“ და „ხარჯები“ არ არის ერთი და იგივე. მათა არევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი შეცდომები გამოიწვიოს საწარმოს საქმიანობის ეკონომიკურ ანალიზში, საწარმოო პროცესების დაგეგმვაში და მართვაში. ცნება „ხარჯები“ გამოიყენება ბუღალტრულ აღრიცხვაში, ხოლო „დანახარჯები“ მიეკუთვნება საწარმოს ფინანსურ სფეროს, დაგეგმვას და მისი ეკონომიკური საქმიანობის შეფასებას, ე.ი. უფრო მისაღებია მმართველობითი აღრიცხვისათვის.



**Maria Zubiashvili**

*Doctor of Economics, Professor  
New Higher Education Institute*

**Anna Maruashvili**

*Doctor of Economics, Professor  
New Higher Education Institute*

## THE DIFFERENCE BETWEEN “COSTS” AND “EXPENSES”

### Abstract

In economic theory and practice the terms “costs” and “expenses” are frequently used interchangeably, but their application raises many questions.

Different authors give different interpretations of these terms, although they are all somehow similar. But there are numerous authors who have their opinions related to this issue. The research of application of these terms in theoretical material and practice formulated our understanding of “costs”: which are transformed enterprise assets, the part of the enterprise money used in order to get profit for a specified period, are documented (documented costs means costs that are confirmed by documents in accordance with law), are economically justified and their value is completely distributed through the period of sold goods.

In addition, the study has led us to conclude that the concepts “expenses” and “costs” are not the same. The misunderstanding of these terms may lead to significant faults in the economic analysis of the enterprise’s activities, in planning and managing the manufacturing processes. The concept of “costs” is used in accounting, while “expenses” belong to the enterprise financial sphere, planning and evaluation of its economic activity, i.e. more acceptable for management accounting.



## ხარჯების და დანახარჯების გამიჯვნა

ბიზნესის უზენაესი მიზანია მოგების მიღება და მისი მაქსიმიზაცია. მოგების გაანგარიშების კლასიკური ფორმულაა: სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. აშკარაა, რომ ხარჯების შემცირება ზრდის მოგებას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ საწარმოს ეკონომიკა აიგება საწარმოო საქმიანობიდან ფულადი ფორმით გამოხატული შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობის პრინციპზე. აქედან გამომდინარე, საწარმოთა ხელმძღვანელები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებას, რომლის სიდიდეც, ფასების უცვლელობის პირობებში, მოგების სიდიდის უკუპროპორციულია, ე.ი. რაც უფრო დაბალია თვითღირებულება, მით უფრო მაღალია მოგება.

პროდუქციის თვითღირებულება არის წარმოებისა და მიმოქცევის, პროდუქციის რეალიზაციის მიმდინარე დანახარჯები გაანგარიშებული ფულადი გამოხატულებით. იგი მოიცავს მატერიალურ დანახარჯებს, ძირითადი საშუალებების ამორტიზაციას, ძირითადი და დამხმარე პერსონალის ხელფასს, დამატებით (ზედნაღებ) ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მოცემული სახეობისა და მოცულობის პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციასთან [ 7 ].

მოცემული განმარტებიდან ჩანს, რომ თვითღირებულებას პირდაპირი კავშირი აქვს ხარჯებთან და დანახარჯებთან. სწორედ ამ უკანასკნელი კატეგორიების „ხარჯების“ და „დანახარჯების“ ბუღალტრულ აღრიცხვაში გამოყენებისას დამწყებ ბიზნესმენებს ბევრი კითხვა უჩნდებათ, რამეთუ, როგორც ეკონომიკურ თეორიაში, ისე პრაქტიკაში გამოიყენება აღნიშნული ტერმინები.

უპირველეს ყოვლისა, უმჯობესია გავერკვეთ ამ ცნებებში და ამ ტერმინების მნიშვნელობებში, რა არის „დანახარჯები“ და რითი განსხვავდება იგი „ხარჯებისაგან“, როგორ განიმარტებიან ისინი ეკონომიკურ ლიტერატურაში და ნორმატიულ დოკუმენტებში. ერთი შეხედვით, ტერმინები „დანახარჯები“ და „ხარჯები“ აბსოლუტური სინონიმებია. „... ფირმის დანახარჯები და ფირმის ხარჯები - სინონიმებია“ [5].

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ავტორებს ამ ტერმინების შესახებ განსხვავებული ინტერპრეტაცია გააჩნიათ.

ასე, „ხარჯი“ ესაა საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლით ან ვალდებულებების ზრდით, რომელიც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით და რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან“ [3].

ანალოგიურ განმარტებებს იძლევიან ეკონომისტები: თ. დოლიაშვილი [1], ე. ხარაბაძე [4], ა. ხორავა, ნ. სრესელი, ნ. კვატაშიძე [2]. როგორც ჩანს, ავტორებმა თავიანთ განმარტებას საფუძ-





ვლად დაუდეს ბაას-ში მოცემული განმარტება, რომლის თანახმადაც, „ხარჯი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არ არის მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან“ [6].

მოცემული პრობლემის ირგვლივ საინტერესოა უცხოელი ეკონომისტების მოსაზრებები. მაგალითად, ვ.გ.სკლიარენკო თვლის, რომ „დანახარჯები - არის დროის განსაზღვრულ პერიოდში პროდუქციის წარმოებაზე და რეალიზაციაზე განეული მატერიალური, შრომითი და სხვა რესურსების ღირებულების ფულადი შეფასება. ხარჯები - არის დროის განსაზღვრულ პერიოდში რეალიზებულ პროდუქციაზე მთლიანად გადატანილი ღირებულება, რომელიც დადასტურებულია დოკუმენტურად და გამართლებულია სამართლებრივად“ [8].

ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ ხარჯებს წარმოადგენენ ის დანახარჯები, რომლებიც ჩადებულია უკვე რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში და აისახებიან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. აქედან გამომდინარე, ამკარაა, რომ „დანახარჯები“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „ხარჯები“.

მოცემულ პოზიციას გამოხატავენ ასევე ეკონომისტები ვ.გ.ლუბედევი, თ.გ.დროზდოვა, ვ.პ.კუსტარევი, ი.ვ.სოკოლოვი, ისინი აცხადებენ, რომ: „დანახარჯები - ეკონომიკური მაჩვენებელია, რომელიც ფულად გამოსახულებაში ახასიათებს დროის განსაზღვრულ პერიოდში პროდუქციის და მომსახურების წარმოებაზე გამოყენებული რესურსების მოცულობას და რომელიც ასახულია პროდუქციის, სამუშაოსა და მომსახურების თვითღირებულების შემადგენლობაში [9, 10].

ტერმინი „დანახარჯები“ ეხება რესურსების სხვადასხვა გამოყენებას, მათ შორის აქტივების შეძენას, მაშინ როცა ტერმინი „ხარჯები“ ეხება იმ რესურსების გამოყენებას, რომლებიც მოცემული დროის პერიოდში სამეურნეო სუბიექტის მოგების განსაზღვრისას შეესაბამება მიღებულ შემოსავლებს [10].

როგორც ირკვევა, დღეისათვის მოცემული ცნებების ერთმნიშვნელოვანი განმარტება არ არსებობს. ტერმინების „დანახარჯები“ და „ხარჯები“ ინტერპრეტაციის განხილვამ ჩამოგვიყალიბა ჩვენეული ხედვა აღნიშნული ტერმინების განმარტების შესახებ.

პირდაპირ ვიტყვით, რომ ჩვენ კატეგორიულად არ ვეთანხმებით ქართველი ეკონომისტების მიერ ბასს-ის საფუძველზე მოცემულ განმარტებებს. ვფიქრობთ, რომ იგი ძალზე ვრცელი და ბუნდოვანია (აღბათ იმიტომ, რომ სიტყვა-სიტყვით გადმოტანილია საერთაშორისო სტანდარტებიდან, ვფიქრობთ, პრობლემა თარგმანშია).

„ხარჯების“ და „დანახარჯების“ გამიჯვნის გასარკვევად მივმართოთ მათ კლასიფიკაციას. „თანამედროვე საერთაშორისო აზროვნებასა და პრაქტიკაში ხარჯების უპირველესი კლასიფიკირება ხდება შემავალ და გამავალ ხარჯებად.



შემავალი ხარჯები ის დანახარჯებია, რომლებიც რესურსების მომარაგება-შესყიდვაზე იქნა განეული.

გამავალი ხარჯები ის დანახარჯებია, რომლებიც პროდუქციის დამზადებაზე დაიხარჯა, მზა პროდუქციაში განივთდა“ [5].

შემავალი ხარჯების მოცემული განმარტებიდან ირკვევა, რომ სანარმო თავისი საქმიანობის განსახორციელებლად გასცემს ფულად სახსრებს მასალის, ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების და სხვა აუცილებელი მატერიალური რესურსების შესაძენად. ე.ი. ამ პროცესით იცვლება აქტივების ფორმა, ანუ ფულადი სახსრები გარდაიქმნება მატერიალურ რესურსად, რაც არავითარ შემთხვევაში არ დაარღვევს სანარმოს აქტივების ჯამს და შესაბამისად ფინანსურ ბალანს და მის კაპიტალს.

უფრო მეტიც, სანარმო იძენს მატერიალურ რესურსებს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად, რომლის მიზანია სარგებლის მიღება. სარგებლის მიღება კი არ ამცირებს კაპიტალს, არამედ ზრდის მას, ანუ გაცემული ფულით შეძენილი მატერიალური რესურსების გარკვეული ნაწილი მონაწილეობს განსაზღვრული პერიოდის მოგების ფორმირებაში, ხოლო დარჩენილი ნაწილი კაპიტალიზირდება კომპანიის აქტივებში მასალის, ნედლეულის, მზა პროდუქციის, დაუმთავრებელი ნარმოების, არამატერიალური აქტივების სახით.

როგორც ჩანს, დანახარჯები და ხარჯები განსხვავდებიან მათი ნარმოქმნის დროის მიხედვით. მარტივი ენით რომ ვთქვათ, დანახარჯების ნარმოქმნის პერიოდის გასვლის შემდგომ ნარმოქმნება ხარჯები, როდესაც განეული დანახარჯებით შეძენილი მასალები და ნედლეული გარდაიქმნება მზა პროდუქციად, რომლის რეალიზაცია სანარმოს მოუტანს შემოსავალს. სწორედ ამ შემოსავლის მომტანი დანახარჯებია ის ხარჯები, რომლებიც აისახებიან სანარმოს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და ფორმირდება მოგება.

გარდა ამისა, დანახარჯები და ხარჯები, შესაძლოა, განსხვავდებოდნენ სიდიდითაც. ამ მხრივ უნდა გამოიყოს ხარჯების ჯგუფი, რომელთაც არ გააჩნიათ დანახარჯები, ასეთებია ეგრეთწოდებული სხვა ხარჯები, როგორებიცაა: დანაკლისი, გაფუჭება და დატაცება, უიმედო დებიტორული დავალიანება, ჯარიმები და სხვ.

აღნიშნული პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, უფრო მართებულად მიგვაჩნია ხარჯების შემდეგი განმარტება: ხარჯები არის სანარმოს აქტივების სახეცვლილება, სარგებლის მიღების მიზნით სანარმოდან გასული ფულის ნაწილის ჩართვა განსაზღვრული პერიოდის მოგების ფორმირებაში და რომლებიც დადასტურებულია დოკუმენტურად (დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯების ქვეშ იგულისხმება დანახარჯები, რომლებიც დადასტურებულია კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული დოკუმენტებით), გამართლებულია ეკონომიკურად და მათი ღირებულება მთლიანად გადაიტანება ამ პერიოდის რეალიზებულ პროდუქციაზე.



აღვნიშნავთ, რომ დანახარჯები, რომლებიც არ არიან ჩართულნი წარმოებაში, არ არიან მიწერილი რეალიზებულ პროდუქციაზე, მაშინ დანახარჯები გარდაიქმნებიან მატერიალურ მარაგებად, დაუმთავრებელ წარმოებად და მზა პროდუქციის მარაგებად, ანუ სანარმოს აქტივებად.

როგორც ირკვევა, ცნებები „დანახარჯები“ და „ხარჯები“ არ არის ერთი და იგივე. მათმა არევაგამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი შეცდომები გამოიწვიოს სანარმოს საქმიანობის ეკონომიკურ ანალიზში, სანარმოო პროცესების დაგეგმვაში და მართვაში. ცნება „ხარჯები“ გამოიყენება ბუღალტრულ აღრიცხვაში, ხოლო „დანახარჯები“ მიეკუთვნება სანარმოს ფინანსურ სფეროს, დაგეგმვას და მისი ეკონომიკური საქმიანობის შეფასებას, ე.ი. უფრო მისაღებია მმართველობითი აღრიცხვისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. დოლიაშვილი, გ. ლილუაშვილი, ბუღალტრული აღრიცხვა.სახელმძღვანელო, თბ. 2015, გვ.144;
2. ბუღალტრული აღრიცხვა: თეორია, ფინანსური აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით. სახელმძღვანელო, ა.ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ. სრესელი, ზ. გოგრიჭიანი. თბ. 2011;
3. ი. მესხია, დ. ჯალალონია ბუღალტრული აღრიცხვა. ბასს - პრაქტიკაში, თბ., 2010, გვ.304. (226);
4. ე. ხარაბაძე, ფინანსური აღრიცხვა, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 2013. 366 გვ.
5. ი.ჭილაძე, დანახარჯების აღრიცხვის სისტემები; მონოგრაფია, გამომცემლობა „მერანი“, 2009, 54 გვ;
6. საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება #9, 2005 წლის 5 აპრილი, ქ. თბილისი;
7. ეკონომიკური ლექსიკონი, პროფ. ა.სილაგაძის ხელმძღვანელობით.
8. Склярёнок В.К. В чем разница между затратамиб расходами и издержкамию ИНП Центр дистанционного образованияб «Элитариум»
9. Лебедев ВьюГюУправление затратами на предприятиию СПб.: Дом «Бизнес-пресса». 2006. 352с.
10. Соколов Я.В. Бухгалтерский учет в зарубежных странах. М.: ТК Велби, изд. Проспект. 2007. 672 с;



ნინო ჭითანავა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

## თანამედროვე ტენდენციები საერთაშორისო ურთიერთობებში (ბოლონიის პროცესის მაგალითზე)

### ანოტაცია

საგანმანათლებლო თანამშრომლობა მნიშვნელოვანი ფაქტორია სტაბილური და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისა და გაძლიერებისათვის. ევროპის უმაღლესმა სასწავლებლებმა მიიღეს რა გამონეგვა მთავარი აქტორების როლი შეასრულეს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნაში. საგანმანათლებლო სისტემების დაკავშირებისათვის გარკვეული საშუალებების და ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით 1999 წლის 19 ივნისს ევროპის 29 ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების მინისტრებმა მსოფლიოს უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქ ბოლონიაში ხელი მოაწერეს დეკლარაციას (ბოლონიის დეკლარაცია). ბოლონიის დეკლარაციაზე ხელმოწერას წინ უსწრებდა ისეთი დოკუმენტების მიღება, როგორცაა: უნივერსიტეტების დიდი ქარტია (1988), ლისაბონის კონვენცია (1997) და სორბონის დეკლარაცია (1998). აღნიშნული დოკუმენტების მისიას წარმოადგენდს ევროპის ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოება და ჰარმონიზაცია ერთიანი ევროპული სივრცის შექმნით. ამ უკანასკნელის მიზანი კი არის ევროპის მოქალაქეთა დასაქმებისა და მობილობის გაძლიერება, ასევე ევროპული უმაღლესი განათლების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდა. მიუხედავად იმისა რომ ბოლონიის პროცესი დაიწყო ევროპული ინიციატივის დონეზე იგი გასცდა საზღვრებს და დღეს 47 ქვეყანას აერთიანებს. ბოლონიის პროცესში საქართველოს ჩართვა 2005 წელს ბერგენის სამიტზე, ახლად არჩეული მთავრობისთვის გამოსავალი იყო პოსტსაბჭოთა პერიოდში საგანმანათლებლო სივრცეში შექმნილი ქაოსიდან, რომელიც მოიცავდა არა მარტო ფინანსურ კრიზისსა და კორუფციას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არამედ განათლების სტრატეგიული დაგეგმვისა და მენეჯმენტის, ინოვაციური სწავლებისა და კვლევის, განახლებული კურიკულუმებისა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების ნაკლებობას.



**Nino Chitanava**  
**PhD Student, Iakob Gogebashvili**  
**Telavi State University**

### **Bologna Process and Trends in International Relations**

#### **Abstract**

Educational co-operation is the important factor in the development and strengthening of stable, peaceful and democratic societies. European higher education institutions, for their part, have accepted the challenge and taken up a main role in constructing the European area of higher education.

On June 19, 1999 29 European Ministers of Education signed a declaration in the oldest university town of Bologna. By signing the document, the ministers expressed their willingness to participate in creation of European Higher Education Area. Bologna declaration was preceded by such documents as: Magna Chartum Universitatum (1998); Lisbon Convention (1997); Sorbona Declaration (1998). As the Bologna Declaration sets out, building the European Higher Education Area is a condition for enhancing the attractiveness and competitiveness of higher education institutions in Europe. It emphasised the creation of the European area of higher education as a key way to promote citizens' mobility and employability.

In spite of the fact, that Bologna process has started as European initiative, it has gone beyond the borders and currently has 47 member countries. Europeanization of higher education in Georgia is a process that is closely linked to the country's attempt to break through its Soviet past and legacy. The legacy was - chaos, which included not only financial crises and corruption in higher education institutions but also lack of education-based strategic planning and management, innovative teaching and research, renewed curriculum and research-based studies. Europeanization of the Georgian higher education system started in 2005, when the newly formed government was reforming every sphere to show it's clearly set Western aspiration. Thus, in 2005 Georgia joined the Bologna process at Bergen Summit and took responsibility to modify its educational system in order to harmonize it with the European Higher Education Area.



## თანამედროვე ტენდენციები სავაჭრორისო ურთიერთობებში (ბოლონის პროცესის მაგალითზე)

საგანმანათლებლო თანამშრომლობა მნიშვნელოვანი ფაქტორია სტაბილური და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისა და გაძლიერებისათვის. ევროპის უმაღლესმა სასწავლებლებმა, მიიღეს რა გამონვევა, მთავარი აქტორების როლი შეასრულეს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნაში. საგანმანათლებლო სისტემების დაკავშირებისათვის, გარკვეული საშუალებების და ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით, 1999 წლის 19 ივნისს ევროპის 29 ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების მინისტრებმა მსოფლიოს უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქ ბოლონიაში ხელი მოაწერეს დეკლარაციას (ბოლონის დეკლარაცია). ბოლონის დეკლარაციაზე ხელმოწერას წინ უსწრებდა ისეთი დოკუმენტების მიღება, როგორცაა: უნივერსიტეტების დიდი ქარტია (1988), ლისაბონის კონვენცია (1997) და სორბონის დეკლარაცია (1998). აღნიშნული დოკუმენტების მისიას წარმოადგენს ევროპის ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოება და ჰარმონიზაცია ერთიანი ევროპული სივრცის შექმნით. ამ უკანასკნელის მიზანი კი არის ევროპის მოქალაქეთა დასაქმებისა და მობილობის გაძლიერება, ასევე ევროპული უმაღლესი განათლების სავაჭრორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდა. ლისაბონში მიღებული კონვენცია გულისხმობს ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობის შესაძლებლობას. მასში ჩამოყალიბებულია საბაზისო მოთხოვნები და აღიარებულია, რომ ცალკეულ ქვეყნებს შეუძლიათ კვალიფიკაციების ცნობის უფრო კონსტრუქციულ სქემებში მონაწილეობა. შესაბამისად, კონვენციის დებულებებზე დაყრდნობით შესაძლებელი იყო მორიგი ნაბიჯების გადადგმა ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნის გზაზე. ბოლონის პროცესის საწყისი იდეა გაჩნდა 1998 წელს სორბონში გამართულ კონფერენციაზე. ეს არის საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ოთხი მინისტრის ერთობლივი დეკლარაცია. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ უმაღლესი განათლების ღია ევროპული სივრცე შეიცავს ერთი მხრივ მდიდარ პოზიტიურ პერსპექტივებს, მეორე მხრივ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას ბარიერების გაუქმების და სწავლებისა და სწავლის ისეთი სტრუქტურების შესაქმნელად, რომლებიც გააფართოებენ მობილობას და მჭიდრო თანამშრომლობას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლონის პროცესი დაიწყო ევროპული ინიციატივის დონეზე, იგი გასცდა საზღვრებს და დღეს 47 ქვეყანას აერთიანებს. ბოლონის პროცესის მონაწილე ქვეყნები წარმოდგენილი არიან როგორც სამთავრობო ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების დონეზე. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლონის დეკლარაციით განსაზღვრული რეფორმები არ არის ევროკავშირის ინიციატივა. ყველა მონაწილე ქვეყანამ თავად გამოთქვა



სურვილი კონკრეტული რეფორმები განეხორციელებინა. ბოლონის დეკლარაციის ხელმომწერი ქვეყნები შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე შემდეგი მიმართულებით:

- შესაძარებელი და ერთმანეთთან თავსებადი აკადემიური ხარისხების სიტემების შემოღება;
- აკადემიური განათლების ორსაფეხურიანი სისტემის ჩამოყალიბება – დიპლომამდელი (ბაკალავრიატი) და დიპლომის შემდგომი (მაგისტრატურა/დოქტორანტურა) საფეხურები;
- კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ეროვნული სისტემის შექმნა;
- ხარისხის უზრუნველყოფის შესაძარებელი კრიტერიუმების ჩამოყალიბება და უმაღლეს განათლებაში ევროპული განზომილებების დანერგვა (ბოლონის დეკლარაცია, 1999)

ბოლონის პროცესი ერთგვარი გზაა რეფორმატორებისათვის, უმტკივნეულოდ მოაგვარონ საკუთარი ქვეყნის საგანმანათლებლო პრობლემები. სწორედ ამიტომ, ბოლონის პროცესში საქართველოს ჩართვა 2005 წელს ბერგენის სამიტზე ახლად არჩეული მთავრობისთვის გამოსავალი იყო პოსტსაბჭოთა პერიოდში საგანმანათლებლო სივრცეში შექმნილი ქაოსიდან, რომელიც მოიცავდა არა მარტო ფინანსურ კრიზისსა და კორუფციას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არამედ განათლების სტრატეგიული დაგეგმვისა და მენეჯმენტის, ინოვაციური სწავლებისა და კვლევის, განახლებული კურიკულუმებისა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების ნაკლებობას.

ბოლონის პროცესში ჩართული ქვეყნები 1999 წლიდან ყოველ მომდევნო 2-3 წლის ინტერვალით იკრიბებოდნენ, რათა განეხილათ განხორციელებული რეფორმების შედეგები და დაეგეგმათ სამომავლო საქმიანობები. ყოველი შეხვედრის ფარგლებში ხდებოდა ახალი ნეგრი ქვეყნების მიღება. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში იქმნებოდა ბოლონის პროცესის ძირითადი დოკუმენტები:

- უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო (2005)
- ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები (2005)
- პრალის კომუნიკე (2001)
- ბერლინის კომუნიკე (2003)
- ბერგენის კომუნიკე (2005),
- ლონდონის კომუნიკე (2007),
- ლუვენის კომუნიკე (2009),
- ბუდაპეშტი-ვენის დეკლარაცია (2010),
- ბუქარესტის კომუნიკე (2012)
- ერევნის კომუნიკე (2015).

2005 წლიდან შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ ფორმალურ დონეზე საკმაოდ წარმატე-



ბულად დანერგა ყველა ის ძირითადი ასპექტი, რომელსაც ბოლონის პროცესი მოიცავს. კანონმდებლობაში გაიწერა ბოლონის მთავარი მოთხოვნები:

- **ხარისხის ერთიანი სისტემის დანერგვა და საგანმანათლებლო საფეხურების განსაზღვრა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა)**

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ბოლონის პროცესამდე 1994 წელს განათლების სისტემის 2 საფეხურიან სისტემაზე იყო გადასული. 2005 წლიდან კი ე.წ. „ასპირანტურა“ სადოქტოროს გაუთანაბარდა, შესაბამისად ასპირანტებს მიენიჭათ დოქტორის ხარისხი. სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში ბაკალავრიატის ცნება არასწორადაა გაგებული შრომის ბაზარზე, ძნელი დასაქმება ამ საფეხურის დიპლომით. როგორც წესი, ამ დროს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს სთავაზობენ ან არაანაზღაურებად სტაჟირებას ან დაბალანაზღაურებად პოზიციებს. აქედან გამომდინარე, ის იძულებულია სწავლა გააგრძელოს მეორე საფეხურზე. უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ დიპლომის აღიარებასთან ერთად ხდება პროფესიონალთა გადინება სხვადასხვა ქვეყანაში და ეს მაშინ, როდესაც საქართველო პროფესიონალთა დეფიციტს განიცდის.

- **კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ერთიანი სისტემა**

2005 წელს ერევნის სამიტზე დამტკიცებულ იქნა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სახელმძღვანელო. სახელმძღვანელოში დეტალურადაა განვირეილი კრედიტების გაანგარიშებისა და მობილობის პრინციპები. აქვე ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სტუდენტს შეუძლია მოითხოვოს, არაფორმალური განათლების გზით, დაგროვილი კრედიტების აღიარება ფორმალური განათლების ფარგლებში დაგროვებულ კრედიტებზე დაყრდნობით. თუმცა, ქართულ რეალობაში ვანყდებით „საგანმანათლებლო ჩიხს“ - პროფესიული განათლების სტუდენტები, რომელსაც არ აქვს სრული ზოგადი განათლება ვერ აგრძელებენ სწავლას განათლების მომდევნო, მაღალ საფეხურზე და არ ხდება პროფესიულ განათლებაში მიღებული კრედიტების აღიარება აკადემიურ საფეხურზე.

- **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები**

ეროვნულ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოს არსებობას. ხოლო შიდა უნივერსიტეტების დონეზე კი სტრუქტურული ერთეულის - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის არსებობას. პირველის შემთხვევაში ეს არის ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელიც იურიდიულად დამოუკიდებელი ერთეულია თუმცა განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს. შესაბამისად, მაღალია განათლების სამინისტროს მხრიდან ზეგავლენის მოხდენის ალბათობა. ბოლონის პროცესი კი მოითხოვს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დამოუკიდებელ საქმიანობას, რათა არც ერთი მხარე არ ახდენდეს მასზე გავლენას.





ცენტრის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა სახელმწიფო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განხორციელება. ამისთვის ცენტრს შემუშავებული აქვს კონკრეტული მექანიზმები, რომელთა შესრულება-არშესრულების მიხედვით ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების-თვის ავტორიზაციის, ხოლო მათი პროგრამებისთვის – აკრედიტაციის მინიჭება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭიროა ქმედითი ნაბიჯები, როგორც სახელმწიფოს, ისე თავად უმაღლესი სასწავლებლების მხრიდანაც, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ხარისხის შეფასების ეფექტიანი შიდა და გარე მექანიზმების ამოქმედებას.

• **უმაღლესი განათლება და კვლევა**

ბერგენის სამიტზე ყველა მონაწილე ქვეყანამ განათლებისა და კვლევის მჭიდრო კავშირის არსებობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი. აკადემიურ კვლევას განსაკუთრებით მნიშვნელობა მიენიჭა დოქტორანტურის საფეხურზე, ვინაიდან იგი კვლევით კომპონენტებს ითვალისწინებს. სწორედ სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციითაა შესაძლებელი ცვალებადი პრიორიტეტების აღწერა და ახალი დისციპლინების განვითარება.

და ბოლოს, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ სტუდენტები, როგორც კომპეტენტური, აქტიური და კონსტრუქციული წევრები, ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა უნდა გახდნენ განათლების სფეროში ცვლილებების შესატანად. ბოლონის პროცესში სტუდენტების ჩართვა მნიშვნელოვანი ნაბიჯია სტუდენტის მუდმივი და ფორმალისგარეშე მონაწილეობისა ყველა იმ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსა და სადიკუსიო ფორუმებში, რომელიც შეეხება ევროპაში უმაღლეს განათლებას (სტუდენტების გიოტებორგის დეკლარაცია (2001)).

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. „ბოლონის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები“, დიანა ლეჟავა, მარიამ ამაშუკელი, თბილისი 2016.
2. „საქართველო, ბოლონის პროცესი და მისი სოციო-პოლიტიკური მნიშვნელობა“, თამარ მანჯავიძე.
3. „ბოლონის პროცესი და ბოლონის სისტემის კრიტიკა“, მარიამ ხიზანაშვილი, თამარ ახალაძე.
4. დავით გეფერიძე, „საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა უმაღლესი განათლების სფეროში“, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, N1, 2010.



ნათია ბედუკაძე-მამაცაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო  
და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დოქტორანტი

## კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის არსი და მისი ეფექტურობის ხარისხის შეფასება

### ანოტაცია

საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს. საბანკო მენეჯმენტის ეფექტიანი მეთოდების ანალიზი, საბანკო ინსტიტუტების სტრატეგიის განსაზღვრა მოითხოვს საბანკო საქმეში დაგროვილი ეროვნული გამოცდილებისა და უცხოეთის პრაქტიკის შესწავლასა და განზოგადობას. ბანკის რენტაბელური მუშაობა მიიღწევა ფინანსური დანახარჯების მინიმიზაციისა და საქმიანობის შედეგებიდან შემოსავლის მაქსიმიზაციის გზით. მენეჯმენტის ამოცანაა სარისკო სიტუაციების გადალახვა, რისთვისაც აუცილებელია ცვალებად გარემოში სწრაფი რეაგირება და ადაპტაცია. ბანკის ფინანსური მდგრალობა ზუსტად ასახავს მის საქმიანობას და ბანკის მდგრალობის კომპლექსურ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს. მმართველობითი გადანყვეტილებების მიღებისას ჩატარებული საბანკო ოპერაციების ფინანსური მდგომარეობის შეფასების შედეგების გამოყენებამ არსებითად შეიძლება ასწიოს მისი ეფექტურობა. ხარისხიან საბანკო მენეჯმენტს შეუძლია არა მხოლოდ წინ აღუდგეს ნეგატიურ მაკრო და მიკროეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებას, არამედ გაანეიტრალოს ის და გამოიყენოს საკუთარი მიზნებისთვის. ამიტომ ბანკის მიერ ასეთი მენეჯმენტის განხორციელება წარმოადგენს მისი მდგრალობის ძირითად პირობასა და გარანტიას.



**Natia Bedukadze-Mamatsashvili**

*PhD Student of Georgian Technical University*

*Faculty of Transportation and Mechanical Engineering*

## **THE ESSENCE OF COMMERCIAL BANK FINANCIAL MANAGEMENT AND QUALITY ASSESSMENT OF ITS EFFECTIVENESS**

### **Abstract**

The banking system is one of the most complex and necessary areas of the market economy. Analysis of efficient banking management methods, determination of banking institutions strategies requires the study and generalization of the gained national experience and foreign practice. Efficient work of the bank can be achieved through minimizing financial expenses and maximizing revenue from its activity results. The managements task is to overcome risky situations, for which it is necessary to respond quickly and adapt to changing circum stances. The financial stability of the bank accurately reflects its activities and can be considered as a complex characteristic of the banks sustainability. The application of the assessment results of the banking operations financial conditions during management decision-making operations can substantially enhance its effectiveness. Qualified banking management can not only prevent negative macro and microeconomic factors, but neutralize it and use it for their own purposes. Therefore, the banks application of such management is the basic condition and guarantee of its sustainability.



## კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის არსი და მისი ეფექტურობის ხარისხის შეფასება

საბანკო სექტორი წარმოადგენს საბაზრო სისტემის მაკროეკონომიკურ სფეროს, რომელმაც საკმაოდ რთული გზა გამოიარა და მაღალ შედეგებს მიაღწია. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკების წინაშე პრიორიტეტული გახდა ისეთი ამოცანები, როგორებიცაა: ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნილების განსაზღვრა; ფინანსური რესურსების მოზიდვის წყაროების შერჩევა; ფინანსური რესურსების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირება; ფინანსური რესურსების გამოყენების ოპტიმალური მიმართულებების განსაზღვრა და დასაბუთება; ფინანსური მართვის ეფექტიანობის შეფასება. დღესდღეობით კომერციული ბანკები ეკონომიკის ფუნქციონირების ცენტრალურ რგოლებად გადაიქცა. საბანკო სისტემის განვითარება სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.

კომერციული ბანკები საკრედიტო სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენენ და დაკრედიტების მეშვეობით ეკონომიკის განვითარების სტიმულირებას ახორციელებენ. საბაზრო ურთიერთობების პირობებში კომერციული ბანკი თავის კლიენტებთან მის განკარგულებაში რეალურად არსებული რესურსების ფარგლებში მუშაობს, ანუ იგი ყველა ოპერაციას მის საკონკრეტო ანგარიშებზე სახსრების ნაშთის ფარგლებში ახორციელებს. სპეციფიკური საბანკო ოპერაციების შესრულების შესაძლებლობა (იპოთეკურების, საინვესტიციოების) პასივების სტრუქტურით მკაცრად არის დეტერმინირებული, რაც ბანკებისაგან თავიანთი რესურსების ფორმირების წყაროების არჩევასთან დაკავშირებით სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. სწორედ აქედან წარმოიქმნება რესურსებზე მძაფრი ბრძოლა და მათი დაბანდებისათვის უფრო მეტად რენტაბელური სფეროების მოძიება. კომერციული ბანკის ძირითადი ფუნქციებია: შუამავლობა კრედიტებში, დაგროვების სტიმულირება მეურნეობაში, შუამავლობა დამოუკიდებელ სუბიექტებს შორის გადახდებში და ფასიან ქაღალდებთან ოპერაციებში. ბანკები კომერციული დამოუკიდებლობისა და კონკურენციის პირობებში საკუთარი კაპიტალისა და მოზიდული რესურსების ფორმირების საკითხებს დიდ ძალისხმევასა და დროს უთმობენ. კომერციული ბანკის რესურსები ჩვეულებრივად განისაზღვრება, როგორც ბანკის განკარგულებაში არსებული საკუთარი და მოზიდული სახსრების ერთობლიობა და მის მიერ მათი აქტიური ოპერაციების განხორციელებისათვის გამოყენების შესაძლებლობა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის უსაზღვროა საბანკო სისტემისა და დაკრედიტების როლი.

საბანკო სისტემა არა მარტო ფულადი კაპიტალის დარგთაშორისი და რეგიონთაშორისი გადანაწილების მექანიზმის უზრუნველყოფას ახორციელებს, არამედ ქვეყნის სამეურნეო სისტემის საანგარიშსწორებო და საგადასახადო მექანიზმის მთავარი განმახორციელებელი სუბიექტია. სა-



ბანკო სისტემის საქმიანობაში ფინანსები დამაკავშირებელი რგოლის როლს ახორციელებს და, ადრე დამკვიდრებული განაწილების, საკონტროლო და რეგულირების ფუნქციებთან ერთად, სახელმწიფოსა და სხვა სამეურნეო სუბიექტებისათვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან – უკუკავშირის არხის ფუნქციას ასრულებს. უკუკავშირის არხის ფუნქცია ფულადი სახსრების წრებრუნვის პროცესის მიმდინარეობის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მიღებისა და ფინანსურ საქმიანობაში შესაბამისი კორექტივების დროულად შეტანის შესაძლებლობას იძლევა.

ბანკი დამოუკიდებელი საკრედიტო დანესებულებაა და იგი თავის საკრედიტო პოლიტიკას პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების, საბანკო კანონმდებლობის დონის, ბანკთაშორისი კონკურენციის, საბანკო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხისა და სხვათა გათვალისწინებით ახორციელებს. საკრედიტო პოლიტიკა ბევრად არის დამოკიდებული ბანკის ლიკვიდურობაზე.

კომერციული ბანკის ეფექტური მუშაობა რისკისა და შემოსავლის სწორად შერჩეულ თანაფარდობაზეა დამოკიდებული. რისკი ყველა სახის აქტიური და პასიური ოპერაციებიდან მოსალოდნელი შემოსავლის ნაირსახეობასთან არის დაკავშირებული და იგი იმის ალბათობას წარმოადგენს, რომ ფინანსურმა პრობლემებმა ბანკის საქმიანობის მაჩვენებლებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. ამიტომ, ბანკის ოპერაციების დაგეგმვისას, თითოეული სახეობის აქტიური ოპერაციისა და რესურსების მოზიდვასთან დაკავშირებული იმ ოპერაციის სარგებლიანობა და დანახარჯები უნდა იქნეს განსაზღვრული, რომელიც ბანკის მიზნების მიღწევისა და ამოცანების შესრულებისათვის, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის დაცვისათვის არის აუცილებელი. ბანკის ლიკვიდურობა მისი აქტივებისა და პასივების დაბალანსებით, განთავსებული აქტივებისა და მოზიდული პასივების ვადების შესაბამისობის ხარისხით განისაზღვრება. ლიკვიდურობის შეფასება საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან იგი ბანკის აქტიური ოპერაციების რისკის შეფასებასთან არის დაკავშირებული.

ბანკის ფინანსური მდგრადობა ზუსტად ასახავს მის საქმიანობას და ბანკის მდგრადობის კომპლექსურ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს. მმართველობითი გადანყვეტილებების მიღებისას ჩატარებული საბანკო ოპერაციების ფინანსური მდგომარეობის შეფასების შედეგების გამოყენებამ არსებითად შეიძლება ასწიოს მისი ეფექტურობა. ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი მიზანმიმართულად ტარდება, როგორც მისაღები მმართველობითი გადანყვეტილებების ეფექტურობის შესაფასებლად, ისე ბანკის საქმიანობის ოპერატიული მართვისთვის. კომერციული ბანკების ფინანსურ მდგომარეობაზე მოქმედებს რიგი შიდა და გარე ფაქტორები. შიდა ფაქტორებს წარმოადგენენ: ფინანსურ-ეკონომიკური, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური, ხოლო გარე ფაქტორებია: საერთო ეკონომიკური, ფინანსური, პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ფორს-მაჟორული. ბანკის ფინანსური ანალიზის დროს ინფორმაციის დასამუშავებლად იყენებენ მათემატიკურ, სტატისტიკურ, აღრიცხვის და სხვა ხერხებს. ანალიზის სახეები:



ვერტიკალური (სტრუქტურული), ჰორიზონტალური (დროებითი), შედარებითი (სივრცობრივი), ფაქტორული და კოეფიციენტური.

ფინანსური მენეჯმენტი არის სხვადასხვა ეკონომიკური სუბიექტის ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების პროცესში წარმოშობილი ურთიერთობების მართვა და იგი მიმართულია იმ ფინანსურ-ეკონომიკური პროცესების მართვისკენ რომლის საბოლოო მიზანია ეკონომიკური სუბიექტების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა. ბანკის რენტაბელური მუშაობა მიიღწევა ფინანსური დანახარჯების მინიმიზაციისა და საქმიანობის შედეგებიდან შემოსავლის მაქსიმიზაციის გზით. მენეჯმენტი ქმნის პირობებს ბანკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ მოგება განაპირობებს ბანკის საქმიანობის განვითარების გარანტიას, რამდენადაც მხოლოდ მოგება უზრუნველყოფს ბიზნესში რისკის შემცირებას და დაძლევის. მენეჯმენტის ამოცანაა სარისკო სიტუაციების გადალახვა, რისთვისაც აუცილებელია ცვალებად გარემოში სწრაფი რეაგირება და ადაპტაცია. საბანკო მენეჯმენტისთვის დამახასიათებელია ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, სამართლებრივი და ორგანიზაციულ-ტექნიკური ასპექტები. ეკონომიკური ასპექტი გულისხმობს ბიზნესის მართვის პროცესს, რომლის დროსაც მიიღწევა ფინანსური რესურსების გამოყენების კოორდინაცია, რაც აუცილებელია საბანკო ბიზნესის ეფექტიანი წარმოებისათვის. სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი ახასიათებს ბანკის მთელი პერსონალის ძალისხმევის ორგანიზაციისა და მენეჯერთა განსაკუთრებული ჯგუფის საქმიანობას დასახული მიზნის მისაღწევად. აქ შედის სოციალური ფუნქცია, რომელშიც აისახება საზოგადოების კულტურის დონე, მისი ტრადიციები, ფასეულობანი და ჩვევები. რაც შეეხება სამართლებრივ ასპექტებს, იგი ასახავს ბანკის მიერ გასატარებელ პოლიტიკას, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ორგანიზაციულ-ტექნიკური ასპექტი მოიცავს სიტუაციის ოპტიმალურ შეფასებას და სტრატეგიის თანმიმდევრულ დამუშავებას ბანკის მიზნების მისაღწევად, საჭირო ფულადი რესურსების განსაზღვრას, ორგანიზებას, მოტივაციასა და კონტროლს. ეფექტური მენეჯმენტი ნიშნავს მართვის პროცესის ყველა მხარის და სტადიის ეკონომიკური, ორგანიზაციულ-ტექნიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების მთლიანობას. კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის ობიექტად გვევლინება ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა ბანკის მიერ ფინანსური ოპერაციების განხორციელებისას ფინანსური რესურსების გამოყენების დროს. ბანკის ეკონომიკური ურთიერთობების წრე საკმაოდ ფართოა. კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის სუბიექტია მმართველების შემადგენლობა (ბანკის მენეჯმენტი), რომელიც ახორციელებს მიზანმიმართულ ზემოქმედებას მართვის ობიექტზე.

მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების ხარისხზე დამოკიდებულია როგორც ცალკეული ქვედანაყოფების, ისე მთელი ბანკის საქმიანობის შედეგი. საბანკო ფინანსური მენეჯმენტის, როგორც მმართველობითი სისტემის განხილვისას შეიძლება გამოვყოთ რიგი ელემენტებისა, რომლებიც ბანკის ფინანსების მართვის საფუძველს წარმოადგენენ. ეს ელემენტები საშუალებას



იძლევიან მმართველობითი საქმიანობა განხორციელდეს ბანკის მიერ დასახული სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნების შესაბამისად. კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის სისტემის ძირითად ელემენტებს წარმოადგენენ: 1. ფინანსური პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია; 2. ფინანსური ხასიათის გადანყვეტილებების მიღების მეთოდური უზრუნველყოფა; 3. ფინანსური ხასიათის გადანყვეტილებების მიღების საინფორმაციო უზრუნველყოფა; 4. ფინანსური დაგეგმვა და კონტროლი; 5. განხორციელებული საბანკო ოპერაციების ფინანსური ანალიზი და აღრიცხვა.

ფინანსური მენეჯმენტის მიმართულებებს მიეკუთვნება: ბანკის კაპიტალის მართვა; ბანკის აქტივებისა და პასივების მართვა; ბანკის საკრედიტო პორტფელის მართვა; ბანკის ლიკვიდურობის მართვა; ბანკის რენტაბელობის მართვა; საბანკო რისკების მართვა.

კომერციული ბანკის აქტიური ოპერაციები ეს არის არსებული რესურსების ისეთი განთავსების ოპერაციები, რომლის მიზანია მოგების მიღება და ლიკვიდურობის შენარჩუნება. აქტივების მართვის მიზანი არის აქტივების ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მიღწეულ იქნას შემოსავლების, რისკისა და ლიკვიდურობის სასურველი მაჩვენებლები.

აქტიური ოპერაციების განხორციელებისას ბანკი ურთიერთობს განსხვავებული კატეგორიის კლიენტებთან: საწარმოებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, სხვა ბანკებთან, მოქალაქეებთან. ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ბანკის აქტიური ოპერაციებია: საკრედიტო, საინვესტიციო, საფონდო, საკასო, სავალუტო, საგარანტიო, საანგარიშსწორებო.

ნარსულში განხორციელდა და დასრულებულ ქმედებას სამართალდარღვევათა რიცხვად რეტრო-აქტიურად მიაკუთვნებს, დაანესებს ან გაამკაცრებს პასუხისმგებლობას და ამით სამართლებრივ შედეგებს ex post facto შეცვლის („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2015 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება N1/2/252 საქმეზე „სს“ ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II,2). „ამ პრინციპის დაუცველობის შემთხვევაში საფთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა არა მარტო ცალკეული ადამიანის კონსტიტუციური უფლებები, არამედ ღირებულებათა წესრიგი, სამართლებრივი უსაფთხოება, რომელიც თავად წარმოადგენს კონსტიტუციურ უფლებათა (დაცვის) საძირკველს. ღირებულებათა ნორმატიული წესრიგი ცალკეული მოქალაქის ქცევის დეტერმინაციის საშუალებაა. ასეთი წესრიგის პირობებში ადამიანებს (ამ კონკრეტული საქმით აზერბაიჯანის სახელმწიფოს) აქვთ გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელმწიფო იმოქმედებს სამართლით დადგენილ ფარგლებში და იმის მიერ ჩადენილ მოქმედების შეფასებებს არსებული ნორმატიული სინამდვილის პირობებში“. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II,1).

კანონის რეტროაქტუალობის აკრძალვის პრინციპი პირის კონსტიტუციითა და კანონით აღიარებული უფლებების ფარგლებში ქმედების თავისუფლების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა. იგი ქმნის თითოეული ადამიანის ლეგიტიმურ მოლოდინს, რომ კანონის საფუძველზე განხორციელებული ქმედება, რეალიზებული უფლება, მომავალში არ იქნება სამართალდარღვევად მიჩნეული. ამ პრინციპის დაცვის მყარი გარანტიის არარსებობის პირობებში არსებობს რისკი, რომ ადამიანები თავს შეიკავებდნენ საკუთარი კანონიერი უფლებებით სარგებლობისაგან, რაც მნიშვნელოვნად გააუფასურებდა თითოეული კონსტიტუციური უფლების მნიშვნელობას და მისგან გამომდინარე ადამიანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის ეფექტს“<sup>1</sup>

ამასთან დაკავშირებით, პროფესორი მზია ლეკვეიშვილი აღნიშნავდა, რომ: „მოსამართლის მიხედულობის აქტუალობის პრობლემა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას, მათ შორის, მოსამართლის პოზიცია შეიძლება ეფუძნებოდეს იმ სამართლის ნორმას, რომელიც სასამართლო პრაქტიკის მიერ არსებულია და გამოიყენება სადავო სიტუაციაში; მას შეუძლია გააკეთოს არჩევანი სამართლებრივი პოზიციის სასარგებლოდ ან არსებული სასამართლო პრაქტიკის არგუმენტაციის გასამყარებლად. ყველა შემთხვევაში, სასჯელის შეფარდების ფარგლები განსაზღვრულია კანონით. ამიტომაცაა, რომ მატერიალური სისხლის სამართალი და საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს ანიჭებს უფლებას კანონზე დაყრდნობით განსაზღვროს სასჯელის სახე და ზომა თავისი შინაგანი რწმენისა და სამართლებრივი შეგნების ფარგლებში“<sup>2</sup> ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიძებნება არც ერთი სადავო საკითხი, რომლის გადაწყვეტაც სავალდებულოდ გახდებოდა კანონის რეტროაქტუალობის პრინციპით. პირიქით, თვითონ უზენაესი სასამართლო ხდის სადავოდ ამ პრინციპის გამოყენებას მსჯავრდებულ გ.გ-ს მიმართ. როგორც წესი, საქართველოს მოქალაქის მიერ უცხოეთში ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, სასამართლო ორ კრიტერიუმს უნდა დაეყრდნოს. ერთის მხრივ, ცხადია, რომ სახელმწიფო კიცხავს დანაშაულის ჩადენის ყველა ფაქტს მისი ჩამდენის სუბიექტის მიუხედავად, ხოლო, მეორე მხრივ კი, სახელმწიფო იცავს და ჰუმანურ დამოკიდებულებას ავლენს საკუთარი მოქალაქის მიმართ, ითვალისწინებს რა მას როგორც საკუთარი ქვეყნისათვის ადამიანური რესურსის ერთ-ერთ ერთეულს. მაგრამ ამ კრიტერიუმების დაცვა თუ უზრუნველყოფა არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ სამართლებრივი ნორმების დარღვევის გამოყენებით, რათა არ შეილახოს

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება.

<sup>2</sup> მზია ლეკვეიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი N4, გვ. 25, თბ., 2014.

სხვა სახელმწიფოს ან პირის ინტერესები და მიღწეული იქნას სასჯელის მიზნები. გარდა ამისა მოცემულ სიტუაციაში თვალნათლივად ჩანს, თუ როგორი. კრიმინალური წარსულის მქონე საქართველოს მოქალაქეს **ექსტრადაციის გზით იბრუნებს საკუთარ ქვეშ**. ჩვენ არ გავაჩნია რაიმე ამის საწინააღმდეგო, მაგრამ ვენინააღმდეგებით მისი განხორციელების სამართლებრივი მექანიზმის უხეშ დარღვევებს, რომელიც მიუღებელი და გაუმართლებელია.

კანონის რეტროაქტუალობის პრინციპის გარდა, აღსანიშნავია კანონმდებლის პოზიცია სასჯელის, თავისუფლების შეზღუდვის შეფარდების მიმართ, რომლითაც უხეშადაა დარღვეული მხოლოდ სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპი. ჯერ კიდევ 1999 წლის 22 ივლისს მიღებული და 2000 წლის 20 ივნისიდან მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის სახე-თავისუფლების შეზღუდვა არ იყოს კანონიერ ძალაში შესული. კანონმდებელმა სასამართლოს თავისუფლების შეზღუდვის შეფარდების უფლებამოსილების განხორციელება განუსაზღვრა 2018 წლის 1 იანვრიდან. მანამდე კი თავისუფლების შეზღუდვა ამოქმედდა 2013 წლის 1 ნოემბრიდან, რომლის შეფარდების უფლება მიანიჭა სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუცვალოს თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი თავისუფლების შეზღუდვით, რომელსაც 2015 წლის 1 იანვრამდე (ვიდრე არ დაფუძნდა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება) არ გააჩნდა მისი აღსრულების მექანიზმი და ა.შ. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს მეორეხარისხოვან საკითხს სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპთან. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და თითქოსდა აქ არაფერია პრობლემური და სამსჯელო, პირიქით, ასეთი გადაწყვეტილება მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური პრინციპის დარღვევასთან ერთად არ განიხილება კანონის არც რენოვაციურ და არც რეტროაქტუალობის ქრილში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონტიტუცია, თბ., 1995 (უახ. რედაქციით 2017)
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 (უახ. რედაქციით 2017).
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, თბ., 2016.
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება.
5. პ. დაუთაშვილი, სასამართლოს ზოგიერთი უფლებამოსილების დელეგირების კონსტიტუციურობის შესახებ. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ჟურნალი აკადემიური მაცნე №. 2013.
6. მ. ლეკვიშვილი, „სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი“ მართლმსაჯულება და კანონი N4,43, 14. თბ., 2015.

**ზვიად გოგრიჭიანი***ივ. ჯავახიშვილის სახელობის**თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი***ჯგუფური დანაშაული****ანოტაცია**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია ჯგუფური დანაშაულის სამი სახე: წინასწარი შეთანხმების გარეშე, წინასწარი შეთანხმებით და ორგანიზებული ჯგუფის მიერ. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ეს პოზიცია განზოგადებულია ზოგადი ნაწილის 27-ე მუხლში და მასში, როგორც პროფ. ო. გამყრელიძე მიუთითებს, თანაამსრულებლობა იგულისხმება, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ 2 ან მეტი თანაამსრულებლის გარდა დანაშაულს ზოგიერთი წამქეზებლის, ორგანიზატორის ან დამხმარის როლს ასრულებდეს. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა იმის შესახებ, შედის თუ არა ჯგუფური დანაშაულების ცნებაში თანამონაწილეობა ვიწრო აზრით, ან როლების განაწილებით. საქ. სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მეორე ნაწილში ლაპარაკია არა ორ ან მეტ ამსრულებელზე, არამედ ჯგუფში მონაწილე პირებზე. აქედან გამომდინარე, ჯგუფურ დანაშაულში შეიძლება ვიგულისხმოთ დანაშაულში თანამონაწილეობა ვიწრო აზრით, როდესაც დანაშაულში მონაწილეობს ორგანიზატორი. თუ 27-ე მუხლის მეორე ნაწილის ტექსტს დავაკვირდებით, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ აქ შეიძლება ერთი ამსრულებელი, თუმცა შესაძლებელია წინასწარი შეთანხმებით თანაამსრულებლებიც მოქმედებდნენ.

**Zviad Gogrichiani***Iv. Javakhishvili State University,**Phd Student***JOINT CRIME****Abstract**

Previous research mainly focuses on the problematic issues of joint crime which remains very actual even in present-day criminal law. Certainly, previous research, doesn't claim the right of being fully complete or comprehensive, it simply represents the aim of going through the problematic issues which arise in science and its practice.

Following article deals with 27th paragraph of Georgian Criminal Code and its judicial practice. For further completeness, there is introduced an idea that it must be fully and precisely represented in Georgian Criminal Code. There is no need of introduction of 'racket' by which legislator made it even difficult to make distinction between these two notions. This judgment develops in the following way: which direction of joint crime should be regarded as correct, besides, it should be mentioned that there was a need of examining wrong approaches too.

What's more, it offers a critical analysis of several scientists' views, but at the same time represents a new ideas connected to different issues.

Additionally, it proves that it is impossible to take European directives or resolutions without their Juridical transformation in accordance with scientific or informational requirements. Furthermore, it shows a bad condition of present day Georgian criminal code caused by permanent changes and additions.

Also, there is given an attention to the scientific issues of armed gangs which is regarded one of the types of organized groups, characterized by its conflicting nature. In this regard, following article represents prominent scientists' qualified recommendations and analytical materials.

**ჯგუფური დანაშაული**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია ჯგუფური დანაშაულის სამი სახე: წინასწარი შეთანხმების გარეშე, წინასწარი შეთანხმებით და ორგანიზებული ჯგუფის მიერ. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ეს პოზიცია განზოგადებულია ზოგადი ნაწილის 27-ე მუხლში და მასში, როგორც პროფ. ო. გამყრელიძე მიუთითებს, თანაამსრულებლობა იგულისხმება, თუმცა არ არის გამოორიცხული, რომ 2 ან მეტი თანაამსრულებლის გარდა დანაშაულს ზოგიერთი წამქეზებლის, ორგანიზატორის ან დამხმარის როლს ასრულებდეს. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა იმის შესახებ, შედის თუ არა ჯგუფური დანაშაულების ცნებაში თანამონაწილეობა ვინრო აზრით, ან როლების განაწილებით. საქ. სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მეორე ნაწილში ლაპარაკია არა ორ ან მეტ ამსრულებელზე, არამედ ჯგუფში მონაწილე პირებზე. აქედან გამომდინარე, ჯგუფურ დანაშაულში შეიძლება ვიგულისხმოთ დანაშაულში თანამონაწილეობა ვინრო აზრით, როდესაც დანაშაულში მონაწილეობს ორგანიზატორი. თუ 27-ე მუხლის მეორე ნაწილის ტექსტს დავაკვირდებით, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ აქ შეიძლება ერთი ამსრულებელი, თუმცა შესაძლებელია წინასწარი შეთანხმებით თანაამსრულებლებიც მოქმედებდნენ.

მაგალითად, გაუპატიურება, რომელიც მოხდა ამსრულებლის, წამქეზებლის და დამხმარის მიერ, არ უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც გაუპატიურება ჯგუფურად, რადგან არ გვაქვს თანაამსრულებლობა. მაგრამ თუ ვინმე მივარდება ა-ს მოკვლის მიზნით, წააქცევს, რამდენჯერმე ჩაარტყავს დანას კისრის და ყელის მიდამოებში, ვინაიდან დაჭრილი წინააღმდეგობას უწევდათ და გამოსცემდა სპეციფიკურ ხმებს, განზრახვის ბოლომდე სისრულეში მოყვანის მიზნით, ბპირზე ხელს დააფარებს, გაუკავებს მარცხენა ხელს, მუხლით დაანვება მარჯვენა ხელზე, აიღებს ა-ს მიერ დაგდებულ დანას და რამდენჯერმე გამოუსვამს ყელში, ა და ბ, ჯგუფური დანაშაულის ამსრულებლები არიან. მათი ქმედება ჯგუფური დანაშაულის მიხედვით უნდა დაკვალიფიცირდეს.

ხშირად პრაქტიკაში თანაამსრულებელს დამხმარეში ურევენ ხოლმე. ასეთი აღრევა გვხვდება ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ ისეთ დანაშაულში, რომელთა შემადგენლობის ნიშნებია ძალადობა, მუქარა, არ არის აუცილებელი, რომ ორივე ან სამივე თანაამსრულებელი შემადგენლობას მთლიანად ასრულებდეს. საკმარისია, რომ თანაამსრულებელმა შემადგენლობის ერთი ელემენტი მაინც შეასრულოს. თ. ა-მ, ს.ა-მ და გ. დ-მ, ერთობლივად წააქციეს ა მოკვლის მიზნით და გ.დ ყელში უჭერდა ხელებს, ს.ა თავში ქვას ურტყავდა, ხოლო თ. ა-მ მსხვერპლის მარცხენა მუხლის ფოსო, წვივი ხუთ ადგილას გადაუჭრა ასევე ვენები. მსხვერპლი სისხლის დენისაგან ადგილზევე გარდაიცვალა. ყვარლის რაიონულმა სასამართლოს ამსრულებლად ცნო მხოლოდ თ. ა.

**თ. ა, ე.ი. ის, ვინც უშუალოდ მოკლა მსხვერპლი და მისი ქმედება ამსრულებლად დაკვალიფიცირდა.** დანარჩენი ორი დამხმარეებად ჩათვალა. ზემდგომმა სასამართლომ მიუთითა, რომ სამივე მსჯავრდებული მოქმედებდა ა-ს მოკვლის განზრახვით. დამდგარი შედეგი, ა-ს სიკვდილი, მათი ერთობლივი მოქმედებისა პროდუქტია და ამდენად მათი დანაშაულებრივი ქმედება სასამართლოს სწორად აქვს დაკვალიფიცირებული. სასამართლომ არასწორად ჩათვალა **ს. ა და ე** დამხმარეებად, სინამდვილეში ისინი ამსრულებლები იყვნენ. მკვლელობის ამსრულებელი მარტო ის კი არ იყო, ვინც მსხვერპლს ვენები გადაუჭრა არამედ ისიც, ვინც ყელში ხელს უჭერდა, და ისიც, ვინც თავში ქვას ურტყავდა. ეს იყო მკვლელობის ჯგუფური დანაშაული.

საქ. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებულია ასევე ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენა ორი ან მეტი პირის მოქმედების გარეშე შეუძლებელია. კერძოდ, უკანონოდ შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა და მასში მონაწილეობა, ბანდიტიზმი (ბანდიტობა), 224-ე მუხლი, მასობრივი არეულობა, სსკ 225-ე მუხლი, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა და ბანდიტიზმი (ბანდიტობა), წინასწარი შეთანხმების გარეშე შეუძლებელია. ჯგუფური დანაშაულის მეორე სახე, ორი ან მეტი პირის

წინასწარი შეთანხმება, ან შეკავშირება დანაშაულის ჩასადენად უფრო საშიშია, ვიდრე პირთა ჯგუფის მოქმედება წინასწარი შეთანხმების გარეშე. შემთხვევითი არ არის, რომ ამ სახის ჯგუფურ დანაშაულს კანონმდებელი „წინასწარი შეკავშირების“ ნიშნითაც ახასიათებს. შესაძლებელია დანაშაულის ჩადენა, წინასწარი დაგეგმვა, მისი ჩადენის ხერხების შერჩევა და სხვა, ხშირ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლის მიერაა ფორმულირებული, წინასწარი შეკავშირება მხოლოდ ერთი დანაშაულის ჩასადენად, მაინც არის კვალიფიკაციის კუთხით შეცდომები. პროფ. ო. გამყრელიძეს, ეკონომიკურ დანაშაულთა კომენტარში მოყავს მაგალითი, როცა ბაკარაძეს და გაბელაიას ერთობლივად ქურდობის რამდენიმე ეპიზოდი ჰქონდათ ჩადენილი, მათ წარედგინათ 177-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის ქურდობა არაერთგზის. რადგან ორგანიზებული ჯგუფი წინასწარი შეთანხმებისა და არაერთგზისობის მომენტებსაც შეიცავს, ამ ნიშნებით დამატებითი კვალიფიკაცია დაუშვებელია<sup>1</sup>.

კვალიფიკაცია შეცდომად შეიძლება მივიჩნიოთ რუსეთის სასამართლო პრაქტიკაში ოვჩინიკოვის საქმე, ოვჩინიკოვი ერმოლაევის თავში გაზს ურტყავდა, მას ეხმარებოდა ბელოვი, რომელმაც ერმოლაევის ხელები გაუკავა. სასამართლომ ბელოვის მოქმედება დააკვალიფიცირა როგორც დახმარება, იმ მოტივით რომ ბელოვს თვითონ არ შეუსრულებია მკვლელობის აქტი, არამედ მან მოსპო დანაშაულის ჩადენის დაბრკოლება. თუმცა ბელოვს თვითონ არ დაურტყავს ერმოლაევისათვის თავში გაზი, რამაც მსხვერპლის სიკვდილი გამოიწვია, მაგრამ მან უშუალოდ მონაწილეობა მიიღო თვით დანაშაულის შესრულების პროცესში. ბელოვი ჯგუფური მკვლელობის თანამსრულებელია.

ასეთი შეცდომები დაშვებული იყო რუსეთის სასამართლო პრაქტიკაში ბობინების საქმეზე. ჩ. ბობინმა, მ. ბობინმა და ი. ბობინმა ხულიგნური მოტივით მოკლეს ს. ფურმანი, რომელსაც თავს დაესხნენ გაერთიანებული ძალ-ლონით, სცემეს და დაჭრეს. რამდენადაც დანა მხოლოდ ბობინს აღმოაჩნდა, სასამართლომ განაჩენში მიუთითა, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა, ხოლო სხვა ჯგუფის წევრთა მოქმედება დააკვალიფიცირა როგორც მცდელობა, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ დანაშაულის ყველა მონაწილე სცემდა და დანას ურტყავდა ფურმანს. უმაღლესი სასამართლოს განჩინებაში სწორად იყო მითითებული, ტრომ ფურმანი მოკლული იყო მსჯავრდებულთა ერთობლივი მოქმედების შედეგად, ასეთი შეცდომების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოები ჯგუფის მოქმედებას განიხილავს არა ერთობლივად, არამედ იზოლირებულად, რაც იწვევს მათ მოქმედებათა არასწორ კვალიფიკაციას. აქაც შესრულებულია დანაშაულის შემადგენელი ელემენტი.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ყველა თანამსრულებელი ერთგვარი ხასიათის მოქმედებას ასრულებს და მიუხედავად ამისა ზოგი მათგანის მოქმედებას აკვალიფიცირებენ როგორც დახმარებას. ძმებმა მაკარევიჩებმა, ნოვიკოვებმა, სხვადასხვა საგნების (ჩაქურჩის, ქვის, კასტეტის, დანის) თავში ჩარტყმით მოკლეს კალენტინოვი. სასამართლოსამედიცინო ექსპერტიზით დადასტურდა, რომ ამ დარტყმებს შედეგად მოჰყვა თავის ძვლების დამსხვრევა, სისხლის ჩაქცევა და ტვინის ნივთიერების დაზიანება. ერთ-ერთი დაზიანება, რომელიც მიყენებული იყო კეფის ძვლის არეში უცილობლად სასიკვდილო აღმოჩნდა. ეს დაზიანება დაზარალებულს პ. მაკარევიჩმა ჩაქურჩით მიაყენა, ამასთან დაკავშირებით სასამართლომ ცნო, რომ მკვლელობის ამსრულებელი მარტოოდენ პ. მაკარევიჩია, ხოლო დანარჩენ პირთა მოქმედება დააკვალიფიცირა როგორც პ. მაკარევიჩის მიერ ჩედენილ ქმედებაში დახმარებად. ზემდგომმა სასამართლომ თავიუს დადგენილებაში მიუთითა ამგვარ ქმედებათა არასწორობაზე და აღნიშნა ყველა განსასჯელის ქმედება, რომელიც დანაშაული შესრულებაში უშუალო მონაწილეობით გამოიხატებოდა, განხილულ უნდა იქნას როგორც ამსრულებლის მოქმედებაში. ე.ი. მკვლელობის დროის დანის გაყრა, მსხვერპლისათვის თავში ჩარტყმა სხვადასხვა საგნების ან/და ქმედების

<sup>1</sup> ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, 2013 წ., გვ. 288.

შემადგენლობის რომელიმე ნიშნის განხორციელებაში გადამწყვეტი როლის თამაში, ხელის გაკავება მსხვერპლისათვის, როცა მას დანას უყრიან, დაკავშირებულია ქმედების შემადგენლობის უშუალო განხორციელებასთან, რაც, ბუნებრივია, თუ გათვალისწინებულია კერძო ნაწილში, როგორც ჯგუფური დანაშაული, გვაძლევს ამ დანაშაულის შემადგენლობას.

მაგალითად, მეგობრები პეტრე და პავლე ქუჩაში მისეირნობენ, უცებ პეტრე შემთხვევით გამვლელ ივანეს გააკავებს. პავლე ერთ ნაშში მიხვდება პეტრეს განზრახვას და ივანეს ჯიბიდან ფულს ამოაცლის. პეტრე და პავლე ძარცვის თანამსრულებლები არიან.

პეტრეს სხვისი ნივთის დაუფლება შეერაცხება, პავლეს კი ძალადობის გამოყენება. ანუ ივანეს გაკავება სსკ 178-ე მუხლის III ნაწილის „დ“ პუნქტით დანაშაულის ჩადენის საერთო გადამწყვეტილება მათ კონპლიდენტურად მიიღეს (სიტყვა კონპლიდენტური ნარმოდგება ლათინურიდან ჩონდუსიო, რაც სამოქალაქო სამართალში ნების უსიტყვო გამოვლენაა). წინასწარი შეთანხმების გარეშე კანონმდებელმა, როგორც ცალკე მაკვალიფიცირებელი გარემოება არ შეიტანა კანონმდებლობაში და მათი პასუხისმგებლობა დადგა 178-ე მუხლის ნაწილის „დ“ პუნქტით, თუმცა შესაძლებელია ამ დანაშაულის ჩადენა, როცა მონაწილეობას იღებენ წინასწარ შეთანხმებულად. მაგ. პირი, ხედავს, რომ მისი მეგობარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საშიში ძალადობით ცდილობს ქუჩაში გამვლელს გახადოს ქურთუკი, მივიდა მასთან და დაეხმარა დამნაშავეს დაზარალებული წინააღმდეგობის დაძლევაში, ორივე დამნაშავე პოასუხ ს აგებს 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ პუნქტით, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისათვის<sup>1</sup>.

კანონმდებელმა აღნიშნული ქმედება მიიჩნია ჯგუფურ დანაშაულად, რის გამოც მის ჩამდენს შეერაცხა ჯგუფური დანაშაული, ე.ი. ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია მოქმედება თანამსრულებლობის ხასიათს ატარებდეს, თანაც ეს მოქმედება, კანონმდებელს მიაჩნდეს ჯგუფურ დანაშაულად, რაც უნდა აისახოს, სს კანონმდებლობაში კერძო ნაწილის კონკრეტულ მუხლში.

ჩვენ, ერთის მხრივ, ვაწყდებით ერთ მნიშვნელოვან საკითხს. მოქმედება შეიძლება იყოს წინასწარ დაგეგმილი ერთობლივი ამსრულებლობა, რომელმაც შეიძლება არ მოგვცეს ჯგუფური დანაშაული, რადგან კანონმდებელმა ამაზე სათანადოდ არ მიუთითა. მეორე შემთხვევა, ერთმანეთთან წინასწარ შეთანხმებული მოქმედება, მაგრამ ჯგუფური დანაშაული, რადგან ამაზე პირდაპირ კანონმდებელმა მიუთითა და ამით დაამძიმა მათი სისხლის სს სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ანუ, ერთი სიტყვით კანონმდებლის განსაზღვრის საკითხია. ჩვენი დაკვირვებით ყურადღება შევაჩერეთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. კანონმდებელი ზოგიერთ შემთხვევაში დათქმას აკეთებს მხოლოდ „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ“ საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ 227-ე მუხლი, „საპაერო ან წყლის ხომალდის ან რკინიგზის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება. ამ მუხლის II ნაწილის „ა“ პუნქტში საუბარია ჯგუფზე, მხოლოდ წინასწარი შეთანხმებით, ქმედების კვალიფიკაცია ჯგუფურ დანაშაულად ვერ მოხდება, თუ ჯგუფი მოქმედებდა წინასწარი შეთანხმების გარეშე. თუ ჯგუფია ორგანიზებული, ქმედების კვალიფიკაცია მოხდება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. აქაც კანონმდებელმა ყურადღება არ გადაიტანა ორგანიზებულებაზე, მისთვის მთავარია წინასწარი შეთანხმების არსებობა, დამატებით ორგანიზებული ჯგუფისათვის ცალკე არ დაამძიმა პასუხისმგებლობა.

ჯგუფურ დანაშაულში მაინც ყველაზე ხშირი ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ჩადენილი დანაშაულია, რომელიც უნდა ატარებდეს ურთიერთშეთანხმებით ხასიათს, ვინაიდან საკითხი ეხება პირთა წინასწარ შეთანხმებას. პროფ. მ. ლეკვეიშვილი აღნიშნავს, რამდენიმე პირის მიერ წინასწარი შეთანხმებით დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობა უფრო საშიშია, ვინაიდან რამდენიმე დამნაშავის კოლექტიურ მოქმედებას ნულამდე დაჰყავს დაზარალებულის აიუცილებელი მოგერიება, პარალიზებას უკეთებს, ამცირებს მისი ნების გამოვლენას. რაც უფრო იოლს

<sup>1</sup> სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004 წ., გვ. 217.



ხდის დამნაშავის მიერ შედეგის განხორციელებას, ამასთან იზრდება დანაშაულის კვალის დაფარვის შესაძლებლობა<sup>1</sup>.

ჯგუფი, სისხლის სამართლის სამართლებრივი მნიშვნელობით მხოლოდ ორი ან მეტი პირის მექანიკურ გაერთიანებას არ წარმოადგენს. რაოდენობრივი ნიშანი არ არის საკმარისი ჯგუფის არსებობისათვის. ჯგუფურ დანაშაულზე, ანუ თანაამსრულებლობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა ჯგუფის ორი წევრიდან ორივე პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით. თუ ვინმე დანაშაულში მონაწილეობას მიაღებინებს მცირეწლოვანს ან ფსიქიკურად დაავადებულს, მან არ შეიძლება აგოს პასუხი თანაამსრულებლობისათვის. ჩვენ ვიცით ფაქტობრივი და იურიდიული ჯგუფი. თუ პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ ჯგუფის ერთ წევრს, ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციას ვერ მოგვცემს.

ფაქტობრივი ჯგუფიდან ყველას არ ეკისრება სს პასუხისმგებლობა. პოფ. ო. გამყრელიძეს მოყვანილი ჰყავს ცომაიების და გასვიანების ქმედებების კვალიფიკაცია. თუ დამტკიცებულად ჩავთვლით, რომ ცომაიამ ძმებ გასვიანებთან ერთად ნამდვილად ჩაიდინეს ქურდობების მთელი სერია, ამიტომ სასამართლომ სავსებით სწორად მიიჩნია, რომ ქურდობა ორგანიზებული ჯგუფის მიერ იყო ჩადენილი. სავსებით მართებულია პოფ. ო. გამყრელიძის პოზიცია, რომელიც აღნიშნავს, სწორ კვალიფიკაციას ხელს უშლის ერთი არსებითი გარემოება, საქმე ის არის, რომ ჯგუფი წინასწარი შეთანხმებული იყოს ის თუ ორგანიზებული, სულერთია. სასამართლოს არ უნახავს ძმები დ. და ი. გასვიანები, რომლებთანაც ერთად თურმე ცომაია დანაშაულს ჩადიოდა, გაქცეულან და სასამართლო პროცესზე არ დასწრებიან. ამიტომ აქ დარღვეულია თანამედროვე საპროცესო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელსაც უშუალოდ პრინციპსაც უწოდებენ, ზოგიერთი მეცნიერი ამ საკითხზე ფიქრობს, მთავარია, რომ ზემოქმედებას ახდენს ჯგუფი და გამოდიან ერთიანი ძალებით, მაგრამ, ვფიქრობთ, აქ მთავარია, რომ პასუხისმგებლობა სახეზე იყოს იურიდიული ჯგუფი სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობით, ან როდესაც ჯგუფის ერთი წევრი მიმალვამია (როდესაც გაქცეულია წინასწარი საპატიმრო დაწესებულებიდან და არ მოხდება მისი წარდგენა სასამართლო პროცესზე, ასეთ შემთხვევაში ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ).

და კიდევ ერთი საკითხი, როცა სასამართლოები წინასწარ შეთანხმების ფაქტს აქცევენ ყურადღებას და შეფასების გარეშე ტოვებენ ჯგუფის მიერ ჩადენილ რამდენიმე დანაშაულს. ასეთ დროს საქმე გვაქვს ორგანიზებულ ჯგუფთან, როცა ჯგუფს ჩადენილი აქვს რამდენიმე დანაშაული და ასევე როგორ უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება სასამართლომ, როცა სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა ჯგუფის მიერ უტყუარად არ მტკიცდება და ვერც მათ მიერ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად შეკავშირების განზრახვა, განსასჯელებს ალბათ მოეხსენება, ისეთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი, როგორიცაა, ორგანიზებული ჯგუფი. სასამართლო პრაქტიკაში ასევე ცნობილია ჯგუფური დანაშაული, რომლის წევრები შეთანხმდნენ მეორე დანაშაულის ჩადენაზე მხოლოდ პირველი დანაშაულის ჩადენის შემდეგ. ასეთი ქმედება დაკვალიფიცირდა როგორც ჯგუფური დანაშაული. ჯგუფი მაინც შეთანხმებულია რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ არა წინასწარ, რაც მეცნიერებაში აჩენს მოსაზრებას, ასეთი ჯგუფის კვალიფიკაცია ხომ არ უნდა მომხდარიყო, როგორც ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული. ბუნდოვანებას ხომ არ იწვევს ასევე 27-ე მუხლის II ნაწილი, როცა დანაშაულის ჩადენა თანაამსრულებელთა მიერ სახელდობით არ ითვალისწინებს ო. გამყრელიძის და გ. ნაჭყებიას აზრით შესაძლებელია, რომ ჯგუფის მხოლოდ ერთი წევრი იყოს ამსრულებელი, დანარჩენები კი ვიწრო გაგებით, თანამონაწილეები (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე). სულ სხვაგვარია პროფ. მ. ტურავას მოსაზრება. მისი აზრით, აუცილებლად თანაამსრულებლობა იგულისხმება. თანამონაწილეობა საკმარისი არაა, სამართლებრივი სიკეთისათვის შექმნილი საფრთხე უფრო დიდია, როდესაც

<sup>1</sup> მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2011, გვ. 44.

ქმედების შემადგენლობას რამდენიმე პირი ასრულებს. პროფ. ტურავას მოჰყავს მაგალითი ამ მოსაზრების სადემონსტრაციო. გაუპატიურება, როდესაც ერთი პირი წამქეზებელია, მეორე დამხმარე და მესამე ამსრულებელი, კვალიფიცირდება მხოლოდ თანამონაწილეობად და არა ჯგუფურად ჩადენილ გაუპატიურებად, რადგან არაა თანაამსრულებლობა. ანალოგიურ საკითხზე მსჯელობს პროფ. ნ. თოდუა, რომელსაც უწოდებს საკამათო კვალიფიკაციას, იზიარებს იმ შეხედულებას, რომ ეს არის აუცილებლად თანაამსრულებლობა და მიუთითებს სსკ 25-ე მუხლზე, სადაც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაა განსაზღვრული. ამ საკითხზე, ვფიქრობთ, უნდა დაფიქრდეს კანონმდებელი, რაკი ორპარტიანობა გაუთავებელ კამათს გამოიწვევს მეცნიერთა შორის. მართებულია პროფ. ო. გამყრელიძის პოზიცია, რომელიც ამბობს, სახელდობრ, 27-ე მუხლის II ნაწილი თანაამსრულებლობას არ გულისხმობს. ამის თქმის საფუძვლივს აძლევს სიტყვა „ერთობლივი“, რომელიც თანამონაწილეობის ტერმინიც არის ამავე დროს.

ასევე საინტერესოა პროფ. მ. ტურავას მოსაზრება, როცა პირთა ჯგუფმა გადაწყვიტა ყაჩაღობა ერთ-ერთი მათგანი არ შესულა ბინაში და უშუალოდ მონაწილეობა არ მიუღია ყაჩაღურ თავდასხმაში, არამედ გარეთ დაელოდა სხვებს, რათა საფრთხის შემთხვევაში მათთვის მიენობებინა ინფორმაცია. მ. ტურავას აზრით, ეს არ ეწინააღმდეგება სსკ 22-ე I ნაწილს. „ამსრულებელია“ ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან – „თანაამსრულებელთან“ ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში. ამ ნორმის ინტერპრეტაცია შეიძლება ფორმალურ-ობიექტურად, რომლის მიხედვითაც ამსრულებელი შეიძლება იყოს ის, ვინც უშუალოდ ახორციელებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას, ხოლო ის ვინც ფუნქციონალურადაა დაკავშირებული შემადგენლობის განხორციელებასთან, შეიძლება იყოს მხოლოდ დამხმარე. ასეთი ინტერპრეტაცია, პროფ. მ. ტურავას აზრით, მოძველებულია, ასეთი პირი არ შეიძლება იყოს მხოლოდ დამხმარე, არამედ იგი ფუნქციონალური თანაამსრულებელია.

ეს განვითარებული თვალსაზრისი ეწინააღმდეგება თინათინ წერეთლის პოზიციას.<sup>1</sup>, რომელიც მიიჩნევს, რომ თანაამსრულებლად არ ჩაითვლება ის პირი, ვინც თუმცა დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედებს, მაგრამ დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ არ ახორციელებს. იგი ჯგუფიდან გამორიცხავს და თ. წერეთელს მოჰყავს მაგალითი, ის ვინც დანაშაულის ჩადენის მომენტში სადარაჯოზე დგას და ან, ვინც დანაშაულის ჩადენის პროცესში დაბრკოლებას აცილებს და უშუალოდ ამსრულებელს და ამით აძლევს მათ შესაძლებლობას, ბოლომდე მიიყვანონ დანაშაული. თუმცა საბჭოთა სისხლის სამართალში იყო გამოთქმული მოსაზრება მისი პოზიციის საწინააღმდეგოდ. პროფ. მ. ტურავა გამოდის რა პროფ. თ. წერეთლის პოზიციის წინააღმდეგ, ამბობს „დარაჯად დგომა“, ისევე როგორც დანაშაულის სხვაგვარი დაბრკოლების თავიდან აცილება, რომელიც განხორციელდება შემადგენლობის შესრულების პროცესში, წარმოადგენს დანაშაულის უშუალო ამსრულებლობას, მაგრამ ასეთ მოსაზრება უკრიტიკოდ ვერ მივიღებთ.

გამომდინარე აქედან, ამსრულებელია ის, ვისაც უშუალოდ სისრულეში მოჰყავს დანაშაული. პროფ. თ. წერეთელი ხომ არ გულისხმობდა, დარაჯი დანაშაულის სისრულეში მოყვანისაგან შორს დგას. ის გვერდითი ფიგურაა, დამხმარის ფუნქციას ვერ გაცდება (ხაზგასმა ჩვენია – ზ. გ.). ამით შესაძლებელი ხომ არ არის, უსაფუძვლოდ გაფართოვდეს სსკ პასუხისმგებლობა ჯგუფური დანაშაულისადმი.

ჯგუფური დანაშაულის ყველაზე რთული საქმე, როგორც აღვნიშნეთ, ორგანიზებული ჯგუფია, როგორც ეს არის მოცემული სისხლის სამართლის კოდექსში. 27-ე მუხლში წერია, ორგანიზებული ჯგუფი ისეთი დანაშაულებრივი ჯგუფია, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად.

პროფ. გამყრელიძე აღნიშნავს, როდესაც კოდექსი იქნა მიღებული, სიტყვა ერთი არ იყო ნახსენები, მაშინ ამ მუხლში ეწერა, მხოლოდ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად. სიტყვა ერთი ამ ტექსტს დაემატა 2006 წლის 25 აგვისტოს კანონით, ამ დამატებით მეცნიერთა მოსაზრებებით

<sup>1</sup> თ, წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, 1965 წ., გვ. 135.

მივიღეთ ენობრივი უაზრობა. ეს კი აშკარაა, ერთი და რამდენიმე აქ ერთმანეთის ურთიერთგამომრიცხავი სიტყვებია, რადგან თავისთავად გულისხმობს რამდენიმეს<sup>1</sup>. ჯგუფი, რომელიც ერთი დანაშაულის ჩასადენადაა შექმნილი, მითუფრო ჩაითვლება ასეთი ჯგუფი ორგანიზებულად, როცა მას რამდენიმე დანაშაულის ჩადენა აქვს განზრახული. ამიტომ სიტყვა „ერთის“ შემოტანით კანონმდებელს სიტყვა „რამდენიმე“ უნდა ამოელო ტექსტიდან. ასეთმა ცვლილებამ გააბუნდოვანა ორგანიზებული ჯგუფის ცნება. ორგანიზებული ჯგუფი ხშირად იქმნება მრავალი დანაშაულის ჩასადენად. ეს არის მყარი ჯგუფი, ამ თვალსაზრისით, ორგანიზებული ჯგუფი 27-ე მუხლის მიხედვით იგივე ბანდაა. იტალიური სიტყვა ბანდა მყარი დანაშაულებრივი ჯგუფია, რადგან ერთზე მეტი დანაშაულის ჩასადენად იქმნება. მართალია, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაზე არაპირდაპირი მითითებაა ამ ფორმირების სიმყარის შესახებ, მაგრამ არ შეიძლება შეიარაღებულ პირთა ჯგუფი ჩაითვალოს ფორმირებად, თუ მათი მიზანია ერთჯერადი საქმიანობა. ამდენად სიმყარე, ანუ ხანგრძლივი დროით თანამშრომლობა, ამ ფორმირების ერთ-ერთ ნიშად უნდა ჩაითვალოს. ასეთი დანაშაულები დამთავრებულად ითვლება მათი შექმნის მომენტიდან. პროფ. თ. დონჯაშვილს ასეთი მოსაზრება გააჩნია: თითქოს ორგანიზებული ჯგუფი იქმნება როგორც წესი რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად, მაშინ, როცა ბანდა შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ერთი თავდასხმისათვის. ეს ორი ცნება ერთმანეთისგან კიდევ სხვა ნიშნითაც განსხვავდება. ბანდის შექმნა უკვე დამთავრებული დანაშაულია, მაშინ, როცა ორგანიზებული ჯგუფის შექმნა, ქურდობის ან სხვა დანაშაულის ჩასადენად დანაშაულის მომზადებად დაკვალიფიცირდება. პროფ. ო. გამყრელიძე მიუთითებს ორგანიზებული ჯგუფის შექმნაზე ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით. მაგ., ვინმემ ორგანიზება გაუკეთოს ჯგუფს განზრახ მკვლელობის მიზნით<sup>2</sup>. მკვლელობა მოხდა შურისძიების მოტივით. ცხადია, ამ მოტივით მკვლელობის შემდეგ ჯგუფი დაიშლება, აღარ გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას. თუ ორგანიზებული ჯგუფი შექმნილია ერთი დანაშაულის ჩასადენად, მაშინ ჯგუფის წევრთა მოქმედება დაკვალიფიცირდება ჩვეულებრივ ჯგუფურ დანაშაულად, ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, თუკი კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ასეთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს ითვალისწინებს. ასეთი ჯგუფი არ იქნება მყარი ჯგუფი. მყარი ჯგუფისათვის დამახასიათებელია მრავალი დანაშაულის ჩადენა. ორგანიზებული ჯგუფი დანაშაულის ჩასადენად აშკარად განსხვავდება წინა 2 დანაშაულებრივი ჯგუფისაგან. ბოლო შემთხვევაში სახეზეა პირთა ჯგუფის ორგანიზებული კავშირი. ეს ორგანიზებული კავშირი აგებულია მკაცრ საშემსრულებლო დისციპლინაზე, მეტი და ნაკლები ხარისხის როლების მკვეთრ განაწილებაზე. მასში მონაწილე პირთა სუბორდინაციაზე.

ჯგუფის ორგანიზება დროში წინ უსწრებს დანაშაულის ჩადენას, რამდენადაც ჯგუფის შექმნა და ორგანიზება ერთბაშად, როგორც წესი, შეუძლებელია. ასეთი ჯგუფები ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო გარემოსაგან მკაცრად გამიჯნულია, რათა ამ ჯგუფის საქმიანობა სხვა შემთხვევითი პირებისაგან უცნობი დარჩეს. მასში არ შეაღწიონ შემთხვევითმა პირებმა, რამაც შესაძლებელია ჯგუფის დეზორგანიზაცია გამოიწვიოს. ეს კეთდება მკაცრი კონსპირაციის მიზნითაც. იმიტომ უნოდებენ სტრუქტურული ფორმის ჯგუფს. მისი ჯგუფის ორგანიზებულად აღიარებისათვის საჭიროა, რომ იგი დანაშაულის დაუყონებლივ შემთხვევით არ იყოს შექმნილი. ბანდის განსაზღვრებას ნ. თოდუა ასე აყალიბებს წევრთა თავისუფალი დენადობის არარსებობა, მტკიცე შინაგანი წესრიგი, ხანგრძლივი დროით მოქმედება, ერთზე მეტი, ანუ რამდენიმე დანაშაულის განსახორციელებლად.

ზოგჯერ ორგანიზებული ჯგუფები იქმნება საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნებიდან გამომდინარე. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ მაფია, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია. თავდაპირველად ის შეიქმნა იტალიის კუნძულ სიცილიაზე ძალადობისა და მოსახლეობის ორგანიზებული თავდაცვის მიზნით. შემდეგში კი მან მიიღო დანაშაულებრივი ხასიათი. საქარ-

<sup>1</sup> ო. გამყრელიძე, სსკ განმარტება, თბ., 2008წ., გვ. 213.

<sup>2</sup> ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტ., 2013, გვ. 201.

თველოს შეიარაღებული დაჯგუფება „მხედრიონი“ თავდაპირველად პატრიოტული მიზნით შეიქმნა, შემდეგ მან ბანდის სახე მიიღო.

ზოგჯერ ორგანიზებული ჯგუფის სპეცილური დეფინიცია იქმნება კანონმდებლობაში, რაც გაურკვეველობას იწვევს. კერძოდ, კოდექსის 17-ე მუხლის მიხედვით რეკეტი არის შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემურად მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან. პროფ. ო. გამყრელიძე მართებულად შენიშნავს, ორგანიზებული ჯგუფის და რეკეტის ცნებები, როგორც აქედან ირკვევა, ძლიერ წააგავს ერთმანეთს. თანაც ეს ორივე ცნება გამოირჩევა ბუნდოვანებით. საყურადღებოა, როგორ გამოიყენება ეს ცნებები ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში. „ორგანიზებულობა“ და არაერთჯერადობა 27-ე მუხლშიცაა და 17-ე მუხლშიც. ფინანსური და სხვა მატერიალური სარგებლის მიღებაც ორივე მუხლშია ნახსენები. პროფ. ო. გამყრელიძე კიდევ ერთ საკითხს აქცევს ყურადღებას, კერძოდ რა აუცილებლობას წარმოადგენდა ჩვენს კოდექსში რეკეტის ცნების შემოტანა, რით ვერ აკმაყოფილებდა მოქმედი კოდექსის მუხლები ჩვენს სასამართლო და საგამომძიებლო პრაქტიკაში წამოჭრილ საკითხებს. პროფ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი წერს<sup>1</sup>: ეს მუხლი კანონმდებელმა 2004 წლის 24 ივნისს – ივნისის კანონით შემოიღო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბძოლის მიზნით. რეკეტისათვის დამახასიათებელი ყოფილა ქმედების არაერთჯერადობა, რეკეტის განხორციელება სულ მცირე ორჯერ მაინც 5 კალენდარული წლის განმავლობაში და ქმედების ორგანიზებული ხასიათი კუმულაციურად უნდა იყოს მოცემული. მაგალითად, თუ ქმედება ამ 5 კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ განხორციელდა ან/და თუ ეს ქმედება არ იყო აღსრულებული ჯგუფის მიერ, იგი დაკვალიფიცირდება როგორც ჩვეულებრივი გამოძალვა და, რაც მთავარია, ჯგუფად უნდა ჩაითვალოს ერთზე მეტი, ე.ი. ორი ადამიანი მაინც. 224-ე მუხლით პასუხისმგებლობაა დაწესებული რეკეტურ დაჯგუფებაში მონაწილეობისათვის. პროფ. ო. გამყრელიძე ისევ მართებულად შენიშნავს, კერძო ნაწილში პასუხისმგებლობა დაწესდა 2006 წლის 26 აგვისტოს. რა მნიშვნელობა ჰქონდა კოდექსის ზოგად ნაწილში ამ ცნების შემოტანას?

პროფ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი მიუთითებს დასახელებულ კანონის შემოღებისას ავტორმა იხელმძღვანელა აშშ-ის ფედერალური კანონით, ანუ ერთგვარი გაუგებრობა შეიქმნა სს კანონმდებლობაში. ყოველივე გვაფიქრებინებს, ასეთი შემთხვევები კანონმდებლობაში ხომ არ არის უცხოურისადმი ბრმად მიმბაძველობის გავლენით, რომლის შედეგადაც ეს უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტი ნამდვილად რომ გამოდის ნორმალური მდგომარეობიდან<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ქ. მჭედლიშვილი, ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011წ., გვ. 252.

<sup>2</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 392.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. III, თბ., 2013.
2. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004 წ.
3. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011 წ.
4. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008 წ.
5. მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, ვ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2011.
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2013 წ.
7. მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2000 წ.
8. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1966 წ.

**სიკვდილით დასჯა ხამურაბის კანონების მიხედვით და პარალელურად  
გაკლება მოსეს სჯულთან****ანოტაცია**

ადამიანის უფლებები, როგორც ცნება ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ადამიანის არსებობის ისტორიის მთელ მანძილზე. ამ პერიოდის განმავლობაში ის მყარადაა დაკავშირებული კანონებთან და სამართალთან.

ნაშრომის მიზანია უძველესი პერიოდის სამართლებრივი ძეგლებიდან, კერძოდ, ხამურაბის კანონებისა და მოსეს სჯულის ხუთნიგნეულის მიხედვით გამოყენებული სასჯელებიდან სიკვდილის დასჯის მუხლობრივი განხილვა და მათი შედარება ერთმანეთთან პარალელურ რეჟიმში.

ხამურაბის კანონები წარმოადგენს პრეცედენტულ მოვლენას სამართლის ისტორიაში. იგი შეიქმნა ბაბილონის ქვეყანაში მეფე ხამურაბის დროს, 4000 წლის წინ. აღმოჩენილია ქ. სუზაში 1902 წელს. იგი შეიცავს 282 მუხლს. ამ კანონის არსებობამ უდიდესი მნიშვნელობა იქონია სამართლებრივი სისტემის განვითარებაზე. კანონების ჩვენამდე მოღწეული პირველი კოდექსი შუმერ მეფის შულგის ეკუთვნის, შემდეგია ისინის სამეფოს მეფის ლიპიტ იშტარის კანონები, ხოლო ხამურაბის კანონების უშუალო წინამორბედაა ეშნამუს კანონები, რომელიც ძვ. წ. 1790 წლით თარიღდება. ამ კანონების მიხედვით, სახეზეა მესოპოტამიის იურისპრუდენციის ტრადიციის განვითარება, რომლის კულმინაციაა ხამურაბის კანონები. კანონები შემდეგი ნაწილები-საგან შედგება: მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები, მეფის ტაძრებისა და თავისუფალი ქონების დაცვა, სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული ნორმები, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები, სავაჭრო და კომერციული ოპერაციები, ოჯახური სამართალი, ფიზიკური დასახიჩრებები, მოძრავ ქონებასთან და მის დაქირავებასთან დაკავშირებული ოპერაციები.

**Neli Gongadze**  
*Master of Law*

**DEATH PENALTY ACCORDING TO KHAMURABI LAWS AND PARALLEL LINES WITH  
THE LAWS OF MOSES****Abstract**

The work discusses the death penalty according to the Khamurabi Laws and compares it with the legal laws of Moses.

If secular law expresses the will of the state, church law expresses the will of God. Moses Law is the first and the oldest Biblical legislation, which was a standing law in the Christian world and in Georgia as well.

The work directs the attention to the aim and types of the crimes, their connection with different countries and their history. It represents the death penalty according to the Khamurabi Laws and draws parallels with the penalties of the same crimes according to different legislations. Both Khamurabi and Moses legislations approve the death penalty. Moreover, the same punishments were used for the same crimes. There are contextual similarities and coincidences between their paragraphs and norms.

The researches have established that Biblical legislation is not directly borrowed from Khamurabi's legislation and is not influenced by it.

## სიკვდილით დასჯა ხამურაბის კანონების მიხედვით და კარალელების გავლენა მოსეს სჯულთან

ხამურაბის კანონები წარმოადგენს პრეცედენტულ მოვლენას სამართლის ისტორიაში. იგი შეიქმნა ბაბილონის ქვეყანაში მეფე ხამურაბის დროს, 4000 წლის წინ. აღმოჩენილია ქ. სუზაში 1902 წელს. იგი შეიცავს 282 მუხლს. ამ კანონის არსებობამ უდიდესი მნიშვნელობა იქონია სამართლებრივი სისტემის განვითარებაზე. კანონების ჩვენამდე მოღწეული პირველი კოდექსი შუმერ მეფეს შულგის ეკუთვნის, შემდეგია ისინის სამეფოს მეფის ლიპიტ იშტარის კანონები, ხოლო ხამურაბის კანონების უშუალო წინამორბედაა ეშნამუს კანონები, რომელიც ძვ. წ. 1790 წლით თარიღდება. ამ კანონების მიხედვით, სახეზეა მესოპოტამიის იურისპრუდენციის ტრადიციის განვითარება, რომლის კულმინაციაა ხამურაბის კანონები. კანონები შემდეგი ნაწილები-საგან შედგება: მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები, მეფის ტაძრებისა და თავისუფალი ქონების დაცვა, სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული ნორმები, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები, სავაჭრო და კომერციული ოპერაციები, ოჯახური სამართალი, ფიზიკური დასახიჩრებები, მოძრავ ქონებასთან და მის დაქირავებასთან დაკავშირებული ოპერაციები.

საეკლესიო, ანუ კანონიკური სამართალი წარმოადგენს იმ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებენ ურთიერთობას ეკლესიასა და მრევლს შორის. ასევე მრევლს შორის წარმოშობილ ურთიერთობას. ნორმები ითვლება ღვთისაგან დადგენილად, ობიექტური ჭეშმარიტების განცხადება ადამიანთა მიმართ, „იესო ქრისტემ ნებსითითა სიკუდილითა მისიცა მოგუცა ზიარება და დაგვიდუა კანონად სინანულისა“, ხოლო საერო სამართალი გამოხატავს არსებული ხელისუფლების ნებას. საერო სამართალი იცვლება ამა თუ იმ საკითხის მიმართ, ისტორიის შესაბამისად, ხოლო საეკლესიო სამართალი არის უცვლელი, მუდმივი და ჭეშმარიტი. მას არ ახასიათებს მოქმედება დროში და არ არის კონკრეტული პერიოდისათვის, ისტორიული მოვლენებისადმი შექმნილი, ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით უცვალებელი არის ღმერთი და უცვალებელია მისი სამართალი.

უფალი იესო ქრისტე ამბობს: „არა მნებავს სიკუდილი ცოდვილისაი, არამედ მოქცევაი და ცხოვრებაი მისი“. ეს სახარებისეული ჭეშმარიტება დაედო საფუძვლად ქრისტიანულ მოძღვრებას. ახალი აღთქმის მიხედვით მართლმადიდებლური სამართლებრივი მოძღვრებით სასჯელის მიზანი იყო მონანიება, წვრთნა და კურნება ცოდვილისა. საინტერესო ცნობებს გვანვდის სასჯელთა ისტორიის შესახებ მცირე სჯულის კანონში შემავალი თხზულების“ კანონნი შეცოდებულთანი“-ს ავტორი იოანე მმარხველი, ის აღნიშნავს, რომ პირველი სასჯელი ღმერთმა ადამიანთა მიმართ გამოყენა, ეს იყო ექსორია, ანუ გაძევება, როცა მან მცნებების დარღვევებისათვის სამოთხიდან გამოაძევა ადამი და ევა, შემდეგი სასჯელი იყო წარღვნა, სოდომისა და გომორის განადგურება, რომელთა მიზანი უკეთურობის მოსპობა და კაცობრიობის განახლება გახლდათ. მას შემდეგ, რაც ადამის მოდგმამ ცოდვა არ მოიშალა, ღმერთმა კაცობრიობას მოსეს სჯულის სახით ხორციელი ტანჯვა დაუდგინა. მოსეს სამართალი პირველი და უძველესი ბიბლიური სჯულმდებლობის კომპილაციაა, რომელიც ძველი დროიდან მოქმედებდა საქრისტიანო მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემი ნაშრომის მიზანია, ხამურაბის კანონების მიხედვით სასჯელებიდან რა შემთხვევაში გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯა მოსეს სჯულის ხუთნიგნეულიდან, ხამურაბის კანონებიდან 28 მუხლი ეხება სასჯელთა სახეობას, სიკვდილით დასჯას.

კანონი შეცოდებულთანი ახსნილია როგორც ღმერთის ნება, ჩამოყალიბებული თვალსაზრისით ღმერთს ადამიანის ტანჯვა და სიკვდილი კი არა, არამედ მისი გამოსწორება სურს. ღმერთმა დაინახა, რომ ადამიანები მაინც ვერ გამოსწორდნენ, სწორედ ამიტომ მათ მისცა ძველი

სჯული, ანუ მოსეს სჯული, რითაც დაწესდა ხორციელი სასჯელი იმ პირთა მიმართ, ვისაც ცოდვისაკენ ჰქონდა მიდრეკილება. ამით ღმერთი ადამიანთა მოქცევას ფიქრობდა სიკეთისაკენ. ივ. ჯავახიშვილი ასახელებს ოთხ მიზანს სასჯელის დანიშნისათვის. 1. დამნაშავის დასჯის დროს სასჯელის მიზანი იყო ზნეობრივი გამოსწორება. 2. დამნაშავე პირის მიმართ ხორციელი და ფიზიკური ვნების მიყენება იმ პირთა მიმართ გამოიყენებოდა, რომელთა გამოსწორება არ ხერხდებოდა წვრთნითა ან ჰუმანური გზით. 3. ექსორია და გაძევება. 4. სიცოცხლის მოსპობა.

განვიხილოთ მუხლები ქურდობის შესახებ. პარვა ანუ ქურდობა ეწოდებოდა სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას. ხამურაბის კანონების მე-6 მუხლით “უკეთუ კაცმა ღმერთის ანდა სასახლის ქონება მოიპარა ეს კაცი უნდა მოკვდეს და ვინც ნაპარევი მისი ხელიდან მიიღო, ისიც უნდა მოკვდეს“. აქ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ქურდმა მოიპარა მდიდარი ადამიანის ქონება. მეშვიდე მუხლში კი „უკეთუ კაცმა ანდა ვერცხლი, ანდა ოქრო, ანდა მონა ქალი, ანდა ხარი, ანდა ცხვარი, ანდა ვირი, სხვა კაცის შვილისაგან ან კაცის მონისაგან მოწმეების ან საბუთის გარეშე იყიდა, ან შესანახად მიიზარა, ეს კაცი ქურდია და სიკვდილით უნდა დაისაჯოს“. მე-6 მუხლისაგან განსხვავებით აქ კონკრეტული ნივთების ჩამონათვალია, სადაც ასევე მათთან გაიგივებულია მონებიც. აქ მართლსაწინააღმდეგო ქმედება პარვით კი არ გამოიხატება, არამედ კაცმა საბუთის გარეშე შეიძინა, ან შესანახად მიიზარა. თუ ამ კაცს გამოუჩნდება მომჩივანი, ასეთ შემთხვევაში საბუთის გარეშე შეძენილი ან მიზარებული ქონების მიმღები ითვლება ქურდად და ის ძალიან მკაცრად, სიკვდილით ისჯება. ხოლო მე-10 მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს მე-6 მუხლს: „უკეთუ მყიდველი გამყიდველსა და სყიდვა გაყიდვის დამსწრე მოწმეებს ვერ მოიყვანს, ხოლო დანაკარგის პატრონები სასამართლო განხილვის დროს მყიდველმა თავისი სასარგებლო მოწმეები ვერ წარმოადგინა, ხოლო დანაკარგის პატრონმა მოიყვანა თავისი ნივთის მცნობელი მოწმეები, მყიდველი ჩაითვლება ქურდად და იგი სიკვდილით ისჯება“. სიკვდილით ისჯება ქურდობის მცდელობაც. 21-ე მუხლში ვკითხულობთ; „უკეთუ კაცმა სახლში შესაპარავად ხვრელი გათხარა ამ ხვრელის წინ უნდა მოკლან და ჩამოკიდონ“, აქ კანონმდებელი არ ითვალისწინებს კაცი რა მიზნით შედიოდა სახლში, რატომ გათხარა ხვრელი, იქნებ მას სულ არ უნდოდა ქურდობა და სხვა მიზნით შედიოდა სახლში. კანონმდებელი ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე მშრალად მიუთითებს სიკვდილით დასჯაზე. კანონის 25-ე მუხლში მითითებულია ადამიანის ქურდობაზე, რომელიც ჩადენილია უზნეო კაცის მიერ. „უკეთუ სახლს ცეცხლი გაუჩნდა და ჩასაქრობად მისულმა კაცმა სახლის პატრონის ჭურჭელს თვალი დაადგა და სახლის პატრონის ჭურჭელი წაიღო, ეს კაცი ცეცხლში უნდა ჩააგდონ“. აქ, ნაცვლად დახმარებისა, კაცი ჭურჭელს იპარავს და სასჯელად მის მიმართ ცეცხლში დანვაა გათვალისწინებული... ასევე მკაცრი სასჯელია გათვალისწინებული სადგომში შეღწევისათვის. 110-ე მუხლით, უკეთუ ნადითმა ან ქალქურუმმა, რომელიც ტაძრის უბანში არ ცხოვრობს სამიკიტნო გაალო, ანდა სასმელისათვის სამიკიტნოში შევიდა, ეს დედაკაცი უნდა დაწვან. აქ კიდევ უფრო მკაცრდება კანონი. აქ ლაპარაკია ერთ შემთხვევაში სამიკიტნოს გაღებაზე, თუგინდ გაალო, სამიკიტნოს კარები, არაფერი არ მოიპარო არც დალიო, სასჯელის სახით მაინც სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული. ამ მუხლში კონკრეტულად ქალის მიერ ჩადენილ დანაშაულზეა ლაპარაკი.

ხამურაბის კანონები ქურდობას ანსხვავებს ძარცვისაგან, 22-ე მუხლი მიუთითებს „უკეთუ კაცმა მძარცველობა ჩაიდინა და ეს კაცი შეიპყრეს, იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს, თუმცა მძარცველობა უფრო მძიმე დანაშაულია, სასჯელი ორივე შემთხვევაში მკაცრია და ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას. ძარცვის შემთხვევაში კანონი ასევე ითვალისწინებს დაზარალებულის მიმართ დახმარების განევას, რაც არ არის გათვალისწინებული ქურდობის ჩადენის დროს. 23-ე მუხლი მიუთითებს: „უკეთუ მძარცველი ვერ შეიპყრეს და გაძრცულმა კაცმა თავისი დანაკარგი ღმერთის წინაშე უნდა გამოაცხადოს და თემი და უხუცესი, რომლის მიწაზეც ან საზღვრებში მძარცველობა მოახდინა, დანაკარგს უნაზღაურებენ“.

სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მოსეს სჯულთან, მიუხედავად იმისა, რომ მოსეს სჯულის 10 მცნებიდან გათვალისწინებულია „არ იპარო“, დანაშაული მაინც ხდება. სასჯელის უკიდურესი ღონისძიება სიკვდილით დასჯა არ არის გათვალისწინებული. გამოსვლადან 21-ე თავის 37-ე მუხლში ვკითხულობთ: „თუ ვინმე ხარს ან ცხვარს მოიპარავს, დაკლავს და გაყიდის, ხარის წილი 5 ხარი და ცხვრის წილი 4 ცხვარი უნდა ზლოს.“ თუ ხამურაბის კანონებიდან ასეთ შემთხვევაში გამოყენებული იყო სიკვდილით დასჯა, აქ ზღვევასთან გვაქვს საქმე. მოსეს სჯულის სამართალი ზოგადად აღნიშნავს შეცოდების ერთ-ერთ სახედ პარვას. სასჯელის მიზანია მონანიება, წვრთნა და კურნება ცოდვილისა. ხამურაბის კანონებში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ადამიანის მოტაცებას, იგი გაიგივებულია პარვასთან. მე-14 მუხლში ვკითხულობთ: „უკეთუ კაცმა უსაკო შვილი მოიპარა, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს“, აქ მხოლოდ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც მსხვერპლი უსაკოა, ზრდასრულ ადამიანთან დაკავშირებით კანონმდებელი არ მსჯელობს.

მოსეს სჯულის გამოსვლიდან 21-ე თავის მე-16 მუხლში ვკითხულობთ: „ვინც კაცს მოიპარავს და გაყიდის ან მის ხელში აღმოჩნდება, სიკვდილით უნდა დაისაჯოს“, ხოლო მეორე რჯულის 24-ე თავის 7-ე მუხლის თანახმად: „თუ ნაპოვნი იქნება კაცი, რომელმაც მოიტაცა თავისი მოძმე ისრაელიანი და დაიმორჩილა და გაყიდა იგი, ეს მომტაცებელი უნდა მოკვდეს, აღმოფხვრი ბოროტებას შენი წიაღიდან“, ხამურაბის კანონების მიხედვით, მხოლოდ უსაკო ადამიანის მოპარვაზეა ლაპარაკი, ხოლო გამოსვლაში პირდაპირ მითითებულია არა მარტო იმაზე, რომ ადამიანი მოიპარეს, არ არის განსაზღვრული ასაკი და ასევე მითითებულია ისიც, რომ მოპარული ადამიანი გაიყიდა. მეორე რჯულის თანახმად, ისრაელიანთა მოტაცებასთან გვაქვს საქმე და სასჯელიც მკაცრია, გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა.

როგორც ხამურაბის კანონების, ასევე მოსეს სჯულის ხუთნიგნეულიდან მკაცრი სასჯელებია გათვალისწინებული ადამიანის მოტაცებასთან, იგი გაიგივებულია მოპარვასთან, ორივე შემთხვევაში სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული.

ხამურაბის კანონები ასევე მკაცრად სჯის მოძალადეებს. 130-ე მუხლის თანახმად: „უკეთუ კაცის ცოლზე, რომელმაც მამაკაცი არ იცის და მამის სახლში ცხოვრობს, ძალა იხმარა, გვერდით მიუწვა და წაასწრეს, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს, ხოლო ქალი უნდა გამართლდეს“. მეორე რჯულის 22-ე თავის 25-ე მუხლში ვკითხულობთ: „თუ მინდორში კაცი დანიშნულ ყმანვილ ქალს დაიჭრეს და დაწვება მასთან, უნდა მოკლან,“ 26-ე მუხლში კი „ქალს არაფერი დაუშავო, სასიკვდილო დანაშაულს არ იწვევს, ეს იმგვარი საქმეა, გინდა მონა კაცი დასხმოდეს თავს თავის მოყვასს და მოკლას, რადგან მინდორში შეხვდა მას, თუნდაც ეყვირა ყმანვილ ქალს არავინ იქნებოდა მისი მშველელი.“ ეს მუხლი თვითონ აკეთებს განმარტებას 25-ე მუხლისას. როგორც ხამურაბის კანონის, ასევე მოსეს სჯული განსაკუთრებულ მუხლებს უთმობს ძალადობის შემთხვევებს.

ხამურაბის კანონები განსაკუთრებით შეუწყნარებელია მრუმობისა და ღალატის მიმართ. კანონი იცავს ოჯახის სინმინდეს. 129-ე მუხლში ვკითხულობთ: „უკეთუ კაცის ცოლს სხვა მამაკაცთან მწოლარეს წაუსწრეს, ორივენი უნდა შეკრან და წყალში გადაყარონ“. 143-ე მუხლის მიხედვით: „უკეთუ ქალი თავშენახული არ არის, სახლიდან მიდის, თავის ოჯახს აჩანაგებს, ქმარს ამცირებს, ეს ქალი წყალში უნდა გადააგდონ“, პირველ შემთხვევაში ისეთი გარემოება იკვეთება, როდესაც კაცის ცოლს სხვა კაცთან წაუსწრებენ, მეორე შემთხვევაში კი ლაპარაკია თავშეუხახავ ქალზე, რომელსაც ოჯახი არ მიაჩნია მთავარ სინმინდედ, ორივე შემთხვევაში სასჯელი ითვალისწინებს წყალში გადაყრას. კიდევ უფრო მკაცრია სასჯელი, როდესაც კაცი თავის დედასთან დაწვება, 157-ე მუხლში ვკითხულობთ: „უკეთუ კაცი მამის სიკვდილის შემდეგ დედასთან დაწვება, ორივენი ცეცხლში უნდა დაწვან“.

დიდი უზნეობაა, როდესაც კაცი თავის მამის სიკვდილის შემდეგ თავის გამზრდელთან დან-



ვება. 158-ე მუხლის თანახმად: „უკეთუ კაცს მამის სიკვდილის შემდეგ თავის გამზრდელთან, რომელსაც შვილები ჰყავს ნაშობი წაასწრეს, ეს კაცი მამის სახლიდან უნდა მოიკვეთოს“, აქ თითქოს კანონმდებელი შეწყნარებას იჩენს ასეთი შემთხვევის დროს და მხოლოდ მოკვეთით შემოიფარგლება. სასჯელის მკაცრ სახეობას ითვალისწინებს 153-ე მუხლიც: „უკეთუ კაცის ცოლი სხვა მამაკაცის გულისათვის თავის ქმარს მოაკვლევინებს, ეს ქალი მარგილზე უნდა გასვან“. ამ მუხლში პირდაპირ იკვეთება განზრახი შემთხვევა ქალის მიერ სხვა მამაკაცის გულისათვის თავისი მეუღლის მოკვდინება. აქ შემოტანილია სასჯელის მთელი სიმკაცრე და დასჯის მკაცრი სახეობა, მარგილზე გასმა. მსგავსი პარალელების გავლება შეიძლება მოსეს სჯულის წიგნიდან ლევიტელთა მიხედვით მე-20 თავის მე-10 მუხლში ვკითხულობთ: „ვინც გათხოვილ ქალთან იმრუშებს, ვინც თავისი ახლობლის ცოლთან იმრუშებს უნდა მოკვდეს, როგორც მემრუშე კაცი, ასევე ქალი“. ამავე თავის მე-11 მუხლში კი: „ვინც თავისი მამის ცოლთან დაწვება თავის მამის შიშველ ახლის, ორივენი უნდა მოკვდნენ, მათზეა მათი სისხლი“. სასჯელი თუ ხამურაბის მიხედვით როგორც მამაკაცის, ასევე ქალის შეკვრას და წყალში გადაგდებას ითვალისწინებს, მოსეს სჯულის მიხედვით კი გათვალისწინებულია პირდაპირ სიკვდილით დასჯა, შეიძლება წყალში გადაგდებული არ მოკვდეს. მოსეს მეორე რჯულის 22-ე თავის 22-ე მუხლის მიხედვით: „თუ კაცს გათხოვილ ქალთან წაასწრეს ორივენი უნდა მოკლან ქალთან მწოლარე კაციცა და ქალიც, აღმოფხვრი ბოროტებას“. მოსეს რჯულის მიხედვით არა მარტო სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული, არამედ შეგონებაცაა, აღმოფხვრი ბოროტებას. აქ დარღვეულია 10 მცნებიდან „არ იმრუშო“. მიუხედავად ზოგიერთ შემთხვევაში მოსეს სჯულსა და ხამურაბის კანონებში მათი მუხლებისა და ნორმების შინაარსობრივი მსგავსებისა, ეს ძეგლები არ წარმოადგენენ ერთი მეორის გაგრძელებას, მოსეს სჯული მომქმედი სამართალი იყო საქრისტიანო მსოფლიოში მთელი შუა საუკუნეების მანძილზე.

ხამურაბის კანონები სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის დროსაც. 26-ე მუხლის თანახმად: „უკეთუ რედუ ანდა ბაირი, რომელსაც სამეფო ლაშქარში წასვლა ებრძანა და არ წავიდა, ან ქირისკაცი დაიქირავა და თავის ნაცვლად გააზავნა, ეს რედუ ან ბაირი, სიკვდილით უნდა დაისაჯოს, ნაქირავები კაცი სახლს მიიღებს“. რედუ ან ბაირი არიან სახელმწიფო მოხელეები, მათ მიმართ თუ სამეფო ლაშქარში იქნებოდა ნაბრძანები წასვლა, მათ არ ჰქონდათ უფლება, რომ თავის ნაცვლად სხვა გაეგზავნათ, ასეთ შემთხვევაში მათ სიკვდილით დასჯა ელოდებოდათ. ამ ინფორმაციით ხამურაბი ხაზს უსვამდა სახელმწიფოს ძლიერებას და თავდაცვისუნარიანობას, სიმტკიცეს. რედუ და ბაირი შეიძლება სამშობლოს მოღალატეებადაც კი შეირაცხონ.

სიკვდილით დასჯაა ასევე გათვალისწინებული ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ხუროს მიერ სახლი უხარისხოდაა ნაშენები და ჩამოინგრა.

229-ე მუხლში „უკეთუ ხურომ კაცის სახლი ააშენა, მაგრამ თავის ნახელავს სიმკვიდრე დააკლო, სახლი ჩამოინგრა და სახლის პატრონი მოკვდა, ეს ხურო უნდა დაისაჯოს სიკვდილით“. ხოლო 230-ე მუხლის მიხედვით „უკეთუ სახლის პატრონის შვილი მოკვდა, ხუროს შვილი უნდა მოაკვდინონ“. აქაც ძალიან სიმკაცრეს იჩენს კანონმდებლობა.

მოსეს სჯულიდან გამოსვლა ნაჩვენებია 21-ე თავის მე-12 „უკეთუ კაცმა ცემით მოკლა კაცი, თავადაც უნდა მოკვდეს“. მე-15 მუხლის მიხედვით კი „ვინც ხელს შემოკრავს თავის დედას და მამას, სიკვდილით უნდა დაისაჯოს“. მე-17 მუხლის თანახმად კი: „ვინც დასწყევლის თავის დედას და მამას, სიკვდილით უნდა დაისაჯოს“.

ზემოთ მოყვანილი მუხლები შეესაბამება 10 მცნებიდან: „პატივი ეცი დედასა და მამასა შენსა“.

level of professionalism and basic education; the issue of proper remuneration and/or reimbursement for the compliance officer's work and time has not been regulated either. In fact, in matters of remuneration, the compliance officer becomes fully dependant on the head of a company or an entity starting their first work day. In case of a conflict between him/her and the supervisor, the law provides no protection for the compliance officer. After all, the compliance officer's office is, firstly, a place of conflict, and, secondly, may carry high corruption risks. Therefore, this issue needs to be properly regulated by the legislation. One of the options in resolving this issue may be establishing the level of compliance officer's salary at least 80% wages of the given legal entity head. In addition, in cases when the head of an entity makes a decision in taking any financial sanctions toward the compliance officer, such as salary reduction, bonus deprivation, etc., or takes punitive measures not related to dismissal - such as reprimand -, the entity head must bring any such decision to an agreement with the National Agency for Prevention of Corruption.

In addition, the compliance officer must be entitled by legislation to the right of acting on behalf of the enterprise without a power of attorney, when notifying law enforcement officials about cases of corruption or about any other offenses. Moreover, the law should establish a clear obligation in relation to corruption offenses. At present, the compliance officer cannot act on behalf of a legal entity without obtaining power of attorney from the entity head. However, the decision to submit the corruption-case materials to a law enforcement agency can be taken exclusively by the head of entity. The compliance officer, who does not have neither a power of attorney, nor his/her legal rights properly described in their job description, may only suggest to the entity head the submitting of such materials. In my opinion, this situation does not ensure the compliance officer's independence and transparency in the process of Anti-corruption program implementation.

On March 2, 2017, the National Agency for Prevention of Corruption had approved The Standard Anti-corruption Program on a legal entity. It specifies the compliance officer's main tasks – preparation, implementation and control over the completion of measures to prevent, identify and counteract corruption in legal entities. Before performing his or her functions, the compliance officer may - upon the manager's consent - engage other employees of the legal entity. The compliance officer's activity in a legal entity is conducted independently. Interfering with the compliance officer's activity - whether by employees, the manager, by legal entity business partners, or by any other persons - is prohibited [15].

Whilst fulfilling the tasks entrusted to the compliance officer, among the main responsibilities, one can distinguish the following: ensuring supervision and control; monitor the compliance with the Law and with Anti-corruption regulations by legal entity, by its head and employees; assessing the results and implementation of Anti-corruption program measures, ensuring preparation of all corresponding reports; to cooperate with persons who reported in good faith on possible Anti-corruption program violations and with those who reported cases of corruption or corruption-related offenses; preparing inspection plan proposals in regards to conducting the compliance checks, and submitting the plans to the head; conducting internal official investigations; other responsibilities may also be included.

Taking into account the responsibility of the compliance officer for duties assigned, this post becomes the point of conflict, since it involves changes. These amendments are approved in the Law of Ukraine «On Prevention of Corruption» - preventing cases of abuse in public procurement sector and in management, the conflict of interest, nepotism, and corporate rights.

In my opinion, a significant portion of employees, both in public authorities and in legal entities, tends not to view certain types of behavior as corrupt, while they realize that such discrepancies may go against morality or professional ethics. This can be explained by the lack of relevant knowledge. That is when workers can change their attitude to corruption, provided that the compliance officer for the implementation of Anti-corruption program is conducting effective trainings and flow of information. Thus, the anti-

corruption resistance of the state authority, entity or enterprise would increase significantly.

Therefore, implementing conditions that stimulate the cooperation of civil servants and legal entity employees with the compliance officer in the corruption prevention and counteraction, would have a synergy effect.

Consequently, the creation of the compliance officer's institution plays an important role in the implementation of anti-corruption policy in this country. At the same time, in order to increase the effectiveness of the compliance officer's institution, the law should be properly amended and adapted in order to strengthen its independence, power, and to be protected by the state.

### **Methods**

As a methodological basis of the research, general scientific methods of cognition (analysis, synthesis, generalization, analogy, classification, imaginary experiment and modeling), dialectical and systematic methods, synergetic, comparative, structural and functional, historical and comparative analysis of the subject of research stand. Determining the essential characteristics of the phenomenon of corruption and disclosing the mechanism of reproduction of corruption in the public sector, research of the establishment of the institution of the compliance officer for the implementation of the Anti-corruption program has led to the use of social synergy methods.

Structural-functional and institutional approaches were used in the context of identifying the place of corruption in the social system, the peculiarities of the interaction between the state of the social structure of society and the level of development of corruption relations. Application of structural and functional analysis methods allowed to consider corruption as a set of unlawful acts, to determine its social conditionality, patterns and trends of development, impact on society. Historical and historical-legal methods have been used to reveal the genesis of the main concepts and trends of the development of anti-corruption legislation during the independence of Ukraine, the oligarchization of political power in Ukraine in the modern period. The use of comparative analysis is conditioned by the need to identify the most important areas of state policy in combating corruption, democratization and human rights. The synergetic method allowed to study society and its institutions in preventing and combating corruption as a system characterized by openness, interpenetration, irregularity of links, functional instability, whose development occurs nonlinearly under the influence of a wide range of factors.

### **Conclusion**

Therefore, corruption is a social phenomenon that involves activities of civil servants, their relationship with other members of the society; it is connected with use of their official position for personal mercenary purposes, which harm the state and public interests.

In fact, current desire to create basis for the full state development, and the desire to ensure decent living standards for its citizens, its future and economic development provide a good incentive for fighting corruption in Ukraine. However, when those who fight are not interested in the battle, it would take a long time for the real fight to start.

The main achievement of anti-corruption legislation innovations is implementation and development of the institution of compliance officer for the implementation of Anti-corruption program in Ukraine. Ukrainian legislation needs to be revised in terms of powers entitled to state institutions under the new anti-corruption law. It is a question of bringing consistency to mutual activities of all entities engaged in the corruption prevention and counteraction thereof - defining their tasks and authority in this area, streamlining their coordination and so on. To date, in Ukraine there is no institution which has full and objective information in regards of corruption situation in the country; lack thereof does not allow to respond to the



problem adequately. In order for the institution of the compliance officer for the implementation of the Anti-corruption program in Ukraine to function effectively, the following main conditions should be in place: skillfull personnel selection and decent salaries for all employees involved in this service.

However, the main reason for the imperfect anti-corruption legislation is the lack of political will in the leadership to overcome corruption, and the superficial, non-professional approach to its formation.

#### References:

1. Antonyan Y. Typology of Corruption and Corruption Behavior [Electronic resource]. - Access mode: <https://antonyan-jm.narod.ru/inter3.html>
2. Banchuk O. Prevention and Counteraction of Corruption in Local Self-Government Bodies. Practical guide / [Alexander Banchuk]; Swiss-Ukrainian project «Support for Decentralization in Ukraine - DESPRO», K. : LLC «Sofia-A», 2012. - 88 p.
3. Bousol O. Countering Corruption Crime in Ukraine in the Modern Period: [monograph] / O. Bousol, K.: In Yure, 2014. - 564 p.
4. Wallie V. Corruption: Thoughts after the Maidan, K. : Spirit and Letter, 2015. - 280 p.
5. Garaschuk V., Mukhataev A. Actual problems of combating corruption, X. : Law, 2010. - 144 p.
6. Gvozdetzky V. Corruption as a social, psychological and moral phenomenon // Actual problems of state and law: a collection of scientific works, 2012. - Issue 63. - p. 139-145 [Electronic resource]. - Access mode: [https://nbuv.gov.ua/UJRN/apdp\\_2012\\_63\\_21](https://nbuv.gov.ua/UJRN/apdp_2012_63_21)
7. Kozyubra M. The Rule of Law and Ukraine // General Theoretical Law, Rule of Law and Ukraine: A Collection of Scientific Articles / Ch. ed. A. Meleshevich, K. : SPIRIT AND LITERATURE, 2013. - 608 p.
8. The Constitution of Ukraine // Bulletin of the Verkhovna Rada of Ukraine, 1996. - No. 30. - Art. 141
9. Levchuk N. Asocial phenomena as a consequence of the shortage of social capital in Ukraine // Ukrainian SOCIETY, 2011. - No. 1. - p. 135-147.
10. On Prevention of Corruption: Law of Ukraine dated October 14, 2014 No. 1700 // Bulletin of the Verkhovna Rada of Ukraine, 2014. - No. 49. - Art. 2056
11. On the Principles of State Anti-Corruption Policy in Ukraine (Anti-corruption Strategy) for 2014-2017: Law of Ukraine dated October 14, 2014 No. 1699-VII // Bulletin of the Verkhovna Rada, 2014. - No. 46. - Art. 2047
12. On the Principles of Prevention and Counteraction of Corruption: Law of Ukraine dated April 7, 2011 No. 3206-VI // Official Bulletin of Ukraine, 2011. - No. 44. - Art. 21
13. On the Principles of Prevention and Counteraction to Corruption: Law of Ukraine dated June 11, 2009 No. 1506-VI // Bulletin of the Verkhovna Rada of Ukraine, 2009. - No. 45. - Art. 691
14. On Approval of the State Program for the Prevention and Counteraction of Corruption for 2011-2015: Resolution of the Cabinet of Ministers of Ukraine dated November 28, 2011 No. 1240 // Official Bulletin of Ukraine, 2011. - No. 94. - Art. 128
15. On Approval of the Model Legal Anti-corruption Program of a Legal Entity / Decision NAPC March 2, 2017 [Electronic Resource]. - Access mode: <https://zakon5.rada.gov.ua/laws/show/z0326-17>
16. Frantsuz A. Y. Civil Society as an Effective Mechanism for the Prevention and Counteraction of Corruption / A. Y. Frantsuz, A. A. Frantsuz // Legal Bulletin of the University «KROK», 2013. - Issue - 15. - p. 11-18. [Electronic resource]. - Access mode: [https://nbuv.gov.ua/UJRN/Pvuk\\_2013\\_15\\_4](https://nbuv.gov.ua/UJRN/Pvuk_2013_15_4)

იური არონოვი

ეკონომიკისა და სამართლის  
უნივერსიტეტის დოქტორანტი (უკრაინა)

## ადვოკატის პროფესიული კულტურის თეორიული ასპექტები ევროკავშირში

ამ სტატიაში განხილულია ადვოკატის პროფესიული კულტურის თანამედროვე თეორიული და სამართლებრივი ასპექტები ევროკავშირში. ადვოკატის სახე შეიძლება არსებობდეს მხოლოდ, როგორც ინტეგრალური ერთობლიობა, რომელიც პრაქტიკული და მიზანმიმართული საქმიანობის იდეალიზირებულ აბსტრაქციას წარმოადგენს. ეთიკური ღირებულებების უშუალო განხორციელება პრაქტიკულ სფეროში – ეს არის კონკრეტული მოდელი, რომელიც ამკარად დემონსტრირდება და ნამდვილად მოდის შესაბამისობაში მოსალოდნელ თანამედროვე საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან.

ევროპული იდეოლოგიის სპეციფიურობა – ეს არის განსაკუთრებული დამოკიდებულება ადამიანთან, როგორც უეჭველ ღირებულებასთან. სავსებით ცხადია, რომ თანამედროვე ევროპული კულტურა ორიენტირებულია ადამიანზე ინდივიდუალურად და ჰუმანურად. დღეს ინდივიდუალურობა წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებას ევროპულ კულტურაში. თანამედროვეობას ახასიათებს ინდივიდუალური იდეოლოგია და შედეგად ჩვენ გვიჩნდება ინტერესი ადამიანის უფლებების საკითხებთან, ამიტომ ადამიანი განიხილება, როგორც აბსოლუტური ღირებულება, რომელიც დაჯილდოვებულია თანასწორობის, თავისუფლებისა და გონებრივი ატრიბუტებით.

*საკვანძო სიტყვები:* პროფესიული კულტურა, ადვოკატი, ეთიკა.

**Yan Aronov**

*PhD Student of University  
of Economic and Law  
“KROK”*

## THEORETICAL ASPECTS OF THE PROFESSIONAL CULTURE OF LAWYER IN THE EUROPEAN UNION

### Abstract

This article explores current theoretical and legal aspects of the professional culture of lawyer in the European Union. The image of a lawyer can only exist as an integrative unity, which is an idealized abstraction of practical and purposeful activity. Directly rooted in the practical sphere is a specific model, which clearly show really expected according to public needs. The specificity of the European ideology is a special attitude to a human as an unconditional value. It is quite clear that the modern European culture is person centric, individualistic and humanistic. Today the individual is the most important value in European culture. Modernity is characterized by individualistic ideology and as a result, we have a growing interest in human rights issues so the individual is regarded as an absolute value which is endowed with the attributes of equality, freedom and mind.

*Keywords:* professional culture, lawyer, ethic.

## THEORETICAL ASPECTS OF THE PROFESSIONAL CULTURE OF LAWYER IN THE EUROPEAN UNION

The specificity of the European ideology is a special attitude to a human as an unconditional value. It is quite clear that the modern European culture is person centric, individualistic and humanistic. Today the individual is the most important value in European culture. Modernity is characterized by individualistic ideology and as a result, we have a growing interest in human rights issues so the individual is regarded as an absolute value which is endowed with the attributes of equality, freedom and mind. Modernity acknowledges the individual value meaning that the value of the individual is an essence, not just an object that is opposed to others. Nevertheless it is not an individual model of the human race. Above all the individual is a universe that includes ethnically mental features and is open to the world. The high degree of individualism, recognition of the individual value gave backgrounds for A. Obolonskyi to assert that the European civilization is person centric which recognizes an individual as a point of reference in society unlike the system centrism with a social system priority. [7]

So the natural phenomenon within the European culture is an attempt to consolidate the main achievements of the individualistic ideology in the political and legal documents. Only within the individualistic ideology of dominance could take place “Declaration of the Rights of Man and of the Citizen”. [1] Henri Dumont said: “Declaration of the Rights of Man and of the Citizen, adopted in summer 1789 collection of prescriptive, in a sense marks the triumph of the individual. It was preceded by similar statements were made in several US states, united, but she first served as the basis for the constitution of a great nation imposed indecisive monarch popular will (manifestation) and proposed as an example of Europe and the wider world, and yet” enough to see the Declaration of implementation of new doctrines of natural law or, as noted Zhellinek (Jellinek), the main there are just transferring prescriptions and conventions natural law to the level of positive law: The declaration was seen as a grand fundamental principle for the Constitution itself estimated and palpable, as necessary, in terms of artificial rationality. It was necessary to create on the basis of only one new state civil consensus, and make it available to the infringement of the same political power (authority). The Declaration proclaimed the lofty principles that the Constitution was put in place. [8, p. 166-167]

In the twentieth century there is a “Universal Declaration of Human Rights” which states: “Everyone is entitled to all the rights and freedoms set forth in this Declaration, without distinction of race, color, sex, language, religion, political or other opinion, national, caste or social origin, property or other status”. [1]

Article 3 of the Constitution of Ukraine reads: “A person’s life and health, honor and dignity, inviolability and security are recognized in Ukraine as the highest social value”. [1] The statutory requirements for recognition of the individual as value was made possible as a result of democratization, feminization, liberalization and pluralistic social life intensified in Europe in the twentieth century. “The Basic rules that relates to the role of lawyers ...”states: “Everyone has the right to appeal to a lawyer beloved by means to protect and defend his rights and his protection at all stages of criminal proceedings”.

Modern ideological system explains the basic requirement which is presented to members of the legal professions – everywhere and always guarantee human rights: “In carrying out their duties officials in maintaining law and order and protect respect for human dignity; maintain and protect the human rights of all persons”[3]. Respect for human rights and their protection is an integral part of modern European culture and its identity, “in fact, in European intellectual circles concept of human rights got its birth and development”. [5, p. 87]

It should also be noted that the formation of modern European ideologies and models lawyer influenced

the processes of globalization and cultural identity. Along with the processes of “unification” and “making monotonous” in European culture, there are phenomena of ethnic vision of the desired lawyer. Also B. Kistyakovsky pointed out that “there is no uniform and the same ideas of individual liberty, legal system, a constitutional state, equal for all nations and times, as there is capitalism or other economic or social organization, the same for all countries. All legal ideas in the minds of people receive each kind of color and their own shade”. [9, p. 119-148]

Interesting in this regard is the study of values and attitudes of France, which were conducted in the nineties of the twentieth century. With the rising point of the study was taken as the principle of legal socialization, the essence of which is to create individual concepts of law and lawyers during childhood and adolescence. Based on the premise that the right image and the image of the world the image of a lawyer in child and adolescent constructed at the same time, the authors argue that these images are indivisible, and therefore legal process of socialization is in line with the overall process of socialization. “Legal socialization, therefore, a process of personal development is not right at all, and such law, which it perceives the subject during child and adolescent socialization. His perception reflects the state of social reality, but an interpretation that gives her the subject, depends on the dominant social representations related to his previous experience”. [6]

The idea of the legal system of the all social groups of respondents in France are united around a common core, around the only ideological guidance – freedom, equality, solidarity; in Russia the law, responsibility, fairness play the role of that core, moreover the concept of justice includes the notion of good, equality, the reward for services. [6]

Concerning to humanism as the conceptual principle of the modern European culture, it should be noted, that the phenomena and concept of humanism have come through the long period of formation. In our opinion, the nationalist of the XX century E. Troeltsch, had most successfully revealed the essence of the European humanism in his work “Historicism and its problems”: “The same was with another contrast, the contrast between natural right, free natural man and artificial compulsory order of the government. We have an old idea in front of us, the idea of natural and common human right, to which the positive law had opposed itself, and which closely linked the ecclesiastical system as Christian natural law with public-positive and ecclesiastical supernatural law. In the struggle against absolutism this idea was mentioned, it was exempted from church layers, combined with historic estates and rights, was brought under the influence of old, Stoic, borrowed by the Christians formulation to the general law of nature and mind. However, this new natural law with its desire to positively transform the modern state and put in its structure masses was in its essence something different, far from the rationalist, the ruled of reason over emotions idea. This idea left only form and pathos total rationality from itself, the content had changed, defined by the modern state and modern economy and so it began to develop in different directions. But once in these two areas was proclaimed the idea of natural, free from coercion of human nature, all the other freedom have immediately combined with it: the freedom of science from dogma and censorship, freedom of art and poetry of bourgeois and heteronomy external definitions. All these different aspirations combined in the notion of humanity or natural mind; in general everything was constructed by the philosophical systematic as necessary intelligence, universal and multipurpose ethics, and give to a modern bourgeois society a spiritual foundation”. [7]

The humanism is not the abstract humanity, it is a vision of the individual, with his problems and adversities in the different conditions. In this aspect humanism combines with justice, which legal measure is determined by law, which protects the interests of human in society.

From the ideological point of view, the essential factors in forming the model of lawyer is continental guidelines of justice, the most important from which are: the only hierarchy construction of the system of

written law, with the dominance of regulations; a special role in the formation of the right is secured by the legislator, which aims to create the general legal ruled of conduct; the enforcement authorities only ensure the implementation of common standards in specific law enforcement instruments; in the system of normative sources there are written constitutions, which have the higher legal force; there is a differentiation on public and private right; high standard summaries.

Another one ideological feature of the modern European culture should be mentioned, this feature greatly influenced on the image of lawyer. Within the modern multidimensional cultural space the modern human stands out as being public. It should be explained, that the current interpretation of the public is not identified with political or public, it is certain discursive practice. It can be confirmed, that the modern European lawyer is the public individual. The publicity is closely linked with the problem of homelessness (feeling home), which is a consequence of the colonization of life world (we all live crowded – in rise/tall residential buildings and offices etc.). The mass media continues the publicity of a lawyer: a mobile phone, an email. The home turns into the office, the behavior outside the office monitored and criticized by the public and corporate associations. “Compared with reality, which is formed when you are seen and heard, even the most powerful force of our inner life – heartfelt passion, intimate thoughts, sensual pleasure – have some uncertain, shadow existence, perhaps, changed, and transforms in different public appearance forms”. [66]

In “Fundamentals of Professional Ethics of Lawyers” mentions, that “in private life, the lawyers aver their human values by their behavior, the principles of Christian morality, the conventional ethical guidelines of other religious faiths. [10]

The European community has always wanted to see the lawyer (particular judge) independent of any external pressure. As a result, we have a number of international documents, which elucidate the questions of organizational, procedural and financial independence of judge. Nowadays independence uses as a guarantee of impartiality legal. The European Court of Human Rights provides analysis of compliance of judges article 6 § 1 Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms to guarantee the right to a hearing by an independent and impartial court shows, that the court can be considered impartial, if in addition to other factors there is an availability of guarantees against outside pressure on the court, and legally defined signs of independence. The basic principles of judicial independence, which are approved by the resolutions 40I32 and 40I146 UN General Assembly on November 29 and December 13, 1985, confer on every member of the UN commitment to provide appropriate means, which would give an opportunity to the judiciary to properly perform its functions. Conclusion №2 (2001) of the Consultative Council of European Judges to the Committee of Ministers “About the standards of judicial independence and immutability of judges” provides, for fulfilling its role the judiciary must be independent in relation to the executive and legislative bodies. [2] In Recommendation R (94) 12 “Independence, efficiency and role of judges”, which are adopted by the Committee of Ministers at a 518<sup>th</sup> meeting of deputy ministers on 10.13.1994 p. provided, that allowance of judges should be guaranteed by law and be conformed to the dignity of their profession. [4] The European Charter on the law “On the Status of Judges” (Lisbon, 10 July 1998) § 1.8. About the general principles includes provisions that, the judges through their representatives and through their professional organizations are involved in decision-making, which are related to the management of the courts and the distribution of funds, especially its government funding.

## Conclusion

As follows, the modern sociocultural paradigm of European culture focuses the lawyer on the global thinking, on the integrated environment, which requires from him versatility, the knowledge of objective

laws (both single and specific being) and cultural world, the principles of cultural life.

The main trends which are observed in the ideological European legal system are the trends of humanization, the democratization of legal knowledge and strengthening the human values ideas. The legal profession is traditional for European culture – it distributes the ideas of proper conduct to the formal codes of ethics and codes of professional conduct. Herewith, a principle which underlies the professional ethics of lawyer is that the actions of a lawyer are directed on creating the greatest good for society.

## References:

1. Загальна декларація прав людини від 10.12.1948. // Офіційний вісник України. – 2008. – № 93. – Ст. 89.
2. Висновок №2 Консультативної Ради європейських суддів для Комітету Міністрів Ради Європи «Про стандарти незалежності судових органів і незмінності суддів». – [Електронний ресурс]. – Режим доступу: <https://scourt.org.ua/doc/AA1fT>
3. Резолюція 34/ 169 Генеральної Асамблеї «Кодекс поведінки посадових осіб у підтриманні правопорядку» від 17 грудня 1979 року. – [Електронний ресурс]. – Режим доступу: [http://zakon2.rada.gov.ua/laws/show/995\\_282](http://zakon2.rada.gov.ua/laws/show/995_282)
4. Рекомендація (94) 12 Комітету Міністрів Ради Європи «Незалежність, дієвість та роль суддів» [Електронний ресурс]. – Режим доступу: <http://vkksu.gov.ua/ua/mijnarodne-spivrobotnitstvo/perelik-dokumentiv-radi-evropi-u-sferi-sudochinstva/>
5. Андрійчук О. Хартія основних прав СУ – новий рівень захисту прав людини // Юридичний журнал. – 2013. – № 3 (45). – С. 87-91.
6. Курильски-Ожвэн Ш. Образы права в России и Франции: Учеб. пособие.- М.: Аспект, 1996.- 215 с.
7. Оболонский А.В. Драма российской политической истории: система против личности. / РАН, Ин-т государства и права. – М., 2004. – 352 с.
8. Святоцький О.Д., Михеєнко М.М. Адвокатура України: Навч. посіб. Для студентів юридичних вищих навчальних закладів і факультетів. – К.: Ін Юре. – 2007. – 224 с.
9. Кистяковский Б.А. В защиту права // Вехи: Сборник статей о русской интеллигенции. – Свердловск: Изд-во Урал. ун-та, 1994. – С. 119-148.
10. Основні засади професійної етики юристів (затвержені з'їздом Спілки юристів України) // Юридичний вісник України. – № 32 (311). – 9-15 червня 2011 року. – С.18-20.

**თამილა ხურციძე**

*სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ბიზნეს-სამართლებრივი გარიგებების სამართლებრივი  
რეგლამენტაციისას არსებული წინააღმდეგობები და გამომწვევები**

ანოტაცია

სტატიაში გაანალიზებულია ფრენშიაზულ ბიზნეს-სამართლებრივ ურთიერთობებში გამოვლენილი ის წინააღმდეგობანი, რომლებიც იკვეთება წინასახელშეკრულებო ეტაპის სამართლებრივი რეგლამენტაციის არარსებობის გამო, ხაზგასმულია საქართველოში ფრენშიაზის მიმღებთა ინტერესების დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფის მექანიზმის – ინფორმაციის გახსნისა და მიწოდების აუცილებელი გაყიდვამდელი პრინციპის პრაქტიკულად არარსებობა; შემოთავაზებულია აღნიშნულ პრობლემათა გადაჭრის გზები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ფრენშიაზინგი, რეგლამენტაცია, წინასახელშეკრულებო ეტაპი.

**Tamila Khurcidze**

*Doctor of Law, Associate Professor  
of Akaki Tsereteli State University*

**SOME CONTROVERSIAL ISSUES AND CHALLENGES IN LEGAL REGULATION  
OF BUSINESS LAW TRANSACTIONS**

**Abstract**

The article deals with certain controversies revealed in a franchise business which is caused due to the absence of legal regulations at the pre-contractual stage; It emphasizes the lack of mechanism to protect franchisees' rights- *information* which is disclosed in Franchise *Disclosure Document*. It contains recommendations how to solve existing problems.

*Keywords: franchise, regulation, pre-contract stage*

## **ბიზნეს-სამართლებრივი გარიგებების სამართლებრივი რეგლამენტაციისას არსებული წინააღმდეგობები და გამოწვევები**

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უაღრესად დიდია ბიზნესისა და ბიზნეს-სამართლებრივი გარიგებების როლი და მნიშვნელობა. დღეს ჯანსაღი ბიზნესის განვითარების პირობები განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს. ბიზნესი ხდება საქართველოს ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი, შესაბამისად ეს ცხადყოფს რაოდენ მნიშვნელოვანია ბიზნესისათვის ბიზნეს-სამართლებრივი გარიგებების სამართლებრივი რეგლამენტაციის საკითხი.

საქართველოში ფრენშიაზინგის ინსტიტუტი თავისი კლასიკური ფორმით მე-20 საუკუნის 90-ანი წლებიდან შემოვიდა, ძირითადად უცხოური ინვესტიციების სახით. პირველი კომპანია, რომელმაც ფრენშიაზინგის სისტემით დაიწყო მუშაობა საქართველოში, იყო „კოკა-კოლა“, შემდეგ მას მოჰყვა სხვა კომპანიები: „ბატა“, „ივ როშე“, კაფე – სანაყინეთა ქსელი „ბასკინ რობინსი“, ფოტო მომსახურების ქსელი „კოდაკი“, „მაკდონალდსი“, რომელსაც თავის სავაჭრო ნიშანთან ერთად აქვს სენდვიჩების დამზადების საკუთარი ტექნოლოგია და შენობის, ობიექტის შიგა და გარე დიზაინის გარკვეული სტანდარტები, საფირმო სტილი საკვების დამზადებასა და მომხმარებლებთან ურთიერთობაში; ასევე ფრენშიაზინგის ქსელის უდიდესი წარმომადგენელია კომპანია „მერიოტი“, რომელიც ჩვენთვის ცნობილია სასტუმრო „მერიოტ გრენდ ჰოტელის“ სახელით, „ჰოლიდეი ინნი“ და სხვა.

არსებულმა პრაქტიკამ საქართველოში ფრენშიაზინგთან მიმართებაში გარკვეული პრობლემები გამოკვეთა, რომლებიც სწორედ ფრენშიაზინგის წინასახელშეკრულებო ეტაპის სამართლებრივ რეგულირებას უკავშირდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ფრენშიაზინგის მარეგულირებელი ნორმები, განსხვავებით სხვა ქვეყნების რეგულაციებისაგან, ამომწურავად არ მოიცავს ყველა იმ დებულებას, რომელიც მეტ-ნაკლებად აღმოფხვრიდა პრაქტიკაში გამოვლენილ ნაკლოვანებებს. ამასთან დაკავშირებით არსებობს მეცნიერთა და პრაქტიკოსთა აზრთა სხვადასხვაობა. კერძოდ, ზოგიერთი მკვლევარი თვლის რომ, ის რვა მუხლი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსშია წარმოდგენილი სრულიად საკმარისია ფრენშიაზინგის ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით<sup>1</sup>, სხვათა აზრით (მაგალითად, პროფესორ მ.ქოქიაშვილის) კი პირიქით, რეგულაცია მოკლებულია სრულყოფილებას. ვფიქრობ, უკანასკნელი მოსაზრება უფრო მართებულია, ვინაიდან რაც უფრო დეტალურად იქნება რეგულირებული ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივად დაურეგულირებელი ფრენშიაზინგის წინასახელშეკრულებო ეტაპი, ფრენშიაზინგის მიმცემისა და ფრენშიაზინგის მიმღების უფლება-მოვალეობანი, მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხი და სხვა პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხები, ეს სამუალებას მისცემს ქართველ მენარმეებს სრული წარმოდგენა იქონიონ ფრენშიაზინგის სისტემაზე და სრულად გაანალიზონ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაძლო რისკები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით წარმოდგენილი რეგულაცია, ინფორმაციული სიმცირის გამო ვერ აღმოფხვრის პრაქტიკულ ნაკლოვანებებს; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 607-ე მუხლის კომენტარშიც მითითებულია, რომ ის ცნებითი ნიშნები,

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი.წიგნი III. თბილისი. 2001. გვ. 96-მ.327.3.



რომლებიც წარმოდგენილია ფრენშიაზინგთან დაკავშირებით, სრულყოფილ წარმოდგენას ვერ ქმნის აღნიშნული ინსტიტუტის შესახებ.

საქართველოში ფრენშიაზინგის ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირების კუთხით არსებული, განსაკუთრებით საყურადღებო პრობლემაა ფრენშიაზინგის წინასახელშეკრულებო ეტაპის სამართლებრივი რეგლამენტაციის არარსებობა. ეს საკითხი პრაქტიკაში სერიოზულ ბარიერებს წარმოქმნის.

გავაანალიზოთ წინასახელშეკრულებო ეტაპის არსი და ზემოხსენებული ბიზნეს-სამართლებრივი გარიგების ის თანმდევი პრობლემები, რომლებიც თან სდევს აღნიშნული ეტაპის სამართლებრივად მოუწესრიგებლობას.

წინასახელშეკრულებო ეტაპი ეს არის ძირითადი ხელშეკრულების მომზადების პერიოდი. ხანგრძლივი სახელშეკრულებო მოლაპარაკებების დროს მხარეები არც თუ იშვიათად სწორედ ამ ეტაპზე დებენ წინარე ხელშეკრულებას, რომელიც სახელშეკრულებო კონტრაქტის იძულების სამართლებრივი საფუძველია და უნდა განსაზღვრავდეს იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ხელშეკრულების დასადავად<sup>1</sup>.

ფრენშიაზინგის ურთიერთობა – ურთიერთობა, რომელიც რეგულირდება შესაბამისი ნორმებით და რომლის მონაწილე მხარეები ფრენშიაზინგის მიმცემი და ფრენშიაზინგის მიმღები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული ფრენშიაზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული კუთვნილი უფლებებითა და მბოჭავი ვალდებულებებით.

დოქტრინაში წინასახელშეკრულებო ურთიერთობებს ტრადიციულად წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის პრიზმაში განიხილავენ. ზოგადი წესის თანახმად, სათანადო ფორმით ხელშეკრულების დადებამდე მხარეები არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული უფლებებითა და მოვალეობებით. უფრო მეტიც, წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ინსტიტუტი არღვევს საუკუნეებით შემოწმებულ დიქტომიურ (ორმხრივობის) სისტემას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისა, რომელიც რომაულ სამართალს განეკუთვნება<sup>2</sup>. თუ გავაანალიზებთ უცხოურ დოქტრინალურ კვლევებს, შეიძლება მივიღეთ დასკვნამდე, რომ როგორც კონტინენტურ-ევროპულ, ასევე ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სისტემაში შეინიშნება იმის ტენდენცია, რომ „წინასახელშეკრულებო ეტაპზე ორივე მხარეს დაეკისროს კეთილსინდისიერი ქცევის მოვალეობა, რომლის დარღვევამაც შეიძლება მიგვიყვანოს არაკეთილსინდისიერი მხარისათვის წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაკისრებამდე.“

წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა ფრენშიაზინგის ურთიერთობებში წარმოადგენს ინფორმაციის გაუცემლობისათვის წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის სპეციალურ სახეობას.

განვიხილოთ წინასახელშეკრულებო ეტაპი ფრენშიაზინგის ურთიერთობებში. ფრენშიაზინგის ურთიერთობების არსი გულისხმობს, რომ ფრენშიაზინგის მიმცემი წარმოადგენს პროფესიონალ მენარმეს (კომერციული ორგანიზაცია ან ინდემნარმე). *A contrario* ფრენშიაზინგის მიმღები არ ფლობს აუცილებელ საქმიან გამოცდილებასა და პროფესიულ დონეს, რაც აიძულებს მას მოახდინოს ამ ნაკლის კომპენსირება ფრენშიაზინგის ხელშეკრულების გაფორმებით. ფრენშიაზინგის ურთიერთობების სუსტი მხარე ყოველთვის ფრენშიაზინგის მიმღები აღმოჩნდება, ამიტომ ფრენშიაზინგის ურთიერთობების რეგულირების პროცესში ჩნდება სწორედ ფრენშიაზინგის მიმღების დაცვის სამართლებრივი გარანტიების შექმნის პრობლემა.

ზემოხსენებული ბიზნეს-სამართლებრივი გარიგების მხარეების ფაქტობრივი უთა-

<sup>1</sup> Zweigen Kotz. Introduction to Comparative Law, Vol. II (T. Weir trans. 2ed 1987). გვ. 291-300.

<sup>2</sup> Кучер А. Н. Теория и практика преддоговорного этапа: юридический аспект. М. Статут, 2005. გვ. 213.

ნასწორობა კრიტიკულ დონეს სწორედ წინასახელშეკრულებო ეტაპზე აღწევს, ერთმანეთს ხვდება ორი ნეგატიური ფაქტორი: პირველი, ეს არის არასაკმარისი საქმიანი გამოცდილება ფრენშიაზის მიმღებისა, რის შედეგადაც ფრენშიაზის მიმცემის მხარეზე აშკარა პოზიციური უპირატესობაა. მეორე ფაქტორი, რომელიც დომინანტურ მნიშვნელობას იძენს, მდგომარეობს იმაში, რომ ფრენშიაზული ურთიერთობების წინასახელშეკრულებო ეტაპისათვის ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს მკაფიო სამართლებრივი რეგლამენტაცია. სამართლებრივი ვაკუუმი განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ფრენშიაზული ურთიერთობების წინასახელშეკრულებო ეტაპზე და სწორედ აქ ხდება აუცილებელი სპეციალური სამართლებრივი რეგლამენტაცია, რათა თავი ავარიდოთ ფრენშიაზის მიმღების უფლებათა შევიწროვებას და აღნიშნული ბიზნეს-სამართლებრივი გარიგების მონაწილე მხარეთა თანასწორობის პრინციპებიდან გადახვევას, მოტყუებისა და თაღლითობის ფაქტებს ფრენშიაზის მიმცემის მხრიდან. ასე მაგალითად, თუ ჩვენ მოვახდენთ ფრენშიაზინგის ხელშეკრულების დადების პროცესის ჰიპოთეზურ მოდელირებას, სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, გამოდის, რომ ფრენშიაზის მიმღებმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ფრენშიაზინგის ხელშეკრულების დადების შესახებ ისე, რომ იხელმძღვანელოს არც თუ საიმედო და სრული ინფორმაციით ფრენშიაზის მიმცემის და მისი სამენარმეო საქმიანობის შესახებ და უნდა დაეყრდნოს მხოლოდ საკუთარ ინტუიციასა და იმ მონაცემებს, რომლებსაც თავად ფრენშიაზის მიმცემი ჩათვლის საჭიროდ, რომ შეატყობინოს. ასეთ სამართლებრივ ვაკუუმში ფრენშიაზის მიმღებმა შეუძლებელია მიიღოს მოტივირებული და დასაბუთებული გადაწყვეტილება ფრენშიაზინგის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით და არ შეიძლება ფრენშიაზის მიმცემის გადასაწყვეტი იყოს აუცილებელი ინფორმაციის გახსნისა და წარდგენის საკითხი ფრენშიაზული ურთიერთობების წინასახელშეკრულებო ეტაპზე, სწორედ ამიტომ, აუცილებელია, ეფექტური და ქმედითი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, რომელიც შეძლებს მხარეთა თანასწორი მდგომარეობის უზრუნველყოფას ფრენშიაზინგის წინასახელშეკრულებო ეტაპზე.

ამრიგად, ფრენშიაზინგის წინასახელშეკრულებო ეტაპის სამართლებრივი რეგლამენტაციის არარსებობის გამო იკვეთება შემდეგი სახის პრობლემები:

- ✓ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობის პრინციპებიდან გადახვევა, რაც კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ამოსავალი წერტილია; ფრენშიაზინგის ხელშეკრულების მონაწილე მხარეების ფაქტობრივი უთანასწორობა;

- ✓ სამართლებრივი და ინფორმაციული ვაკუუმის პრობლემა ფრენშიაზინგის წინასახელშეკრულებო ეტაპზე; ფრენშიაზის მიმცემის მხრიდან ფრენშიაზის მიმღებისათვის აუცილებელი გაყიდვამდელი ინფორმაციის გახსნისა და მიწოდების პრობლემა;

- ✓ ფრენშიაზის მიმღების უფლებათა შევიწროება და კრიტიკული დონე წინასახელშეკრულებო ეტაპზე;

- ✓ და რაც მთავარია, საქართველოში ფრენშიაზის მიმღებთა ინტერესების დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფის მექანიზმის — ინფორმაციის გახსნისა და მიწოდების აუცილებელი გაყიდვამდელი პრინციპის პრაქტიკულად არარსებობა;

- ✓ მოტყუებისა და თაღლითობის ფაქტები ფრენშიაზის მიმცემის მხრიდან (ხშირად ფრანშიზის პოტენციურ მომგებიანობასთან დაკავშირებით, ფრენშიაზულ ქსელში უკვე მოქმედი ფრენშიაზის მიმღებთა რაოდენობის, მათი შემოსავლებისა და წარმატებების შესახებ ცრუ ინფორმაციის მიწოდება და სხვა).

ყოველივე იმის გათვალისწინებით, როდესაც საზღვარგარეთის ქვეყნების სასამარ-

თლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფრენშიაზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავების 90 პროცენტი ხშირ შემთხვევაში სწორედ წინასახელშეკრულებო ეტაპზე წარმოიშობა, ინფორმაციის არარსებობის ან ფრენშიაზინგის მიმცემის მხრიდან არასწორი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე<sup>1</sup>, ფრენშიაზინგის წინასახელშეკრულებო ეტაპის სამართლებრივი რეგლამენტაციის არარსებობის საკითხი განსაკუთრებით საყურადღებოა.

წინასახელშეკრულებო ეტაპი საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩვეულებრივ რეგლამენტირებულია ფრენშიაზინგის შესახებ არსებული სპეციალური კანონმდებლობით<sup>2</sup>. როგორც კონტინენტალური ევროპის, ისე საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში ფრენშიაზინგის მიმღების ინტერესების დაცვის სამართლებრივი მექანიზმის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს ინფორმაციის გახსნისა და მიწოდების აუცილებელი გაყიდვამდელი პრინციპი, რომელიც მოქმედებს ფრენშიაზინგის ურთიერთობების წინასახელშეკრულებო ეტაპზე<sup>3</sup>. ამ პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფრენშიაზინგის მიმცემს იმპერატიულად ეკისრება ვალდებულება, გახსნას და მიწოდოს აუცილებელი გაყიდვამდელი ინფორმაცია პოტენციურ ფრენშიაზინგის მიმღებს ფრენშიაზინგის ხელშეკრულების დადების მომენტამდე. ეს ვალდებულება ამოდის იმ ფაქტიდან, რომ პოტენციური ფრენშიაზინგის მიმღები ჯერ კიდევ სახელშეკრულებო-სამართლებრივ ურთიერთობებში შესვლის მომენტამდე მეორე მხარესთან უკვე დაკავშირებულია უფლებებითა და ვალდებულებებით და აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვისაუბროთ განსაკუთრებულ წინასახელშეკრულებო ფრენშიაზინგ-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოქმნაზე, ამასთან, განსახილველი სამართლებრივი ურთიერთობა ატარებს ცალმხრივ ვალდებულებით-სამართლებრივ ხასიათს: პოტენციური ფრენშიაზინგის მიმღების უფლება, მიიღოს ინფორმაცია, შესაბამისად მოითხოვს ფრენშიაზინგის მიმცემის ვალდებულებას, გახსნას და მიწოდოს ინფორმაცია.

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო სამართლებრივ სისტემას აქვს ამის მდიდარი გამოცდილება, უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებულ პრობლემათა გადაჭრის გზაა „ფრენშიაზინგის შესახებ“ სპეციალური კანონის მიღება, რომელიც განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან (ა.შ.შ., ავსტრალია, ბელგია, რუმინეთი, ესპანეთი, იაპონია, საფრანგეთი, მექსიკა, იტალია), არ არსებობს საქართველოში და რომელიც არეგულირებს ფრენშიაზინგის წინასახელშეკრულებო ეტაპს, ითვალისწინებს ფრენშიაზინგის მიმცემის ვალდებულებას ხელშეკრულების დადებამდე ინფორმაციის გახსნის შესახებ; სამოდელო კანონი „უნიდრუა“ ფრენშიაზინგის ხელშეკრულებით ინფორმაციის გახსნის შესახებ კანონია, იგი სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც გადამწყვეტილი აქვს ფრენშიაზინგის შესახებ სპეციალური კანონმდებლობის მიღება; სწორედ აღნიშნული კანონის დებულებებზე დაყრდნობით, შესაძლებელია მივიღოთ სპეციალური კანონი „ფრენშიაზინგის შესახებ“.

<sup>1</sup> Lena Peters Franchising.Recent Legislation and the UNIDROIT Model Franchise Law/Buisness Law International, Vol.5, No1, January 2004.

<sup>2</sup> საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა ფრენშიაზინგის შესახებ, რომელიც არეგულირებს წინასახელშეკრულებო ეტაპს: იტალია: Norme per l'affiliazione della disciplina commerciale del 21 aprile 2004 (It); Франция: Loi №89-1008 du 31 decembre 1989, dite „LOi Doubin“, Decret №91-337 4 avril 1991, Arrete du 21 fevrier 1991(fr); Испания: La Ley 7/1996 de 15 dt enero de Ordenacion del Comercio Minorista, Real Decreto 2485/1998 (Es) Бельгия: Loi relative a l' information precontactuelle le carde d' accords de partenariat commercial du 19 decembre 2005 (Fr)//Wet betreffende de precontractuele informatie bij commerciele samenwerkingen overeen komsten-19 desember 2005(Du).

<sup>3</sup> Развитие концепции правового регулирования франчайзинговых отношений зарубежный опыт//Вестн. Моск. Ун-та. Сер. 11, Право.2007.№6.; Модельный закон УНИДРУА о раскрытии информации по договору франчайзинга // Законодательство. 2008 .№2 .გვ.100-69.

ქართულ სამართლებრივ სისტემაში ახალი სამართლებრივი ინსტიტუტის დამკვიდრება, ინფორმაციის გახსნისა და მიწოდების აუცილებელი გაყიდვამდელი პრინციპი წინასახელშეკრულებო ეტაპზე, დაგეგმვარება აღმოვფხრათ ის თანმდევი პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია ფრენშაიზინგის წინასახელშეკრულებო ეტაპის სამართლებრივი რეგლამენტაციის არარსებობით, რაც შესაძლებლობას გვაძლევს დადებითად შევაფასოთ საკითხი, რომ ხსენებული უცხოური კონსტრუქცია ორგანულად ჩაენერება ქართულ სამართლებრივ სისტემაში.

არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომ ინფორმაციის გაყიდვამდელი გახსნისა და მიწოდების აუცილებელ პრინციპს საფუძვლად უდევს წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა მონაწილეების მხრიდან კეთილსინდისიერების პრეზუმფცია.

წინასახელშეკრულებო ფრენშაიზული სამართლებრივი ურთიერთობების მიზანს, ცხადია, წარმოადგენს ფრენშაიზინგის ხელშეკრულების დადება, თუმცა წინასახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს “განცალკევებით” თვით ფრენშაიზინგის ხელშეკრულებისგან, მისი აღმოცენება წინასწარ არის განსაზღვრული პოტენციური ფრენშაიზის მიმღების მიმართვის ფაქტით და შემდგომში ხელშეკრულების დადება ან არდადება ვერ მოახდენს გავლენას წინასახელშეკრულებო ურთიერთობებზე, მხარეებმა შემდგომში რომც არ გააფორმონ ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, თუ ამ დროს ადგილი ექნება ინფორმაციული ვალდებულების დარღვევას პოტენციური ფრენშაიზის მიმცემის მხრიდან, პასუხისმგებლობის დადგენილი მექანიზმი იმპერატიულად ამოქმედდება. წინასახელშეკრულებო ფრენშაიზული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის ვადა განისაზღვრება ორი ფაქტორით: პოტენციური ფრენშაიზის მიმცემის საინფორმაციო ვალდებულების არსებობის ვადით და პოტენციური ფრენშაიზის მიმღების მიერ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის რეჟიმის დაცვის ვადით (რომელიც მხარეების შეთანხმებით დგინდება), ამ ვადების გასვლისას ან ვალდებულების შესრულებისას წინასახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობა წყდება.

„ფრენშაიზინგის შესახებ“ სპეციალური კანონით აუცილებელია დავამკვიდროთ ფრენშაიზის მიმცემის იმპერატიული ვალდებულება, რომელიც რეალიზდება ინფორმაციის გახსნის შესახებ დოკუმენტის წარდგენით. (თვით ინფორმაციის გახსნის დოკუმენტის შინაარსობრივი მხარის გაცნობა შეიძლება სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე და ძირითადად ისინი შინაარსობრივად ერთმანეთის მსგავსია, უმნიშვნელო დაზუსტებების გათვალისწინებით). ოფერტის ისეთი ნიშანი, როგორიცაა „გარკვეულობა“, უდავოდ ახასიათებს დოკუმენტსაც ინფორმაციის გახსნაზე. უფრო მეტიც, „ფრენშაიზინგის შესახებ“ სპეციალური კანონმდებლობა ჩვეულებრივად ადგენს არა მხოლოდ ზოგად მოთხოვნას, რომ ფრენშაიზის მიმცემმა გახსნას და მიანოდოს ინფორმაცია ფრენშაიზის მიმღებს, არამედ საუბარია ინფორმაციის დეტალურ და ამომწურავ ჩამონათვალზე, რომელიც ექვემდებარება გახსნას, ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობის ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის გახსნის შესახებ დოკუმენტი თავისთავში მოიცავს ოფერტის ნიშნებს, მისი განხილვა ამ კონტექსტში არ იქნება მართებული.

ფრენშაიზინგის სისტემის მუშაობის პრაქტიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ფრენშაიზის მიმცემთა უმრავლესობას არ სურთ ფრენშაიზის მიმღებთათვის თავიანთი ბიზნეს-ტექნოლოგიების სრული მოცულობით გადაცემა, რასაც მივყავართ ფრენშაიზის მიმღებთა ბიზნესის სიმყიფემდე. ფრენშაიზინგს სავალდებულო წესით ესაჭიროება ფრენშაიზის მიმღებსა და ფრენშაიზის მიმცემს შორის ურთიერთობების გახსნილობა, ურთიერთობათა ანყოფის პარტნიორული საშუალებები, რომლებიც ნდობაზე იქნება დამყარებული.

სწორედ ამიტომ, ფრენშაიზინგის შესახებ არსებულ სპეციალურ კანონმდებლობაში ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრალია, ბელგია, ბრაზილია, ინდონეზია, ესპანეთი, კანადა და სხვა, ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ფრენშაიზინგის სისტემის მონაწილე სუბიექტების მიერ წინასახელშეკრულებო პერიოდში თავიანთ ბიზნესზე ყოვლისმომცველი ინფორმაციის წარდგენის აუცილებლობას. მოცემული დებულების დარღვევისათვის კი გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობის ზომები, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ჩათვლით.

საქართველოში აუცილებელია წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის პრინციპის დამკვიდრება. ფრენშაიზული ურთიერთობების წინასახელშეკრულებო ეტაპის სამართლებრივი რეგულირების ქართული მოდელის შექმნისას მიზანშეწონილი იქნება წინასახელშეკრულებო სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის დარგთაშორისი მექანიზმი, რომელშიც ჩართული იქნება როგორც კერძო-სამართლებრივი, ასევე საჯარო-სამართლებრივი ხასიათის ნორმები.

„ფრენშაიზინგის შესახებ“ სპეციალური კანონით მოხდება ხსენებული ბიზნეს-სამართლებრივი გარიგების წინასახელშეკრულებო ეტაპის დეტალური სამართლებრივი რეგლამენტაცია; მოწესრიგებული იქნება ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით გადასაცემი ინფორმაციის მოცულობა (თუ რა სახის ინფორმაცია ექვემდებარება გადაცემას), მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევის შედეგები, დამცავი ზომების მიღების საკითხი ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, ფრენშაიზის მიმღების მხრიდან ფრენშაიზის მიმცემისათვის დახმარების სათხოვნელად მიმართვის ფორმა, ამ დახმარების მიღების გზა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. სპეციალური კანონი „ფრენშაიზინგის შესახებ“ სრულად განავითარებს ფრენშაიზინგის წინასახელშეკრულებო ეტაპის სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებულ ძირითად დებულებებს და ძალიან ბევრ პრაქტიკაში დასმულ შეკითხვას გასცემს ამომწურავ პასუხს.

ფრენშაიზინგის წინასახელშეკრულებო ეტაპის სამართლებრივი რეგლამენტაციის საკითხის მოწესრიგება ნამდვილად წინადადგმული ნაბიჯი იქნება ქართულ საკანონმდებლო სივრცეში იმის გათვალისწინებით, რომ არსებული მონაცემებით მოსახლეობა თავისი სახსრების დიდ ნაწილს ხარჯავს იმ სექტორების პროდუქციასა და მომსახურებაზე, რომლებშიც დიდია ფრენშაიზული კომპანიების კუთრი წონა: კვების პროდუქტები, ფასთ-ფუდი (სწრაფი კვება), ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა; გარდა კომპანიებისა, რომლებიც დაკავებულნი არიან კვების პროდუქტების საცალო ვაჭრობით, ფრენშაიზინგის გამოყენებით პროექტებს ამუშავებენ აგრეთვე ნავთობკომპანიების ქვედანაყოფები; ასევე მოსალოდნელია ფრენშაიზინგის სისტემის გამოყენების ზრდა იმ ექსპანსიური კომპანიების მხრიდან, რომლებიც შემდეგი მიმართულებით მუშაობენ: ტურისტული ბიზნესი, სასტუმროს ბიზნესი, ხანგრძლივი მოხმარების საქონლის საცალო რეალიზაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების სფერო, სპორტისა და ჯანმრთელობის მომსახურების სფერო, ავტომობილების იჯარის, რემონტისა და გაყიდვის სფეროში მომსახურება, სათამაშო ბიზნესი.

მიუხედავად იმისა, რომ ფრენშაიზინგი ეკონომიკური ინსტრუმენტია, ფრენშაიზინგის განვითარების შეფერხება უწინარეს ყოვლისა სამართლებრივ სფეროში ხდება, სამართლებრივი კუთხით განვითარების უზრუნველყოფა იმავდროულად მოითხოვს ეკონომიკური პრობლემების გადაჭრასაც.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. ჯორბენაძე, ფრენშიზინგის ხელშეკრულება, თბილისი.1999.
2. მ. ქოქიაშვილი, ფრენშიზინგი და მისი სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2009.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III. თბილისი. 2001. გვ. 96-მ.327.3.
4. Alexander Moore Meiklejohn, Franchising: Cases, Materials, and Problems, ABA Book Publishing, 2013.
5. Zweigen Kotz.Introduction to Comparative Law,Vol.II(T.Weir trans.2ed 1987). გვ. 291-300.
6. Кучер А. Н. Теория и практика преддоговорного этапа: юридический аспект. М. Статут, 2005.
7. Lena Peters Franchising.Recent Legislation and the UNIDROIT Model Franchise Law/Buisness Law International,Vol.5,No1, January 2004.

## ინტერნეტ-რესურსი

1. <http://franchising-suncar.kz/index.php/podderzhka/zakony/3-zakon-o-raskrytii-informatsii-o-fran-shize>
2. [https://www.americanbar.org/groups/franchising/publications/franchising\\_law\\_journal\\_home/Vol37\\_No3.html](https://www.americanbar.org/groups/franchising/publications/franchising_law_journal_home/Vol37_No3.html)
3. <http://www.gccc.ge>

# **ეკონომიკისა და გეგმვის ადმინისტრაციის ვიკატულაჲა**

**დევი შონია**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი*

**ნინო ხაზალია**

*სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო  
ეკონომიკური უნივერსიტეტის ასპირანტი*

## **ეკონომიკის კლასტიზაციის, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ავალუების პოლიტიკის შესახებ**

### **ანოტაცია**

თანამედროვე ეტაპზე ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის საკითხი უნდა განიხილებოდეს საქონელმწარმოებლების კლასტიზაციის ერთობლიობიდან გამომდინარე, რადგანაც სწორედ კლასტიზაცია ქმნიან კონკურენტული უპირატესობების ფაქტორებს, პირველ რიგში ინოვაციებს, ასევე ადამიანური კაპიტალისა თუ ექსპორტის განვითარებას.

მსოფლიო პრაქტიკის მიხედვით, კლასტიზაციის მიდგომის გამოყენება წარმოადგენს კანონზომიერ ეტაპს ეკონომიკის განვითარებაში, ხოლო მისი უნივერსალური გავრცელება შეიძლება განხილულ იქნას ყველა მაკროეკონომიკური ეკონომიკის მთავარ მახასიათებელ თვისებად, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებით.

ეროვნული კლასტიზაციის პოლიტიკის შემუშავებისას აუცილებელია შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება: 1. ეკონომიკის განვითარების დონე, 2. ქვეყანაში სოციალური კაპიტალის განვითარების ხარისხი, 3. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ნორმები.

მსხვილ და განვითარებულ ეკონომიკებში კლასტიზაციის ინიციატივების უმრავლესობა, რომლებიც მოქმედებდნენ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, წამოიწიეს იყო ადგილობრივი ან რეგიონალური მთავრობების მიერ. ნაკლებად განვითარებულ და ბევრ განვითარებად ქვეყნებში კი კლასტიზაციის ინიციატივებში მთავარ როლს ეროვნული მთავრობები თამაშობენ.

კლასტიზაციის პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვანია ქვეყნის მთავრობის როლი, რასაც უპირატესად შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავენ: 1) გადახდისუნარიანობა 2) საზოგადოებრივი ინტერესების ობიექტური პრიორიტეტიზაცია 3) საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში ეროვნული ბიზნესის დაცვის აუცილებლობა 4) ინსტიტუციონალური მექანიზმების ნაციონალურ და მსოფლიო ეკონომიკასთან კოორდინირების აუცილებლობა.

ეკონომიკის კლასტიზაციის პროცესის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ქვეყანაში მხოლოდ ინოვაციური ინფრასტრუქტურის, განვითარების ინსტიტუტების, სამეცნიერო ცენტრების, ტექნოპარკებისა და ა. შ. შექმნა არ არის მთავარი, არამედ მთავარია ის, რომ სხვადასხვა იურიდიულად დამოუკიდებელ პარტნიორებს შორის პროცესს მიეცეს კოლაბორაციული განვითარება.

**Devi Shonia**

*Ph.D. of Economics, Associate  
Professor of Sokhumi State University*

**Nino Khazalya**

*Postgraduate Student of Saint Petersburg  
State University of Economics*

## CLUSTERING AS THE COMPETITIVENESS RISING POLICY OF THE COUNTRY

### Abstract

In modern times the competitiveness of national economy should be considered as the combination of the commodity clusters. The reason is that exactly clusters create competitive advantages, first of all, innovations as well as human capital or export development.

According to the world practice, the economic development using cluster approach is considered as regular stage, likewise, towards to its specific markings, its universal distribution can be recognized as the main characteristic of all the highly developed economies.

In the elaboration of national clustering policy, three following factors are necessary to be taken into account: economic development level; the quality of the social capital development in the country; the norms of making political decisions.

Last few years operating majority of cluster initiatives in wide and development economics have been raised by local or regional governments. In less developed or more developed countries, in the cluster development initiatives, the key role is played by national governments.

In formation of the cluster policy the role of country's government is important. The role is primary determined by following factors: insolvent market; objective priority of public interests; necessity to secure national business in the foreign economic relations; necessity to coordinate institutional mechanisms with the national and world economics.

Hence to the specific nature of economics clustering process, not only to create developing innovative infrastructure, developing institutions, scientific centres, technoparks etc. are important, but also to develop collaborations between various legally independent partners is significant.



## ეკონომიკის კლასტიზაციის, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პოლიტიკის შესახებ

ეკონომიკის განვითარებისა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ტრადიციული პოლიტიკა მოითხოვს ბევრი დასაბუთებული კონცეფციისა თუ განვითარების სტრატეგიის გადახედვას და მათზე უარის თქმას, რაც განპირობებულია ახალ, ინოვაციურ და კლასტერებზე დაფუძნებულ პოლიტიკაზე გადასვლის აუცილებლობით.


მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში კლასტერების ფორმირება მიმდინარეობდა საკმაოდ აქტიურად. თანამედროვე აშშ-სა [1] და ევროკავშირის რეგიონის ინოვაციურ განვითარებაში კონკურენტუნარიანობის კლასტერული სტრატეგია უმთავრეს ინსტრუმენტად განიხილება [2]. ექსპერტების შეფასებით, დღეისათვის კლასტიზაციით არის მოცული მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკების 50%-მდე. აშშ-ში კლასტერების ჩარჩოებში მუშაობს ნახევარზე მეტი სანარმოები, ხოლო მათში წარმოების წილი მშპ-ში 60%-ს აჭარბებს. ევროკავშირში 2 ათასზე მეტი კლასტერი არსებობს, სადაც დასაქმებულია მისი სამუშაო ძალის 38%. მთლიანად კლასტერებითაა მოცული დანიის, ნორვეგიის, ფინეთისა და შვეციის მრეწველობა. აქტიურად მიმდინარეობს კლასტერების ფორმირების პროცესი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ჩინეთში, კონკრეტულად სინგაპურში (ნავთობქიმიის სფერო), იაპონიაში (მანქანათმშენებლობა) და ა. შ. [8]. კონკურენტუნარიანობის ამაღლება კლასტერული ინიციატივების საფუძველზე, ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობის განვითარების სტრატეგიის საბაზო ელემენტი ხდება.

მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის საკითხი უნდა განიხილებოდეს საქონელმწარმოებლების კლასტერების ერთობლიობიდან გამომდინარე, რადგანაც სწორედ კლასტერები ქმნიან კონკურენტული უპირატესობების ფაქტორებს, პირველ რიგში, ინოვაციებს, ასევე ადამიანური კაპიტალისა თუ ექსპორტის განვითარებას.

თანამედროვე მსოფლიოს ტექნოლოგიურად ლიდერი დარგების, ასევე აზიის სწრაფად მზარდი ინდუსტრიალიზაციის განვითარების საფუძველს სწორედ ინოვაციებზე ორიენტირებული სისტემა წარმოადგენს. ამიტომ გლობალურ კონკურენციაში ჩართვისა და მწარმოებლურობის ზრდისათვის, ინოვაციებზე ორიენტირებული სისტემის გარდა განვითარების სხვა ალტერნატიული ვარიანტი არ გააჩნია არც განვითარებულ და არც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს (მათ შორის საქართველოს). ყოველივე ეს კი მოითხოვს პირველ რიგში ინოვაციებში მიმდინარე ევოლუციური ცვლილებების არსის სწორად გაგებას და შესაბამისი ეკოსისტემის/პირობების შექმნას კოლაბორაციული განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ ათეულობით წლების განმავლობაში ინოვაციების ეკოსისტემამ და მისი შექმნის მოდელმა სერიოზული ისტორიული ტრანსფორმაცია განიცადა და ის დღეს პრინციპულად გართულდა (იხ. ნახაზი 1). ევოლუცია დაიწყო ცალკეული კომპანიების დახურული ინოვაციების შექმნიდან (Shumpeter, 1934) საბოლოო მომხმარებლების კონცეფციამდე, შემდგომ კი სტრატეგიულ და ბოლოს – ბიზნესის ღია ინოვაციებამდე (Chesbrough, 2003) [4].

## გრაფიკი 1. ინოვაციების ეკოსისტემების ტრანსფორმაცია



(წყარო: [4] Russell et al., 2011)

ეკონომიკის კლასტერული განვითარების თემა ვითარდება 1990-იანი წლებიდან. სამეცნიერო ლიტერატურა (მ. პორტერის, კ. კეტელის, გ. ლინდკვისტის, ო. სოლველის შრომები) კლასტერებს აღწერენ როგორც პოსტინდუსტრიული ეპოქის მეტად რთულ დინამიურ სისტემებს. კლასიკური განმარტებების თანახმად, კლასტერი – ეს არის განსაზღვრულ რეგიონში კონცენტრირებული, ურთიერთდაკავშირებული კომპანიების ჯგუფი, სპეციალიზირებული ნედლეულის, საქონლისა და მომსახურების მომწოდებლების, ასევე კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციების ჩართვით (საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან დაწყებული, სპეციალიზირებული სახელმწიფო სტრუქტურებით დამთავრებული) [10,11].

მ. პორტერი არ თვლის მიზანშეწონილად ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განხილვას მხოლოდ ცალკეული ფირმის კონკურენტუნარიანობით. მას მიაჩნია, რომ ეს უნდა მოხდეს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის პრიზმიდან, კერძოდ, კლასტერების კონკურენტუნარიანობიდან (სხვადასხვა დარგის ფირმების გაერთიანება) გამომდინარე. ამ მიდგომით, დღეისათვის სულ უფრო ფართო აღიარებას პოულობს მოსაზრება იმაზე, რომ რეგიონები, რომლის ტერიტორიაზეც ფუძნდებიან კლასტერები, ხდებიან ეკონომიკური განვითარების ლიდერები. სწორედ ასეთი ლიდერი რეგიონები განსაზღვრავენ ნაციონალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. კლასტერების არმქონე რეგიონები კი იკავებენ დაჩაგრულ ეკონომიკურ მდგომარეობას.


მ. პორტერის კლასტერული თეორიის მიხედვით, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ე. წ. „დეტერმინანტებს“ (ფაქტორებს), რომლებიც ახდენენ მის ფორმირებას. ესენია: გარემო ფაქტორები და პირობები, მოთხოვნის პირობები, მონათესავე და მხარდაჭერი დარგები, ფირმების სტრატეგიები, მათი სტრუქტურა და მეტოქეობა. ასეთი მიდგომით კი ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა სრულად შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ განვითარებისას და ხსენებული ფაქტორების აქტიური ურთიერთქმედების დროს.

მ. პორტერს კონკურენტუნარიანობის განვითარების დეტერმინანტები გამოსახული აქვს რომბის სახით (იხ. ნახაზი 2.), რომლის შემადგენლობაში შემავალ ყველა ელემენტთან პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფება ეკონომიკის, როგორც სისტემის კონკურენტუნარიანობა. რომბის შუაში მდებარე „ჯვარი“ მიუთითებს ყველა მისი შემადგენლის (მხარდაჭერილი ადმინისტრაციული და ინსტიტუციონალური გარემოებებით) ურთიერთკავშირზე, რომლებიც განუწყვეტლად უნდა უმჯობესდებოდნენ. რომბში ურთიერთქმედების კომპლექსი ეკონომიკური სისტემის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს. მის ერთ-ერთ მწვერვალს წარმოადგენს – „მონათესავე და მხარდაჭერი დარგები“, ანუ კლასტერები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციების დაწერგვას კომპლექტებული თუ ტექნოლოგიური მიმართულებით და ხდის მათ უფრო კონკურენტუნარიანს.

კლასტერის კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის ასევე საჭიროა გამოცდილი და მომთხოვნი მომხმარებლების რაოდენობა, რომელთა მოთხოვნები უნდა უსწრებდეს მოთხოვნას სხვა ბაზრებზე და ასევე წარმოადგენდეს ახალ საქონელზე გლობალური მოთხოვნის ფორმირების ტესტირების წყაროს.

**ნახაზი 2.** მ. პორტერის კონკურენტული რომბი. წყარო: [11].

**მთავრობის პოლიტიკა შესაძლებლობები და შანსები**  
**საერთაშორისო საქმიანი აქტიურობა შედეგები და ზეგავლენა**



კლასტერის შიგნით ურთიერთქმედება (ტექნოლოგიების, ორგანიზაციულ სფეროებში ინოვაციების, კლასტერის საზღვრების გამაფართოვებელი ახალი ბიზნესების დაბადების სტიმულირების ხარჯზე) უზრუნველყოფს მწარმოებლურობის ამაღლებას. წარმოების ორგანიზაციის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, კლასტერი პირველ რიგში გამოირჩევა შიდა კონკურენტული გარემოს არსებობით და გლობალურ ბაზარზე ძლიერი კონკურენტული პოზიციებით. მასში კონკურენციისა და კოოპერაციის რთული კომბინაციის ფორმირება ხდება სხვადასხვა სიბრტყეზე, რაც ავსებს ერთმანეთს, განსაკუთრებით კი ინოვაციურ პროცესებში.

კლასტერს წარმოადგენენ სხვადასხვა ტიპის მონაწილეები: საბაზო სუბიექტები – მსხვილი, საშუალო და მცირე კომპანიები; საგანმანათლებლო და ინოვაციურ – კვლევითი ბლოკი (უმაღლესი სასწავლებლები, საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებები, ცოდნის კომერციალიზაციისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრები, ინჟინირინგული კომპანიები და ა. შ.); ადგილობრივი/რეგიონალური დონის ხელისუფლების ორგანოები, განვითარების ინსტიტუტები; დამაკავშირებელი, შუამავალი კომპანიები (ფინანსური ორგანიზაციები, კონსალტინგური კომპანიები და ა. შ.). მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს კლასტერების მნიშვნელობას რეგიონალური და ნაციონალური ეკონომიკის განვითარებაში.

ძალიან ხშირად კლასტერი ქსელურ სტრუქტურას წარმოადგენს, სადაც ცენტრალური რგოლის არსებობას აუცილებლობა ან ტრადიციები განაპირობებენ და ის შეიძლება ფუნქციონირებდეს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური სტრუქტურის ფორმატით – მმართველი კომპანიის ან წევრობის გარეშე.


კლასტერი არ არსებობს თავისთავად, ის განუყოფელ კავშირშია იმასთან, რაც მის გარემოცვაშია. მასზე ზეგავლენის მოხდენა უმეტესად მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურებს შეუძლიათ, რადგანაც მათ ევალებათ იმ პირობების შექმნა და ფორმირება, სადაც ისინი ვითარდებიან. ყველა

დონის მთავრობა ფლობს უდიდეს შესაძლებლობებს, რომ დაეხმაროს ან შეაფერხოს მისი განვითარება. ამიტომაც, კლასტერული განვითარების მთავარ ასპექტს ქვეყანაში ან კლასტერის ბაზრის რეგიონში კლასტერული პოლიტიკის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ყოველი ქვეყანა საკუთარ კლასტერულ პოლიტიკას შეიმუშავებს და ავითარებს.

კლასტერის მიერ შექმნილ მთავარ უპირატესობას წარმოადგენს მის შიგნით არსებულ ინფორმაციაზე – მარკეტინგზე, ტექნოლოგიებზე, მყიდველების მიმდინარე მოთხოვნებზე ფირმებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმისაწვდომობა, რაც ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს. ის შეიძლება იყოს უკეთესად ორგანიზებული, რაც კომპანიებს უფრო პროდუქტიული მუშაობის, მწარმოებლურობის მოწინავე დონეზე გასვლის საშუალებას აძლევს. ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ინვესტორებს ბაზის გაფართოებას და წარმოების მასშტაბის ზრდას. კლასტერში მონაწილეობა იძლევა ასევე უპირატესობებს ინოვაციების კუთხით, კერძოდ: ახალ ტექნოლოგიებთან, მუშაობის პროგრესიულ მეთოდებთან მისაწვდომობა; მყიდველების მოთხოვნებზე უფრო სწრაფი და ადეკვატური რეაგირების შესაძლებლობა.

ძალიან ხშირად, ბიზნესის ახალი სახეები წარმოიქმნებიან არსებული კლასტერების შიგნით, ვიდრე მათგან იზოლირებულად. კლასტერის ჩარჩოში გაერთიანება და თანამშრომლობა იძლევა ასევე ქსელის მონაწილეებს შორის მაღალი ხარჯებისა და ინოვაციური რისკების განაწილების, დახმარების მიღების შესაძლებლობას, რაც ცალკე იზოლირებულ ფირმას არ გააჩნია. კლასტერები ასრულებენ ქვეყნის, რეგიონის შიდა ბაზრისა თუ კონკრეტული ადგილის ზრდის, განვითარების როლს, რომლის კვალდაკვალ ახალი კლასტერები წარმოიშობიან და მთლიანობაში იზრდება ქვეყნის (რეგიონის) კონკურენტუნარიანობა (იხ. ნახაზი 3).

### ნახაზი 3. კლასტერების ზეგავლენა ქვეყნის (რეგიონის) კონკურენტუნარიანობაზე



უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო სამყაროში ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გარკვეული კლასტერული პოლიტიკის ფორმირების მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლები. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კლასტერულ პოლიტიკაში ქვეყნების სტრატეგიები განსხვავებულია. კერძოდ, ეროვნულ ტრადიციებთან, პოლიტიკის ფორმირების პროცესის კულტურასთან და კლასტერის კონცეფციასთან დამოკიდებულებაში. აქედან გამომდინარე, კლასტერების მკვლევარებს, გამოცდილების საფუძველზე, უმეტეს შემთხვევაში მოჰყავთ მხოლოდ მისი ორგანიზაციის რეკომენდაციები [3. 5.].

მეთოდოლოგიურად შედარებით მნიშვნელოვან პროგრამულ დოკუმენტს კლასტერულ პოლიტიკაში ევროპული კლასტერული მემორანდუმი წარმოადგენს, რომელსაც 2006 წელს ხელი მოაწერეს ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა [6]. მასში განსაზღვრულია: კლასტერების არსი და მნიშვნელობა ნაციონალურ განვითარებაში და ფორმულირებულია კლასტერული პოლიტიკის ძირითადი ამოცანები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კლასტერების ფორმირების ამ მიმართულებების პირდაპირი გადატანა ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკაში შეუძლებელია, რადგანაც აუცილებელია შემდეგი სამი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება:

1. ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონე (ამ კუთხით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნებს);

2. სოციალური კაპიტალის განვითარების ხარისხი (საქართველოში სოციალურ კაპიტალს და სამოქალაქო საზოგადოებას არ გააჩნია შესაბამისი განვითარება);

3. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ნორმები (განვითარებულ ეკონომიკებში ეს გადაწყვეტილებები მიიღება ადგილობრივ და რეგიონალურ დონეებზე, საქართველოში – ნაციონალურ დონეზე).

მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ საკითხს კლასტერის ფორმირებაში წარმოადგენს ქვეყნის მთავრობის როლი. მ. პორტერი მიიჩნევს, რომ „ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფილიალები, ოპოზიციური პარტიები, ასევე სხვა ყველა, ვინც კი არიან ხელისუფლებაში, უნდა იყვნენ ჩართული მიმდინარე პროცესებში. კლასტერის ინიციატივები უნდა იყოს მოტივირებული შედეგების მისაღწევად; ისინი უნდა იგზავნებოდეს აკადემიური ინსტიტუტებიდან, ინტელექტუალური ცენტრებიდან ან სამთავრობო სააგენტოებიდან, რომლებსაც შესწევთ უნარი ნახონ კვლევები მთელი მისი მოცულობით [7].

ფაქტორებს, რომლებიც უპირატესად განსაზღვრავენ სახელმწიფოს მზარდ ზეგავლენას კლასტერიზაციის პროცესზე შეიძლება მივაკუთვნოთ:

- გადახდისუუნარო ბაზარი და საზოგადოებრივი საქონლის მოცულობისა და მისი მნიშვნელობის ზრდა;

- საზოგადოებრივი ინტერესების ობიექტური პრიორიტეტულობა გლობალიზაციის პირობებში;

- ეროვნული ბიზნესის დაცვის აუცილებლობა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში;

- ინსტიტუციონალური მექანიზმების ნაციონალურ და მსოფლიო ეკონომიკასთან კოორდინირების აუცილებლობა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მსხვილ, განვითარებულ ეკონომიკებში კლასტერული ინიციატივების უმრავლესობა, რომლებიც მოქმედებდნენ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, წამოწეული იყო ადგილობრივი ან რეგიონალური მთავრობების მიერ. ნაკლებად განვითარებულ და ბევრ განვითარებად ქვეყნებში კი კლასტერული განვითარების ინიციატივებში მთავარ როლს ეროვნული მთავრობები თამაშობენ. განსაკუთრებით იქ, სადაც ადგილობრივ და რეგიონალურ მთავრობებს არ შეუძლიათ იყვნენ ნამდვილი პარტნიორები კერძო სექტორისათვის. იმ ქვეყნებში, სადაც ნორმას წარმოადგენს გადაწყვეტილებების ცენტრალიზებული მიღება, ბევრი გადაწყვეტილებები კლასტერებზე ნაციონალურ დონეზე მიიღება. შედარებით უახლოეს მოვლენ-

ნად იქცა უცხოური კლასტერული ინიციატივების გაჩენა, რომლებიც ხდება მხარდაჭერილი ზენაციონალური სამთავრობო ორგანიზაციებით, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში [7].

კლასტერული პოლიტიკის ფორმირის ამ ხსენებული გამოცდილების გაზიარებით, შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული კლასტერული პოლიტიკის ფორმირების მეთოდური საფუძვლები;

- რეალურად არსებობს კლასტერული პოლიტიკის ეროვნული განსაკუთრებულობები;

- კლასტერიზაციის პროცესში მთავრობების ჩარევის ხარისხის მიხედვით ქვეყნების კლასტერული პოლიტიკები განსხვავებულია;

- არსებობს სტრატეგიული კლასტერული ალტერნატივების მრავალფეროვნება, რომლებიც განისაზღვრება ეროვნული მახასიათებლებით და მიღებული კლასტერული კონცეფციით.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ აუცილებელია ეკონომიკის კლასტერიზაციის სახელმწიფო რეგულირება და ეს დასტურდება ინსტიტუციონალიზმის თეორიით, ასევე ხსენებული გარემოებების არსებობით.

დღეისათვის ბევრი ქვეყანა ამუშავებს სახელმწიფო პროგრამებს და ეწევიან დიდხალ ფინანსურ ხარჯებს კლასტერების „გამოყვანაზე“. ასეთი პროგრამები შემუშავებული აქვთ ყველა ევროკავშირის ქვეყნებს. მათი რეალიზაცია ხდება ლისაბონის სტრატეგიის გადამწყვეტილებებთან შესაბამისობაში – ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკებში ინოვაციური კლასტერების საფუძველზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის შემძლე ცოდნის დანერგვის მიზნით.

მსოფლიო პრაქტიკის მიხედვით, კლასტერული მიდგომის გამოყენება წარმოადგენს კანონზომიერ ეტაპს ეკონომიკის განვითარებაში, ხოლო მისი უნივერსალური გავრცელება შეიძლება განხილულ იქნას ყველა მაღალგანვითარებული ეკონომიკის მთავარ მახასიათებელ თვისებად, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებით.

სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ქვეყანაში მხოლოდ ინოვაციური ინფრასტრუქტურის, განვითარების ინსტიტუტების, სამეცნიერო ცენტრების, ტექნოპარკებისა და ა. შ. შექმნა არ არის მთავარი, არამედ მთავარია ის, რომ სხვადასხვა იურიდიულად დამოუკიდებელ პარტნიორებს შორის პროცესს მიეცეს კოლაბორაციული განვითარება (კლასტერების ეკოსისტემური სპეციფიკა საერთაშორისო კავშირების ვერტიკალური და ჰორიზონტალური დარგობრივი ურთიერთქმედების უნიკალური შერწყმის სახით გვევლინება, როგორც მონაწილეთა პროდუქტული ჯაჭვების, მათი მკაცრი ინსტიტუციონალური ურთიერთქმედების კოლაბორაცია).

2016 წლის ივნისიდან საქართველოში ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ ამოქმედდა. დღემდე კონკურსის საფუძველზე 100-ზე მეტი პროექტი შეირჩა და დაფინანსდა. ინოვაციებთან დაკავშირებით მიმდინარე რთული პროცესების, მათი თავისებურებების, რეკომენდაციების სწორი ანალიზი და გათვალისწინება მოქმედ თუ პოტენციურ პროექტებს აუცილებლად მისცემს პრაქტიკული მარკეტინგული კვლევების უკეთესად დაგეგმვისა და მეტი შედეგების მიღების შესაძლებლობას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Jonathan Sallet and Ed Paisley. Innovation Clusters Create Competitive Communities. Huff Post Social News September 21, 2009. Mode of access: [https://www.scienceprogress.org/wp-content/uploads/2009/09/eda\\_paper.pdf](https://www.scienceprogress.org/wp-content/uploads/2009/09/eda_paper.pdf).
2. Powerful dusters: Main Drivers of Europe's Competitiveness. Brussels, 17 October 2008. Mode of access: [http://ec.europa.eu/enterprise/innovation/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/enterprise/innovation/index_en.htm).
3. Enright M.J., Flowes -Williams I.//Enhancing the competitiveness of SMEs in the global economy: strategies and policies: conference for Ministers responsible for SMEs and Industry Ministers, Bologna, Italy,

- 14–15 June 2000//Organization for Economic Cooperation and Development [Electronic resource]. – 2000. – Mode of access: <http://www.oecd.org/daf/corporate>.
4. Russell M.G. [et al.]. Transforming Innovation Ecosystems through Shared Vision and Network Orchestration. Triple Helix IX International Conference. Stanford, USA, 11–14 July 2011. P.81. Mode of access: [http://www.leydesdorff.net/th9/3NWAfYZH9\\_Russell.pdf](http://www.leydesdorff.net/th9/3NWAfYZH9_Russell.pdf).
  5. Cluster Analysis & Cluster-based policy in OECD-countries various approaches, early results & policy implications / Ed. by Theo J. A. Roelandt, Pim den Hertog//Report by the Focus Group on: Industrial clusters [Electronic resource]. – 1999. – Mode of access: <http://www.oecd.org/daf/corporate>.
  6. The European cluster memorandum. Promoting European Innovation through Clusters: An Agenda for Policy Action / Prepared by the High Level Advisory Group on Clusters, chaired by Senator P. Laffitte. [Electronic resource]. – 2007. – Mode of access: <http://www.clusterobservatory.eu>.
  7. Enright M.J., Flowes-Williams I.//Enhancing the competitiveness of SMEs in the global economy: strategies and policies: conference for Ministers responsible for SMEs and Industry Ministers, Bologna, Italy, 14–15 June 2000//Organization for Economic Cooperation and Development [Electronic resource]. – 2000. – Mode of access: <http://www.oecd.org/daf/corporate>.
  8. Ketels C.H. Clusters and Competitiveness: Porter’s Contribution // Competition, Competitive Advantage, and Clusters: The Ideas of Michael Porter // R. Huggins, H. Izushi. Oxford: Oxford University Press, 2011. Mode of access: [file:///C:/Users/devi/Downloads/upso\\_Search\\_Results%20\(1\).pdf](file:///C:/Users/devi/Downloads/upso_Search_Results%20(1).pdf)
  9. Портер М. „Конкурентная Стратегия». Методика анализа отраслей и конкурентов. Пер. с англ. Москва 2005.
  10. Майкл Е. Портер. „Конкурентные преимущества». Пер. с англ. М.: 2005.
  11. Портер М. „Конкуренция». Пер. с англ. М.: Изд. дом „Вильямс», 2003.
  12. Портер М. „Конкуренция»: пер. с англ. – М.: Вильямс, 2002.

მაია ჭანია,

ეკონომიკის დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
პროფესორი

## სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება, როგორც ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემა

### ანოტაცია

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური პრობლემების მოგვარება პირველ რიგში ხელისუფლების საზრუნავია. ქართულ რეალობაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების დაძლევა წარმოუდგენელია ერთიანი კონცეფციის გარეშე. მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური პოლიტიკა აუცილებელი ინსტრუმენტია ქვეყნის რესურსების მსოფლიო ეკონომიკურ ბრუნვაში მოსაქცევად და პირიქით. მსოფლიოს განვითარების ტენდენციები იქითკენ მიდის, რომ მოცემული ქვეყნის შრომითი, მატერიალური, ფინანსური, ეკოლოგიური და სხვა რესურსები სულ უფრო მეტად ინტეგრირებული ხდება სხვა ქვეყნების რესურსებთან. ყოველივე ეს კი ასახული და დასაბუთებული უნდა იყოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკაში. ეს პოლიტიკა უნდა განიხილებოდეს როგორც რესურსების, მათ შორის ადამიანთა რესურსების მსოფლიო ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის პროცესი. ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის დამუშავების ობიექტური აუცილებლობა განპირობებულია აგრეთვე ქვეყნის, საერთოდ და რეგიონების, კერძოდ, უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფის ამოცანებიდან.

**Maia Chania,**

*Doctor of Economics,  
Professor of New Higher Education Institute*

## SOCIAL-ECONOMIC SAFETY AS THE MAIN PROBLEM OF THE DEVELOPMENT OF THE COUNTRY

### Abstract

The article considers social-economic safety of Georgia regions' territorial economic development as maintaining vitality and development, fulfilling their material and mental needs, providing steady conditions in given economic system as well as in given geographic area. Providing Individual's and society's well-being is possible by fulfilling social, ecological and economical needs only in harmonic governing conditions. Making one of these blocks a higher priority and making them develop surely will cause frightening events.



## სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება, როგორც ქვეყნის განვითარების უზრუნველყოფის პირობა

სოციალურ-ეკონომიკურ უსაფრთხოებას, ქვეყნის, მისი რეგიონების სხვა ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკის უსაფრთხო განვითარებას განვიხილავთ, როგორც მოცემულ ეკონომიკურ სისტემაში, მოცემულ გეოგრაფიულ სივრცეში მცხოვრები ადამიანების ცხოველუნარიანობის შენარჩუნებისა და განვითარების, მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ნორმალური, მყარი პირობების უზრუნველყოფის უნარს. იგი წარმოადგენს კონკრეტული ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის, მისი მოსახლეობის სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტერესების თანმიმდევრულად რეალიზაციის გარანტიას. ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების ერთიანი სისტემის ის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მოიცავს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფას, საზოგადოებაში სოციალური თანხმობის მიღწევას, ეკოლოგიური უბედურებებისაგან დაცვას და ქვეყნის რეგიონების, სხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების შესაძლო ფარგლებში თანაბარ განვითარებას. ამ სისტემაში შემავალი ყველა მიმართულება დიალექტიკურად არის ერთიმეორესთან დაკავშირებული და ერთიმეორეს განაპირობებენ: სამხედრო უსაფრთხოება შეუძლებელია ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების გარეშე; ასევე არ შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა მისი რეგიონების უთანაბრო სუსტი განვითარების პირობებში; ვერ მივაღწევთ ვერც სამხედრო უსაფრთხოებას, ვერც ეკონომიკურ უსაფრთხოებას და რეგიონების თანაბარ, მძლავრ განვითარებას; ყველა ჩვენი მცდელობა უშედეგო იქნება, საზოგადოებაში საზოგადოებრივი თანხმობის არსებობის გარეშე; ეკოლოგიური კატასტროფების შედეგების დაძლევა შეუძლებელია მძლავრი და მუდმივად განვითარებადი, პროგრესირებადი ეკონომიკის გარეშე და სხვა. მაგრამ, ამ დიალექტიკური ერთიანობის ფონზე ჩამოთვლილ მიმართულებათა შორის, ეროვნული უსაფრთხოების ერთიანი სისტემის ყველა შემადგენელ ნაწილს შორის მაინც გადამწყვეტი, წამყვანი როლი აკისრია ეკონომიკურ უსაფრთხოებას. იგი არის ყველა სხვა დანარჩენი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველთა-საფუძველი, ბაზისი.

პიროვნებისა და საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფა შესაძლებელია ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემატიკის მხოლოდ ჰარმონიული მართვის პირობებში. ეს სამი ბლოკი ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ ერთი რომელიმესათვის უპირატესობის მინიჭება, რომელიმე მათგანის პრიორიტეტული განვითარება აუცილებლად წარმოშობს ფრიად საშიშ მოვლენებს. სწორედ თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკის განვითარების მასშტაბების გიგანტურმა ზრდამ, ეკონომიკისადმი პრიორიტეტულმა დამოკიდებულებამ წარმოქმნა ეკოლოგიურ წონასწორობაში დისბალანსი. საქართველოში მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში განხორციელებული გაუაზრებელი და თანაც, სამწუხაროდ, არანარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის უშუალო შედეგია დღევანდელი ის კატასტროფული ბუნებრივი მოვლენები, რომლებიც განვითარდა დღეს:

ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა კი თავისი შედეგებით ცივილიზაციას დასასრულისაკენ ექაჩება. სამყაროს დაცვა ხელოვნური კატასტროფისაგან და ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნება, ცივილიზაციის მიღწევათა გამოყენება ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისათვის, ზოგადსაკაცობრიო გლობალური საკითხია.

ეკოლოგიური და ეკონომიკური სანყისების ჰარმონიზაციის აუცილებლობა XX საუკუნის უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში მსოფლიო მეცნიერული აზრის განსაკუთრებული ყურადღების საგანი, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციებისა და საჯარო დისკუსიების ობიექტი იყო. სტოკჰოლმის კონფერენციის შემდეგ, 1983 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შექმნა

სპეციალური მსოფლიო კომისია, რომელსაც გ. ჰ. ბრენტლანდი ხელმძღვანელობდა. მდგრადი განვითარების კონცეფციას სწორედ ამ საერთაშორისო კომისიის სპეციალური გამოკვლევა დაედო საფუძვლად, რომლის შედეგები მოხსენების სახით 1987 წელს წარედგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. კომისიის ანგარიში სათაურით „ჩვენი საერთო მომავალი“ შემდგომში სქელტანიანი წიგნის სახით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის რუსულ ენაზეც გამოიცა. ამ ნაშრომმა სათავე დაუდო მრავალ ახალ გამოკვლევას, პროგრამების შემუშავებას, პრობლემის წარმოჩენას და მათი გადაწყვეტის მიმართულებებს, გლობალურ და ლოკალურ ქრილში.

გაერომ აღნიშნულ საკითხს 1992 წელს საგანგებო კონფერენციაც მიუძღვნა, რომელიც ბრაზილიის ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდა. მასში 179 ქვეყნის მეთაური ლეზულობდა მონაწილეობას. ამ კონფერენციაზე ჩამოყალიბდა „მდგრადი განვითარების პრინციპები“ და აღიარებული იქნა როგორც უმთავრესი გზა გლობალური და რეგიონული განვითარებისათვის.

კონფერენციამ შეიმუშავა და მიიღო 5 დოკუმენტი:

1. რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ;
2. დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის;
3. განცხადება ტყეებისადმი დამოკიდებულების პრინციპების შესახებ;
4. გაეროს კონფერენცია კლიმატის ცვლილებების შესახებ;
5. კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ.

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური პრობლემების მოგვარება პირველ რიგში ხელისუფლების საზრუნავია. ქართულ რეალობაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების დაძლევა წარმოუდგენელია ერთიანი კონცეფციის გარეშე. მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური პოლიტიკა აუცილებელი ინსტრუმენტია ქვეყნის რესურსების მსოფლიო ეკონომიკურ ბრუნვაში მოსაქცევად და პირიქით. მსოფლიოს განვითარების ტენდენციები იქითკენ მიდის, რომ მოცემული ქვეყნის შრომითი, მატერიალური, ფინანსური, ეკოლოგიური და სხვა რესურსები სულ უფრო მეტად ინტეგრირებული ხდება სხვა ქვეყნების რესურსებთან. ყოველივე ეს კი ასახული და დასაბუთებული უნდა იყოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკაში. ეს პოლიტიკა უნდა განიხილებოდეს როგორც რესურსების, მათ შორის ადამიანთა რესურსების მსოფლიო ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის პროცესი. ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის დამუშავების ობიექტური აუცილებლობა განპირობებულია აგრეთვე ქვეყნის, საერთოდ და რეგიონების, კერძოდ, უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფის ამოცანებიდან.

მთავრობის მიერ სახელმწიფო დონეზე გატარებული არაერთი პროგრამის მიუხედავად, უმუშევრობა და სიღარიბე კვლავ უმძიმეს პრობლემებად რჩება. კიდევ უფრო მძიმეა პრობაციონერების, აივ ინფიცირებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, მზრუნველობას მოკლებული ბავშვების, დევნილებისა – თუ სხვა მონყვლადი ჯგუფების მდგომარეობა. სამუშაოს მოძიება და საზოგადოებაში ინტეგრაცია მათ ყველაზე მეტად უჭირთ.

სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების, ეკონომიკური ზრდის, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ გაფართოებული კვლავწარმოების პირობებში. შრომის ნაყოფიერების რეგულარული მატების, წარმოების ტექნიკური გადაიარაღების, მოსახლეობის დასაქმების, შრომის ანაზრაურებისა და ერთობლივი საბოლოო მოხმარების ზრდისას შედეგის სახით ვიღებთ მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდას. ხელისუფლებამ უნდა შექმნას პირობები და გარემო, რომ ქვეყნის მენარმეებსა და საქმიან ადამიანებს, მოქალაქეებს მიეცეთ მაღალპროდუქტიული შრომისა და საქმიანობის საშუალება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ხისტი სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელთა მიზანია ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება (განათლება, ჯანდაცვა, უსაფრთხოება, შესაძლებლობების თანასწორობა). პატერნალიზმი (მუდმივი დახმარების იმედი დასავლეთის ქვეყნებიდან, ატროფიას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე გაჯანსაღებას) არ არის ის გზა, რომელის იძლევა ამ მიზნების რეალიზაციის საშუალებას. კიდევ

ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ხელს არ უწყობს საქართველოს მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. დღევანდელი მდგომარეობით, ქვეყნისათვის განსაკუთრებით საშიშ მასშტაბებს იღებს დიდი მოცულობის იაფი სამუშაო ძალის არსებობა, რაც ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციების პირობებში, საერთოდ კატასტროფული შედეგების მატარებელია. იგი ქვეყნის უმთავრესი რესურსის ეროზიას იწვევს.

მაღალი კვალიფიკაციის მუშახელი, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის განვითარება, არ შეიძლება იყოს იაფი. ზემოაღნიშნული ტენდენციები კი პირდაპირ და გარკვევით მიგვანიშნებს, თუ სიტუაცია რადიკალურად შეცვლილი არ იქნა სათანადო რეფორმებისა და ეკონომიკური პოლიტიკის გატარების გზით, დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი საქართველოს მოქალაქეებისათვის ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიღწევა შეუძლებელი იქნება: არსებული რესურსის უდიდესი ნაწილი დასაქმებულია იმ სექტორებში და დასაქმებულთა სტრუქტურა იმდენად არახელსაყრელია, გამოკვეთილია საშიში ტენდენციები, რომ მათი შემოსავლების მნიშვნელოვნად ზრდა ფაქტობრივად შეუძლებელი გახდება! ილუზია, რომ იაფი მუშახელი არის ექსპორტის სტიმულირებისა და წარმოებული საქონლის (მომსახურების) კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნას დაძლეული. იაფი მუშახელი დასაყრდენი ვერ იქნება ეროვნული კეთილდღეობის მისაღწევად და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, ცხადად უნდა გავიცნობიეროთ. ამას მრავალი განვითარებული ქვეყნის მაგალითიც ადასტურებს. ამდენად, ზემოაღნიშნული სტრატეგიის მთავარი შეუცვლელი რესურსი ადამიანი უნდა გახდეს, რომელსაც შეუძლია საკუთარ მოღვაწეობაში ორიენტირებული იყოს თვითრეალიზაციის თავისუფლებასა და შემოქმედებაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. თეთრუაშვილი, მ. თეთრუაშვილი-ქარდავა, „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში“, 2006.
2. ბ. ალადაშვილი, ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა 2016.
3. [https://issuu.com/oikos-tbilisi/docs/globalization-proceeding\\_\\_4\\_2012/12](https://issuu.com/oikos-tbilisi/docs/globalization-proceeding__4_2012/12)

**ნოდარ გრძელიშვილი**

ეკონომიკის დოქტორი, ახალი უმაღლესი  
სასწავლებლის ასოცირებული პროფესორი,  
დავით აღმაშენებლის სახელობის  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## **ტურიზმის თავისებურებები და რეგიონული სტატისტიკის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები**

### **ანოტაცია**

რეგიონებში ტურიზმის განვითარებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს თითოეული რეგიონის ტურისტულ პოტენციალზე და შესაძლებლობებზე. მოკლევადიან მოგებაზე უარის თქმით შესაძლებელი იქნება სუფთა გარემოს შენარჩუნება და ეკონომიკის სხვა სექტორების ხელშეწყობაც.

რეგიონებში ტურიზმი არ უნდა იქცეს ადამიანების მხოლოდ მცირე ჯგუფის სარგებლის წყაროდ, მის ნაწილად თავი მთელმა მოსახლეობამ უნდა იგრძნოს.

ტურიზმი რეგიონებისათვის გაგებული უნდა იყოს, როგორც ეკონომიკური წინსვლისათვის ხელშემწყობი ფაქტორი და არა, როგორც შემოსავლის ერთადერთი წყარო. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკის სხვა სექტორებსაც მიეცემა განვითარების შესაძლებლობა.

ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესაფასებლად, ტენდენციების გამოვლენისა და სტატისტიკური კანონზომიერებების დასადგენად, აუცილებელია ტურიზმის ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესება. რეგიონებში ტურიზმის განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზისა და მისი სამომავლო განვითარების პროგნოზირებისათვის საჭიროა შეიქმნას ტურიზმის სტატისტიკის თანამედროვე სისტემა, რომელიც ახალი მაჩვენებლების დანერგვით, სტატისტიკური გამოკვლევების შინაარსისა და მათი ჩატარების ფორმების გათანამედროვეებით ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარებას.

**Nodar Grdzelishvili**

*Doctor of Economics, Associate Professor  
of Business and Technology,  
Davit Aghmashenebeli University  
and of New Higher Education Institute*

## **TOURISM FEATURES AND THE MAIN TRENDS IN THE IMPROVEMENT OF REGIONAL STATISTICS**

### **Abstract**

The development of tourism in the regions should focus on tourism potential and opportunities of each region. By Refusing to short-term profits we will be able to maintain a clean environment and promote other sectors of the economy.

Tourism in the regions should not become a source of benefit for only a small group, and the whole population should feel like a part of it. Region Tourism should be understood as a contributing factor to economic progress and not as a source of income. In this case, other sectors of the economy will be given the opportunity to develop.

To evaluate the current events in the field of tourism, to identify tendencies and to establish statistical regularities, it is necessary to improve the quality of tourism information.

For the analysis of the modern state of tourism development in the regions and for its future development forecasts, it is necessary to create a comprehensive strategy for tourism development, which with the introduction of new indicators, the contents of statistical researches and with modernizing their forms of conducting will promote the development of tourism in the regions of Georgia.


## ტურიზმის თავისებურებები და რეგიონული სტატისტიკის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

ტურიზმი მსოფლიოში სოციალური ინფრასტრუქტურის ისეთ დარგად იქცა, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს.

ტურიზმის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია როგორც დღევანდელი საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის, ისე მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკის განვითარებაში. საქართველოს თითოეული რეგიონი გამოირჩევა უნიკალური ტურისტული პოტენციალითა და მრავალფეროვნებით.

საქართველოს მთავრობის მიერ დეკლარირებულია პრიორიტეტი ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ. დღეისათვის ქვეყანაში ტურიზმი სულ უფრო იკავებს პრიორიტეტულ ადგილს.

საერთა შორისო მოგზაურების სტატისტიკა



ტურიზმის განვითარებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს თითოეული რეგიონის შესაძლებლობაზე. ქვეყნის პრიორიტეტი ეკოლოგიურად და კულტურულად მდგრადი ტურიზმის განვითარება უნდა გახდეს. მოკლევადიან მოგებაზე უარის თქმით შესაძლებელი იქნება სუფთა გარემოს შენარჩუნება და ეკონომიკის სხვა სექტორების ხელშეწყობაც.

რეგიონებში ტურიზმი არ უნდა იქცეს ადამიანების, მხოლოდ მცირე ჯგუფის სარგებლის წყაროდ. ამ წარმატებული პროექტის ნაწილად თავი მთელმა მოსახლეობამ უნდა იგრძნოს.

ტურიზმი რეგიონებისათვის გაგებული უნდა იყოს, როგორც ეკონომიკური წინსვლისათვის ხელშეწყობი ფაქტორი და არა, როგორც შემოსავლის ერთადერთი წყარო. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკის სხვა სექტორებსაც მიეცემა განვითარების შესაძლებლობა.

ბაზარზე ტურისტული პროდუქტი წარმოდგენილია მომხმარებლის მოთხოვნილების გათვალისწინებით და მათ დასაკმაყოფილებლად. ტურიზმის ძირითადი პროდუქტი არის მომსახურება, რომელიც უპასუხებს ტურისტის მატერიალურ (ლამის გათევა, ტრანსპორტი, კვება) და სულიერ (შემეცნებით, კულტურულ გასართობ) მოთხოვნილებებს.

პრობლემას ტურისტული ბიზნესის დიაგნოსტიკებაში წარმოადგენს სრული არარსებობა რეგიონულ დანაწევრებულ სტატისტიკურ მონაცემთა ინფორმაციაზე, ტურისტული ბიზნესის მდგომარეობაზე და დინამიკაზე. ტურიზმი ქვეყნის რეგიონების შიდა რეგიონული პროდუქტის დარგობრივ სტატისტიკაში არ გამოიყოფა.

ტურიზმში შექმნილი დამატებითი ღირებულების ცალკეული სტატისტიკის არარსებობა აიხ-

სნება მოცემული დარგის, როგორც ერთი მთლიანის გამოყოფის სირთულით. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სხვადასხვა ტურისტული მოთხოვნის ფართო სპექტრის მომსახურებაში სხვადასხვა ხარისხით მონაწილეობს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის რამდენიმე ათეული დარგი.

ტურისტული სექტორის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს მის კომპლექსურ ხასიათს. აქედან გამომდინარე, ანალიზის მეთოდოლოგია ორიენტირებული უნდა იყოს არა კონკრეტული დარგის შესწავლაზე, არამედ ურთიერთდაკავშირებული დარგებისა და ქვედარგების სისტემაზე.

ტურისტული ინდუსტრია განიხილება, როგორც სასტუმროებისა და სხვა სახის განთავსების საშუალებათა, სატრანსპორტო საშუალებების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, გართობის ობიექტებისა და საშუალებების, შემეცნებითი ობიექტების, საქმიანი, გამაჯანსაღებელი, სპორტული და სხვა დანიშნულების ორგანიზაციების, ტუროპერატორული, ტურსააგენტოს განმარტოვებული და ასევე ექსკურსიული მომსახურებისა და გიდ-მთარგმნელობითი საქმიანობის განმარტოვებული ორგანიზაციების მომსახურება, რომელიც მიმართულია ტურისტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ასეთი განმარტება არ ითვალისწინებს, რომ ერთი და იგივე ობიექტები შეიძლება ერთდროულად ემსახურებოდეს, როგორც ტურისტებს, ასევე ადგილობრივ მაცხოვრებლებს.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია მთელი დარგები, რომლებიც ჩართულია ტურისტულ მოთხოვნაში, დავყოთ სამ ჯგუფად:

1. საკუთრივ ტურისტული ბიზნესი, რომლის მომსახურება ადგილობრივი მაცხოვრებლებსათვის წარმოადგენს საქმიანობის არა ძირითად სახეს;

2. დარგები, რომლებიც მნიშვნელოვანი ხარისხით დაკავშირებულნი არიან ტურინდუსტრიის საქროების მომსახურების, მაგრამ სპეციალიზირებულნი არიან სხვა ფუნქციების შესრულებითაც;

3. ეკონომიკის სფეროები, რომელზეც ტურისტული ინდუსტრიების განვითარება ახდენს გვერდით ეფექტს.

ტურისტული ბიზნესის საფუძვლად საჭიროა ვალიაროთ განთავსების სექტორი, რადგან თავად ტურისტის განსაზღვრების ქვეშ იგულისხმება რომელიმე განთავსების ობიექტში გაჩერება. გამონაკლისს წარმოადგენენ, მხოლოდ მცირე რიცხვი "ტურისტი ველურებისა" და ცალკეული სახის აქტიური დასვენების თაყვანისმცემლები (დაშვება ბაიდარებით მდინარეზე, ჯომარდობა და ა.შ.) ამის გარდა, განთავსების სექტორი არ ემსახურება სხვა ქალაქის ექსკურსანტებს (მნახველებს, რომლებიც არ რჩებიან ღამის გასათევად), რომლებიც ასევე აყალიბებენ ტურისტული ინდუსტრიის შემოსავლებს. საწინააღმდეგოდ, განთავსების სექტორის მომსახურებით სარგებლობენ პირები, რომლებიც დროებით არიან ჩამოსული რეგიონში (დასახლებულ პუნქტში) ანაზღაურებადი მოღვაწეობისათვის. ზოგიერთ რეგიონში ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალური განთავსების საშუალებებს.

რეგიონებში ტურიზმის განვითარება ამცირებს უმუშევრობას და ზრდის ადგილობრივი პროდუქტის გასაღების შესაძლებლობას. დღეს, როდესაც სოფლად ცხოვრების პირობები რთულია და ადგილობრივ მცხოვრებთა ფინანსური შემოსავლები მცირეა, პროდუქტის გასაღების ბაზრის მოპოვება და პროდუქტის პირველადი ღირებულების გაზრდა მომსახურების დამატებით სიღარიბის დაძლევის პრიორიტეტული მიმართულებაა. დამატებითი ღირებულების წარმოქმნის პროცესი შეიძლება მოიცავდეს ასევე სხვა მომსახურებას (ტრანსპორტი, ღამის გათევა, ტრადიციული ხელსაქმე და ა.შ.) ტურისტულ მომსახურებასთან ერთად ქმნის ე.წ. პირდაპირი პროდუქტის დამატებითი ღირებულების ჯაჭვს.

ტურიზმის განვითარება სოფლად დაკავშირებულია რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარებასთან (მომსახურების, ეკონომიკის, ტრანსპორტის).

სასურველია, რომ რეგიონებში ტურისტული მოღვაწეობის ნებისმიერი ფორმა ეკოლოგიური

და მდგარდი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით განვითარდეს, რათა გაიზარდოს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა და შემოსავლები.

რეგიონებსა და სოფლებში მდგარდი ტურიზმის განვითარება გამოიწვევს:

1. რეგიონისა და სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირებას;
2. დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას;
3. მოსახლეობის ეკოლოგიური და სოციალურ-კულტურული თვითშეგნების ამაღლებას;
4. სიღარიბის დაძლევას;
5. ხალხური რენვის განვითარებას;
6. ძველი ტრადიციებისა და ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნებას;
7. სოფლის ესთეტიკის გაუმჯობესებასა და ინტეგრაციას;
8. სეზონური მიგრაციის შემცირებას;
9. ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას.

ტურიზმი რეგიონებსა და სოფლად – ეკოტურიზმი, ბუნების მოყვარულთა ტურიზმი, აგრო-ტურიზმი და შემეცნებითი ტურიზმი წარმოადგენს მდგარდი ტურიზმის სხვადასხვა ფორმას, რომელთაც აერთიანებს ერთი ძირითადი პრინციპი-ეკონომიკური განვითარება ადგილობრივი რესურსების ზომიერი გამოყენებით.

ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში უტყუარი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სტატისტიკური ანგარიშების, სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური გამოკვლევებისა და სარეგისტრაციო დაკვირვების საფუძველზე.

ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესაფასებლად, ტენდენციების გამოვლენისა და სტატისტიკური კანონზომიერებების დასადგენად აუცილებელია ტურიზმის ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესება, რაც მოითხოვს ტურიზმში სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფასა და მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავებას, რადგანაც მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებული ტურიზმის სტატისტიკის ძირითადი პარამეტრები ფაქტიურად ვერ აისახება სტატისტიკურ პრაქტიკაში და შესაბამისი მაჩვენებლები კი საერთო ინფორმაციულ ბაზაში. ამის ძირითადი მიზეზი არის ტურიზმის ინფორმაციის მოპოვების სირთულე და, აქედან გამომდინარე, არასრული აღრიცხვა. ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორში ტურიზმი, როგორც დარგი ცალკე არ არის გამოყოფილი, ამიტომ ის ინფორმაცია, რომელიც გარკვეული დოზით მოიცავს ტურისტულ მოვლენებს, წარმოდგენილია მომსახურების სხვადასხვა დარგებში.

მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკური სამსახურების ინტერესების სფეროა ტურისტების საერთო რაოდენობა ქვეყნისა და რეგიონების, ჩამოსვლის მიზნის, პროფესიული შემადგენლობისა და სხვა, ორგანიზაციული ფორმის მიხედვით დამტკიცებული სტატისტიკური დაკვირვების არცერთ ფორმაში ისინი არ ფიქსირდება, ამიტომ მათი გაანგარიშება ოფიციალური ორგანოების მიერ წარმოებს ძირითადად ექსპერტული შეფასებით.

ტურიზმის სტატისტიკურად დახასიათებისათვის საჭიროა ტურისტული კომპანიებიდან ინფორმაციის შემოდინებამ მიიღოს სისტემური ხასიათი, რადგან გაიზარდა ინტერესი ისეთი პარამეტრების დასახასიათებლად როგორცაა:

1. ტურისტების საერთო რაოდენობა ქვეყნისა და რეგიონების მიხედვით;
2. ტურისტების დასვენებისა და მათი განთავსების პირობების დახასიათება;
3. ტურიზმის სფეროში განხორციელებული ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა;

განსაზღვრა;

4. ტურიზმის სფეროში შექმნილი მომსახურების მოცულობის დადგენა;
  5. ტურიზმის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში, საბიუჯეტო შემოსავლებში და სხვა.
- ტურიზმის ეფექტურობა განისაზღვრება ისეთი ფუნქციებით როგორცაა:



1. მოსახლეობის დასაქმების ფუნქცია;
2. ადგილობრივი რესურსების გამოყენების ფუნქცია;
3. წარმოების, ვაჭრობის, მშენებლობის ტრანსპორტისა და ა.შ. განვითარების ფუნქცია;
4. ქვეყნის ფინანსური შემოსავლების გაფართოების ფუნქცია.

ტურიზმის სტატისტიკური შესწავლისათვის მეტად მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების განხილვა, როგორცაა: ტურისტული მოთხოვნა, მიწოდება და მათ შორის არსებული თანაფარდობა.

ტურისტული მიწოდება წარმოადგენს ტურიზმის ობიექტს, რომელსაც მიეკუთვნება ყველაფერი, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტურისტული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად: კლიმატი, ლანდშაფტი, სასტუმროები, რესტორნები, გასართობი ხასიათის დაწესებულებები და ა. შ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტურისტული მიწოდება შედგება პირველადი და წარმოებული მიწოდებისაგან.

ტურისტულ მოთხოვნაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: შემოსავალი, ოჯახის სტრუქტურა და მისი წევრების ასაკი, განათლება და პროფესია. ქვეყანაში რაც უფრო უკეთესია ეკონომიკისა და ბიზნესის საერთო მდგომარეობა, მით უფრო მაღალია მოთხოვნა ტურისტულ მომსახურებაზე. ადამიანები დასვენების ადგილი შერჩევისას ყურადღებას ამახვილებენ ტურისტული რეგიონის ეკოლიგიაზე.

ტურიზმიდან მიღებული ეფექტი განისაზღვრება ტურისტების რიცხვით, ან ტურისტული კომერციული სტრუქტურების საქმიანობის მოცულობით.

ტურისტული პროდუქტის მომხმარებლებს მიეკუთვნება: ტურისტები, ექსკურსანტები, ამა თუ იმ ტურისტული ცენტრის სტუმრები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც არ მიეკუთვნება ტურისტთა კატეგორიას.

ტურისტული ხარჯები განისაზღვრება, როგორც ტურისტული მოგზაურობის მომზადების, მოგზაურობის განხორციელებისა და დანიშნულების ადგილზე მისვლისათვის ტურისტის მიერ გაწეული სამომხმარებლო ხარჯების საერთო მოცულობით.

მოგზაურობაზე განეული დანახარჯების სიდიდის დადგენისათვის საჭიროა განისაზღვროს ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა:

1. მოგზაურობის სიხშირე;
2. მოგზაურობის ინტენსივობა;
3. მოგზაურობის საშუალო ხანგრძლივობა;

ტურისტული ხარჯები სხვადასხვა კომპონენტებისაგან შედგება, რომელთა დაყოფა შეიძლება ჯგუფად:

1. წინასწარი ხარჯები, რომელიც აუცილებელია მოგზაურობის მომზადებისა და განხორციელებისათვის;

2. ხარჯები, რომლებიც აღმოცენდებიან და თავს იჩინენ მოგზაურობისას;

3. ხარჯები, რომლებიც გაიწევა უცხოური ქვეყნიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ (სურათების დაბეჭვდა, მანქანის შეკეთება); ხარჯები სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების შეძენიდან ნათესავების საჩუქრების შეძენით დამთავრებული.

ტურიზმის ეფექტიანობის განსაზღვრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ტურისტული ხარჯის ყველა მუხლის ეკონომიკური ანალიზი. კერძოდ, ისეთი სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენება, როგორცაა: სტრუქტურის შეფარდებითი მაჩვენებლების დანახარჯთა, საშუალო დონისა და ვარიაციის მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდები. ანალიზის პროცესში გამოვლენილი შედეგები კი გამოიყენება შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

ხარჯების კლასიფიკაცია აუცილებელია ტურიზმის მიმართულების არჩევისათვის, რომელთა მიხედვითაც სასურველია საერთაშორისო გასავლებისა და შემოსავლების ეკონომიკური მართვის

მოდელის აგება, აგრეთვე შიდა ტურიზმი-ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის.

ტურისტული ფირმის ეფექტიანი საქმიანობის საფუძველი უნდა იყოს მომხმარებელთა ტიპოლოგია. ვინაიდან ტურისტულ პროდუქტზე ფასი უნდა შეესაბამებოდეს მოთხოვნას ტურისტულ მომსახურებაზე, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს არა საშუალო მომხმარებელზე, არამედ განსაზღვრულ ტურისტთა ტიპურ ჯგუფებზე.

ტურიზმის სტატისტიკაში უმნიშვნელოვანესი საკითხია ტურისტული ნაკადების შესწავლა. ტურისტული ნაკადების ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს შემოსვლის (გასავლის) რაოდენობა და იქ ყოფნის ხანგრძლივობა.

შემოსვლების რაოდენობის ქვეშ იგულისხმება დროის განსაზღვრულ პერიოდში ამა თუ იმ ქვეყანაში შემოსული (გასული) რეგისტრირებული ტურისტების რიცხვი.

